

# მნათობი


6

---

თბილისი  
1948

# მნათობი

სრულიდ-საქართველოს სახვოთა მწიკლუბის  
კავშირის ურვულთვიური სალიბრაბურო  
სახელოვნო და საჯოგადოებრივ-საპოლიტიკო  
ქუჩნალი



წელიწადი ოცდამეხუთე

## 6



ლავით ბაქრაძე

საბჭოთა კავშირის გმირი

## გმირთა სისხლით



### წინათქმა

საქვეყნოდ ცნობილია ის დიდი და საპატიო როლი, რომელიც პარტიზანებმა სამამულო ომის წლებში შეასრულეს.

ოქროს ასოებით აღიბეჭდა მათი სახელი და დიდება ჩვენი სამშობლოს ისტორიაში და, პირველ რიგში, ყველაზე უფრო სახელოვან, ბრძნულ დოკუმენტებში — ამხანაგ სტალინის ბრძანებებში, სიტყვებში, რომლებშიც ჩვენ მუდამ გატაცებით და აღფრთოვანებით ვკითხულობდით:

„დიდება ჩვენს გულად პარტიზანებს და პარტიზან ქალებს!“

ფრონტის ხაზს გადაღმა, მუდამ გვესმოდა ჩვენ ეს სიტყვები, გვაძნეებდა და გზას გვინათებდა.

ცხოვრებამ სავსებით გაამართლა პარტიზანული მოძრაობის აუცილებლობა; მთელმა ქვეყანამ თვალნათლივ დაინახა, თუ რა განუზომელი ღვაწლი დასდეს პარტიზანებმა სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს.

1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, როდესაც წითელი არმია სამკედრო-სასიციოცხოლო ბრძოლას აწარმოებდა ფაშისტ დამპყრობელებთან, ამ დღეებში კრემლში მოწვეული იყო უკრაინის პარტიზანების ხელმძღვანელთა თათბირი.

საზენიტო იარაღების ქექა-ქუხილში მტრის მიერ რკალშემორტყმულ მიდამოებიდან, მტრის ცხვირწინ აფრინდნენ პარტიზანების მეთაურები და მოსკოვს გაეშურნენ. გულთბილად შეხვდნენ კრემლში ამ გმირთა კრებულს. სამამულო ომის დროის უკრაინის პარტიზანული მოძრაობის ფუძემდებლის სილორ არტემის-ძე კოვპაკისათვის გზისმამყენებელ შექურად იქცნენ სიტყვები დიდი ბელადისა, რომელიც მან თათბირის დასასრულს, მეგობრულ საუბარში წარმოსთქვა: „გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ჯერჯერობით თქვენ ხართ ჩვენი მეორე ფრონტი“.

და მართლაც, როცა საბჭოთა არმია ფრონტზე მტრის დივიზიებს ლეწავდა და ანადგურებდა, ამავე დროს ზურგში პარტიზანები რისხვად ვეველინებოდით ვერაგ დამპყრობლებს, ხშირად მოწინააღმდეგე იძულებული იყო ფრონტიდან მოეხსნა ჯარის ნაწილები და ჩვენს წინააღმდეგ გამოეყვანა. ომი ომია, მაგრამ პარტიზანული ომი მაინც სულ სხვა შინაარსისაა. პარტიზანად ხომ ყველა მეომარი ვერ გამოდგება.

პარტიზანი უნდა იყოს რკინის ნებისყოფის, მტკიცე რწმენის, უშიშარი, მოქნილი, შეუპოვარი და, პირველ რიგში, ჯანმრთელი. ყველა ბრძოლა,

რაც ჩვენ გადავიხადეთ, უსწორო იყო, რიცხვობრივად მტერი მუდამ გვპარობოდა, მაგრამ არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, რომ ამ უსწორო ბრძოლებში ჩვენ დავმარცხებულყავით. მოწინააღმდეგე ათობით და ასობით დახოცილებს სტოვებდა ბრძოლის ველზე, ჩვენ კი ორი-სამი პარტიზანის დაკარგვასაც კი ვერ ვურიგდებოდით. ერთ გამოუთქმელი გასაკვირი თან სდევდა პარტიზანული რაზმების მარშრუტებს, დღე დამე მუდამ სიკვდილის მოლოდინში ვიყავით, სიმშლიწყურვილი და უძილობა ხომ ჩვენი განუყრელი თანამგზავნი იყვნენ, მაგრამ ამ ყოფასაც მალე შევეჩვიეთ: გამარჯვების მოლოდინში მყოფთ გაკირვება გვაეჩიფებოდა.

„არ დაზოგოთ ვაზნები ჩვენი სამშობლოს მჩაგვრელთა მოსასპობად“, — გვითხრა პარტიზანებს ამხანაგმა სტალინმა ორმოცდაორი წლის საპირველ-მაისო ბრძანებაში.

და ჩვენც არ დაგვიზოგავს ვაზნები, მტრის მოსასპობად, ვცდილობდით პირნათლად გამოვსულიყავით სამშობლოსა და ბელადის წინაშე.

აი ამ ბრძოლებზე მინდა მოვუთხრო მკითხველს...

## I

ორმოცდაერთი წლის ზაფხულის დასაწყისი, უკრაინა, პოლტავშინის მდამოები...

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, ეს ადგილები, არ შეიძლება სამუდამოდ არ ახსოვდეს მათი ეშხი და სილამაზე. ეს ბატარა, კოხტა ქალაქი, მირგოროდი, რომელიც ჩაფლულია აღუბლებისა და ქლიავის ბაღების ზღვაში ხშირად საქართველოს მომავონებდა ხოლმე; როცა შეგხედავდი ეზოებში მოლივლივე დაბალ მწვანე ბალახს, თითქოს სახლის წინ, ნაყოფით დახუნძული ხეხილების ჩრდილებში ზურმუხტისფე-

რი ხალიჩა გაუშლიათო — მაგონდებოდა ქვემო იმერული ეზო თავისი ხასხასა კონინდართ. თურმე ასე — ჩქარე — მჩივება სცოდნია ყველაფერს — ხშირად მაეიწყებოდა, რომ შორს ვიყავ საქართველოდან, იმ კუთხიდან, სადაც დავიბადე.

უფრო მეტ დროს, როგორც სამხედრო ხალხს შეგვერის, ჩვენ მინდვრად ვიყავით და ვმეცადინებოდით. საარტილერიო პოლკი, რომელშიაც მე უმცროს სერჟანტად ვმსახურობდი (ქვემეხი მებარა) თავის ჩვეულებრივ საველე წესდებებით დაკანონებულ და განმკიცებულ ცხოვრებას ეწეოდა: აწრობოდა თავის ჯარისკაცებს, ემზადებოდა იმ მშვიდობის დასაცავად, რომელიც ესოდენ ლაღად და ხალვათად იყო დამკვიდრებული საბჭოთა ქვეყანაში, ჩვენს ირგვლივ, და ამ მიდამოებშიც.

ოცდაერთ ივნისს მინდორში შემოგვალამდა. სიწყნარე იყო ირგვლივ, კიდითკიდემდე. საიდანღაც მარტო თრეების სტვენა ისმოდა და სულ ახლოს კალიები და კრიჭინები გაბმით ზუზუნებდნენ. ღამის სუფთა ჰაერში საძილედ თავმიდებულ მხედრის ყურს მთელი ეს მინდვრის ხმაური ნანასავით ესმოდა. მეორე დილით სამხედრო საყვირის განგაშის ზარიანმა ხმამ ყველაფერი დაჰგარა. გუშინ რომ ჰაერში მარტო ფრინველის ევილა-ხივილი ისმოდა და ბალახებიდან წამოფრენილი ფრთაფარფატა დასრიალებდა, ახლა ჯავშანში ჩაქედილი მტერი გამოჩნდა, ლეშის საძებრად წამოსული სავათა გუნდები — ასე უჩვეულოდ, რომ ღმულოდნენ უკრაინის ცაში.

იმ წინალამეს, ჯერ ისევ მშვიდობის ღამეს, დასასვენებლად რომ მივწყეით — როცა თვალი გავახილეთ უკვე ომში ვიყავით. უკვე ვიცოდით, რომ საზღვარზე, შავი ზღვიდან ბალტიის პირეთამდე ბრძოლა იყო, და სადღაც, გროდნოსთან და კრისტონოპოლსკთან მტერი წინ გამოიჭრა.



პოლკი ისწრაფოდა ბრძოლისათვის. ყოველ დღე ველოდით ბრძანებას და ისე მზად ვიყავით, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილნი, შეიარაღებულნი, სურსათითა და საბრძოლო საჭურველით მომარაგებულნი, რომ შეგვეძლო ყოველს წუთს, სადაც არ უნდა მოესწრო ბრძანებას — ადგილიდანვე დაფრთხილებით პირდაპირ ბრძოლის ველისაკენ. ბრძანება კი ჯერ არსად სჩანდა.

ამასობაში კარგახანმა გაიარა.

და აი ერთ დღეს დივიზიამ ბრძანება მიიღო ბრძოლაში ჩაბმულიყო.

სმოლენსკისაკენ გავგვავავენეს, გაიჭიმნენ ჩვენი ნაწილები დიდ შარავნაზე.

დაბურულ ტყეზე მივდიოდით. თეთრ ზოლად მიიკლანებოდა სმოლენსკის უღრან ტყეებში ლამაზი და კობტა გზატკეცილი. შემდეგში ომის საშინელმა გრივალმა დაანგრია ეს მშვენიერი მიდამოები. დინჯი ნაბოჯით მიაგორებდნენ 76-მილიმეტრიან ქვემეხებს სამ წყვილად შებმული ცხენები.

პირველ ხანებში ისევე გულუბრყვილო ვიყავ, წარმოდგენა არ მქონდა იმ გასაჭირზე, რომელიც წინ გველოდა.

ომის პირველმა ვაკვეთილებმა დამარწმუნეს, თუ როგორი სუსხიანი ვხით მომიხდებოდა შემდგომი სიარული.

გზაში პატარა დაბრკოლება შემხვდა. ჩემი ქვემეხის საყუმბარო ეტლს ზელნა გაუტყდა. საჭირო გახდა საყუმბარო ეტლის არტილერიის მწყობრიდან გამოთიშვა. სამმა არტილერისტმა სახელდახელოდ ზელნა გამოვთალეთ და საყუმბაროს დავაგეთ. ამასობაში პოლკი დაწინაურდა და თვალისაგან მიგვეშალა. აღარა სჩანდა-რა სმოლენ-შიჩინის შეფოთილი უღრანების გარდა; ტყის ამ მყუდროებაში უცერად შესაზარი ღმუილი მოისმა, ყველამ უნებურად მაღლა აიხედა და ის იყო თვითმფრინავების ფრთებმა და ფუზელაჟებზე შუის სხივებმა ცეცხლები გაკეცეს. სულ მალე ნათლად გა-

მოჩნდა შავი ჯერები თვითმფრინავების ფრთების ყვითელ ზოლსავე, სჩანდა საიდანაც დაგვლანდეს გერმანელებმა, ჯოჯოხეთურ ცეცხლში გაგვახვიეს. მოახლოვებულმა თვითმფრინავებმა ქორის კამერებით დაიწყეს ჩვენს თავზე სრიალი. მას არტილერიის ცეცხლიც მოჰყვა, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები. პირველ წუთში შეეშფოთლით და დაეიბენით. ეს ხომ პირველი საბრძოლო ნათლობა იყო. მანამდე ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი მანევრები გვენახა, მაგრამ ჩქარა ავიღეთ ბრძოლის ალლო. როდესაც ცეცხლზე მტერს ცეცხლით უპასუხებ, სიმხნევე გემატება, საქმით ერთობი.

ომის ღრიანცელს მალე ეჩვევა ადამიანი, შემდეგში პოლკის მუსიკასავით უსმენ ბრძოლების ჭეჭა-ჭუხილს. ცხენიც, მეტრძოლის განუყრელი მეგობარიც, საოცრად განიცდის ომის ხმაურს, მის ზარდამცემ მტეხიარობას.

პირველ ხანებში ეს გონიერი ცხოველი შფოთავს, არემარეს აწყდება, აქეთ-იქით თვალებს აცეცებს, შემდეგში კი ისიც წყნარდება და მშვიდად სდგას.

არტილერიის ცხენს ისე უჭირავს თავი, როგორც გამოცდილ მეომარს. უტყუარად სცნობს ცხენი მოწინააღმდეგეს და მომარჯვებული ნახტომებით უსწლტება მის მიერ მოქმედულ ხმალს, ხშირად ყალყზე დგება და ტორებით თავს ესხმის მოწინააღმდეგეს.

მალე ნაწილიდან გამოგზავნილმა მხედარმა ცხენი მოაგდო ჩვენთან და პოლკის ადგილ სამყოფელი გვაცნობა. ჩვენ ჭენებით ნაწილს დავეწიეთ და აღგილზე მისვლისთანავე საყუმბარო არტილერიის მწყობრში ჩავაყენე ჩემი ქვემეხები.

მტერმა უფრო ძლიერი ცეცხლი გაჩაღა. მაშინ უპირატესობა, ამ შემთხვევაში, გერმანელების მხარეზე იყო: ისინი ჩასაფრებულნი და შენიღ-

ბულნი იყენენ, ჩვენ კი შარავნაზე განლაგებულნი, მარშით მიმავალნი. ისე გვხედავდნენ, როგორც ხელის-გულზე. იძულებული ვავხდით ტყეში გაფფანტულიყავით.

ომის დაწყებისთანავე მტერმა ჩვენს საზღვრებს ურიცხვი ჯარი მოაყარა. ჯავშანში გახვეული მოწინააღმდეგე კბილებამდე შეიარაღებული იყო.

მოუხედავად იმ უპირატესობისა, რომელიც მტერმა თავდასხმის მოულოდნელობით მოიპოვა, საბჭოთა არმია მას გამანადგურებელ ბრძოლებს უმართავდა. ამ ბრძოლებში უდიდეს როლს თამაშობდა ჩვენი არტილერია, რომელიც აცამტვერებდა მტრის ურდოებს.

საბჭოთა არტილერიამ ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა სამამულო ომის დროს.

გაათრებულ ბრძოლების შემდეგ იძულებული ვავხდით ქ. ჩერნიგოვის მიმართულებით უკან დაგვეხია. ამ ბრძოლებში შემიზნე მომიკლეს. ამის გამო იძულებული ვიყავ ჩემს თანამდებობასთან ერთად შემიზნეობაც შემეთავსებინა.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჩვენთვის აუცილებელი გახდა ტყის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადასულიყავით. ამისათვის გზაზე გადარბენა იყო საჭირო, მაგრამ მტერი ახლოს იყო ჩასაფრებული და არავის შარავნაზე გადარბენის შესაძლებლობას არ აძლევდა.

კაცი კი არა, შეუმჩნეველად ჰიანჭველა ვერ გადაცოცდებოდა. მით უმეტეს ძნელი იყო ჩემთვის ფარულად ვადასვლა, არც ისე ტანმორჩილი ვახლავართ.

ძნელი გახდა ტყიდან თავის გამოყოფა, დრო კი არ ითმენდა, საჭირო ხდებოდა რისკზე წასვლა.

უცებ შევამჩნიე, რომ გადასარბენზე ცხენები უნებლად გადადიოდნენ. მტერი ცხენებს არ ესროდა. ამ შემთხ-

ვევით ვისარგებლე, ოთხად მოვიხარე: წელში და გზის უშუალო მხრიდან ცხენს ავეტუზე. მასთან ერთად გზას მეორე მხარეზე უნებლად მოვექეცი.

როგორც კი უშიშარ ადგილზე ვიგრძენი თავი, ისევე გავიშართე წელში და ბრძოლაში ჩავები.

სწორედ იმ ხანებში უფროსებმა წითელი დროშის ორდენზე წარმადგინეს, ამ ჯილდოს მიღება არ დამცალდა. მალე ჩვენი ქვეგანაყოფი მტრის რკალში მოექცა, ალყაშემორტყმულთა შორის მეც ვიყავი. მტრის რკალში მოქცეულებმა ქვემეხები და სხვა სამხედრო საჭურველი გავანადგურეთ. ალყაშემორტყმულთა ერთმა წყებამ გაქცევა მოასწრო და ტყეს თავი შეაფარა. რვა მეომართან ერთად გაქცევით მეც თავს ვუშველე. დანარჩენები საკონცენტრაციო ბანაკში წაიყვანეს ფაშისტებმა.

ტყვეობას თავდალწეულმა მეოპრებმა ორი თვე ტყე-ტყე ვიხეტიალეთ. ვინ მოსთვლის იმ გაჭირვებას და შევიწროვებას, რომელიც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში განვიცადეთ.

ზაფხულის თბილი ამინდები ხელს გვიწყობდა, ტყის ხილით ვიკვებებოდით. ხანდახან მწყემსებს წავაწყდებოდით, და ისინიც რძით და ნალებით გულუხვად გვიმასპინძლდებოდნენ.

მახსოვს ასეთი შემთხვევა: ტყის პირას ვისხედით მე და ჩემი ამხანაგები, სიმშოლისაგან ქანცაწყვეტილები ვიყავით. ამ დროს ტყიდან მწყემსი გამოვიდა, ახლოს ჩავვიარა და მოგვესალმა, მერე შეგვეკითხა: — ხომ არა გშიათო?

— გვშია და მერე როგორ, — ვუბასუსხეთ.

— აქ დამიცადეთ, არსად არ წახვიდეთ, — გვითხრა მწყემსმა და სირბილით უკან გაბრუნდა. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ მწყემსი რძით სავსე კათხით და ხელში ნატეხი პურით უკან დაბრუნდა. სული მოვიბრუნეთ, კე-



თილ მწყემსს დიდი მადლობა გადაეუხადეთ და წელში გამართულები გზას გავუღეკით. ახლადდაპყრობილ მიწა-წყალზე მგლებივით ვარბოდ-გამორბოდნენ მანქანებით გერმანელები. წამდაუწყუმ მანქანების მოძრაობა და გუგუნო გვესმოდა ტყეში.

ამ უღრანებში ხეტიალმა თავი მოგვაბეზრა, გადავწყვიტეთ ფრონტამდე მიგვეღწია. შემთხვევას-ლა ვეძებდით. აღვილობრივი მცხოვრებლები ჩვენს განზრახვას განუხორციელებლად სთვლიდნენ.

ჯერ ისევ სამხედრო ტანსაცმელი გვეცვა. სიფრთხილისათვის ამ ტანსაცმელის სამოქალაქოთი შეეცვლა იყო საჭირო. გაძნელდა ჩემი სარგო ტანსაცმელის შოვნა. ბოლოს, როგორც იყო, ერთი ახოვანი უკრაინელი დავითანხმე ტანისამოსის გაცვლაზე:

— კარგი, მაგრამ — ღიმილით მითხრა მან, — ვაი თუ ჩემთვის საბედისწერო გახდეს თქვენი სამხედრო ტანსაცმელის ტარება, ვაი თუ გერმანელებმა ფრონტულად მიმიღონ და საკონცენტრაციო ბანაკში გამგზავნონ?!  
 ერთ ღამეს ძმადშეფიცულები უკრაინის პატარა სოფელში შეგვდიოთ. არ ვიცოდით, რომ ეს სოფელი ფაშისტებით სავსე იყო. სითამამე და გაბედულება მოვიკრიფეთ და პატარა ქოხის კარებს ფრთხილად მივუჯაკუნეთ.

მოხუცი დიასახლისი მოგვეგება, ჩვენს დანახვაზე დაფრთხა და კარების მოხურვა დააპირა. მუდარის შემდეგ მიგვიღო, რაც შეეძლო გავვიმასპინძლდა, შემდეგ ქვეშაგები გავვიშალა და მოგვანვენა.

დაღლილ - დაჭანცულებს დედაბრის მყუდრო ბინა გვეამა და მკვდრებით ჩაგვეძინა. დიასახლისი შიშობდა ნერვიულობდა. ჩაგვემწარდა ტკბილი ძილი, დაახლოვებით ნაშუალამევის ოთხი საათი იქნებოდა, კარებს ვიღაც მოადგა და მაგრად დააკაუნა. დედა-

ბერმა გაგვაღვიძა და ერთდროულად კარებიც გააღო.

— საჩქაროთ ზეზე ადექით, ხელები ზევით! — ბრძანა დამსჯელი რაზმის უფროსმა. ქოხი გერმანელებით ალყა-შემორტყმული აღმოჩნდა.

ყველანი ზეზე წამოგვეყარეს და ქალაქ კონოტოპის საკონცენტრაციო ბანაკში წაგვიყვანეს.

გზაში გერმანელებმა მგლური თვალთ დამიწყეს ცქერა. იფიქრეს, ეს ახოვანი კაცი ალბათ მეთაური იქნებაო. მეთაურებს კი დამსჯელი რაზმელები უნდობლად სტანჯავდნენ. გერმანელებმა ჩემი მეთაურობის დასადასტურებლად საბაბი ვერ იშოვეს და თავი დამანებეს.

ჩემმა რვა თანამგზავრმა ყველამ კარგად იცოდა, რომ მე პარტიის წევრი ვიყავი. ამაზე კრინტი არავის დაუძრავს, ჩვენს შორის არც ერთი მოღალატე არ აღმოჩნდა.

II.

აი საკონცენტრაციო ბანაკიც. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, სადაც არა უფრო სიცოცხლე, უბრალოდ სუნთქვაც კი უჭირდა ადამიანს. ყოველ საათს, ყოველ წუთს ამ დუბჭირ სამყოფელში აღსასრულისათვის უნდა გელოდნა კაცს.

ეს ბანაკი ერთი უბრალო მინდორი იყო, რომლის შუაგულში აეშენებინათ ფარატინა ხის შენობები. ბანაკი სავსის იყო შემოღობილი მავთულით. ამ კატორღელთა სამყოფელში კანუკითხავად ვეყარეთ მიწაზე სიმშვილისაგან არაქათგამოლეული ტყვეები.

სიბინძურეში და ჭუჭყეში თავს ახალი უბედურება დაგვატყდა. პარტახტიანმა და მუტელის ტიფმა იჩინა თავი ბანაკში, ჭიანჭველებივით იხოცებოდნენ ადამიანები.

ამ ჯურღმულში მისვლის პირველი დღიდანვე გადავწყვიტე: რადაც არ უნ-

და დამჯდომოდა, თუგინდ სიცოცხლის ფასად, ტყვეობიდან თავი დამელწია. დღე-ღამე გაქცევაზე ვოცნებობდი

ეჭქარობდი დამელწია თავი ამ პირუტყვეული ცხოვრებისათვის, საბჭოთა არმიის რიგებში მინდოდა დაებრუნებულყოფი. ახლა უკვე ბანაკიდან საიმედო ბიჭების წაყვანაზე ვოცნებობდი. ჭკვე იყო ჩემი თანამებრძოლი და კარგი მეგობარი ოფიცერი სერგეი ანისიმოვი. ეს იყო მაღალი, წარმოსადეგი, ქერა ვაჟაკი, მკახე ხმა ჰქონდა და ძალზე სწრაფი იყო. ის პირველ შეხედვისთანავე ნდობას აღძრავდა ადამიანში. მეც ჩემი ოცნება პირველად მას გავუზიარე.

— სერგო, — ვუთხარი მას ერთ საღამოს, — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, აქედან უნდა მოვქუსლოთ, თავი უნდა დავაღწიოთ ამ ჯოჯოხეთს, თანაც სანდო და რჩეული ბიჭები გავიყვანოთ აქედან. გავიქცეთ, ჩვენს ფრონტელ ძმებთან მივიდეთ. ვანა ამ ტანჯვაში უნდა დავლიოთ სული? აქაურ განაწამებ სიცოცხლეს ფრონტზე სახელოვანი სიკვდილი გვერჩიოს.

— ჩინებული და კარგი აზრია, — მითხრა მან, — გაქცევაზე ფიქრი მეც მოსვენებას არ მძლევს. მე მზად ვარ, შენთან ერთად, პირველ მოხერხებულ შემთხვევისთანავე გავიქცეთ აქედან.

— მაშ, მე და შენ დღეიდან ძმად შეფიცულები ვართ. — ვუთხრე ანისიმოვს.

— ძმად მიგულე, კუბოს ფიცრამდე შენთან დავრჩები, — დაძინა მან.

ამ დღიდან ჩვენ ერთად დავიწყეთ მზადება გასაქცევად. უათვალეიერბდით, ვსწავლობდით ბანაკშიმოყოფ ბიჭებს, ვარჩევდით ვინ გამოდგებოდა განსაუდელის დროს.

სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, ბრძენ ქართველს უთქვამს; წინდაუხედაობას და მოუფიქრებელ ნაბიჯს შენაძლო იყო ჩვენთვის ხელში ბარი მოეცა და ჩვენივე ხელით ჩვენი სამარე

გაეთხრევიინებინა. ეს ხომ ბანაკში არავის გაუქვირდებოდა.

ბანაკში კი შემოვიღწი, თამბაქოს უქონლობაც დაერთო. დიდი ამბავი იყო ერთი გახვევა წეკო გვეშოვნა სადმე. თამბაქოს თუ ვიშოვიდით, შემდეგ ქალაღი უნდა გვექებნა.

ერთხელ ერთი ბეწვა წეკო ვიშოვე და ქალაღისათვის ტყვე ექიმ შევჩენკოს მივმართე, შევჩენკომ თავზიანად გადმომცა ვიწროდ დაკეცილი გაზეთი და მითხრა: — აჰა, ეს შენ, ამხანაგო ქართველო, ვიცი გამოგადგება, შემდეგში პაპიროსის ქალაღლადაც იხმარე.

ექიმს დაკეცილი ქალაღი გამოვართვი, მაღლობა გადავუხადე, განვმართოვდი და გაზეთი გავშალე. „პრავდის“ ნომერი აღმოჩნდა. სიხარულით თითქოს ფრთები შემესხა. ხალისით გადავიკითხე რამდენჯერმე გაზეთი და წაუაკითხე იმთავაც, ვისაც განსაკუთრებით ვენდობოდი. ექვსი თვე არ მენახა საბჭოთა გაზეთი, აბა საკონცენტრაციო ბანაკის პირობებში „პრავდის“ ნომრის ხილვას როგორ წარმოვიდგენდი?!..

რამდენიმე დღის შემდეგ ბანაკში ჩემზე აღრე მოყვანილმა ტყვემ — გვარად ჭაბუკიანმა, გაჰანდო, რომ ქალაქის არაღეგალურ კომკავშირულ ორგანიზაციასთან კავშირი გავაბიო. კონოტოპელი კომკავშირელები ხანდახან ახერხებდნენ პროკლამაციების შემოგზავნას ბანაკში. ამ ფურცლებს ხელნაწერებად ვამრავლებდით და მიწაზე ვყრიდით, თანაც დიდი თადარიგის გამოჩენა იყო საჭირო: ჯამუშუმებს არ ეძინათ, ბევრ სამშობლოსმოყვარულ ტყვეს დაუბნელეს დღე არამზადა გამცემლებმა.

ბანაკში ჩვენთან იყო ტყვე კარტოშკინი. იგი მუდამ განმარტოებულად დადიოდა. ის ომამდე თურმე ამავე ქალაქში დაბანაკებული სამხედრო ნაწილის პოლიტბელი ყოფილა. პოლიციელებმა იცნეს კარტოშკინი. სრულიად



გასაგებია, ამის შემდეგ ტყვე კარტოშკინს ბანაკში არ ედგომებოდა, მართლაც სულ მოკლე დროში მან შესძლო გაქცევა.

კარტოშკინის გაქცევას რეპრესიების გაძლიერება მოჰყვა. ამ გარემოებაში საგონებელში ჩაგვყარა ყველა, ვინც გაპარვის მოსურვენი ვიყავით.

განვლო ხანმა, მივიწყებას მიეცა კარტოშკინის გაქცევა. ფრიალ საიდუმლოდ, მაგრამ ბანაკში ისევ მიმდინარეობდა ვაცხოველებული სამზადისი გაქცევისათვის.

1942 წლის 15 იანვარი ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება.

დღის 5 საათი იქნებოდა, ბანაკში ხმაური შეიქმნა, ყველა ცდილობდა, რომ კარებში პირველი გასულიყო. როგორც გამოირკვა, ბანაკში მყოფი ტყვეები ქალაქში გაჰყავდათ სამუშაოდ.

ქალაქში გასვლა იმით იყო ხელსაყრელი, რომ საშუალება მეძლეოდა ახლომახლო მიდამოები გამეცნო. პირადად ეს ჩემთვის მეტად საჭირო იყო. ჩემს წინ რიგში მდგარ ტყვეებს გერმანელებმა თოფის კონდახით ცემა დაუწყეს. „რუს ჰალუს“ ყვიროდნენ ფრიცები. დასისხლიანებული ტყვეები ცდილობდნენ კარებში მალე გასულიყვნენ, ეგებ კონდახის დაკერა ავიცილოთო. მაგრამ ამაოდ.

ჯერმა ჩემამდე მოაღწია, კონდახს სახე ავარიდე, „რუს“ დაიღრიალა გერმანელმა და კონდახი ისე მაგრად ჩამცხო სახეში, რომ მიწაზე უგრძობლად დავეცი. ანისიმოვმა და ჭაბუკიანმა ხელი დამტაცეს და მწყობრიდან გამომიყვანეს. როდესაც გონს მოვედი, სახე და კბილები საშინლად მტკიოდა.

მინდოდა სამაგიერო ვადაძეხანდა მისთვის ვინც ამ დღეში ჩამავლო. მაგრამ ამხანაგების რჩევით ამ განზრახვაზე ხელი ავიღე. ჩემს შურისძიებას შეიძლებოდა პატიმრების

ხარჯზე დიდი მსხვერპლი მოჰყოლოდა.

ჩემს შეურაცხყოფელს მაშინ ვერ გადაუხადე სამაგიერო, მაგრამ მის თანამებრძოლებს კი შემდეგში შავი დღე დაეყვინე.

კონოტოპის არალეგალურმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ისახელა თავი ბანაკიდან ტყვეების გაპარვის საქმის მოწყობაში. ამავე ორგანიზაციის წყალობით ყოველთვის საქმის კურსში ვიყავით, ვიცოდით რა ხდებოდა ქალაქში, სად და რომელ ქუჩაზე იდგნენ პატრულები.

ბანაკიდან გაქცევის ერთერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, როგორც ზემოთაც ვთქვი, მე ვიყავი, მაგრამ უბედობა მეწვია: ერთ დღეს ცუდად გავხდი, თავი საშინლად ამტკიოდა, სახსრებში მოდუნება ვიგრძენი და სიცხეც მომცა. ცუდად არის ჩემი საქმე, ვფიქრობ, ასე უეცრად ავადგახდომა კარგ რამეს არ მიქადის.

ექიმს მივმართე: — ტიფიაო, — სთქვა და განკარგულება გასცა მაშინვე ლაზარეთში გავეზავნეთ. გაქცევის სამზადისში მონაწილე ამხანაგებს ეთხოვე ჩემს გამოჯანსაღებამდე გადაედოთ დაწყებული საქმე. პატივი მცეს და თხოვნა შემისრულეს.

სიცხის აღმურში გახვეული, თავჩამხობილი ვიწექ ლაზარეთში და თან ბრაზი მომდიოდა საკუთარ თავზე, ჩემს კანში ვერ ვეტყეოდი: რა დროს ავადმყოფობაა რა დროს ტიფია, ხომ ჩამეფუშება გაქცევის სამზადისი-მეთქი — ვფიქრობდი.

ლაზარეთი, საკონცენტრაციო ბანაკიდან დიდად არ განსხვავდებოდა: იგივე განუკითხაობა, იგივე გულშემზარავი სურათები. უწყლოდ ვეყარეთ ავადმყოფები, ვინც ალალებელზე სიკვდილს გადაურჩებოდა, ეს იყო და ეს.

სიცხემ მიმატა, 40 გრადუსს ასცილდა. დაწოლის მერვე დღეს გრძნობა დაეკარგე, ბოღვა დაეიწყე. ერთ საღა-

მოს, როგორც ეს შემდეგ გავიგე, თურმე გარკვეულად გავიძახი:

— ამხანაგებო, ომი დამთავრდა მტერი დავამარცხეთ, დიდება ჩვენს წითელარმიას! — ამ სიტყვებს ისე გავკვივი თურმე, რომ ლაზარეთის მთელი მოსამსახურე პერსონალის ყურადღება მიმიქცევია. ჩემს ახლო ქართველი ტყვე მეომარი სანიკიძე იწვა. იგი ტიფისაგან ახლად მორჩენილი იყო. ჩემს ბოღვაზე საწყალს შიშით კინაღამ სული ფრჩხილებში გაჰპარავია. — რას ბოღავს ეს ავადმყოფიო? — უკითხავთ მისთვის. მეომარი არ დაბნეულა და გაბედულად უპასუხნია — ცოლშვილზე ოცნებობს, შველას ითხოვს.

დაუჯერებიათ. სიცილი დაიწყეს თურმე ჩემს ამგვარ ყოფაზე.

მაგარმა ორგანიზმმა გაუძლო საშინელს სენს. სიკვდილს გადაეურჩი. მეოთხე თვეზე ფეხზე დავდექი. გამოვეწერე ლაზარეთიდან თუ არა, ისევ გაქცევაზე დავიწყეთ ფიქრი.

იმავე დროს ძალიან ვფრთხილობდით: სახიფათოდ ვცანით საიდუმლოება ყველასათვის ვაგვენდო. ყველას არ უნდა სცოდნოდა, რომელ დღეს რა დროს და როგორ უნდა გავპარულიყავით. ეს საიდუმლოება ზუთი კაცისაგან მარტო ერთმა იცოდა. გასაპარავად კვირადღე შევარჩიეთ, კვირაობით გერმანელები ჭეიფით ერთობოდნენ. ამ დღეს შედარებით სუსტი იყო პოლიციელების მეთვალყურეობა.

ბანაკიდან გასაყვანად ოცდათორმეტი კაცი შევარჩიეთ, აქედან ორი ქალი იყო; აქაც გაქცევის მოწყობაში დიდი როლი ითამაშა ქალაქის არალეგალურმა კომკავშირის ორგანიზაციამ: იარაღი და სურსათი გავემზადა და გაქცევის დღეს დანიშნულ ადგილზე, ქალაქგარეთ ჩვენი გაყვანა იკისრა. საგულისხმოა ისიც, რომ ქალაქიდან ორი გულადი კომკავშირელი გაქცეულებს საბოლოოდ თან გაგვევა.

ბანაკიდან გაქცევის მოსურნე ბევრი იყო მაგრამ ერთდროულად უცვლელს გაყვანა არ ხერხდებოდა. ამიტომ ჭაბუკიანს მიენდო ტყვეთა მეორე წყების გაქცევა მოეწყო. ჭაბუკიანი უმაღლესი განათლებით იყო, სპეციალობით მათემატიკოსი.

კვირა საღამოა. ნერვიულობენ გასაქცევად გამზადებული ბიჭები. ახირებული აზრი ამეკვიატა, რატომღაც მეგონა, თითქოს ბანაკში-მყოფმა ყველა პატიმარმა იცოდა, რომ გასაქცევად ვემზადებოდით. სინამდვილეში კი ოცდათორმეტი პატიმრიდან მარტო ექვსი კაცი, ნუთუელების ხელმძღვანელები იყვნენ საქმის კურსში. გაქცევის წუთები მოახლოვდა.

— ფუსფუსი და ჩურჩული ნუ იქნება, ყურადღებას ნუ მიიპყრობთ, ისე აცნობეთ ტყვეებს რომ მზად იყვნენ — გავეცი თ მე და ანისიმოვმა განკარგულება.

დაღამდა. კუბრისფრად ჩამოწვა სიბნელე, ტყვეთა ბანაკის ეზოში შავი ლანდები თითო-თითოთ გარბიან, მაგრამ ეზოს კარისკენ კი არა, მოპირდაპირე მხარეს. გერმანელებს აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ამ მეორე მხრიდან გაქცევა შესაძლებელი იყო.

აჰა, უკვე ეკლესიისაკენ გაუფხვიეთ, მერე ბალებიც დაიწყო და ჩვენ უკვე ქალაქგარეთ ვიყავით. ყველამ შესწლო სამშვიდობოზე უენებლად გამოსულიყო.

თუმცაღა ძალზე ცოტა, მაგრამ მაინც გვექონდა იარაღი: ორი კარაბინი, ორი ბერდანი და რამდენიმე ცალი ყუმბარა. იარაღი კომკავშირელებმა გვიშოვნეს. მთელ ღამეს სულმოუბრუნებლად ვირბინეთ, წინ კონოტოპელი კომკავშირელები მიგვიძლოდნენ, ისინი ზომ ყოველ მტკაველ მიწას იცნობდნენ ამ მიდამოებში.

გათენდა, ერთმანეთს შეეხედეთ, პირველად დაეინახეთ ღიმილი ერთმეორის სახეებზე. რა კარგია თავისუფ-



ლება, მისი ფასი განსაკუთრებით იმ დილით ვიგრძენი! წყევლა-კრულვას ვუგზავნიტ ტყვეთა ბანაკს და მის შემქმნელებს.

დღის სინათლეზე, დაბურულ ტყეში, ოცდათორმეტი ყოფილიტყვე პირველ კრებას ვაწყობთ.

ამ კრებაზე პირველად ითქვა, ვინ საიდან იყო მოსული, რა ეროვნებისაა, ომამდე რას აკეთებდა, პარტიულია, კომკავშირელი თუ უპარტიო.

ჩვენს კრებულში პარტიის ათი წევრი შედიოდა, ცამეტი კომკავშირელი დანარჩენი ცხრა კაცი უპარტიონი იყვნენ.

სუმის ოლქს კარგად იცნობდნენ კონოტოპელი კომკავშირელები, იცოდნენ ყველა მისი გზა და გასასვლელი. ტყვეებს წარმოდგენა არ ჰქონდა ამ ოლქის ადგილმდებარეობაზე, ჩვენთვის უცნობი იყო მდინარე სეიმის ფონი.

სპალშჩანის ტყის ნაწილი ბრიანსკის ტყეებიდან მდინარე სეიმით გამოიყოფა.

მტერმა კარგად იცოდა, რომ სპალშჩანის ტყეში ნაწილებს ჩამოცილებული წითელარმიელები ბლომად იმალებოდნენ. ამ უკანასკნელებს სპალშჩანის ტყიდან ბრიანსკის ტყეში გადასვლით ფრონტთან დაახლოვება შეეძლოთ, ამიტომ იყო, რომ გერმანელები თავგამოდებით იცავდნენ მდინარე სეიმის სანაპიროებს. ადგილმდებარეობაში ვარკვევის თვალსაზრისით ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განუზომელ სამსახურს გვიწევდა ორი კონოტოპელი კომკავშირელი.

განსაკუთრებული სიფრთხილით მივფროთხდით სეიმის ნაპირზე და შურულულივით გადავეშვით მდინარის ტალღებში.

ნახევარი საათის ცურვის შემდეგ დიდის გაჭირვებით მოვექცეთ მდინარის მეორე ნაპირზე. აქ გამომადლა

მშობლიურ მდინარეში, ძირულაში, ბავშვობისას ნასწავლი ცუნტგაიშენს გამოქცევისას კიდეც ერთი საინტერესო ამბავი მოხდა:

როდესაც ბანაკიდან გამოპარულები ქალაქის მიდამოებს გავცილდით და ტყეს დაეუახლოვდით, შევამჩნიეთ, რომ ვიღაც მოგვედევდა. შევშოთოდით, ვინ იცის-ვინ არის? ჩვენ კი ისე გვეგონა, რომ ბანაკიდან შეუმჩნეველად გამოვიპარენით, აგერ ვიღაც მოგვდევს, შეეჩერდებით, ისიც შეეჩერდება. დავიძვრებით და მოგვდევს, ისიც ლანდივით აგვედევნება. ჩვენი მღვევარი იასონ ჟორჯოლიანი აღმოჩნდა. იასონიც ბანაკის პატიმარი იყო. როგორც ეს შემდეგში გამოიჩქვა, ჟორჯოლიანი ძალზე სანდო ადამიანი ყოფილა, მაგრამ პატიმართა შორის როგორც ყველაზე ახალგაზრდას და გამოუცდელს, საიდუმლოება არ გავანდეთ. ის კი თურმე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ჩვენს გასაქცევ სამზადისს. ჩვენ არაფერი ვუთხარით და თვითონ თქმას დაერიდა თურმე ნუ იტყვიტ, იასონი მაინც საქმის კურსში იყო, ჩვენი გადადგმული ყველა ნაბიჯი მას მძიეებდალ აუსხამს. გამოვედით თუ არა ბანაკიდან, იასონი თურმე უკან დაგვედევნა. ჩვენთან მოსვლისთანავე საყვედურით მომმართა: „რატომ წამოსვლა არ გამიმხილე, რა ვუყოტ, პატარა რომ ვარ, განა საიდუმლოებას სხვაზე ნაკლებად შევიწახავდიო?“

წინათ იასონს ვერ ვიცნობდი, ის ტყვეთა ბანაკში პირველად ვნახე და გავიცანი. შემდეგში მან კოვპაკის პარტიზანულ რაზმში შეუღარებელი მზეერავის სახელი მოიხვეჭა.

სარწმუნოდ გავიგეთ, რომ ბანაკიდან ჩვენი გამოპარვა იქ დარჩენილი პატიმრებისათვის საწედისწერო გამხდარიყო. ბანაკის ჯერ წინათაც აუტანელი რეჟიმი, ჩვენს შემდეგ, უფრო უარეს ჯოჯოხეთად ქცეულიყო. საშინელი

ბედი სწევოდათ შემდეგ რიგში გამო-  
პარვის მსურველებს.

შეთქმულების მეთაური ჯაბუკიანი  
ორ სხვა ამხანაგთან ერთად საჯაროდ  
დაეხვრიტათ: თანაც თურმე ბანაკში  
რალაც სასხლიანი ძონძები მიიტა-  
ნეს. ტყვეებს აჩვენეს და უთხრეს: ეს  
ბაქრაძისა და ანისიმოვის ტანსაცმე-  
ლია, ისინი დაეპირეთ და დაეხოცე-  
თო. ამის შემდეგ საკონცენტრაციო ბა-  
ნაისათვის დამატებით სამი წყება ეკ-  
ლიანი მავთული შემოველათ და  
მცველების რიცხვი ოთხჯერ-ხუთჯერ  
გაედიდებინათ.

გზაში ჯერ ორი ქალი და მერე ორი  
მაჰაჯარი დაეკარგეთ.

სოფელ იაროსლავკაში შევგზავნეთ  
ორი მაჰაჯი ქალი სურსათისათვის და  
არცერთი მათგანი უკან აღარ დაბრუ-  
ნებულა. როგორც შემდეგში გავიგეთ,  
ფაშისტურ პოლიციას ეჭვი მიეტანა  
სოფელში მოსულ უცხო ქალებზე,  
ორივენი დაეტყველებინათ და ჩამო-  
ეხრჩოთ. ტრაგიკულად დასრულდა ორი  
ჩვენი თანამგზავრი მაჰაჯარის სიცოცხ-  
ლე: ტყიდან-გამოსულები და შარა-  
გზაზე მიმავალი ორი ადამიანი გერმა-  
ნელებს დაელანდათ, ზურგიდან ტყვია  
დაეხალათ და ორივენი მოეკლათ.

სად და ვისთან მიდიოდა ოცდარვა  
წვერმოშეებული კაცი? განზრახული  
გვქონდა მტრის გარემოცვიდან გამოვ-  
სულიყავით, ფრონტამდე მიგვეღწია  
და საბჭოთა არმიას შევერთებოდით.  
ჩვენს განზრახვას წინ ბევრი დაბრკო-  
ლება ელობებოდა: კომპასი ჩვენ არ  
გაგაჩნდა, კონოტობელი კომკავშირე-  
ლებისათვის სპადშჩანის ტყეების შემ-  
დეგ ადგილმდებარეობა უცნობი იყო,  
მხოლოდ ცის მნათობნი იყვნენ ჩვენი  
გზის მაჩვენებელნი. მაინც არა ვდრკე-  
ბოდით, ბოლოსდაბოლოს ბანაკში  
ძალღურ სიცოცხლეს ტყეში სიკვდი-  
ლი გვერჩია.

III. ერაქონული  
გინჯლიმითხვა  
ლამპურობელთა შიშიმე ულის ქვეშ  
გმინავდა იმხანად უკრაინა, ყველგან  
კრემლის გუბე იდგა.

შარაგზებზე მანქანებით დაქპროდ-  
ნენ დაუპატივებელი სტუმრები, ფა-  
შისტების მოძრაობას ჩვენ ტყიდან  
თვალყურს ვადევნებდით, იარალი ცო-  
ტა გვქონდა. მეტის შექენა იყო საჭი-  
რო. ერთი მუჭანი ვიყავით, მაგრამ გუ-  
ლი მაინც ნრძოლისაყენ, შურისძიები-  
საყენ მიიწველა.

გზას განვაგრძობდით, ყველა ჯანმრ-  
თელად იყო. დღედაღამე ტყეებში ყოფ-  
ნამ გაგვაფოლადა.

გზადაგზა სოფლებში შევიდიოდით  
და იქ ხშირად მთელი დღეები ვრჩე-  
ბოდით. სოფლელები რაც კი შეეძლოთ  
ზრუნავდნენ ჩვენზე. ყველამ იცო-  
და, რომ ეს შეიძლებოდა სიცოცხლის  
ფასად დასჯდომოდით, მაგრამ მაინც  
ყურადღებას არ გვაკლებდნენ. მალე  
გავიგეთ, რომ ბრიანსკის ტყეებში  
ძლიერი პარტიზანული რაზმია დაბანა-  
კებულიო, ქება-დიდებით იხსენიებდ-  
ნენ პარტიზანების მეთაურს სიდორ  
არტემის-ძე კოვაკს. კოვაკის უძლე-  
ველობაზე უკრაინის სოფლებში ლე-  
გენდები დადიოდა. ამბობდნენ, მას  
ურიცხვი ტანკები, ქვემეხები და თვით-  
მფრინავები ჰყავსო, ისიც გვიამბეს:  
კოვაკის სანელის ხსენებაზე გერმანე-  
ლებს ელეთ-მელეთი მოსდითო.

ტყეში ყოფნა აგვისტოს თვეში ძალ-  
ზე სასიამოვნოა. თავისუფლად მიმოვ-  
დიოდით, ლამითაც უშიშრად გვეძინა  
ბუნების წიაღში. სოკოთი და სხვა ნა-  
ყოფით უხვად გვიმასპინძლებოდა  
სპადშჩანის მრავალჯიშოანი ტყე.

საცალღეხო ბილიკით დროდადრო  
ტყიდან შარაგზაზე გამოვიდიოდით, გზე-  
ბი გერმანელების მანქანების ბორბლე-  
ბის ნაკვალევით იყო დასერილი. აჰა,  
უკრაინის ცნობილი ხუტორები. უმე-  
ტესობა მიწასთან გასწორებული იყო,



შეხვიდოდი ხუტორში და საზარელი სურათი დაგიდგებოდა თვალწინ, თითქოს გრიგალს გადუვლია და მიწის ზურგიდან აუხვევტია სახლებიო.

გაპარტახებული ეზოები უზარმაზარი ორმოებით იყო მოფენილი, ყველგან ფერფლი და ნაცარი ეყარა. გულშემოყრილი დაეხეტებოდნენ ტყე-ტყე უსახლკაროდ და ულუქმამაჟროდ დარჩენილი სოფლელები. ქალები და ბავშვები სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ ჩვენს დანახვაზე, გულით და სულით გვთავაზობდნენ თუ რაზე შერჩენოდათ და გააჩნდათ. აქა-იქ დაწვას გადარჩენილ სახლებში ლამის გათევა-საც ვახერხებდით.

ერთხელ ტყის მახლობლად, მინდორზე ფიჭვის ძეღებისაგან აშენებულ პატარა სახლი დავინახეთ. დავინტერესდით და სახლთან მივედით. ფანჯრიდან შევიჭვრიტეთ. დავრწმუნდი, რომ სახლში ამჟამად ვიღაც ცხოვრობდა. მობინადრეს დაველოდეთ. შემდეგ ტყიდან შუახნის ქერა, ლოყებ-ლაყდაკა კაცი გამოვიდა.

უცნობი მოგვიახლოვდა. ჩვენ სახლის გვერდით გოძელ მორზე ვისხედით ჩვენს დანახვაზე უცნობი შედგა. სალამი დავასწარიო; ჩვენს მისალმებაზე მან ოდნავ გასაგონი ხმით და თავის დაქნევით გვიპასუხა. უცხოს ჩვენთან დაჯდომა ვთხოვე. ჩაიციანა.

— მეტყვევ იქნებით — შევეკითხე მას.

— დიახ, მეტყვევ ვახლავარ, ოცი წელია ამ ტყეში ვცხოვრობ; — მიპასუხა უცნობმა.

— მერე აქ როგორა სძლებთ, ასე განმარტოვებით?

— მუდმივად ტყეში ცხოვრება როდი მინდება, აგერ ახლო სოფელში ცოლშვილი მყავს და ხშირად იქა ვარ.

— აქ კი უშიშრად იქნებით. არავინ გაწუხებთ?

— ასე ვთქვათ... — გაურკვეველად წაიღუღუნა მან.

— ომის ამბავი თუ რაზე გესმით? — შევეკითხე კვლავ.

— აბა ამ ტყეში ვინ რას მეტყვის!

— პარტიზანები თუ არიან სადმე ამ არემარეზე?

პარტიზანების ხსენებაზე მეტყვევ ოდნავ შეკრთა. სიტყვის გამოსწორება ისევ მე ვიკისრე.

— ჩვენი არ შეგეშინდეს — ეუთხარი მას — ჩვენ აქაური მიწა-წყლის შეიღები ვართ, ნაწილს ჩამოვრჩით და ახლა მათთან მივიდევართ.

მეტყვევს ემჩნეოდა, რომ ჩემმა სიტყვებმა მასში რაღაც ნდობა აღძრეს.

— გზა დამილოცნია, მუდამ გამარჯვებულებმა იარეთ გვიტხრა მან.

ხელიდან გაგდებულ სიტყვას ისევ ეუბრუნდები:

— ჩემთვის მაინც საინტერესოა, თუ ცხოვრობენ პარტიზანები ამ ტყეში?

— პარტიზანები?... რა მოგახსენოთ, გაგონილი მაქვს, თითქოს უნდა იყვნენ. მე პირადად არავის შევხვედრივარ და ვერავის ვერ ვცნობ, — გამართულად მიპასუხა მეტყვევმა.

შემდეგში, როდესაც კოვპაის რაზმამღე მივალწიეთ, დანამდვილებით გავიგე, რომ ის მეტყვევ, როგორც კოვპაის მეკავშირე, სავსებით სანდო კაცი ყოფილა. ჩემს შეკითხვაზე — თუ არიან ამ ტყეებში პარტიზანები, მეტყვევ რომ სწორ პასუხს დაეროდა, ეს სრულიად ბუნებრივია. გამვლელ-გამოვლელისათვის ანგარიშის ჩაბარება — ეს ხომ სიბრიყვე იქნებოდა.

რიყრავი იყო, როცა სოფელ ვარგოლში შევედით. ბაღ-ბოსტნებში ჩაფლული ეს კოხტა, ლამაზი ხუტორი დაუნგრეველი აღმოჩნდა, ძლივს და მოსჩანდა შუვანე ზღვაში უკრაინული მორჩილი, თეთრად შეფეთილი სახლები.

მორიდებულად დავაკაკუნე გზისპირად მდებარე ქოხის კარებზე. მოხუც

ქალი გამოგვეგება, უცებ მომიახლოვდა და შეშფოთებით ჩამჩურჩულა: „ამას რას ვხედავ, სად მოსულხართ, შეილებო! სოფელი გერმანელებით სავსეა, სადაც არის ფეხზე დადგებიან. ტევა არ არის, იმდენი ტანკები ჰყავთ არ დაგინდობენ, განუკითხავად დაგზოცავენ. წამო, საჩქაროთ ბაღჩაში ჩაწეკით და როდესაც ეს მხეცები სოფლიდან გავლენ, შეგატყობინებთ...“

დაუუჯერეთ კეთილ მოხუცს და ბაღჩაში დავიმაღენით. მართლაც მალე წამოიშალენ გერმანელები და სამხედრო მწყობრით სოფლიდან გავიდნენ. სოფელ ვარგოლში მოსვლამდის მჭონდა გავონილი, მაგრამ აქ ახლა სარწმუნოდ მითხრეს, რომ მახლობელ ტყეებში კოვაკის პარტიზანული რაზმი სდგას და მოქმედებსო. ამ ამბავმა გაგვამხნევა. ყველას სურვილი აღგვეძრა ჩქარა მიგვეღწია პარტიზანების ბანაკამდე.

სოფელი ვარგოლი მალე დაეტოვეთ, ისევ ტყე-ტყე წავედით. დაღამდა, სამარისებური სიჩუმე იყო ბრიანსკის ტყეებში. უძრავად, გულჩათხრობილებით იდგნენ ცამდე აღმართული წიწვიანი გოლიათები, დაუსრულებლად მიიკლავებოდა ამ ხეებს შორის ვიწრო ბილიკი. ნელის ნაბიჯით მიიწედა წინ ჩვენი კრებული. ყველა ჩვენთაგანი დაღუემებული იყო. შიმშილისაგან და დაღლილობისაგან ლაპარაკის წალისიცი წაგვერთვა.

უცებ წინამძღოლი შედგა, დანარჩენებიც უძრავად გაინაზნენ ადგილზე.

— გესმით? — დაბალი ხმით მიმართა ამხანაგებს წინწასულმა, — ბილიკით ვილაკეები მოდიან.

საჩქაროდ ტყეში შევედით.

— ამხანაგებო, მზად იყავით! — მივმართე კრებულს.

მოშორებით თოფმა ჩგრილა. თოფის წმინ გამოძახილი ტყის სხვადასხვა კუთხეში განმეორდა. პირველ გასროლას ზალბი მოჰყვა. ზალბს ჩვენც ზალ-

პით ვუპასუხეთ. სიჩუმე ჩამოვარდა. მალე გამოირკვა, რომ კოვაკელების მზვერაელებთან გვემონდა ნაქმე. ნაბეღნიერთ ჩვენს შეტაკებან მარცხი არ მოჰყოლია.

#### IV.

აი უკვე სოფელ სტარაია გუტაში ვართ, „პარტიზანების საბრძანებელში“. ეს სახელი თვითონ გუტელებს დაურქმევიათ თავისი სოფლისათვის.

ლამაში სოფელია სტარაია გუტა, ის ბრიანსკის ტყეების ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და აქოჩრილი ტყის ჩარჩოებში კობტად არის ჩასმული. გუტელები მხნე და მამაცი ხალხია, სტუმართმოყვარე და გულკეთილი. ფაშისტების რეპრესიებს ვერ გაუტეხია ეს ხალხი. აქ, ამხანადაც ძალაში დარჩენილა სამჭოთა კანონები და წესები.

— ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ! — ამბობდნენ ისინი.

— თუ საჭირო იქნება, ტყეში წასვლასაც ადვილად შევძლებთო!

სტრატეგიული თვალსაზრისით ბრიანსკის ტყეებს სპადშჩანის ტყეებთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდათ. ბრიანსკის ტყეების უზარმაზარი სივრცის დაუფლება მტერს უძნელდებოდა.

საოცარი იყო ამ ტყის ერთსახიანობა: ერთი უბანი — მთელი თავისი მცენარეულობით — სრული სიზუსტით მეორდებოდა ახალ უბანზე. საკმაო იყო ბინას ერთი კილომეტრით დაეცილებოდით და შემდეგში საათობით უნდა გვეძებნა ჩვენი მიწურები. ეს არც არის საკვირველი: მართო ჩვენ კი არა, ახლო-მახლო სოფლებისა და ზუტორების მცხოვრებნიც კი იბნეოდნენ ამ ტყეებში და გზას ველარ პოულობდნენ.

სპადშჩანის ტყე, ბრიანსკის ტყესთან შედარებით ძალზე პატარაა. ამიტომ

მის დაზვერვას ხანდახან მაინც ახერხებდნენ გერმანელები, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათს მიერ შემორტყმული რკალი არ გაგვერღვიოს და დამსჯელი რაზმი არ გაგვეფანტოს.

აი კოვპაკის ბანაკი. უზარმაზარ ხეებს შუა მოქცეულ პატარა მოედანზე რამდენიმე ადგილას გიზგიზებდნენ ცეცხლის კოცონები. შემოდგომის ტყეს ძალზე უხდებოდა ეს სურათი: მტრედისფრად თრთოდნენ წიწვიან ხეებს შუა ჩაწოლილი მოლივლივე ცეცხლის ენების ჩრდილები. კოცონებს უძრავად და უსიტყვოდ უსხდნენ პარტიზანები. ცოტა დაშორებით, წრეში, საზიდრებთან იდგნენ თავჩაქინდრული ცხენები. იქვე მიწაზე ელაგა სამხედრო სამკაული. როგორც კი საომარი ამუნიციის სპეციფიკური სუნი ვიგრძენ, მიამა, გამოვფხიზლდი, უკვე ფრონტზე წარმოვიდგინე თავი.

ჩვენს დანახვაზე პარტიზანები, შეტრტმანდნენ, ყურები აცქვიტეს, ჩვენი ვინაობის გამოკითხვა დაიწყეს.

იმხანად პარტიზანული რაზმის უფროსი სიდორ კოვპაკი ბანაკში არ იყო, მოსკოვში გაეწვიათ პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელთა შეკრებაზე. კოვპაკს სცვლიდა რაზმის კომისარი ამხანაგი სიმონ ვასილის-შე რუდნევი ჩვენც მასთან გამოვცხადდით.

ჩემთვის მარად დაუვიწყარი დარჩება პირველი შეხვედრა რუდნევთან. მისი გონიერი შავი თვალები ელექტრონათურებივით ბრწყინავდნენ; როცა იღიმებოდა, მის სათნოიან სახეს ნათელი მოეფინებოდა ზოლმე. ის გულთბილად მოგვესალმა. ლაპარაკი ჯერ მე დამიწყო, ხანგრძლივად მესაუბრა, ყველას ვინაობა გამოიკითხა, გაიგო ვინ ვართ და საიდან მოვსულვართ. ბოლოს გვეითხა:

— გონიერი ხალხური თქმულება ალბათ გეცოდინებათ „დილა საღამოზე ბრძენიაო“, დანარჩენზე ხვალ

მოვილაპარაკოთ, ახლა დასვენება სჯობს, დაღლილები ხართო!

1942 წლის შემოდგომის დამდეგს, ბანაკში ჩვენი მისვლის დღეებში სამოცდაათი პარტიზანი ირიცხებოდა კოვპაკის რაზმში. მათ შორის ქართველებიც იყვნენ. მე დამხვდა იქ განთქმული პარტიზანი და რაზმის სიამაყე ვანო რეხვიაშვილი. რეხვიაშვილს ცხარე ბრძოლის წუთებში, განსაცდელისაგან ბევრჯერ უხსნია კოვპაკელები. რეხვიაშვილი დაზგის ტყვიამტრქვევის გამოჩენილი მსროლელი და შეუდარებელი მებრძოლი იყო. როდესაც ვანო თავის ტყვიისმტრქვევს ააკაკანებდა, ალტაცებაში მოსული მეომრები იმეორებდნენ: „Слышишь, Вано-грузин стреляет“.

ერთ-ერთი გააფთრებული ბრძოლის დროს, სოფელ კოდორში (ციტომირის ოლქი) ჩვენი რაზმი მტრის ალყაში მოექცა; აქ ვანო ფეხში მძიმედ დაიჭრა და შემდეგში თვითმფრინავით გავგზავნეთ დიდ მიწაზე.

რაზმში ახლა ყველას ყურადღებას კოვპაკი და რუდნევი იპყრობდნენ. ისინი იყვნენ ტვინი და გული რაზმისა. რაზმის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი სიდორ არტემის-მე კოვპაკი ზაპოროჟელი კახაკია. კოვპაკი ძველი ჯარისკაცია, მას ჯერ ისევ პირველი მსოფლიო ომის დროს, ცნობილი გენერლის ბრუსილოვის ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციაშიც მიუღია მონაწილეობა, სამოქალაქო ომის დროს ის როგორც ბოლშევიკი და მეთაური, პარზომენკოსთან ერთად მხარიმხარ იბრძოდა. იყო ჩაპაევის დივიზიაშიც, მშვერავთა ჯგუფში.

სიდორ არტემის-მე მტკიცე რწმენის ბოლშევიკია, უბადლო პარტიზანული სამხედრო სტრატეგი, ორგანიზატორი და მეომარი.

სამამულო ომმა მას ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს მოუსწრო პუტივლში (სუმის ოლქი).

პუტიველ ბოლშევიკებსა — ხტყო-  
და კოვპაკი, — გადაწყვეტილი გვექონ-  
და ჩვენი რაიონი მთელს უკრაინაში  
პირველ ადგილზე გამოგვეყვანა. დავუ-  
ახლოვდით კიდევაც ამ მიზანს: საკავ-  
შირო სასოფლო-სამეურნეო გამოფე-  
ნის მონაწილენიც ვავხდით. მთელ უკ-  
რაინაში განთქმული იყო ჩვენი კოლ-  
მეურნეობები, ჰიდრო-ელსადგურები,  
კლუბები, საშუალო სკოლები და ამ-  
ბულატორიები. ჩვენ შეგქმენით სე-  
უცხოვო ჯიშიანი ცხოველების და  
ფრინველების ფერმები. ძველ დროს  
ჩვენი რაიონი გამოფიტული იყო, უმ-  
რავლესობა მოსახლეობისა ლუკმა-  
პურის საძებრად სხვა რაიონებში დაე-  
ნეტებოდა, ახლა კი სულ გამოიცივალა  
ეს მხარე. როცა ომი დაიწყო, პარტიის  
და პირადად ამხანაგ სტალინის მოწო-  
დებაზე, ივლისის ისტორიულ დღეებ-  
ში უკრაინელი ბოლშევიკები ფეხზე  
დადგეკით და, როგორც ერთი კაცი,  
საომრად ამდგარ ხალხს სათავეში ჩა-  
ევუდგეკით. ომის პირველსავე დღეებში  
გაჩაღდა უკრაინაში სამზადისი პარტი-  
ზანთა რაზმების ჩამოყალიბებისათვის.  
პარტიზანულ მოძრაობას მთელ ჩვენს  
მხარეში ნიკიტა სერგეის-ძე ჩრუშჩოვი  
ხელმძღვანელობდა. პარტიის საოლქო  
კომიტეტმა პარტიზანული ბაზის შექმ-  
ნა სპალშჩანის ტყეში მე მომანდო.

სიმონ ვასილის-ძე რუდნევი, პარტი-  
ზანული რაზმის კომისარი, საბჭოთა  
არმიის ჩანგრძლივად ნამსახური იყო.  
ერთ დროს შორეულ აღმოსავლეთში  
მესაზღვრე ნაწილის კომისარადაც  
უმუშავებია. ხასანის ბრძოლებში ვაე-  
კაცური მოქმედებისათვის იგი „წითე-  
ლი ვარსკვლავის“ ორდენით იყო და-  
ჯილდოვებული. ომის წინა ხანებში  
რუდნევი ქ. პუტივლში თავდაცვა-  
აეიპიშის რაიონული საბჭოს თავმჯ-  
დომარედ მუშაობდა. პუტივლის ახალ-  
გაზრდობაში სიმონ ვასილის-ძე რუდ-  
ნევი დიდი ნდობითა და სიყვარულით  
სარგებლობდა.

სამამულო ომის დასაწყისში კოვპაკი  
და რუდნევი ერთდროულად გასულან  
პუტივილიდან სხვადასხვა მიმართულე-  
ბით, რათა პარტიზანული რაზმები  
შეექმნათ. რუდნევის სამზადისი ნოვოს-  
ლობოდის ტყეში დაუწყია, კომპაკს  
კი — სპალშჩანის ტყეში.

განვლეს თვეებმა და ორმა გვირმა  
თანამემამულემ ერთმანეთისა არაფერი  
იცოდნენ!

ორმოცდაერთი წლის დეკემბერში  
სპალშჩანის ტყეში რუდნევის შეკავში-  
რენი მოულოდნელად თავზე წასწყლო-  
მიან კოვპაკის ბანაკს. მეორე დღეს ამ  
ადგილას ორი რაზმის პუტიველი მე-  
თაურები თათბირობენ რაიონში შექმ-  
ნილ მდგომარეობაზე.

რუდნევისათვის კოვპაკთან შეხვედ-  
რა მოულოდნელი იყო. ფაშისტების  
აგენტებს ხმები გაეცრცელებინათ, —  
კოვპაკის რაზმი მოვსპეთ, თავათ კოვ-  
პაკი დავიჭირეთ და ჩამოვახრჩვეთო.

ორმა მეთაურმა ამ თათბირზე საჭი-  
როდ სცნეს რაზმების გაერთიანება.

— მაშ ავრე, სიღორ არტემის-ძე —  
უთქვამს რუდნევის კოვპაკისათვის. —  
შენ რაზმში მეთაურობა გასწიე, და მე,  
ძველი ჩვეულების მიხედვით, კომის-  
რად დავჩრები.

გაერთიანებული რაზმის შტაბის  
უფროსად დაინიშნა ამხანაგი ბაზიმა,  
მის მოადგილედ კურსკი — ორიენი  
პუტივლის რაიონის მოწინავე მასწავ-  
ლებლები. პირველ ხანებში გაერთი-  
ანებული რაზმი სამოცდაშვიდ მეომარს  
ითვლიდა. ამ რაზმის განკარგულებაში  
იყო 47 შაშხანა, ექვსი ატომბატი, და  
ერთი ხელის ტყვიამფრქვევი.

უშიშარი მეომარი იყო რუდნევი,  
მასთან კარგი სტრატეგიც. დიდი ხა-  
ლისით და სიყვარულით ატარებდა იგი  
პოლიტიკურ მუშაობას პარტიზანებთან  
და მოსახლეობის შორის. მტერთან  
შეტაკებების დროს ის ლომივით იბრ-  
ძოდა პარტიზანთა რიგებში. მოთხოვნა  
იცოდა, ბრძანების შეუსრულებლობის



დროს სიმკაცრესაც არ ერიდებოდა. როგორც გულწრფელს, კეთილს და მედგარ მეთაურს, პარტიზანები მას პატივს სცემდნენ.

მუდმივად ტყეში ცხოვრების პირობებში ძნელი იყო ზისუფთავის და ჩაცმა-დახურვაში წესრიგიანობის დაცვა. რუდნევი ამას მაინც ახერხებდა: დაბეჭდვით, უსუფთაო ტანსაცმელში მას ვერასდროს ვერ შეისწრებდია, თავისუფალ დროს ხშირად ნახავდით გადაჭრილ მორთან, სამართებლით ხელში.

V.

ოცდაცამეტი დღის მოგზაურობით განაწამებმა და დაღლილ-დაქანცულებმა ბანაკში მისვლის პირველ ღამეს ძილით ვიჯერეთ გული.

შემოდგომის იშვიათი დილა გათენდა. დათრთვილულ ფიქვნარის კენწეროებს უხვად მოეფინენ შუის სხივები; უღრანი ტყის შუა მოქცეულ მინდვრის ნაპირებზე, ძერას ფრთებივით დახრილ ნაძვების ტოტებ ქვეშ ფუსფუსობდნენ პარტიზანები. აქ ცხოვრება მთელი ძალით სჩქეფდა.

ერთი წყება ეაქვაცებისა ნიანგის ზურგივით დაგორვლილ ფიქვების ძირკვებზე მიმჯდარიყვნენ და გულმოდგინედ წმენდნენ დაშლილი შაშხანების ნაწილებს. ნადავლი ავტომანქანის ქვეშ პირაღმა გაშხლართული შოფერი მორყეულ ხრახნებს ქანჩით ამუხრუჭებდა.

მუდამ მხიარული უკრაინელები ჰოპაკს უვლიდნენ აჭრიალებულ გარმონზე. მოშორებით, არყისხის ქვეშ, ცეცხლის პირას ჩაჩოქებული ბიჭები რაღაცას დარდიმანდობდნენ. თითქოს რაღაც ნაცნობი სიტყვები მომესმა. დავაკვირდი, ჰართულად ლაპარაკობდნენ. მეც მათკენ გავეშურე: ჰართველ

პარტიზანებს აგუზგუზებულ ფიჩხის ალზე მწვადები დაეფიქვებინათ. ბრიანსკის ტყე იმხანად მტრის ალყაში იყო მოქცეული. პარტიზანები ამ ზღუდეებს გარეთ ვერ გადიოდნენ. მარილის უქონლობის გამო მრავალი მებრძოლი სურავანდით იყო დაავადებული.

სადა და უბრალო იყო პარტიზანების ყოფაცხოვრება. ერთი შეგნებით და რწმენით ცოცხლობდნენ საბჭოეთის ეს რჩეული შვილები: ვერავი მტრისაგან ჩვენი მიწა-წყალი გაენთავისუფლებინათ და ხალხისთვის მშვიდობიანი ცხოვრება დაებრუნებინათ. ეს იყო ყველას სურვილი და ოცნება, ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი მზად იყვნენ, საჭიროების დროს, საკუთარი სიცოცხლე მიეტანათ სამშობლოს სამსხვერპლოზე.

დროებით დაპყრობილ სოფლებში გერმანელები პირველ ხანებში მშვიდად გრძნობდნენ თავს. ჩვენმა შევიარდებმა სულ მოკლე დროში დაარღვიეს და მოშალეს მოძალადეების სულიერი მყუდროება. უკრაინაში ფართოდ გაიშალა და გაძლიერდა პარტიზანული მოძრაობა. ჩვენი რიგები ყოველდღიურად ახალ-ახალი ხალხით ივსებოდა. ჩვენს გაძლიერებას მოწინააღმდეგეც კარგად ხედავდა, თუმცა ამის დანახვა მას არ უნდოდა, ამის გაფიქრებაზეც შიშის ზარი უვლიდა.

პირველ ხანებში სულ გერმანული იარაღით და ამუნიციით გავდიოდით ფონს. სიცოცხლის შენარჩუნების ინსტიქტი მტერს აიძულებდა დაუზიანებლად ჩაებარებინათ ჩვენთვის, რაც კი გააჩნდათ; ფაშისტებმა კარგად იცოდნენ, რომ პარტიზანების ხელში ჩაეარდნა — სიცოცხლესთან გამომშვიდობებას მოასწავებდა.

ბრძოლის დღეებში ჩვენს ბანაკში საზეიმო განწყობილება სუფევდა. სამაგიეროდ მოწყენილი იყვნენ პარტი-

ზანები, როცა იძულებულნი იყვნენ უქმად მსხდარიყვნენ. მტერი ჩვენზე რიცხობრივად მეტი იყო, მაინც ბრძოლაში, პირველ შეტევისთანავე იზნეოდა, უწესრიგოდ უკან გარბოდა და იარაღს ჰყრიდა.

„ნეტავი სად არის პარტიზანების აეროდრომი, სად არის თვითმფრინავები, ტანკები და ქვემეხები, რომლებზედაც ხალხი ასე ბეჯითად ლაპარაკობდა“, — ვფიქრობდი, როცა ბანაკში ახლადმისული ვიყავი. თურმე სინამდვილეში ამის მსგავსი იქ არაფერი იყო და არც შეიძლებოდა პირველ ზანებში ყოფილიყო. ხალხის ფანტაზია ამ შემთხვევაში სინამდვილეს სცილდებოდა და ზღაპრულ წარმოდგენაში გადადიოდა. კოვბაკის უკრაინული ფრაზა მოსახლეობის სულისკვეთებას საესებით გამოხატავდა: „Раз народ хочет воны булы, значит, воны есть“ — ე. ი. ხალხს რადგანაც სურს ეს ასე იყოს, ასეც იქნება.

საათობით და წუთობით ელოდებოდნენ პარტიზანები კოვბაკის მოსკოვიდან დაბრუნებას.

დღე-ღამით აგუზგუზებული კოცონების ირგვლივ შემომსხდარი მეომრების საუბრის საგანი კოვბაკი იყო. შემოდგომის დილის გარიჟრაჟზე ცეცხლის კვამლი ბანაკს ხალიჩასავით გადაჰფარებოდა. თუნუქის ქვაბებში ჩახჩახებდა პარტიზანების საყვარელი სასმელი — ჩაი. ამ დროს ელვისებური სისწრაფით შემოიჭრა ბანაკში ახალი ამბავი. მეომრები მყისვე წამოიშალნენ, მიატოვეს კოცონები, ცეცხლის შუქმა მეტი სიძლიერით იწყო კაშკაში.

— სიდორ აზტემის-ძე მოფრინდა!

— სარდალი დაბრუნდა.

— კოვბაკი ჩამოვიდა.

პირიდან-პირში გადადიოდა ეს სიტყვები.

— ახალ ამბებს ჩამოიტანდა მოსკოვიდან — ამბობდნენ ერთნი.

— კრემლში იქნებოდა უთუოდ, სტალინს ნახავდა, — ამგვარად ბრუნდნენ მეომრები.

მე შემთხვევა მომეცა იმ დღესვე შევხვედროდი კოვბაკს. შტაბისაკენ მიალაგებდა. დავინახე თუ არა, მისმა სამხედრო სიმარჯვემ გამოაცა, რომელიც ესოდენ ნათლად გამოსჭვივოდა მის სიარულში. არც ისე მოხუცებული ყოფილა, როგორც ეს მესმოდა, „ბაბუაობა“ — მისთვის ნაადრევად შეურქმევიათ, — ვთქვი კოვბაკის დანახვაზე გულში.

სარდალს ოცდარვა მეომრის მოსვლა მოახსენეს. მან დატყონებლივ გამოგვიძახა და ხალისიანი საუბარი დაგვიწყო. მტრის განადგურების აუცილებლობაზე კოვბაკი ურყევ რწმენას გამოსთქვამდა. მის წვრილციმცომა, თაფლისფერ თვალებში ამოკითხავდით, რომ ამ თვალებს დღის სინათლეზე და ღამის წყვედიღმიაც არაფერი გამოეპარებოდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბევრი და დიდი გასაჭირი გვიდევს წინ, მაგრამ ბოლშევიკები გაჭირვებაზე როდი ლაპარაკობენ, შევკავშირდეთ, შევმჭიდროვდეთ, მტერს რისხვად მოვევლინოთ. ჭირი და ღზინი გავიზიაროთ. უშიშარი და ბრძოლის უნარიანი ხალხია ჩვენი პარტიზანები. სახალისოა მათთან ახლოს ყოფნა და ბრძოლების გადახდა. ეს ახალი შენაკადი, თქვენი სახით, დაე ოქროს-მძივად ჩაექსოვოს ჩვენს კრებულს, — ამ სიტყვებით მოგვიახლოვდა კოვბაკი და მხარზე ხელი დამადგა.

დიდი სტალინის კოვბაკთან შეხვედრაზე და მათს საუბარზე უკვე აშკარად იწყეს მეომრებმა ლაპარაკი. ამბობდნენ, რომ სტალინს კოვბაკი მოსკოვიდან დიდი დავალებებით გამოუსტუმრებიაო. ამ დავალების შინაარსი პირველზანებში გაუთქმელი იყო, ის მხოლოდ კოვბაკისაგან რუდნევა იცოდა.





სტალინის დავალების ერთი ნაწილი ყველასათვის თავიდანვე ცნობილი გახდა: მეტი გულისხმიერებით მოეპყარათ ხალხს, მეტი ურთიერთგაგება, მეტი მჭიდრო კავშირი დაამყარეთ მოსახლეობასთანო, — უთქვამს სტალინის პარტიზანების ხელმძღვანელისათვის დამშვიდობების წუთებში.

— კოვპაკის მოსკოვიდან დაბრუნებას პარტიზანების სახელდახელო მიტინგი მოჰყვა.

ღრმა ცვლილებათა წინაშე ვიდექით, ბელადი დიდ მისიებს აკისრებდა ჩვენს რაზმს, ამაზე უკვე გარკვეულად ლაპარაკობდნენ უფროსი ამხანაგები. მალე ყველამ გავივით: ჩვენი რაზმი, სამხედრო წესრიგის სრული დაცვით, უნდა დაძრულიყო ადგილიდან ღნეპრის მარჯვენა ნაპირზე გასულიყო, ე. ი. დაწყებული ბრიანსკის ტყიდან ჩვენს რაზმს უნდა გაველო რამდენიმე ოლქი, გადაეღახა დიდი მდინარეები — დესნა, პრიპიატი, ღნეპრი და ამრიგად უკრაინის ჩრდილო ნაწილიდან დასავლეთამდე უნდა გასულიყო. შემდეგში აღნიშნული მდინარეების გადაღახვა ჩვენ რამდენიმეჯერ დაგვიჭირდა.

ჩვენს შენაერთს მომავალში, ღრმა რეიდით, რეგულიარული ნაწილების მზვერაობა უნდა ეკისრა და შეესრულებოდა. მაშასადამე, რეგულარულ ნაწილებთან კავშირის დასამყარებლად ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა.

პირველზე არანაკლები მნიშვნელობისა იყო რეიდის მეორე ამოცანა: პარტიზანული მოძრაობა უკრაინის ჩრდილო-აღმოსვლეთ ნაწილში საგრძნობლად განვითარდა და გაიშალა. პარტიზანული რაზმებით აივსო უკრაინის ეს რაიონები. ამ დროს კი მტრის ზურგში მოქცეული ამ ქვეყნის დასავლეთი ნაწილი ასეთი მოძრაობის გავლენის გარეშე რჩებოდა. იქ არ არსებობდა არც საზოგადოებრივი შემაკავშირებელი ძალა, დამპყრობლები ხომ მოსახლეობას ყოველდღე საბჭოთა არმიის

საბოლოო განადგურებაზე და საბჭოთა მთავრობის დამხობაზე ჩასჩინებულნი.

— ამ მხარის აღამიანთა ამოძრავება, მათთვის სიმართლის თქმა — მხოლოდ პარტიზანების მეშვეობით იყო იქ შესაძლებელი. ეს მისია — კი კოვპაკის შენაერთს უნდა ეკისრნა და შეესრულებინა. ამრიგად უკრაინის ჩრდილოეთიდან ჩვენს გასვლას ჰქონდა გარკვეული და ფრიალ საპატიო მიზანი.

დიდი რეიდისათვის სამზადისი კოვპაკის ბანაკში გაცხოველებულად მიმდინარეობდა.

ამ სამზადისს პირადად კოვპაკი და რუდნევი ხელმძღვანელობდნენ. ამ დიდი ამოცანის სერიოზულობას ყველა გრძნობდა და განიცდიდა. წესრიგში მოჰყავდათ ალალები, სჭედავდნენ ცხენებს ბარგს ჰკრავდნენ, ტყვიამფრქვევებს ალალებში ალაგებდნენ.

— მტრის გვერდი-გვერდ მოგვიხდება სიარული, გზაში ალალების ჰრიალი დაუშვებელია, დროულად და ბეჯითად მოაწესრიგეთ ყველაფერი, პატარა წინადაუხედლობას შესაძლოა დიდი უბედურება მოჰყვეს, — ამ სიტყვებით დატრიალებდა თავზე მეომრებს კოვპაკი.

ბრიანსკის ტყის გასავალი გზები მტრის მიერ არაჩვეულებრივ მაგრად იყო ჩაკეტილი.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული წინდახედულობა მართებდათ პარტიზანების მეთაურებს ასეთს გარემოცვაში.

— აქ მარტო ვაეკაცობა და სიმამაცე ვერ მოახდენდა საჭირო ეფექტს. მარტო გამბედაობაში როდია საქმე. უტაქტო მეთაური თავსაც წააგებს და მებრძოლებსაც დაღუპავს. მეთაურს მუდამ უნდა ახსოვდეს ხალხის ბრძნული გამოთქმა: „ხერხი სჯობია ღონესაო“...

შემოდგომის ერთ წყნარ საღამოს კოვბაკის შენაერთი სოფელ სტარაია გუტადან სამხედრო მწყობრით დასავლეთის მიმართულებით გავიდა: — მშვიდობით, ხალხსასავით მოქარგულო გუტა! მშვიდობით, ერთგულო და მამაცო სოფლელებო! — უკანასკნელად გადავძახეთ გამგზავრების წინ უკრაინის ლამაზ სოფელს. დაწალიკებით მიმავალი არტილერია, ქვეითი და ცხენოსანი ჯარი ენერგიულად წინ მიიწევდა. ჩვენი მატერიალური ბაზა იმხანად საგრძნობლად ძლიერი იყო. თუ წინათ ქვემეხებე პარტიზანების ოცნების საგანს შეადგენდა, ახლა ჩვენს განკარგულებაში რვა ქვემეხი იყო, აქედან ორი სამოცდათექვსმეტმილიმეტრიანი, მოსკოვიდან თვითმფრინავებით მოწოდებული, და ექვსი ცალი ორმოცდახუთმილიმეტრიანი — ნადავლი.

ბატარეის კომისარი ალექსი ილიასძე კორნევი, ჩვენს ნაწილში მეტსახელად „შობის ბაბუა“ მონათლული არტილერიას ცხენდაცხენ მოსდევდა. ის პარტიზანობდა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომების დროს. ახლა მოხუცებულიყო, მაგრამ მის ბადრ სახეს შოს და ლახათს მატებდა დაეღაჟა ლოყები და თოვლივით თეთრი წვერულვაში. ეს კეთილშობილი მოხუცი პარტიზანთა შორის ყველას უყვარდა, განსაკუთრებით კი — კოვბაკს.

თითქმის უმრავლესობა პარტიზანებისა ახალი, უწყინარი სახელებით იყვნენ გადანათლული. სახუმარო-მეგობრული სახელწოდების გამოგონება განსაკუთრებით მესამე ასეულის მეთაურს — კარპენკოს ემარჯვებოდა. დაინახა რა პირველად კორნევი, კარპენკომ მასზე პარტიზანების ყურადღება მიაქცია: — დახეთ, ამ თეთრწვერას, ნუ იტყვი, ესეც საომრად წამოსულა, ნამდვილი შობის ბაბუა არ არის? ამ დღიდან კორნევის გვარი რაზმში აღარ უხსენებიათ. თავით კორნევიც ისე შეეგუა ამ ახალ სახელს,

რომ ის ვისმესთან ტელეფონით თუ პირადად საუბრის დროს, <sup>დავით ბაძრაძე</sup> შობის ბაბუად (Мед мороз) აღიარებდა.

არა მარტო ახალი სახელების შემქნელები, არამედ პოეტებიც მოიპოვებოდნენ ჩვენს რაზმში. ბრძოლა არ ჩატარებოდა ისე, რომ ამ პოეტებს სახობო ლექსი არ დაეწერათ, ქებადიდება არ მიეძღვნათ ბრძოლაში გამარჯვებულ ასეულებისა და მათი მეთაურებისათვის. თუ რამდენად მხატვრული და შინაარსიანი, იყო ზოგ შემთხვევაში ეს ლექსები, ამაზე შემდეგში ვიამბობთ.

„შობის ბაბუას“ ბადალი არ ჰყავდა უკრაინის ადგილმდებარეობის ცოდნაში. რამდენჯერ უვნებლად, სამშვიდობოზე გაუყვანია მას რეგულარული ნაწილების გზაამცდარი მეომრები. დაურიდებელი და მკაცრი იყო ბრძოლებში ეს კეთილი მოხუცი. ჯანმრთელობა მას მაინცდამაინც ხელს არ უწყობდა, მაგრამ პარტიზანული ცხოვრების პირობებში ის ისე გაკაჟდა და გაფოლადდა, რომ არცერთხელ ავად არ გამხდარა.

კორნევი ქალაქ პუტივლიდან იყო. ომის წინა ხანებში ის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში წიწილების ინკუბატორით გამოჩეკის საქმეს ხელმძღვანელობდა.

## VI

სტარაია გუტა—ბრიანსკის ტყეების ჭიშკარია. ამ ჭიშკრის მახლობლად იყო ჩასაფრებული მტრის ურდო.

აბა ამ ჭიშკარს თავისუფლად ვინ გაგვიღებდა! ამირანის მუხლის ღონე იყო საჭირო მის შესაღწევად. ეს ღონე პარტიზანებს იმ ქვემეხებმა მისცეს, რომელიც „ღრი მიწიდან“ ბელადმა გამოგვიგზავნა — ეს იყო ორი სამოცდათექვსმეტ მილიმეტრიანი ქვემეხი — თვითმფრინავებით რომ მოგვაწოდეს.

პო და, ახლა გული მაგრადა გვქონდა. ახლა ისე საშიში აღარ იყო მტრის მიერ ყოველ ფეხის გადადგმაზე ამუნებული ფორტიფიკაციული ნაგებობანი, მისი ციხე-სიმაგრენი.

ამ ციხე-სიმაგრეებს, რეიდის დაწყებისთანავე, ხუთ ოქტომბერს წავაწყდით. ცხარე ბრძოლა გადავიხადეთ გოლუბოვკასა, ბერიოზოვკასა და ხუტორ ლუკოშენსკისთან.

ბელადის მიერ გამოგზავნილი ერთ-ერთი სამოცდათექვსმეტ მილიმეტრიანი ქვემეხი მე შებარა. გულის თრთოლვით ვემზადებოდით ბრძოლისათვის.

აი დაღამდა კიდეც. ძალზე ფრთხილად, შეუმჩნევლად მივაგორე ქვემეხი მტრის პოზიციების მახლობლად და პირდაპირი დამოწებით მოწინააღმდეგვის სიმაგრეებს მთელი ღამის განმავლობაში ცეცხლს ვუშენდი. ყველა გასროლამ მიზანს მიაღწია.

მთელ ღამეს ჰქუხდა, მრისხანებდა ჩემი ქვემეხი, ცეცხლს აწვიმებდა მტრის პოზიციებს.

გათენდა. თვეობით ნაშენი სიმაგრეები ლოდების გროვად ქცეულიყო, ქვა ქვაზედაც აღარ დარჩენილიყო ამ ნაგებობათაგან.

სიხარულმა ფრთები შემასხა. ის იყო კოვპაკიც დავინახე—ცხენს მოაქანებდა ჩემსკენ. მომიახლოვდა, გამიღიმა და მითხრა:

— ყოჩაღ, დავით! კარგად გიმუშავია წუხელისო—ამ სიტყვებთან ერთად ხელი მაგრად ჩამომართვა და გამარჯვება მომილოცა.

ბევრმა მეომარმა ვაითქვა სახელი იმ ღამეს. პირველმა ასეთმა სარეიდო გამარჯვებამ ყველა აღგვაფრთოვანა. ამჟამად, სამხედრო მწყობრის დაურღვევლად გადავიარეთ ფორტიფიკაციულ ნაგებობათა ნამსხვრევებზე და უვნებლად გავედით სამშვიდობოზე.

ბრიანსკის ტყეები უკან დაგვრჩა— ისეთი შთაბეჭდილება გვქონდა თით-

ქოს სატუსალოდან გამოვსულიყით. ჩვენს თვალწინ უკრაინის ურცულ სტეპები გადაიშალა.

რუდნევი სიხარულს ველარ ჰფარავდა. იმ გამარჯვების დილას მას ყველგან დაინახავდი, დააქროლებდა თავის თეთრ ცხენს, ცხენიც თითქოს გრძნობდა პატრონის სიხარულსა და მღელვარებას — მთელი ტანით თრთოდა, გაშმაგებით ხრავდა ლაგამს, და როცა რუდნევი ოდნავ შეჩერდებოდა ვისმეს წინ, ორიოდ სიტყვის სათქმელად— ცხენი ფლოტკებს მიწაზე სცემდა და ფრთქვინავდა.

ჩვენმა რეიდმა მტერს თავზარი დასცა. ძალზე ძვირად უჯდებოდათ გერმანელებს ჩვენთან შეხვედრა. ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ ისინი ხანდახან ნახევარსაც ველარ დაითვლიდნენ ხოლმე თავის რიგებში.

ახლა რომ ვუკვირდები განვილილ გზას, გონების თვლით ვზომავე ყველაფერს—კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: ჩვენ ძალზე გეშველოდა ის, რომ გამარჯვება თავბრუს არ გვახვევდა, მუდამ ფხიზელნი ვიყავით და ჩვენი თოფის წამალი მუდამ მშრალი იყო.

ღამამობით წინ მივიწვედით, დღისით კი ტყეებში ვისვენებდით. თან საჭმელს ვზარშავდით და კვლავ ხვალინდელი დღისთვის ვემზადებოდით.

დასვენების დროს თხუთმეტი წლის ჰაბუკივით ხტოდა აქრხალეზულ გარმონზე „შობის ბაბუა“. თუ კარგ ხასიათზე იყო, სიღორ არტემის-ქესაც არ სჭირდებოდა თავპატივი ჰოპაკის თამაშზე. პოდა, ახალგაზრდა მეგრძოლებზე რაღა ითქმის: მოლხენაც კარგი ჰქონდათ იმ დალოცვილებს და ბრძოლაც კარგი იცოდნენ.

სიტყვამ მოიტანა და მინდა ვითხრა, რომ იმ მშფოთვარე დღეებში ძალზე კარგად გავიცანი უკრაინელი კაცის ხასიათი. ის არასოდეს დარდს თავს არ დააჩაგვრინებს, თითონ გასტეხავს დარდს, მოერევა, დასჯაბნის.

უკრაინელი ძალზე კეთილია, სტუმარ-მოყვარე, მამაცი და თავაზიანი. მას სძულს პირმოთნე აღამიანი, მეგობრისათვის უყოყმანოდ გასწირავს თავს. სიმღერა და თამაში ხომ უკრაინელის მოგონილია.

ომის საზარელი ქარიშხალი დაპყროდა უკრაინის მიწაწყალზე, მაგრამ ხალხს სულიერი წონასწორობა მაინც არ დაუკარგავს, მას თავისი გამარჯვების რწმენა ღონეს მატებდა, ამხნეებდა.

ერთხელ ოქტომბრის საზეიმო დღეებისათვის ვეშხადებოდით. მოსახლეობას ყური მოეკრა ამ ამბისათვის, და აი, დიდი და პატარა ჩვენი ბანაკისაკენ გამოეშურა. ეს ის დრო იყო, როდესაც პარტიზანების ბანაკთან ახლო გამვლელსაც კი დამპყრობელნი მხეცურად სჯიდნენ. საკმაო იყო გერმანელებს დაენახათ, ან გაეგოთ, რომ სოფელი ჩვენთან მოვიდა, და გათავებული იყო—მშვიერი სვავებივით დაესვოდნენ მსხვერპლს.

მიუხედავად ამ ჯოჯობითური რეპრესიებისა, ჩვენს ზეიმს დიდძალი ახალგაზრდობა მოაწყდა. გვიანი შემოდგომის თოვლიანი, ცივი ღამე ცუკვა-თამაშში გაატარეს ზეიმის მონაწილეებმა. და წარმოიდგინეთ, რომ მტერმა ამ სახალხო ზეიმის მოწყობის ამბავი ვერ გაიგო. ეს სამახსოვრო საღამო ყველა ჩვენთაგანისთვის ტკბილად მოსაგონარი იყო.

მაგრამ მარტო საზეიმოდ როდი მოდიოდნენ ჩვენთან უკრაინის სოფლებისა და ხუტორების მცხოვრებნი. მათ მოჰქონდათ პური, კარტოფილი და ხორცი, ხშირად კოლმეურნეები მსხვილფეხა საკლავ საქონელსაც გვიგზავნიდნენ.

წყალი რომ გეთხოვათ გზად გავლის დროს,—რძეს მოგაწვდიდნენ, თავშესაფარი რომ გეთხოვა,—ყველაზე უკმთეს საბანს დაგზურავდნენ, მოგეფე-

რებოდნენ, როგორც დიდიხნის შინ-მოუსვლელ შვილს, ძმას და მამას.

ვინ იცის რამდენჯერ გაუთევიათ ღამე ჩვენს პარტიზანებს უკრაინელთა ქერქვეშ. იყო შემთხვევა, როცა ერთოთახში ძალათი შემოჭრილ გერმანელებს ეძინათ და იქვე, კედლის გადაღმა, მეორე ოთახში, მათზე ადრე მოსული, მასპინძლისათვის გულით საყვარელი სტუმარი — პარტიზანი ათევედა ღამეს.

მაგრამ ყოველთვის როდი მოჰქონდა კოკას წყალი, ზოგჯერ ძვირად უჯღებოდათ უკრაინელებს გულუხვობა და სტუმართმოყვარეობა.

მედგარად, დაულალავად მიიწევდა წინ ჩვენი შენაერთი. ვშლიდით და ვანადგურებდით გზადაგზა მტრის სიმაგრეებს, ვშლიდით მის საკომუნიკაციო გზებს, ვაწიოკებდით მტრის გარნიზონებს. უკრაინის მიწაწყალზე მოპარაპაშე გერმანელებმა სოროების ძებნა დაიწყეს.

ოქტომბრის ბოლოს მედგარი დარტყმით ავიღეთ სადგური იამპოლი, ავაფეთქეთ მახლობელი ხიდები, მიწასთან გავასწორეთ მტრის საწყობები.

შეშფოთდა და გაწიწმატდა მტერი, სასწრაფოთ შეჰყარა იამპოლისა და შოსტაკის გარნიზონები და იერიშით თავს დაგვესხა სოფელ ჩერვონაია დუბრაეაში დასასვენებლად დაბინაებულ პარტიზანებს. არ დავიბენით, ყოველი მხრიდან შევესიეთ მოწინააღმდეგეს და დიდი ზარალით უქუვადეთ. ეს მნიშვნელოვანი გაკვეთილიც კარგად დაიმახსოვრა მტერმა. ამ ბრძოლის შემდეგ ისე გავიარეთ მთელი სუმის ოლქი, რომ მტერმა ველარ გაბედა წინ გადაგვდგომოდა. ხშირად შეუსვენებლად ორმოც კილომეტრს ისე გავივლიდით, რომ მოწინააღმდეგის ქაჭანებმარსად იყო.

აი უკვე ჩერნიგოვის ოლქში ვართ. ქალაქ კოროპს მივუახლოვდით. მდინარე დენნი ნაპირზე გასასვლელად

საქირო იყო ამ ქალაქზე გავლა. მზვერავებმა გვაცნობეს—ქალაქში მტრის ძლიერი გარნიზონი იმყოფებაო. ბრძოლის დაწყება აქ უაზრობა იყო. მართალია, გარნიზონს დაეპარცებდით, მაგრამ ამ ოპერაციაში საგრძნობი მსხვერპლის გაღებაც დაგვეპირდებოდა. ამავდროს მტრის შორეულ ზურგში მოქცეული პატარა ქალაქის აღებას სტრატეგიული თვალსაზრისით აბა რა მნიშვნელობა ჰქონდა!

წინდახედულად მოქმედებდნენ კოვბაი და რუდნევი. ისინი როდი სცდილობდნენ ყოველ გზაჯვარადინზე წაქინკლავებოდნენ მტერს. სამაგიეროდ, როცა დაჰკრავდნენ,—ეს დაკვრა სასიკვდილო იყო. და რეიდის დროს ასეთ დიდ ბრძოლაში ვებმოდით მხოლოდ იქ, სადაც ეს აუცილებელი და გარდაუვალი იყო. პარტიზანთა მეთაურებმა კარგად იცოდნენ, რომ მათა შენაერთის ძალზე გარკვეული მიზანი აქვს: მან უნდა მოშალოს, დაარღვიოს მტრის ზურგი, შეაშფოთოს, დაასუსტოს, დაჯაბნოს დამპყრობელი, ჩაშალოს მისი სამხედრო ღონისძიებანი, გადაუჭრას ფრონტი აკენ მიმავალი სასიცოცხლო ძარღვი, დარაზმოს მტრის წინააღმდეგ მშვიდობიანი მოსახლეობა.

იყო შემთხვევები, როცა ღამეში 5—8 ზიდს ვაფეთქებდით, ვნაღმავდით და ვშლიდით რკინიგზის ლინდაგს, კავშირგაბმულობის ქსელს; მოწინააღმდეგე იქანცებოდა ამ ბრძოლებში. მტერმა არ იცოდა სად და როდის დავესხმოდით თავს, დღისით თუ ღამით გაუუმართავდით ბრძოლას. ბევრჯერ და უმეტეს შემთხვევაში იქ დავარტყამდით, სადაც მოწინააღმდეგე არ მოგველოდა. დავარტყამდით, გავანადგურებდით და იმ არემარადან სასწრაფოდ გავქრებოდით.

ხანდახან კი მტერს ვუსაფრდებოდით და მის მოახლოებას სულგანაბულნი ველოდით. აი გამოჩნდებოდნენ მწვანე ფარაჯებში გამოწყობილი გერ-

მანელი ჯარისკაცები, უეცრად ატეხდით სროლას, ისინი მოცულადგმავით ეცემოდნენ მიწაზე და ხშირად სივრდილი მანამდე მოუპწრებდათ ხოლმე, ვიდრე გაიგებდნენ, თუ საიდან ესროლეს მათ. ჩვენ კი ბრძოლის შემდეგ ისევ გზაზე ვიდექით, ამ საათში რომ მდინარის ერთ მხარეზე ვიყავით, მეორე საათში მის მეორე ნაპირზე გავჩნდებოდით.

პარტიზანული ბრძოლა მოულოდნელობასა და სისწრაფეზეა დამოკიდებული. ესა სწყვეტს პარტიზანული რაზმის, თუ შენაერთის გამარჯვების ბედს. ჩვენც ამ მხრივ ზუსტად ვიცავდით ამ სასახლო ტრადიციას, ამ უკვე ნაცად ტაქტიკას. ამიტომაც ხდებოდა, რომ ერთი მუჟა პარტიზანები ყოველთვის გამარჯვებულნი, დიდი ნადავლით წინ მივიწყებდით.

ყოველ ახალ ადგილზე მისვლისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებოდით, რომ ხალხი ჩვენთან იყო, მოუთმენლად გველოდა. კვლავ გულუხვად და გულთბილად გვხვდებოდნენ სოფლები. აქ, ჩერნიგოვის ოლქში ჩვენ პარტიზანები კი არა, რეგულარული ჯარის მზვერავები ვეგონეთ. ეს არც საკვირველია: სხვა სამხედრო საქურველზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენ განკარგულებაში მყოფი აღალების რიცხვი იმ ხანებში, ათას ცალს აღემატებოდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გრანდიოზულ სურათს წარმოადგენდა ჩვენი ტალღადდამართული პოლკების მწყობრები, ქვეითი და ცხენოსანი ჯარები. მოსახლეობა სიზარულის ცრემლებს ღვრიდა ჩვენს დანახვაზე.

დავებრუნდეთ ისევ ჩვენი რეიდის ამბავს. წელან უკვე ვთქვით, რომ ჩვენ ქალაქ კოროპს მივუახლოვდით.

გადავწყვიტეთ ქალაქიათვის გვერდი აგვიხვია.

გამოცდილი მეგზური იყო საქირო და აი აქ ერთმა უკრაინელმა პატროტმა ქალმა დიდი სამსახური გაგვიწია.

ის წინ გაგვიძღვა და მოხერხებული გზით ისე გაგვატარა, რომ კოროპში მტერს არაფერი გაუგია. უვნებლად გავედით მდინარე ღესნას ნაპირზე.

ისე ახლო ჩაეუარეთ კოროპს, რომ საოცარი იყო—რაბომ ვერ შეგვამჩნია მტერმა. პარტიოტი ქალი ვაეკაცური ნაბიჯით მიგვიძღვოდა წინ. დამშვიდობებისას დიდი მადლობა გადაუხადეთ. რამდენი არ ვთხოვეთ და ვემუდარეთ, მაგრამ მან თავისი სახელი და გვარი არ გვითხრა.

— კარგად იარეთ, გამარჯვებას ვისურვებთ, არც თქვენ ვთხოვეთ მითხრათ თქვენი სახელი და გვარი და ჩემიც ნუ ვინდათო,—გვითხრა ქალმა, სიცილ-კისკისით გაბრუნდა უკან და მოგვაძახა,—გისურვებთ გერმანიაში ჯანმრთელად ჩასვლასო.

როგორც ვთქვი, მდინარე ღესნაზე უვნებლად გადავედით. ნოემბრის პირველ რიცხვებში უკვე შჩორსის რაიონში ვიყავით. აქ ხომ თავის დროზე სამოქალაქო ომების განთქმული გმირი ნიკოლოზ შჩორსი იბრძოდა. ამ რაიონში შჩორსის სახელობის პარტიზანული რაზმები დაგვხვდა. აქ ჩვენს რიგებს ბევრი მაგარი და გულადი ვაეკაცი შემოუერთდა. როგორც ყველგან, აქაც საზარელი სურათი გადაგვეშალა თვალწინ: გადამწვარი სოფლები, ნასახლარები. ბოტნებში და ბაღებში ტყველ დამდგარიყო სარეველა ბალახი.

მოსახლეობა სანახევროდ ტყეში გახიზნულიყო. ვაიგეს თუ რა ჩვენი მოსელის ამბავი, გახიზნულები ტყიდან გამოვიდნენ და სოფლებისაკენ იწყეს ღინება. საშინელ დღეში იყვნენ ისინი, ამიტომ ზოგს სურსათი მივაწოდეთ, ზოგს მედიკამენტებით დავეხმარეთ.

პარტიზანული შენაერთის სული და გული, კომისარი რულნევი ამ რაიონებში ავტაცია-პროპაგანდას განსაკუთრებული სიხალისით და ინტენსიურობით ეწეოდა. თვეობით და წლობით

„დიდ მიწას“ მოწყვეტილი მოსახლეობა, როგორც მგზავრი უდამნაშავესის ცივ წყაროს, ისე დაეწაფა რულნევის მგზნებარე მოწოდებებს.

რულნევი ყველაფერი იყო ჩვენი თვის — ის იყო ჩვენი იმედიც, ჩვენი სინდისიც და დიდებაც. სიტყვით ძნელი გამოსახატავია ის მამობრივი მზრუნველობა, რომელსაც კომისარი დაქრილთა მიმართ იჩენდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც კარბატების მთებში ბრძოლის დროს აუცილებელი გახდა დაქრილების მოსახლეობისათვის გადაბარება. დაქრილები თვითონ გრძნობდნენ, რომ ყოველ დღე მთებში მათი ტარება ძნელი იყო. ამისათვის გადასწყვიტეს კოვაკმა და რულნევმა სანდო პირებისათვის ჩაებარებინებინათ დაქრილები.

რულნევს თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა, როდესაც დაქრილებს მოსახლეობას ვაბარებდით, თვითონ დაქრილები რულნევს ასე მიმართავდნენ: „სიმონ ვასილის-ძე, თქვენ ნუ ჯავრობთ, მალე თქვენთან ვიქნებითო“.

აი ასეთი ნამდვილი ჰირსიუფალი და მამა იყო რულნევი. სად ატარებდა იგი თავისუფალ წუთებს? ავადმყოფებთან და დაქრილებთან. როგორც დახელოვნებული ექიმი ისე უვლიდა ავადმყოფებს, წყლულს-ბანდა, წამალს და საჭმელს აწვდიდა ნუგეშს სცემდა.

მძიმედ დაქრილები, პირველ მოხერხებულ შემთხვევისთანავე, თვითმფრინავებით „დიდ მიწაზე“ იგზავნებოდნენ.

შვიდ ნოემბერს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავზე, ჩვენი შენაერთი იღვა იმ ადგილას, სადაც მდინარე სოკი ღნებრს უერთდება.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს მიდამოები და ის დილა, როცა ჩვენ აქ ორი მდინარის შესართავთან, ვიანი შემოდგომით გაძარცულ ტყე-



ში გულის თრთოლვით ვისმენდით ბელადის საოქტომბრო ბრძანების სიტყვებს. და ამ ბრძანების ყოველ სიტყვას ისევე ძლიერი ძალა ჰქონდა, როგორც ბელადის მიერ გამოგზავნილ ქვეშევრდებს.

ბელადი ამბობდა ამ ბრძანებაში:

„შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული“.

სოკისა და დნებრის შეპართავის პირდაპირ მდებარეობს პატარა დაბა ლოვევი. კოვპაკის განკარგულებით ამ დაბის ასაღებად გაიგზავნა რამდენიმე ასეული, მაგრამ სანამ ეს უკანასკნელნი დანიშნულ ადგილს მიაღწევდნენ, მზვერავებს უკვე მოესწროთ ქალაქის დაკავება.

გაგვიძნელდა მდინარე დნებრის გადალახვა. ხიდი ახლომანლოს არსად იყო. მხოლოდ ნავეებით და ბორანით შეეძლებოდა მარჯვენა ნაპირზე გადასვლა. ამასობაში საბურთის პარტიზანების შენაერთიც მოადგა დნებრის ნაპირებს. ამხანაგ სტალინის განკარგულებით, საბურთის პარტიზანული რაზმი, როგორც კოვპაკის შენაერთი უკრაინის ჩრდილოეთ ნაწილიდან მის დასავლეთ ნაწილში უნდა გადასულიყო. სამი დღედაღამე მოვუძღვით მდინარეზე გადასვლას. ენით არ გამოითქმება ის გაჭირვება, რაც იმ ხანად ჩვენ განვიცადეთ. დრო არ ითმენდა, სამი ნაღვი და ერთი ბორანი, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში იყო, ამაზე მოკლე ხანში ვალმა ვერ გადაიყვანდნენ ჩვენს პარტიზანებს და ვერ გადაიტანდნენ იარაღს. ამიტომ იძულებული ვავხდით ცხენებით, მსხვილფეხა საქონელი და ნაწილობრივ მეზობლები მდინარეში გადაგვეშვა და ცურვით გადაგვეყვანა.

როგორც ვთქვი, ამ ოპერაციას სამი დღე მინც დასჭირდა. ამით ისარგებლა მტერმა, ჯავშნიანი და საბარგო მანქა-

ნებით დნებრის ნაპირზე ჯარი მოაკა-რა, გაიხლდა ხანმოკლე მატარებლებით და ჯავშანმძლველი იარაღით მოვსპეთ მტრის ნაწილები, ოცდახუთი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ წამოვიყვანეთ. რვა ნოემბერს, საღამოთი, ლოვეში სახეიმო მიტინგი ჩავატარეთ. იმავე ნავეებით და ბორანით, რომლებითაც ჩვენმა შენაერთმა ისარგებლა დნებრზე გადმოსვლის დროს, მეორე რიგში საბურთის ნაწილები ჩვენის დახმარებით გადმოვიდნენ მდინარეზე სრული წესრიგით.

ოცდაშვიდი დღის ბრძოლით და ლაშქრობით მოქანცულებმა ლოვეში საკმაოდ დავისვენეთ.

შემოდგომის მშრალი ამინდი აირია. აცივდა. ცა დაჰფარეს შავმა ღრუბლებმა. თქემად წამოსულმა წვიმამ ნიდაღვი მოაღბო და აატალახა.

მივადექით მდინარე პრიპიატს და შემდეგ ოლევსკის რაიონს. ესაა სახლგარი უკრაინისა და ბულორუსიისა.

1942 წლის 18 ნოემბერს მდინარე პრიპიატი მსუბუქად გაყინული დაგვხვდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ გავგაფრთხილა: პრიპიატს ნუ ენდობით, ის საკმაოდ გაყინული არ არის და ზედ შედგომა სახიფათოაო. დრო კი არ ითმენდა და გავბედეთ: ტყვიამტრქევეების კაჟანქვეშ უმსხვერპლოდ გადავედით მდინარის მეორე ნაპირზე. ბორანი არტილერიისა და ტყვიამტრქევეების გადასატანად გამოვიყენეთ, მრავალი მსხვილფეხა საქონელი ჩაკვიცივდა და დაგველუბა ყინულის ნაპრალებში.

რუდნევი ხედავდა მეზობლთა სიმამაცეს და ღიმილით ამბობდა:

— ჰიტლერი რომ ხედავდეს, რამდენი შეუძლიათ ჩვენს არწივება, ჯავრით ქუჩაზე შეიშლებოდაო.

ჩვენ გზას განვაგრძობდით, მხნედ მივიწევდით წინ, დასავლეთისაკენ.

## VII

უკვე პოლესიეს მივადექით. გულ-  
ჩათხრობილი იდგა პირველი თოვლით  
დაფენილი ტყე. ამ თოვლივით თეთრი  
ცხენი რუდნევისა უფრო სწირად გა-  
მოჩნდებოდა ხოლმე წინ, სადაც მწვე-  
რავები მიდიოდნენ, ყველას ამხნევებ-  
და, ახალისებდა ეს დაუცხრომელი და  
გულადი ვაჟკაცი.

გაუვალი ჭაობებითა და ტყეებითაა  
დასერილი პრიპიატის და მისი შენაკა-  
დების ბასენი. ამ ვრცელ ტერიტორი-  
აზე, რომელიც ასეულ კილომეტრებზეა  
გადაკიშული, სულ რამდენიმე ქალაქი  
თუ შეგხვდებათ. უზარმაზარი ტყის  
მასივი დაჭაობებული და გაუვალია.  
აქ ბევრი სოფელი—თავისი მიუვალი  
მღებარეობის გამო — გადარჩენილი-  
ყო გერმანელთა კლანჭებისაგან.

უმრავლეს სოფლებში კი კვლავ ნაც-  
ნობი სურათი ვეხვდებოდა—განუკით-  
ხავად თარეშობდნენ დამპყრობელნი.  
ჩვენ უკვე კარგად ვიცოდით, რომ თუნ-  
და ცეცხლი წაჰკიდებია სოფელს და  
თუნდა შიგ გერმანელები შესულან,  
თუნდა წარღვნა მოსულა და თუნდა ეს  
ძალდაპირები მოშაგებულან — ეს  
სულ ერთი და იგივეა.

ამ მხარის ოთხი ვეებერთელა რაიონ-  
ი გერმანელებს ერთ ოლქად ანუ რო-  
გორც თვითონ უწოდებდნენ „გებბი-  
ტად“ გაეერთიანებინათ და ოლქის  
უფროსს ანუ „გებბიტს-კომისარს“ თა-  
ვის რეზიდენციად პატარა ქალაქი  
ლელჩიცი აერჩია.

ლელჩიციში მტრის მონრდილი გარ-  
ნიზონი იდგა. გებბიტს-კომისარიატი  
ქალაქის ცენტრში იყო მოთავსებული.  
მას ფანდარმერიის გაძლიერებული ბა-  
ტალიონი იცავდა. ამ შენობის მახლობ-  
ლად მღებარე პარკში დამპყრობელებს  
სიმაგრეები გაემართათ: ლენინის ძეგ-  
ლი აედოთ და პიედესტალის ოთხ  
კუთხეში ამოჭრილ ორმოებში ტყვიან-

მტრქვევები მოეთავსებინათ. ქალაქი  
ყოველი ფეხის გადადგმარს სანგრებით  
იყო დასერილი.

ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ მტე-  
რი აქ მშვიდად თავს ვერ გრძნობდა.  
და მართლაც საკმაო იყო ლელჩიციის  
გარნიზონის შემუსვრა და მთელი ეს  
მხარე აღებულად ჩაითვლებოდა.

კოვბაკმა გასცა ბრძანება ლელჩი-  
ციის აღებისათვის. ფოლადის რკალად  
შემოერთყნენ ქალაქს მეომრები და  
სიგნალს-ლა უცდიდნენ ბრძოლის და-  
წყებისათვის.

იერიშის წინა დღით კოვბაკმა რო-  
გორლაც მოახერხა და სოფელ ბუინო-  
ვიჩიდან ტელეფონით დაურეკა ლელ-  
ჩიციის გერმანულ კომენდატურას. კო-  
მენდანტი არ იყო, ტელეფონთან ვილაც  
ოფიცერი მოვიდა.

— უფროსი აქ არ არის, რა გნე-  
ბათ?—დამტყრეული რუსულით გა-  
მოელაპარაკა კოვბაკს გერმანელი ოფი-  
ცერი.

— მე ის მნებავს, რომ თქვენი სინ-  
სილა არ იყოს ჩვენს მიწაწყალზე!

— ვინ მელაპარაკება?

— მე წითელი არმიის ნაწილის უფ-  
როსი ვარ.

— აქედან წასვლა ჩემზე რომ იყოს  
დამოკიდებული, მე აქ ერთ წუთსაც არ  
გავჩერდებოდი!

— გადაეცით გარნიზონის უფროსს:  
აიყაროს იარაღი და უხმოდ ჩაგვბარ-  
დეს.

— კარგი, მე თქვენს წინადადებას  
ვაცნობებ უფროსს.

სთქვა ეს ოფიცერმა და თავზარდა-  
ციმულმა ფრთხილად ჩამოჰკიდა ტე-  
ლეფონის მილი.

ბრძოლის წინა დღე თავდებოდა,  
როცა თოვლმა ბარდნა დაიწყო. ამი-  
ტომ ეს პატარა ქალაქი ახლა პაერში-  
მოფარფატე თოვლის ფანტელებს იქით  
ძლივსლა სჩანდა. მკრთალად ირჩეოდა  
ხეებისა და სახლების მოხაზულობა,



ვიდრე ლამის სიბნელე არ ჩამოგვეფარა თვალბზე.

დინჯად და ბარაქიანად თოვდა.

ახალი შებინდებული იყო, როცა პარტიზანებმა ვაზნები მიიღეს. აავსეს თასმის სავაზნეები, პირამდე გასტენეს ავტომატის დისკოები, მერე მაზარის, შარვლის და ზოგმა ხალათის ჯიბეებში ჩაიყარეს. ყველაფერზე მზად არის იერიშისათვის, ყველაფერი. მაშასადამე, ახლა ქამაზე შეიძლება ფიქროს კაცმა: საღდაც უკან, ტყეში საველე სამზარეულო იყო, რომელიც დღეს მარხილით მოათრიეს. საჭმლის მოლოდინში, ვისაც სად მოუსწრია მუხლის ჩახრა—იქ შეჩერებულა. ერთნი საუბრობენ, მეორენი ფიქრებში წასულან, მესამენი პაპიროუსს აწყობენ, რომ უხვი ვახშმის შემდეგ მადიანად მოსწიონ.

ძალე საჭმელიც მოიტანეს. პარტიზანების ქვაბუნები აივსო ცხელი ფაფით, რომელშიაც მსუქანი ცხერის ხორცი იყო ჩაჭრილი. რაღაც ძალზე გემრიელი იყო ისიც და ის ჭვავის პურიც იმ ღამეს, ბრძოლის წინ. თითქოს პურის უნახავი ვყოფილიყავით და, მთელ სიცოცხლეში პირველად ვჭამდით მას ნეტარებით.

ომში კაცს საჭმელი სიოცრად ამშვიდებს და აწყნარებს, ცაც რომ ჩამოქცევას აპირებდეს.

ღამე იყო და ისევ თოვდა. ამ ღამით მივაგორე ჩემი ქვემეხი ქალაქის ბაღის ახლოს, გებბიტს-კომისარიატის მახლობლად.

გათენებამ მოაღწია, როცა ჩვენი ზარბაზნები და ნალმტყორცნები აგუგუნდნენ. საარტილერიო მომზადება იწყებოდა. სეტყვასავით დავაყარე ყუმბარები შენობას, რომელიც მტერს თავის მთავარ ბუნჯად ეჭია. სტვენდნენ და გრუხუნებდნენ ყუმბარები მკრთალ რიერაჟში, რომელიც ის-ის იყო ეფინებოდა ქვეყანას. ნისლში შე-

რეულ მკრთალ სინათლეს წამდაუწყუმ ცეცხლის ზოლები სერავდნენ და ჭფარავდნენ. ცის ჭერს ვაეკრა გებბიტს-კომისარიატის შენობიდან ამდგარი ხანძრის ბული. გაძლიერებული ცეცხლით გვიპასუხა მოწინააღმდეგემ. ის იყო კიდევ მეკავშირემ ჩემთან მოირბინა და კოვპაკის ბრძანება გადმოცა: „ცოტახნით კიდევ შესძელი, დავით, გაუმკლავდიო“. ჩემი გაჩერება მარტო სიკვდილს შეეძლო, სხვას არაფერს. კვლავ ბუბუნებდა ჩემი სიმოცდათექვესმეტ მილიმეტრიანი „ომის ღმერთი“. ყველასთვის ვინც ამ მოზანზარე ბუბუნს ისმენდა, ახლა უკვე, განკარგულების გარეშეც ცხადი იყო, რომ როგორც კი დამთავრდებოდა საარტილერიო მომზადება,—იერიში უნდა დაწყებულიყო.

ერთი წუთის დაგვიანებაც არ შეიძლებოდა.

ის იყო გათენდა კიდევ და უცნაური სანახაობა დაგვიდგა თვალწინ: ისევ ისე, როგორც გუშინ, თეთრი და ქალწულებრივი თოვლით დაფარული იყო ქალაქი. მხოლოდ ბაღის მიდამო და გებბიტს-კომისარიატის ეზო გაშავებულიყო. წყვდიადის ფერი დასდებოდა მიწას. არტილერიისტებმა იმდენი ცეცხლი დავაყარეთ იმ ღამეს და იმ ცეცხლმა იმდენი ჭვარტლი დათოვა, ისე გადახნა და გადააბრუნა მიწა, ისე გადასთხარა და დაღადრა ის, რომ მთელ მიდამოს თაღხი და ძაძა გადაფარებოდა.

მირბოდნენ წინ ბიჭები, რაღაც ერთ ამოქუნთქვასავით, წუხანდელი ცეცხლივით აწყდებოდნენ მტერს თავზე. მათ ველარ აჩერებდათ გერმანული ტყვიამფრქვევების ცეცხლი, რომელთა ბუდეები იმ ღამეს აქა-იქ დარჩენილიყვნენ. გებბიტს-კომისარიატის შენობა და ბაღში აგებული სიმეგრე ნაფოტებად და ნაცარტუტად აქცია არტილერიამ. ნაწილი საცეცხლო ბუ-

დებისა აქა-იქ მაინც გადაჩნა. მერე ქვეითმა მებრძოლებმა ჩააქრეს ისინი. ჰოდა, იმ ბუდეებიდან ახლაც გააფთრებულნი და გამწარებულნი ისროდნენ. მაინც ვერაფერი აჩერებდა მებრძოლებს, მირბოდნენ ისინი წინ. ისე სწრაფი იყო ის მოძრაობა, ამ ნაცნობ ბიჭებს ველარა ვცნობდი, მათი თეთრი სანიღბო ხალათები-ღა მედგა თვალწინ, ოდნავ, სულ ოდნავ რომ ირჩეოდნენ თოვლისაგან, რადგან წუხანდელი სისველის გამო ტალახისფერი დასდებოდათ. // უცებ ამოიზრდებიან თოვლიდან ეს ხალათები და ისევე ამ სითეთრეში დაიკარგებიან, ისევე სწრაფად, როგორც გამოჩნდნენ.

სახეებზე ვეღარ იცნობდი, ვეღარც ხმაზე: ამ ბუბუნში ხმას ვინ გაიგონებდა, საკუთარი წამოძახილი არ გესმოდა და არც ის იცოდი—ყვირი, თუ ჩურჩულით ლაპარაკობ. ჩანდა მარტო რაღაც მიწის ძალასავით ძლიერი სიმხნევის, სიცოცხლის სუნთქვა, რაღაც რიტმი საიერიშო შთაგონებისა. მებრძოლის ცხოვრების ამ წუთების აღწერა ძნელია, მით უფრო ძნელია შტურმზე, გადასული პოლკის სულის გადმოცემა ისევე, როგორც იმ ქარიშხლისა, აქ რომ დაიგრიოლებს ხოლმე, პოლესიეს ამ თოვლიან მინდორში, ხეებს გადააქუნავს, კაცს წააქცევს, სახლებს სახურავებს მოჰკლეჯს და გაიტაცებს.

აგერ ჩვენი პარტიზანები. თავისი ქორისებური თვალეები წინ მიუპყრიათ. ქუჩებში შეიქრნენ, სახლებში ხელუშმარები გადაჰყარეს, მერე თვითონაც თან შეჰყვნენ. ის, რაც ჯერ ისევე ღამით ქვემეხებმა დაიწყეს, ხიშტმა დაამთავრა.

მტრის გარნიზონი საბოლოოდ წელში გატეხილი და განადგურებული იყო. არცერთი ჯალათი ცოცხალი არ დაგვიტოვებია. თვითონ გებბიტს-კომისარი და მისი ცოლი ქუჩაზე ეყარ-

ნენ, გაქცევისას მოსწეოდა მით პარტიზანის მიზანსა უცდენდნენ ტყვეობა.

გებბიტს-კომისარიც... შენობას ჯერ ისევე ცეცხლი ეკიდა. გაძლიერებულიყო ხანძარი, აღს ფანჯრებიდან გარედ გადმოეხეთქნა, ტკაცუნით და შრიალით შემოპხვეოდა კედლებს. გერმანელებს შენობაში ვაზნების საესე ყუთები მიეტოვებინათ. ვაზნები მხურვალეებისაგან ფეთქდებოდნენ და თუმცა ბრძოლა დამთავრებული იყო, მაინც ისეთი ჯოჯოხეთური სროლა ისმოდა, იფიქრებდი, შეტაკება სწორედ ახლა იწყებოდა.

ასობით, ათასობით გასროლის ხმა შერწყმულიყო ხანძარში.

ახლა ლელჩიცში აღარც ერთი შეიარაღებული გერმანელი აღარ იყო. ერთნი გაიქცნენ, მეორენი ტყვედ ჩაეპარდნენ. დანარჩენები ქუჩაზე, ეზოებში, თოვლში პირქვე ეყარნენ. ზოგი უცებ გაქცევილიყო, ზოგიც სულმობრძავი იყო და ხელებით, კრუნჩხვით სთხრიდა თოვლში ახელილ მიწას.

მებრძოლები და მეთაურები ნელ-ნელა გროვდებოდნენ. აგერ რუდნევიც გამოჩნდა, მთლად ოფლში გახვითქული. მაშაჩა გაეხადნა, ხელთათმანები ქამარში ჩაეჩარა. სახლის დირეზე ჩამოჯდა, შუბლიტან ოფლი მოიწურა და თამბაქო სქლად გაახვია.

— ცხელა, — სთქვა მან, — ძალიან ჩამოცხა...— და მაღიანად ღრმა ნაფაზით გააბოლა.

სიცხე კი არა, კახქახა ყინვის სუსხით იყო ჰაერი შეკრული.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ დანგრევას გადაჩენილი ლელჩიცის მრავალი შენობა სამხედრო ქონებით გამოკვდილი აღმოჩნდა. სახელდახელოდ მოკვრიფეთ ქუჩებში | მოფანტული მტრის ურიცხვი სამხედრო საჭურველი, ასე, რომ ძალზე დიდი ნადავლი დაგვრჩა.

ლელჩიცის ალების შემდეგ პარტიზა-

ნებისათვის პოლესიე ფასდაუდებელ ბაზად იქცა.

27 ნოემბერს ჩვენი შენაერთი პოლესიეს ტყეებს შუა მოქცეულ სოფელ გლუშევიჩში დაბანაკდა. ეს სოფელი სარნა-კოროსტენის რკინიგზის სადგურების მახლობლად მდებარეობს. პირველ დღეს ამ გზის ერთ ერთ სადგურის მახლობლად ცხრა დიდი ზიდი ავაფეთქეთ.

დაიბნენ გერმანელები, აღარ იცოდნენ რა ელონათ, რა გზას დასდგომოდნენ. პარტიზანები კი ამ გამარჯვებებმა გაამხნევა, ამას ისიც დაერთო, რომ ჩქარა რადიოთი შევიტყვეთ — სტალინგრადში საბჭოთა ჯარებმა პაულიუსის მეექვსე არმია რკინის სალტეში მოიმწყვდიესო. ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი აღარა ჰქონდა.

გული გვევსებოდა სიამაყით, როცა სტალინგრადთან გამართული გიგანტური ბრძოლების ამბებს გავიგებდით ზოლზე. აქ ლეწავდა საბჭოთა ჯარი გერმანულ ჯოჯოხეთურ სამხედრო მანქანას. სწორედ იმ ხანებში ბნელი-ანმა გებელსმა გააფრცელა ხმები, თითქოს მათ სტალინგრადში ახალი იარაღი გამოიყენეს—ელექტრო-ტყვიამფრქვევი, რომელიც წუთში სამი ათას ტყვიას ისვრისო და ამით უნდოდათ თავი ენუგეშებინათ. მაღე საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობიდან შევიტყვეთ, რომ ეს გებელსის ჩვეულებრივი ქორი და ზღაპარი იყო. სტალინგრადის დიდების შუქი ჩვენც გულს გვითბობდა, ღონეს გვმატებდა.

უნდა ითქვას, რომ პოლესიე პირდაპირ მიქსრება იყო პარტიზანული მოძრაობისათვის. სწორედ ამიტომ უწოდა რულენემა პოლესიეს „პარტიზანების მხარე“. ფართოდ გაიშალა ჩვენი ოპერაციები, მრავალი ბრძოლა გადავიხადეთ და ვერც შევიტყვეთ, თუ როდის დაგვიღვა ვაზნების კრიზისი. ახლა თვალისჩინივით ვუფრთხილდე-

ბოდით ტყვია-წამალს. მტერმა არ იცოდა ჩვენი ვასკირი. ცხადია, მრუტობელი იყო საომარი მანქანის შოვნა და მარაგის შევსება. რომ ტყვიაწამალი დაგვეზოგა—ძულელებული გავხდით სამხედრო ოპერაციები დროებით შეგვინელებინა. ამხანად ერთმა კარგად მოფიქრებულმა ოინმა, თუ მოხერხებამ გამოგვიყვანა ვაჭირგებიდან.

აფეთქებული ზიდების უვნებლად გადარჩენილ ბოძებზე მსხვილი გოგრები ჩამოვკიდეთ. მტერმა ეს მაშინვე შეამჩნია და მას რაღაც მნიშვნელობა მისცა. ექვი აიღეს—აღბათ, გოგრები დანაღმულია და ჩვენი მახეში ვაბმა უნდათო. დაუწყეს ჯერ შორიდან დურბინდით შინჯვა, მერე ავტომატები დაუშინეს საცოდავ გოგრებს. სინამდვილეში გოგრები დანაღმული არ იყო.

დიღხანს დარჩა ბოძებზე ჩამოკიდებული ეს ალაღ-მართალი გოგრები. ორჯერ მოიყვანეს გერმანელებმა კომისია ვარშაიდან და ლიუბლინიდან, რათა აეხსნათ ეს „გამოუცნობი საიდუმლოება“. ამასობაში ჩვენ დრო მოვიგეთ და სამხედრო მასალის შოვნა შევეძელით.

ამ ხანებში სოფელ ელსკიდან გლუშევიჩში ჩვენთან მოვიდა პარტიზანული რაზმი, რომელიც ორი ასეულისაგან შესდგებოდა. კოვპაკმა და რულენემა მიზანშეწონილად სცნეს ეს ასეულები თავის სოფელში—ელსკშივე დაეტოვებინათ. ეს კი იყო, ამ რაზმის მებრძოლები კარგად გაწრთენეს და შეაიარაღეს. შემდეგ რაზმი გაიგზავნა თავისავე რაიონში.

ეს გამოჩაკლისი როდი იყო. ყოველ დღე მოდიოდნენ და ახალახალ მებრძოლთა ნაკადებით ივსებოდა ჩვენი შენაერთი. პოლესიეს რაიონებში ჩვენმა გამოჩენამ მოსახლეობა სულიერად გაამხნევა. მრავალი სოფელი შემდეგში მთლიანად ჩაება პარტიზანულ მოძრაო-

ბაში. გლეხებმა იწყეს გაბედულად ხიდების დაშლა, თხრილებით დასერეს შირაგზები და ვინ მოსთვლის, გერმანელების შესაფერხებლად, დასაბრკოლებლად კიდევ რა საშუალებებს არ მიმართავენ სოფლელები. მოსახლეობას კრებებზე დადგენილება გამოჰქონდა—უზრუნველყოთ პარტიზანები სურსათითო.

სოფელ გლუშკევიჩში საკმაოდ კარგად დავისვენეთ. ზომიერად და დაზოგვით მიირთმევდნენ აქ პარტიზანები ლელჩიცის ალების დროს გეგბიტსკომისრის საწყობიდან წამოღებულ რომს და კონიასს. სასმელების ხმარება აკრძალული იყო ჩვენს ნაწილებში. ამხანაგი რუდნევი განსაკუთრებით წინააღმდეგი იყო მაგარი სასმელების ხმარებისა.

იმხანად საბუროვმა სლოვეციის რაიონში დაბანაკებული გერმანელების გარნიზონები გაანადგურა, რასაც მოჰყვა ჩვენი პარტიზანული სამფლობელოს კიდევ მეტად გაზრდა და გაძლიერება. ჩვენი ზრდის და გაძლიერების ამბავი ჰიტლერებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო იყო. ახლა მარტო პარტიზანები კი არ მოქმედებდნენ დამპყრობელების წინააღმდეგ, უზარმაზარი პოლესიეს ტერიტორიის მთელი მოსახლეობაც აქტიურად ჩიება ბრძოლებში.

გლუშკევიჩში ხანგრძლივად ყოფნამ საშუალება მისცა რუდნევს მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობა ფართოდ გაეშალა. პოლესიეში წარმოებული ცხარე ბრძოლების შედეგად დაჭრილთა რიცხვმა იმატა. საღამოობით რუდნევი სულ მათთან იყო, ესაუბრებოდა და მისი ყოველი სიტყვა მალამოსავით ზვდებოდა დაჭრილ პარტიზანთა გულს.

ასე მიდიოდნენ დღეები,—და ყოველი დღე სავსე იყო შფოთით, ბრძოლით და დაუღალავი საქმიანობით.

ლელჩიცის ბრწყინვალე ოპერაციის შემდეგ ჩვენი ყურადღება სარნამ მიიბყრო. ეს იყო რკინიგზის დიდი საკვანძო სადგური, გერმანელთა ეკონომიური და სტრატეგიული ბაზა. დღე-ღამე განუწყვეტელი მოძრაობა იყო ამ გზებზე. გერმანელები უმთავრესად ამ კვანძით ჰკვებავდნენ ფრონტს საომარი მასალით და ცოცხალი ძალით. ამ გზით გაჰქონდა მტერს გერმანიაში ბური და ამავე გზით იგზავნებოდა ჰიტლერის საბრძანებელში დატყვევებული მოსახლეობა. აქ გადიოდა გზა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ბარანოვიჩი—როგნო) და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (კოველი—კიევი).

გადაწყვეიტეთ ამ სარკინიგზო კვანძის მოსპობა. სარნის ახლოს რკინიგზის ვეებერთელა ხიდები იყო აღმართული. საკმაო იყო ეს ხიდები განადგურებულიყო და სარნაც ჰკარგავდა თავის ეკონომიურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას.

გადაწყდა ოთხივე ხიდი აგვეფეთქებინა. აფეთქება ერთდროულად, ერთ დამეს უნდა მომხდარიყო. ამ ამოცანის შესრულება წილად ზვდათ მეთაურებს — კულბაქას, ციმბალს და ბერენოის. მათ ბრწყინვალედ შესძლეს დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ოცდაერთ დეკემბერს, ნაშუალამევის ოთხ საათზე ზედიზედ აფეთქდნენ სარნას გზაჯვარედინის ხიდები.

ვერ შეურიგდნენ ამ მარცხს გერმანელები და იწყეს ხიდებთან დიდძალი აღსადგენი მასალის მოზიდვა, მაგრამ ჩვენი მხედრების ძლიერმა ცეცხლმა არ მისცა მათ ხიდების აღდგენის საშუალება.

ამ ინტენსიური ტემპით წარმოებულმა დივერსიებმა შეაშფოთეს გერმანელები. „სს“-ს და ეანდარმერის რჩეული ნაწილებით აივსო სარნას მიდამოები. ჩვენც მზად ვიყავით ახალი ბრძოლებისათვის.

VIII

სწორედ იმ ხანებში სოფელ გლუშკევიში მტერმა შემოგვიტია. ვააფთრებული ბრძოლა დამითაც აღარა წყდება. ჩვენმა ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს დაეტოვებინათ გლუშკევიში და პარტიზანები ტუროვსკის რაიონში გადაეყვანათ. დაიძრა ჩვენი შენაერთი და როცა პატარა სოფელს ბუხჩას დაუახლოვდით, აქ გამაგრებული მტერი კვლავ გრიგალისებური ცეცხლით თავს დაგვატყდა. ახლა ეს სოფელი იქცა ბრძოლის ველად. მტერი სახლებიდან ქვემეხებისა და ტყვია-მფრქვევების ცეცხლით გამოვრეკეთ. ერთი დღე-ღამის ბრძოლის შედეგად ბუხჩა გავათავისუფლეთ.

ბუხჩის ბრძოლებში, მრავალთა შორის, თავი ისახელა ნაცადმა მშვერავმა გორკუნოვმა.

ამ გორკუნოვს კოვპაკის რაზმში მოსვლისას ძალზე თავისებური ამბავი შეემთხვა. ეს იყო 1941 წლის დეკემბერში; კოვპაკელმა მშვერავებმა დააკავეს მტრის საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოპარული წითელი არმიის ლეიტენანტი გორკუნოვი და შტაბში მოიყვანეს. როგორც შტაბის თანამშრომლები, ისე მშვერავები ჩაცმული იყვნენ მუქ-მწვანე ტანსაცმელში. გორკუნოვმა ეს ხალხი გერმანელების სამსახურში მყოფ პირებად მიიღო და თავი რომ განსაცდელისაგან დაეღწია, ვინ იცის რის როშვა არ იწყო: აქ წითელ არმიას სწვდა, იქ საბჭოთა ხელისუფლებას გაჰკრა. სულ-განაბული უსმენდნენ მას შტაბში მყოფნი. ამ დროს რუდნევი უცებ ზეზე წამოდგა და მოხურული მაზარა გაისწორა; გორკუნოვმა თვალი მოჰკრა რუდნევის მაზარის ქვეშ ხალათზე დაბნეულ წითელი ვარსკვლავის ორდენს და ცივ ოფლში გაიწურა. საბრალომ სცადა შეტკობის გამოსწორება, მაგრამ ამოდ, გვიან-და იყო. ის საყარაულოში მიაბრძანეს.

გორკუნოვმა მალე საქმით დაამტკიცა თავის ალალ-მართლობა. მტერთან პირველი შეტაკებისთანავე ის თავგანწირულად და ვაჟკაცურად იბრძოდა. რუდნევემა სთქვა: „ეტყობა კარგი ბიჭია, გამოდგება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც თვალყურის დევნებაა საჭირო.“

რუდნევემა გორკუნოვს მეთვალყურედ თავისი თექვსმეტი წლის ვაჟი, რადიკი მიუჩინა.

ჩვენს რაზმში ბლომად იყვნენ მცირეწლოვანი პატრიოტები. ისინი გვიერთდებოდნენ თითქმის ყოველ ქალაქს თუ სოფელში, რომელსაც გავათავისუფლებდით ხოლმე. ვინ იცის, რამდენი კომკავშირელი და პიონერი მოსულა ჩვენთან და პარტიზანების რიგებში ჩაწერა უთხოვნია. კოვპაკი და რუდნევი ზალისით ხვდებოდნენ ახალგაზრდების სურვილს და ყოველთვის აკმაყოფილებდნენ მათ განცხადებებს. ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული, პატრიოტიზმით გამსჭვალული ახალგაზრდები ბრძოლების დროს ხშირად სასწაულებს ახდენდნენ.

პატარა პარტიზანებს თავისი წრე ჰქონდათ. თავისუფალ დროს ანკესებით თევზაობდნენ, ან სხვა რამით ირობდნენ თავს. ბრძოლების დროს კი ისინი მშვერავებად და მეკავშირეებად იყვნენ გამოყენებული. ამ დარგში ახალგაზრდებს ბადალი არ ჰყავდათ. ისინი შეუღარებელი მშვერავები იყვნენ.

პატარა რადიკს რაზმში ცნობილ მშვერავთან ივანე არხიპოვთან ახლო მეგობრობა ჰქონდა. რადიკი თოთხმეტი წლისა იყო, როცა მამასთან ერთად მოვიდა რაზმში. კეთილმა და მგრძობიარე ბავშვმა მალე პარტიზანების საერთო სიყვარული დაიმსახურა. რადიკის და არხიპოვის ერთად-ერთი გასართობი ჭადრაკი იყო. თავისუფალ დროს

ეს ორი მეგობარი მუდამ ჰადრაკის დაფას უხსდნენ.

რადიკის გარდა, პარტიზანების რიგებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ორი თექვსმეტი წლის კომკავშირელი—ლიონა ჩეჩეტკინი და ლიონა საბელინი. ისინი ძალზე ჭკვიანი, მარჯვე და ცოცხალი ყმაწვილები იყვნენ. გამბედაობით და სამხედრო უნარიანობით მათ ხშირად განცვიფრებაში მოჰყავდათ უფროსი ამხანაგები.

ერთხელ პარტიზანები ღამის გაათრებულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული, ბრძოლა გახანგრძლივდა, გათენებამდე გასტანა... ისიც იყო ვაზნები გველეოდა, აუცილებელი გახდა ვაზნების დაზოგვა. საქმე ცუდად იყო.

ძალზე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ამ სიბნელეში ჩეჩეტკინი სადღაც გაჰქრა, ცოტა ხნის შემდეგ მტერმა ცეცხლი გააძლიერა, სჩანდა იერიშზე წამოსასვლელად ემზადებოდა. ამ დროს მეტყვიამფრქვევებმა ორი ლანდი შენიშნეს—ისინი მტრის ბანაკის მხრიდან მოემართებოდნენ.

—ვინა ხართ? შესდექით!—შესძახეს მათ პარტიზანებმა.

—მე ვარ, ლიონა,—უბასუხა ჩეჩეტკინმა, ორი წუთის შემდეგ, მან ყუთებაიკიდებული ცხენი მეტყვიამფრქვევებთან მოიყვანა.

—აჰა, ორი ყუთი ვაზნები, გერმანელებმა ვიფეშქაშეს. ახლა ისე გაუმასპინძლდით მტერს ამ საჩუქარით, როგორც გემარჯვებოდეთ,—ღიმილით მიმართა მეომრებს თავგანწირულმა ბავშვმა. თურმე ნუ იტყვიო, ლიონა კუპრისებურ სიბნელეში მტრის თავდაცვის რკალში გამძვრალა, იქ ღობეზე გამობმულ ცხენს წაწყდომია. ცხენი სამხედრო საქურველით იყო დატვირთული. ფრთხილად აუხსნია ის და ჩვენსკენ წამოუყვანია.

ლიონა ჩეჩეტკინის გმირობა ზღაპრისებურია, მაგრამ ნათქვამი უტყუარი

ფაქტია. ასე იხსნა თექვსმეტი წლის კომკავშირელმა განსაცდელისაგან პარტიზანები. იმ გადამწყვეტ ბრძოლაში ვაზნებით სავესე ორმა ყუთმა წაღმა შეაბრუნა ბრძოლის ბედი.

ნორჩ მებრძოლთა რიგებს ამშვენებდა აგრეთვე თოთხმეტი წლის პიონერი სემიონისტი, პარტიზანები მას „მიხეილ კუზმისს“ ეძახდნენ. პირდაპირ ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან პატარა სემიონისტი. ის შეუღარებელი მხედარი იყო. დაზვერვებზე ის ცხენით დადიოდა და დავალებებს ყოველთვის სანიმუშოდ ასრულებდა. ახლად აღებულ სოფელში ცხენდაცხენ პირველად ის შეიჭრებოდა ხოლმე. მერე გამობრუნდებოდა, წინ შემოგვეგებებოდა, სახელდახელოდ გვიამბობდა, რომელი მიმართულებით გაიქცნენ სოფლიდან ფაშისტები, სად რა რაოდენობით დასტოვა მტერმა საწყობები და როგორია მოსახლეობის სულისკვეთება.

ხუთმეტი წლის ბიჭები—კოლია შუბინი და ვალოდია შიშოვი ხომ რაზმის სული და გული იყვნენ! საჭიროების დროს ეს ორი პატარა გმირი ნემსის ყუნწში გაძვრებოდა ხოლმე. ისინი უფროსების დავალებას მუდამ უნაკლოდ, მუდამ სანიმუშოდ ასრულებდნენ. ამ პატარა ბიჭებმა არ იცოდნენ რა იყო შიში. დრო გამოშვებით ისინი ისეთ დავალებებს ასრულებდნენ, რომ ის საქმე დიდებსაც გაუჭირდებოდათ.

ამ პატარა მებრძოლების შეხედვა სიმხნევესა და სიხარულს მატებდა ყოველ პარტიზანს. დიდი, მრავალწევრიანი ოჯახის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა რაზმში ბავშვთა ყრბამული.

## IX

ბუხჩისათვის ბრძოლა, მართალია გერმანელების სრული დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ სოფელი მტრისაგან მაინც საბოლოოდ დაწმენდილი არ იყო. გერმანელები სოფლის ბოლოს, განა-



პირა სახლებში გამაგრდნენ. მათი მთავარი დასაყრდენი სოფლის სკოლის ქვის დიდი შენობა იყო. გერმანელებს სკოლის ბინა ციხე-სიმაგრედ ექციათ. ამ შენობას ქვემეხები დაუფინეთ და ცეცხლი ვაუფინეთ. ორი საათის განმავლობაში ხანძარმა შთანთქა სკოლის ბინა და შიგომწყვედელი გერმანელები. ვინც ხანძარს გამოასწრო,—შეუერთდა მეზობელ სახლებში გამაგრებულ თავისიანებს. ახლა ქუჩებში გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მტერმა მახალალების მეოხებით აცნობა მეზობელი სოფლის გერმანელ გარნიზონს—დაგეგმარეთო. კოვაკმა რჩეული ასეულები გაგზავნა იმ მიმართულებით, საიდანაც მტრის ხბალი ძალების მოსვლა იყო მოსალოდნელი. ბრძოლის დასასრული არ სჩანდა. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა ფეხში გორაკუნოვი. ის სახელდახელოდ მოვათავსეთ ქვემეხის ლაფეტზე და უშიშარ ადგილზე გამოვიყვანეთ. ნაშუადღევს სამი საათისათვის ბრძოლის უპირატესობა აშკარად ჩვენს მხარეზე იყო, მაგრამ სოფლის მთლიანად მტრისაგან განწმენდა მაინც არ მოხერხდა. აქა-იქ სახლებში შემთხვევით გადაჩენილი მტრის ჯარისკაცები მაინც გვიშენდნენ ტყვიამფრქვევებს.

როცა ხელჩართული ბრძოლა დაიწყებოდა ხოლმე—კოვაკს გული აღარ უთმენდა. მოხუცი მეომარი იმავე წუთს ებმებოდა ბრძოლაში, მაგრამ ყოველი ჩვენთაგანი ცდილობდა ეზრუნა მის სიცოცხლეზე. რამდენჯერ მე, პირადად, სამკვდრო-სასიცოცხლო, ხელჩართული ბრძოლებიდან კოვაკი ხელით გამომიყვანია.

ბუხნის ქუჩებშიც ხელჩართული ბრძოლის დროს უეცრად გამოჩნდა მათრახით ხელში მოხუცი ხელმძღვანელი და ბრძოლაში ჩაება.

ჯარასავით ტრიალებდა ქურქის ღი-  
3. „მნათობი“ № 6.

ლებშეხსნილი კოვაკი. პირველად კარპენკომ მიიბრინა მასთან და მტკიცედ მოსთხოვა ბრძოლის ველზე დასტოვებო, ჩვენ გაუუმკლავდებით მტერს, შენი ბრძოლაში მონაწილეობა შესაძლოა დამლუპველი გახდეს შენთვისაც და ჩვენთვისაცო, მაგრამ მოხუცმა არ ისმინა კარპენკოს სიტყვები. როცა ბრძოლა უფრო გამძაფრდა, იძულებული გახდა კოვაკისათვის ხელი წამეველო და სამშვიდობოზე გამომიყვანა.

ბუხნის შემდეგ ჩვენი რაზმი სოფელ ტონეის ესტუმრა. აქ ჩვენ პოლიციის გაძლიერებულ რაზმთან მოგვიხდა შეტაკება. ნაწილად პოლიციელებისა განადგურეთ, ნაწილმა მოასწრო გაფანტვა და-სხვა სოფელში თავის შეფარება.

პოლესიეში მისვლამდე დაჭრილების თვითმფრინავებით დიდ მიწაზე გადაყვანის საშუალება ყოველთვის გვქონდა. პოლესიე და განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი ნაწილი, ბუხნა—ტონეის ჩათვლით, იმდენად დაჭობებული იყო, რომ იშვიათ შემთხვევაში აქა-იქ ნახევარ პეკტარ მიწას მშრალს თუ შევხვდებოდით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაუვალი იყო პოლესიე. სოფლებზე მხოლოდ ერთი გზა გადიოდა. თუ ეს ერთად-ერთი გზა გადაიკეტებოდა, შემდეგ სოფლის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელი ხდებოდა. ყველგან ზღვა ქაობი იდგა. საკმაო იყო ათი-თხუთმეტი ზის მოჭრა, გზაზე დაფენა და შემდეგში ეს გზა არტილერიის, ტანკების და მანქანების მოძრაობისათვის მიუწვდომელი ხდებოდა.

პარტიზანები ვსარგებლობდით ამ გარემოებით, მოსახლეობას ვუკვეთდით გზის ნაპირას მღვარ უზარმაზარი ხეების მოჭრას და გზებზე დაწვენას. სოფლებს ჩვენი დავალება სისრულეში მოჰყავდათ, ამის შემდეგ გზა

იკეტებოდა და მასზე მოძრაობა წყდებოდა.

იყო შემთხვევები, როცა ბრძოლის კრიტიკულ წუთებში, მტრის მიერ შეზობელი სოფლებიდან გამოძახებული მამველი ძალები, გზის გადაკეტვის გამო, გამოძახებულებისაგან ვაითიშული რჩებოდნენ.

მტერი მაინც ახერხებდა ხეებისაგან გზის ვაწმენდას, მაგრამ ეს ყოველთვის აგვიანებდა მათ და მიზანს ვეღარ აღწევდნენ, პარტიზანები კი რამდენიმე ათეულ კილომეტრს გავივლიდით ხოლმე მანამდე, სანამ გზაზე მოძრაობა შესაძლებელი გახდებოდა.

თვითმფრინავების მიღება პოლესიეში არ ხერხდებოდა, საამისოდ საჭირო იყო აეროდრომი. ეს უკანასკნელი ფართო და მაგარ ნიადაგს საჭიროებდა.

პოლესიეში ასეთი ადგილი არ იყო. ამიტომ მოხდა, რომ ამ კუთხეში ხანგრძლივად ყოფნის დროს დაჭრილ-დაავადებულები საგრძნობი რაოდენობით დაგვიგროვდა. მართალია, პარტიზანების ხელმძღვანელებს დაჭრილებზე მზრუნველობა არასდროს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ, მაგრამ ზამთარში ასამდე მწოლიარე ავადმყოფის სოფლიდან სოფელში მარხილებით ტარება სამხედრო ოპერაციებს საგრძნობლად უშლიდა ხელს.

ამას გარდა, იმ ხანებში საომარი მასალის მარაგიც გამოგველია. მართალია, ანდაელი იარაღისათვის ვაზნების შოვნას, მტრის ხარჯზე, ადვილად ვახერხებდით, მაგრამ მშობლიური იარაღისათვის მასალის შეძენა მხოლოდ „დიდი მიწიდან“ გადმოგზავნის საშუალებით იყო შესაძლებელი.

ჩვენს წინაშე მკაცრად დაისვა საკითხი აეროდრომის შექმნის აუცილებლობაზე და მალე გამოსავალიც გამოინახა: სოფელ ლიაზოვიჩის მახლობლად, ათამდე კილომეტრის ტერიტორიაზე გადაჭიმული იყო ჩერკონის

ტბა. ამ ტბას ადგილობრივი ბელორუსელი გლეხები მეტსახელად „კენიაზ-ოზერო“ ეძახდნენ. ზამთრობით „კენიაზ-ოზერო“ მაგრად იყინებოდა და მოსახლეობის სიტყვით, მასზე მოძრაობა სრულიად თამამად შეიძლებოდა.

ზამთრის პერიოდში აეროდრომად მხოლოდ ამ ტბის გამოყენება იყო შესაძლებელი. კოვპაკის განკარგულებით „კენიაზ-ოზეროზე“ ჩავატარეთ პირველი საცდელი სამუშაოები: სააეროდრომო ადგილი მოიხაზა, ყინულის ზედაპირი მოსწორდა, დაახლოებით 140 ტონის სიმძიმის რაოდენობის ქვეითი და ცხენოსანი ჯარი დადგა ყინულზე, ყინული აქა-იქ გაიბზარა, მაგრამ ის არ ჩატეხილა. სარწმუნო გახდა, რომ თვითმფრინავების სიმძიმეს ყინული ადვილად გაუძლებდა.

რადიოთი ვაცნობეთ მოსკოვს აეროდრომის შექმნა, მაგრამ ჩვენდა გასათვრად, საავიაციო შტაბმა სახმელეთო თვითმფრინავების ყინულზე მიღების ნება არ დაგვართო.

ვაბრაზდა კოვპაკი, მან მტკიცედ გამოითხოვა მოსკოვიდან თვითმფრინავების გამოგზავნა. განმეორებით უარით უპასუხეს მოხუცს. სხვა გზა არ იყო, რამე უნდა მოგვეხერხებინა და აი კოვპაკმა მოსკოვს ასეთი შინაარსის რადიო გაუგზავნა: იქვე, ტბის მახლობლად გამონახულია ვრცელი, მაგარი ნიადაგიანი სააეროდრომო ფართობი, ეს უკანასკნელი ამჟამად მოსწორებული და მოტყეპნილია, ველით თვითმფრინავებს.

— თვითმფრინავები მალე მოვლენ, — იყო მოსკოვიდან პასუხი. საღამოს დაინთო რამდენიმე ადგილას ყინულზე სანაშენე კოცონები, მაგრამ თვითმფრინავები არსად სჩანან. მოუთმენელ ლოდინში გავატარეთ მეორე და შემდეგ მესამე ღამეც, არ უძინიათ კოვპაკსა და რუდნეცს, წარამარა შედიოდნენ და გამოდიოდნენ ისინი საშტაბო ოთახიდან,

ზშირად ორივენი კოცონების ირგვლივ შემომსხდარ გუშაგების შუა ჩასხდებოდნენ და სიტყვაწყლიანი მეომრების საუბარს ისმენდნენ. ლოდინის დასასრული არ სჩანდა.

ზოგი ჰირი მარგებელიაო, ნათქვამია. მეთევზეობაში გამოცდილმა გუშაგებმა ტბის ნაპირზე აქა-იქ ყინული ამოსკრეს. ყინულის ორმოებიდან თევზმა იწყო ცვენა, თითქოს ქვემოდან ვინმე ხელით აწევბოდა და თევზს ზევით ერეკებოდა. ეს აუარებელი თევზი მარხილით გაქონდათ. ახალი თევზის დაუსრულებელი სადილები შემდეგში პარტიზანებისათვის მოსაწყენი გახდა.

ჩვენს ლოდინს ბოლო მოელო: მეოთხე ღამის ოთხ საათზე გარკვეულად გაისმა თვითმფრინავის გუგუნე.

— თვითმფრინავია, ვაშა! — შესძახეს ერთდღამევე დროს აეროდრომის კოცონების ირგვლივ შემომსხდარმა პარტიზანებმა. „დუგლასმა“ აეროდრომის ირგვლივ ორი წრე გააკეთა და ნელნელა ყინულზე დაეშვა. გახარებულნი კოვპაკი პილოტს მიეგება და მშვიდობით მოფრენა მიულოცა, თან შეეკითხა, ხომ კარგად დაფრინდით, ნიადაგი ხომ მაგარიაო.

პილოტმა ფეხი ყინულზე დაარტყა და კოვპაკს უპასუხა:

— კარგი ადგილი ამოგირჩევიათ. — რუდნევა გაიცინა და პილოტს უთხრა:

— ჩვენ ახლა ტბაზე ვდგევართ, გადაეცით თქვენს უფროსს, რომ პარტიზანებს თუ დასჭირდათ, თვითმფრინავს რეისტავის სახურავზედაც დააფრენენო. ამ პირველმა თვითმფრინავმა საომარი მასალა ბლომად მოიტანა, ჩვენგან მძიმედ დაჭრილები წაიყვანა და მალე უკან დაბრუნდა.

შემდეგში თვითმფრინავები ყოველ ღამე განუწყვეტლივ მოდიოდნენ. სადღესასწაულო მხიარულებით ხვდებოდნენ თვითმფრინავების მოსვლას, პარტიზანებთან ერთად. ბელორუსელი მო-

სახლეობა. მოტორის გუგუნზე აეროდრომისაკენ ღამის წყევლიან ფაცაფუცით მობოდნენ გლეხები.

თვითმფრინავიდან ახლადგადმოსული კინოოპერატორები გამალებით ატრიალებდნენ აპარატის სახელურებს, მოსკოვისათვის ამზადებდნენ პარტიზანების საბრძანებლიდან საინტერესო სურათებს. აქვე, აეროდრომზე, იმართებოდა სახელდახელო მიტინგები, საჯაროდ იკითხებოდა საინფორმაციო ბიუროს ცნობები.

გერმანელებმა კარგად იცოდნენ, თუ რა ხდებოდა პარტიზანების საბრძანებელში, მაგრამ ჩვენზე გამოლაშქრებას ერიდებოდნენ. სახიფათოდ სთვლიდნენ ამ ვრცელ, ჰაობიან ადგილებში ღრმად შესვლას და ბრძოლაში ჩაბმას. ფრიცებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ პოლესიე ბელორუსელი პარტიზანებით გაქვდილი იყო.

რაიონში სადაც ჩვენ ვიდევით, არაჩვეულებრივი ზამთარი იდგა. დღედაღამე განუწყვეტლივ თოვდა. აღრუ დილით თოვლისგან გაეწმენდით ზოლზე აეროდრომს, მაგრამ საღამომდე იგი ისევ თოვლით ივსებოდა.

ჩვენს ბანაკში ზშირად მოდიოდნენ ადგილობრივი პარტიზანები, მათს ერთ რაზმს გლინკო ხელმძღვანელობდა. მას ზემეტ სახელად „პაპას“ ეძახდნენ. გლინკოელები ეცნობოდნენ ჩვენს სამხედრო ტაქტიკას და კოვპაკისაგან დახმარებას ღებულობდნენ სამხედრო მასალით, საქურვლით და მედიკამენტებით.

ბელორუსები გეთხოვდნენ მიგველო ისინი ჩვენთან, მაგრამ კოვპაკი სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით ადგილობრივი პარტიზანების პოლესიეში დარჩენას მუდამ საჭიროდ სთვლიდა.

ხანმოკლე აღმოჩნდა ყინულის აეროდრომის არსებობა. ერთ დღეს მტრის თვითმფრინავების გუგუნე მოისმა. „საჩქაროდ დასცალეთ აეროდრომი,

მტრის თვითმფრინავები მოდიან! — იყო რუდნევის განკარგულება. არ გასულა ათი წუთი და აეროდრომის თავზე „იუნკერსებმა“ დაიწყეს სრიალი.

ტონიანი ყუმბარების ზოდებით დაიფარა მოვერცხლილი ყინულის მოედანი და მალე სქელი, ბროლისებური ყინულის ჯავშანი თეთრ ფხვნილად იქცა. ყუმბარებით გახურებულმა ტბამ აღუღებული ქვაბივით იწყო თუხთუხი. ასე დამთავრდა იმ ხანად პარტიზანების სამყაროს კავშირი დიდ მიწასთან.

აეროდრომზე დაეკარგეთ. კოვბაყის გულისწყრომა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა.

მართალია, ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ ამ აეროდრომმა თავისი მთავარი დანიშნულება თითქმის სავსებით გაამართლა: ყველა დაჭრილი და დაავადებული პარტიზანების ბანაკიდან დიდ მიწაზე გაიგზავნა, თვითმფრინავებმა დიდი რაოდენობით მოზიდეს ბანაკში საომარი და სხვა საჭირო მასალები. და ბოლოს, სხვა რომ არა, პარტიზანული სტრატეგიის თვალსაზრისით ასე ხანგრძლივად ერთ ადგილზე დგომა არ იყო მიზანშეწონილი.

სტალინური რეიდის მეხუთე თვის თავზე ჩვენი რაზმი პარტიზანების შენაერთის სახელს ატარებდა. ის უკვე იმდენად მსხვილი სამხედრო ერთეული იყო, რომ რაზმის სახელი აღარ შეჰფეროდა.

ლიახოვიჩიდან გასვლა გადაწყდა. ლიახოვიჩში ხანგრძლივად ყოფნის დროს ჩვენმა მწვერავებმა საგანგებოდ შეისწავლეს კიევის, ვიტომირის და როვენის ოლქების მდგომარეობა. კარგად იყო ცნობილი და შესწავლილი ამ ოლქებში მყოფი მტრის ცოცხალი ძალის რაოდენობა და მატერიალური რესურსები.

ყინულის აეროდრომის არსებობის უკანასკნელ დამეს თვითმფრინავით გვესტუმრა საკავშირო უმაღლესი საბჭოს წევრი ამხანაგი ბეგმა. იგი ნიკიტა

სერგეის-ძე ხრუშჩევის მიერ იყო გამოგზავნილი. მან პარტიზანებს ორდენები და სხვა საჩუქრები ჩამოგვიტანა. ამხანაგ ბეგმას სხვა დავალებაც ჰქონდა დაკისრებული: მას უნდა შეექმნა პოლესიეში ახალი პარტიზანული რაზმები და შემდეგ მათთვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. ბეგმამ პირნათლად შეასრულა ეს დავალება. როგორც გულისხმიერმა და ნიჭიერმა ხელმძღვანელმა, მან მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა.

თებერვლის ორს, დღის პირველ საათზე, ჩვენი შენაერთი ტყის გზით დასავლეთის მიმართულებით საბოლოოდ გავიდა ლიახოვიჩიდან. რვა კილომეტრზე იყო გაბმული ათასობით მარხილები. გაგანიერებული ნესტოების სტვენით და ფრუტუნით შლიდნენ და ანგრევდნენ მეტრიან გაყინულ თოვლს. მაგარმეკრდიანი ცხენები. საკმაო გამძლეობის აღმოჩნდა ჭაობის გაყინული ზედაპირი. საბედნიეროდ, ჩვენი შიში არ გამართლდა, ყინული ერთხელაც არ ჩაგვტეხია.

ზამთრის პირობებში მტერზე პარტიზანულ თავდასხმებს დიდი წარმატებებით ვაწარმოებდით. დიდ ღამეებში ჩვენ შეგვეძლო 50—70 კილომეტრი გზა გაგვევლო, თვალიდან დაეკარგოდით მტერს და შემდეგში იქ დაგვეერთყა, სადაც მოწინააღმდეგე არ მოელოდა. ავტომანქანებით ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე მეომრების გადაყვანა ზამთრობით მტერს მეტად უძნელდებოდა, თან სწრაფი მანევრების წარმოება ზამთრის პირობებში, მოწინააღმდეგეს არ ემარჯვებოდა.

ზამთრობით ავიაციის მოქმედებაც ნელდება და უეფექტო ხდება.

ზამთრის ხანგრძლივი ღამეები პარტიზანებისათვის მეტად ხელსაყრელია. ღამე ზომ პარტიზანის სამოქმედო დროა.

ქვეითი ნაწილებისათვის გაყინულ მიწაზე მოძრაობა უფრო ადვილია, ვიდრე გაზაფხულობით ატალახებულ ნიადაგზე.

ლიახოვიჩიდან გასვლის წინაზანებში ჩვენი შენაერთი კარგად იყო მომარაგებული. ორმოცი კილომეტრის დაშორებით ამ სოფლიდან, „სოსნას“ სახელწოდების განთქმული მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა იყო. „სოსნა“ იმეამად გერმანელების საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ამ მეურნეობის დოვლათიანობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ბელორუსელი გლეხები. პარტიზანების ხელმძღვანელებმა „სოსნას“ აღება გადაწყვიტეს. სოფლის დასაპყრობად პარტიზანების ორი ასეული და არტილერია გაიგზავნა. „სოსნა“ ხუთ საათიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჩვენს ხელში გადმოვიდა. გერმანელების გარნიზონის ნაწილი გაეწყვიტეთ, ნაწილმა ტყვეს შეაფარა თავი.

დიდი რაოდენობით წამოვრეკეთ „სოსნადან“ მსხვილფეხა პირუტყვი, მთელი დღე ეზიდებოდნენ პარტიზანებში ლიახოვიჩში მარხილებით სოსნადან რძის ნაწარმს.

ლიახოვიჩის მცხოვრებლებს უსასყიდლოდ დავურიგეთ რამდენიმე ასეული პირუტყვი.

ასეთივე წარმატებით დამთავრდა სოფელ ბუნიოს და მის მახლობელ პატარა სამხედრო ქალაქის (ე. წ. „გორდოკის“) აღება. ეს ქალაქიც გერმანელების საწყობი იყო, დიდძალი სტრასათსანოვანე ჰქონდათ იქ ფაშისტებს. დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია ამ ქალაქის აღების დროს მტერმა. მან მეზობელი სოფლებიდან დამხმარე ძალები გამოიძახა, მაგრამ ამაოდ: მტერი მალე წელში გაეტეხეთ და გამოწვეული ძალები შუა გზიდან ჩვენმა მებრძოლებმა გაფანტეს და იძულებული გახადეს უკან დაბრუნებულიყვნენ. სამხედრო ქალაქის აღების დროს ჩემმა ქვემეხმა კვლავ თავი ისახელა: ისეთი ცეცხლი

გაეჩაღეთ შარაგზეზე, რომ მოსულ და დამხდურ ნაწილების გვერდისაგან ბაზე მტერს ოცნებაც არ შეეძლო.

სამხედრო ქალაქის აღების შემდეგ ჩემს ქვემეხს გამოვეთხოვე. ამ დროიდან მე ახალ თანამდებობაზე გადამიყვანეს.

## X.

კოვპაკის შენაერთის მეცხრე ასეულს ფრიალ თავისებური ისტორია ჰქონდა.

ერთ დროს მოწინავე და განთქმული მეცხრე ასეული უყიარათო ხელმძღვანელობის წყალობით დაეცა და ჩამოქვეითდა. ამ ასეულის ხელმძღვანელი ბუვალინი ლოთი და უდისციპლინო კაცი გამოდგა. ბუვალინმა კოვპაკის ნდობა ვერ გაამართლა. საპასუხისმგებლო დავალებებს ბუვალინი ამახინჯებდა და ძალზე ზერელედ ეკიდებოდა. წაფილოდა ხოლმე ბუვალინი დანიშნულ ადგილზე განსაზღვრულ დავალებით. ეს დავალება ავიწყებოდა, არაყით მაგრად დაითრობოდა და მთელ დღეს განუკითხავად ეგდო სოფელში თავმოქრილი ქათამივით. ზოგი პარტიზანი მისი ასეულიდან სარგებლობდა მეთაურის სისუსტით და ქუჩებში დებოშებს აწყობდა.

ბოლოს ბუვალინის აუტანელი საქციელით მოთმინებიდან გამოსულმა კოვპაკმა ის გაასამართლა და გაუსწორებელი მეთაური საჯარო დახვრეტით დასაჯა. მეცხრე ასეული კარგახანს უმეთაუროდ იყო. ერთ საღამოს ჩემს თანამებრძოლებს შორის ჩუმი მითქმა-მოთქმა შევაჩინე. ციკითხე, თუ რაზე ჩურჩულებდნენ ისინი.

— ცუდი ამბავი გვესმის, ამხანაგო უფროსო, — მეუბნება ჩემი ქვემეხის მემიზნე, — ხმებია თითქოს თქვენ სხვა თანამდებობაზე გადაყავდეთ...

— რა ხმებია? — ეკითხები მემიზნეს.

— ასე ამბობენ, თითქო თქვენ მეცხრე ასეულის უფროსად ინიშნებით.

— ეს ვინ გითხრაო?

— ამაზედ დღეს ყველა ლაპარაკობს,—მიპასუხა მემიზნემ.

— შტაბში გთხოვენ,—სამხედრო სალამის მოცემისთანავე მომახსენა შტაბიდან მორბენილმა მეკავშირემ.

— ზინ მეძახის?—შევეკითხე.

— კოვბაკი და რულენევი გთხოვენ.

აქ ბევრი ფიქრი უღადილო იყო და სანამ შტაბში მივიდოდი, გზიდან სახელდახელოდ კორნევიან ბინაზე შევუხვდი. კორნევი იმხანად პარტიზანების არტილერიის სამსახურის პოლიტიკური დარგის უფროსი იყო. კორნევის დახმარებისათვის მივმართე, ვთხოვე არტილერიიდან არ გავეშვი. „შობის ბაბუა“ ჩემს თხოვნას ღიმილით შეხედა.

— ალექსი ილიას-ძე, — ვეუბნები კორნევის,—ხომ იცით, მე სამხედრო პირი არ ვარ, ინჟინერი მოვედი სამხედრო სამსახურში, ძალიან პატარა გამოცდილებაც მაქვს ამ დარგში, ვფიქრობ ასეულის მეთაურად მე ვერ გამოვდგები, თანაც ქვეშევს კარგად შევიწყვი...

— არა, მოითმინე, — ვადამელობა სიტყვაში კორნევი,—ვინ, სად და როგორ გამოვდგება, ეს კოვბაკმა კარგად იცის, შენ საქმითაც დაამტკიცე შენი სამხედრო ნიჭი და უნარი, მაგრამ ვინაიდან შენი დიდი სურვილია არტილერიაში დარჩენა, შევეცდები ხელი შევიწყო.

— ააა, ახლო, აქეთ, ამხანაგო დავით, აქეთ მობრძანდით!—შტაბში შესვლისთანავე მომმართა რულენევა.

კოვბაკმა მახორკის სიგარა კბილებში მოიმარჯვა და მეკითხება:

— ამხანაგო ბაჭრაძე, მეცხრე ასეულის ბედი თქვენ ხომ ვაწუხებთ?

— ვერ არის კარგი მდგომარეობა,— ვუპასუხებ კოვბაკს.

— აბა, ჩვენი გადაწყვეტილებაა მეცხრე ასეული შენ ჩაგბარდეს და ვიმედოვნებ მას მალე თავის სიმალეზე დააყენებ...

სიჩუმე ჩამოვარდა, ამ დროს შტაბში კორნევიც შემოვიდა.

— მე, ამხანაგო უფროსო, მსგავსებებთან, სამხედრო პირი არა ვარ, ამ დარგში ძალიან მცირე გამოცდილება მაქვს, ვფიქრობ ასეულის მეთაურად მე ვერ გამოვდგები.

— შენ ფიქრობ და ჩვენ კი ვიცით, ვინ სად და როგორ გამოვდგება,—მტკიცედ მომიპირა სიტყვა რულენევა.

— ამხანაგო ბაჭრაძე, დავითს ბრძანება ჩაბარეთ,—ვადასძახა მან ბაჭრაძეს. ბაჭრაძემ საჩქაროდ გააღო ყუთი, ამოიღო იქიდან სიფრიფანა ქალაღი და ვადამოშვა, თან ასეულის მეთაურობა მომილოცა. ამ დროს ჩემი და კორნევის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. „შობის ბაბუა“ ხელი მაგრად დამიპირა და ახალ თანამდებობაზე წარმატება მისურვა...

ყველანი მალე შტაბიდან გამოვედით და მწყობრში ჩამდგარ ასეულის წინ წარვდექით.

დაიწყო ასეულის ჩაბარების ცერემონიალი. რულენევა მეცხრე ასეულის წარსულს ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი და შემდეგში ამ ქვეგანაყოფის დაწინაურების სრული იმედი გამოსთქვა. მან თავის სიტყვის დამთავრების შემდეგ სიტყვა მე მომცა.

ორ ხაზზე ჩამწყრივებულ ასეულს რამოდენიმეჯერ ავუარ-დავუარე, ვაკვირდებოდი მებრძოლებს. მართალი გითხრაო, ჩემი არტილერიის ბიჭების შემდეგ არ მომეწონა მებრძოლთა გარეგნობა. თან ვფიქრობდი, რომ ასეულში მტკიცე დისციპლინის შედეგად კარგი კოლექტივის შექმნა შეიძლებოდა. უმეტესობა ასეულისა ახალგაზრდობა იყო.

ბოლოს ასეთი სიტყვით მიმმართე მებრძოლებს.

— ამხანაგებო! ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჯეროვანი დისციპლინა, ბრძანების კარგი შემსრულებლები უნდა გავხდეთ. ეს ასეული კარგი მებრძოლ-



თა კოლექტივი უნდა გახდეს. იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი დახმარებით ჩვენ შეეძლებოდა უნაკლო და საუკეთესო, პირველხარისხოვან მებრძოლთა კოლექტივის შექმნას.

ცერემონიალის შესრულების დროს ერთი რამე შევნიშნე: ასეულის შემადგენლობა ისე მიცქეროდა და მისმენდა, თითქოს იმ წუთში პირველად შემხედეს და გამიცვენეს.

მეცხრე ასეულის მეომრების ინტერესი და კარგი განწყობილება ჩემდაპირველად შევნიშნე არასდროს, არ შენელებულა.

კოვპაკი და რუდნევი ამით არ დაკმაყოფილებულან. ერთდროულად ჩემთან დანიშნეს ჩემი მოადგილე დერკაში და ასეულის პოლიტბელი რაგულია. დერკაში ჩინით ლეიტენანტი იყო, საკმაო სამხედრო სტაჟი და გამოცდილება ჰქონდა, დავალების მტკიცედ შემსრულებელი და კარგი მეომარი იყო.

ცნობილია, რომ ომში შეძენილი მეგობარი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგული და შენთან განუწყურელია. ბრძოლის დროს მეგობრობის გრძნობა ისე ძლიერად ვითარდება, რომ ბევრ შემთხვევაში ამხანაგის გულისათვის მებრძოლი ცეცხლში გადაეშვება და ზოგჯერ სიცოცხლესაც სწირავს.

მეცხრე ასეულში ახლადდანიშნული პოლიტბელი რაგულია ჩემი უერთგულესი მეგობარი იყო.

ამხანაგი რაგულია ყოფილი კავალერიისტი იყო, ჩინით მაიორი, მის ასოვან, ბრინჯაოსავეთ ჩამოსხმულ ფიგურას მუდამ კოხტა ტანსაცმელი ამშვენებდა. ამ კაცის მშვიდ და წყნარ სახეში იმდენ კეთილშობილებას ამოიკითხავდით, რომ ეს მისი ადამიანობის შესაფასებელი ჯილდო ათ კაცზედაც რომ განაწილებულიყო, ყველასათვის საკმაო იქნებოდა. ჩემი მარჯვენა ხელი იყო ასეულში რაგულია. მანამდე დაშლილი და დაძაბუნებული დისციპლინა რაგულიას თავდადებული

მუშაობის წყალობით აღდგენილი იქნა. მე მას ბრძოლებში მონაწილეობის შილებას ვუშლიდი, კულტურულ-მასობრივ და პოლიტიკური საკითხების თავის სიმაღლეზე დაყენებას და მეომართა საყოფაცხოვრებო მხარეების მოვლა-გადმოლას ვთხოვდი.

რაგულია მარტო ამ საქმით არ კმაყოფილდებოდა და ბრძოლებში სისტემატურად მონაწილეობას ლეებულობდა.

— ომის დროს ფიცხი ხარ, — მეტყობდა ხოლმე პოლიტბელი რაგულია, — ბრძოლაში ყველაზე წინ გარბიხარ, თავდავიწყება იცი, ამ დროს მინდა მე შენს ახლო ვიყო და თუ საქმე დაისაქიროებს, ტვირთი შევიმსუბუქო.

ქვევით ვიტყვი, თუ სად და რა პირობებში დაიღუპა ეს კეთილშობილი მეგობარი და ადამიანი.

...:

როგორც კი ასეული ჩამაბარეს, კოვპაკი და რუდნევი შტაბში დაბრუნდნენ. მებრძოლებთან ხანგრძლივად ვესაუბრე. საუბარის საგანს უმთავრესად დისციპლინა შეადგენდა. შემდეგში დისციპლინა მებრძოლთა შორის განმტკიცდა და სათანადო სიმაღლეზე დადგა. მივალწიეთ იმას, რომ მოკლე დროში მეცხრე ასეული დისციპლინის სფეროში მაღალ მაჩვენებლებს იძლეოდა, ჩვენს წარმატებებზე უკვე ხმაშალა ლაპარაკობდნენ შენაერთის სხვა ასეულებში. ასეულის ვადმობარების ცერემონიალის შემდეგ, პირველსავე დღეს ბრძოლაში მივიღეთ მონაწილეობა.

სადილს განვაში მოჰყვა. მტერი მობარვით გვიახლოვდებოდა, — გეაცნობეს მზეერაგებმა.

კოვპაკის წინადადებით სახელდახელოდ შევეყარე ასეული და მტრის შესახედრად გავეშურეთ. მალე მდინარის ახლოს მივედით და შეუშინებულად

ხშირ ბუჩქებში ჩაეწევიო. მე თვითონ ტყვიამფრქვევის გვერდით მოეწევედი დიდი ლოდინი არ დაგვირებია, მალე გერმანელებიც გამოჩნდნენ და თოჯინებით გამოყეყეჩებული ერთ ადგილას დიდხანს იდგნენ. მიწაზედ გატეხულ მეომრებს დაბალი ხმით მოვთხოვე ჩემს ბრძანებამდე უძრავად დარჩენილიყვნენ.

კაქანათისკენ მიმავალი ბელურების გამბედაობით ჩაეშენენ გერმანელები მდინარეში და მეორე ნაპირზე გამოვიდნენ.

აჰა, თითქმის ორმოცდაათი მეტრის მანძილზე მოგვიახლოვდნენ ფრიცები, მეტი ლოდინი შეუძლებელია.

— ცეცხლი!..— შევაძახე მეომრებს და თითქოს მიწიდან აღმოსკდარიყოს ისე უეცრად აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები. მოცელილივით დაეცა მიწაზე. გერმანელების პირველი წყება, დანარჩენებმა საჩქაროდ პირი იბრუნეს და მოუსვეს, მაგრამ სამშვიდობოდ ბევრმა ვეღარ გააღწია.

— აჰა, მოწყევით, — იყო ჩემი ბრძანება. ასეული სასწრაფოდ ფეხზე დადგა, მტერს დაეწევიო და მოამბეც აღარ გაგვიშვია.

იშვიათი გამარჯვებით აღფრთოვანებული დიდი ნაღველით დაებრუნდით ბანაკში. კოვპაკმა და რუდნეგმა გამარჯვება მომილოცეს და შემდეგში კიდევ მეტი წარმატება მისურვეს. ასე ჩატარდა მეცხრე ასეულის პირველი ბრძოლა.

ამავე დღის საღამოზე პარტიზანების შენაერთი პინსკის მიმართულქმით დაიძრა.

ლიახოვიჩში ხანგრძლივად ჩვენი ყოფნის დროს მტერმა შესძლო სათანადო სამზადისის ჩატარება. ამ სოფლის მახლობლად მან დიდძალ ჯარს მოუყარა თავი, ამიტომაც იყო, რომ კოვპაკის შენაერთის ლიახოვიჩიდან გასვლისთანავე გერმანელები კვალდაკვალ გა-

მოგვედევნენ. ბელორუსიის ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი პარტიზანული რაზმები მტერმა ძალზე შეაეწროვა, მით უმეტეს, რომ ამ პარტიზანების შეიარაღება ძალზე სუსტი იყო. მათ იარაღით და ცოცხალი ძალით დახმარება სჭიროდათ. ბელორუსულ მებრძოლთათვის ამ სახის დახმარების აღმოჩენა მხოლოდ კოვპაკს შეეძლო.

ჩვენს წინსვლას ხელს უშლიდა და აფერხებდა ის, რომ ჩვენი შენაერთი დიდ მანძილზე იყო გაჭიმული. 5—6 კილომეტრის სიგრძეზე იყო პარტიზანების მარხილები გაწალიკებული. ამიტომ იყო, რომ ვერ ვასწრებდით რკინიგზის ხაზებზე და შარა გზებზე სწრაფად გადასვლას, აქ მტერი მოგვისწრებდა და შემოგვიტევდა ხოლმე.

ჩვენმა ასეულებმა ამხანაგ პავლოვსკის მეთაურობით ერთი დარტყმით აიღეს სადგური ლახვა. ამ სადგურის მახლობლად პავლოვსკიმ მტრის ორი ეშელონი გაანადგურა. მანვე განსაცდელისაგან იხსნა ბელორუსიის პარტიზანები.

ადგილობრივი პარტიზანების რაზმების უმრავლესობა კოვპაკის მხეს ლოცულობდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომ თუ აშკარად არა, ზურგს უკან მაინც ბუზღუნებდნენ.

— კოვპაკის შენაერთის ჩვენს მიწაზე მოსვლით გერმანელების დამსჯელი რაზმებისაგან მოსვენება არ გვაქვსო. — მაგრამ, ეს უკმაყოფილო ელემენტებიც მალე დარწმუნდნენ, რომ ღრმად სცდებოდნენ.

იყო ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთი ბელორუსელი რაზმის უფროსმა, სოფლიდან ჩვენი გასვლისთანავე კაცი დაგვაღვენჯა და მუდარით დახმარება გვთხოვა.

— გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, ლამის გაგვსრისონ გერმანელებმა, ის იყო გაეიდა თუ არა თქვენი შენაერთი სოფლიდან, მტერი სოფელს კალიასავით შემოესია და ადგილობრივი პარტიზა-

ნების და მშვიდობიანი ოჯახების დარბევა იწყეს.

ბელორუსიის პარტიზანების დასახმარებლად მე საჩქაროდ შემოვაბრუნე ჩემი მეომრები და მტერს მალე თავის საროები მოვანახეინეთ.

ფაშისტები მაინც არ ცხრებოდნენ, გზადაგზა თავს გვესხმოდნენ, ბრძოლებში გვაბამდნენ. მტერი დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი შენაერთისადმი. როცა გაიგებდნენ ხოლმე პარტიზანები ამა და ამ სოფელში იყვნენ, ისინი მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ და გლეხებს ეკითხებოდნენ:

— თქვენი თვალთ ნახეთ კოვპაკის პარტიზანები?

— დიახ, ვნახეთ, ჩვენს სოფელზე გაიარეს.

— სიმართლე სთქვით, რამდენი მეომარი ეყოლება რაზმში კოვპაკს?

— როგორ მოვახსენოთ, ვფიქრობ არა ნაყლები ოცდაათი ათასი კაცისა.

— სტყუით!..

— არა, არა ვსტყუით, მთელი ღამე მიდიოდნენ გზაზე ჭვეითი, ცხენოსანი ჯარები და მარხილები.

ასეთ პასუხს აძლევდნენ გერმანელებს იმ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც ჩვენ გავივლიდით. ამ ამბების გამგონე გერმანელები ნერვიულობდნენ, საიდუმლო წერილებს გზავნიდნენ თავიანთ შტაბებში: მოგვაშველეთ ჯარი და თვითმფრინავები, დიდ პარტიზანულ არმიასთან გვაქვს საქმეო.

გერმანელების სამხედრო ხელმძღვანელობა, ასეთი ცნობების შედეგად, პგზავნიდა ჯარს და საომარ საქურველს. სოფლები ძალიან გაზვიადებულ ცნობას აძლევდნენ გერმანელებს, ოცდაათი ათასი გადაჭარბებული ციფრი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი არ ცბიერობდნენ, თავათაც სწამდათ ჩვენი სიმრავლე. გლეხების გულუბრყვილო პასუხებში თავისებური სიმართ-

ლეც იყო და ერთდოულად მტრისადმი ნიშნის მოგებაც. მტრისათვის გულგასახეთქი ციფრის ჩვენებით გერმანელებზე გულს იფხანდნენ გლეხები.

მტერი პირველ ხანებში კოვპაკის რაზმს ბანდას უწოდებდა, მაგრამ ლიასოვიჩ-კოდრის ოპერაციების შემდეგ „მოწყალეობა“ გაიღეს და პარტიზანული რაზმი გვიწოდეს. ჩვენ გზას განვაგრძობდით დასავლეთის მიმართულებით, აი უკვე ხშირ მოსახლეობაში შევედით. სოფლები აღფრთოვანებით გვხვდებოდნენ, ხოლო გერმანელებს და უკრაინელ ნაციონალისტებს თავზარს სცემდა ჩვენი გამოჩენა.

ნაციონალისტები მტრის იარაღით ხელში ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდნენ და გვებრძოდნენ. ტყვედჩავარდნილი ნაციონალისტ-გამყიდველები და კითხვის დროს დაბნეულ პასუხს იძლეოდნენ, მათ არ გაჩნდათ არც სამოქმედო პროგრამა და არც გარკვეული პოლიტიკური ხაზი, ისინი გათახსირებული ბანდიტები იყვნენ.

გერმანელები ამ გამცემლებს, გამარჯვების შემდეგ, მიწიერ სამოთხეს პირიდებოდნენ, ამიტომ იყო, რომ ნაციონალისტები მტრის ანკესზე უაზროდ ეგებოდნენ.

მტერი ახერხებდა: მოლაღატეების ჩვენთან შემოგზავნას; მაგრამ როდესაც ეს სინდისგარეცხილი ადამიანები ჩავარდებოდნენ ხოლმე, ისინი ნიანგის ცრემლების ღერას იწყებდნენ, სინანულს გამოსთქვამდნენ, პატიებას ვებოვდნენ.

ხშირად პროვოკაციასაც მიმართავდნენ ოკუპანტები: დაპურობილ მიწაწყალზე მცხოვრებ უკრაინელების და პოლონელების შორის ნაციონალურ შუღლს სთესდნენ, ზოგიერთი უვიცნი ასეთ პროვოკაციის ქსელში აღვიღად ხედებოდნენ, ერთი მეორეს დაერეოდნენ და განუკითხავად იხოცებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა.

„დავით გოროდოვში“ ახალი მისუ-  
ლი ვიყავი, როდესაც დილით ადრე, მე-  
წობელ სოფლიდან, რომლის მოსახ-  
ლეობას მთლიანად პოლონელები შეა-  
ღგენდა, ჩვენმა მზვერავებმა მოირბი-  
ნეს ბანაკში და გულშემაზრავი ამბავი  
გადმოგვცეს: 50—60 კაცი საგან შემ-  
დგარ ბანდას ამ სოფლის ყველა მცხოვ-  
რები რკინის კეტებით და ცულებით  
დაეხრცათ. ოთხ-ხუთ კაცს გაქცევით  
სიკვდილისათვის დაეღწია თავი.

ამ ამბის შემსწრე, სანახევროდ ჭკუ-  
აზე შეშლილმა მოხუცმა გვიამბო, თუ  
რა უბედურება დაატყდა თავზე მძინა-  
რე სოფელს.

როგორც შემდეგში გამოირკვა, ამ  
მხეცობის მომწყობი და ორგანიზატორი

აყო უკრაინელი ბანდიტი საშკო, წინათ  
გესტაპოს სამსახურში მყოფი ამ აღ-  
მაშფოთებელი შემთხვევის მომსმენი  
და გამგონენი, მარტო ამბის გაგებით  
ხომ ვერ დავეკყოფილდებოდით! სა-  
ჭიროდ ვცანით ადგილზე საკითხის ზუს-  
ტად გამორკვევა და შესწავლა.

ამხანაგ ვერშიგორას ხელმძღვანე-  
ლობით გამოყოფილმა კომისიამ ამ  
ტრაგიკული საკითხის შესასწავლად  
დიდი მუშაობა ჩაატარა.

კომისიის დასკვნა ასეთი იყო: პოლო-  
ნელ-უკრაინელთა ნაციონალურ შუღლ-  
ში და ხოცვა-ჟლეტაში ბრალი გესტა-  
პოელ პროვოკატორებს მიუძღოდათ.  
ამ ბოროტებასთან ბრძოლა შემდეგში  
ჩვენ დიდ ხანს დაგვჭირდა.

(გაგრძელება იქნება).

ალიზა ნაპი

## მ რ ი ლ ე ქ ს ი

★

მუსხაგავი

სად გეძებო! თვალი ჩემი შენს ბროლის ტანს გაეყარა,  
გაშლილ ყვავილს, პირმცინარეს თავის შროშანს გაეყარა.  
აღარ ემღერის გულისვარდი თავის მგოსანს გაეყარა,  
ბუღბუღივც ზომ აღარ გალობს, თუ გულისტანს გაეყარა.  
არც საუბრობს თუთიყუში, თუ შაქრისტანს გაეყარა.

ო, წამებავ, სისხლი ჩემი ტანში ცეცხლად წამეკიდა,  
ხორცშიც დაჰქრის, ძვალშიც დაჰქრის უცნაურის წამებითა.  
ზღვას ფსკერიდან ზეცას ცეცხლი ემუქრება წალეკვითა.  
მთელ ქვეყანას ცეცხლი დაგავს უსაშველო წვალებითა,  
დაგავს, რადგან სული ჩემი შენს გულისხმას გაეყარა.

მე თვალთაგან გული ჩემი ნაწილ-ნაწილ გამეპარა,  
და სისხლიან ცრემლთა ნამად დედამიწას დაეღვარა,  
უხეად მორწყო ნიადაგი ზედ შროშანმა გაიხარა.  
ესტირი, რადგან არ ვიტყვო, აღარ ძალუძს ჩემს გულს არა.  
როგორც სული, შენი სახე ჩემს ცოდვილ ტანს გაეყარა.

ველარ განახავ. შენ შეხვედრას აწ ტყუილად ველოდები.  
მე სიცოცხლემ გამაწამა, დღეს შხამიან ღვინით ვთვრები,  
შენ ჩამისხი საწამლაეი, თუ განგებამ — ვერა ვხვდები.  
სიკვდილი სჯობს განშორებას, ვკვდები, მაგრამ ვერა ვკვდები,  
ვკვდები, რადგან შენი სახე თავის მგოსანს გაეყარა.

განშორებავ, ო, იკმარე, რა ძალითაც დასჰერ გული,  
მან გაუძლო ათას ტანჯვას არის სევდით გავსებული,  
არ იფიწყებს, ვისაც თვალი ვერა ხედავს, დავსებული,  
გულს ათასი დღე რად უნდა, სიკვდილი სურს უცებური.  
სიკვდილს ითხოვს, რადგან იგი თავის შროშანს გაეყარა.

მე მიჯნურის სახის ეშხი მომდებია ცეცხლის ალად,  
ხორციც იწვის, სულიც იწვის, აღარა აქვს სხეულს ძალა,  
ჩემი ხორცი, ჩემი სული ბედმა აგრე გააწვალა

აღს შეახო ფრთა ფარვანამ, ძირს დამწვარი დაეხალა,  
რადგან იგი განთიადზე თავის სანთელს გაეყარა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მიჯნურისთვის მზეც არ მზეობს, თუ საყვარელს ვერა ზედაეს;  
უყვავილოდ სტვენს ბუღბული, მაგრამ ხმაში ცრემლი წვეთავს,  
მე შენს სიკვდილს ვერ ვიჯერებ ენა თქმასაც ვერა ჰბედავს.  
ო, ნავაი, უმიჯნურო ვირ გაუძლებ ამდენ სევდას,  
ზეციერო, ფერხთამტვერი თავის სულთანს გაეყარა.

★

### ბაზელი

ვარდს მოკლებული ბუღბული განა თუ მგალობელია?  
არც თუთიყუშში საუბრობს, თუ საზრდო გამოელია.

მე შენი თავი დავკარგე, ვარ კენესად გადაქცეული  
ამ ჩემი ოხვრის ჩინჩხალი ცად ხანძრის გამჩენელია.

რომ აღარ ვსტირი, ძვირფასო, ნუ გაოცდები ნუროდეს,  
ვინც უკვე მოკვდა დარდისგან, რაღა ცრემლების მღვრელია.

სიკვდილი ჩემთვის რა არის — ერთი მცირედი სასჯელი  
შენს განშორებას ვერ ვუძლებ, სიკვდილზე უფრო ძნელია.

თარგმნა ირაკლი აბაშიძე



იაკობ კალაძე

## გმირის ვარსკვლავი

★

— ცისკარს შენ თუ არ გახედავ, —  
ისე გაზაფხულს არ ველი!  
თუმცა უბრალო კაცი ხარ,  
ხარ შევი მიწის მზარველი,  
გებრძვის გვალვა და ავდარი,  
დარდივით გასაქარველი...

მშრომელი კაცის ვარსკვლავი  
მუდამ შუქ-ჩაუქრაღია, —  
მომლიმარ თვალის კილოსთან  
მისი სხივების კვალია.  
გმირის ვარსკვლავზე რას იტყვი,  
გმირო, იოსებ გვალია?

— სამოცდახუთი წლისა, ვარ,  
სად არ ვყოფილვარ, სად არა, —  
ყად მოციმციმე იმედმა  
ძირს წლიდან წლამდე მატარა,  
ოქროს პატარა ვარსკვლავმა  
ბოლოს აქ დამინაღარა!

თერამეტის როცა ვიყავი,  
გმირობას მაშინ ველოდი, —  
მსურდა სახელის მოხვეჭა  
მღერით, მარულით, ლელთით,  
დაბლა ვაწვენიდი მაყრიონს  
დედოფლის სადღეგრძელოთი...

გმირად მე, ჩემო კარგებო,  
მაშინ ჩამთვლიდნენ მეგონა —  
იგ ჩემი ვარსკვლავთვალემა

მკერდზე რომ შემომეკონა...  
თათრის ომშიაც ვიყავი,  
მეტი რა გამომეგონა?!

ღონე მერჩოდა, ვშრომობდი,  
ოჯახში მაინც მიწვიმდა,  
დიდხანს არ გამოიღარა,  
ნისლი არ გადაიწმინდა...  
ვინ იფიქრებდა ვარსკვლავზე, —  
მაღლა ახედვა მიმძიმდა...

მაგრამ გმირობა საქვეყნო  
ამიერიდან სხვა არი!  
მღელვარე ყანა სიმიწის  
თურმე დიდების ზღვა არი!..  
თეთრი თმის დასამწვენებლად  
ნათელზე კარგი რა არი?!

მტევანს რომ თოვლი მოუსწრებს,  
ხომ უფრო ტკბილად მწიფდება!  
ცისკარს მეც ფეხზე დავხვედები,  
მუხლი არ დამიმძიმდება  
და ჩემი ცისკრის ვარსკვლავი  
ჩემს მკერდზე აციმციმდება!

მშრომელი კაცის დიდება  
მუდამ შუქ-ჩაუქრაღია,  
მომლიმარ თვალის კილოსთან  
მისი სხივების კვალია,  
გმირთა ვარსკვლავებს შეეხარი  
გმირი იოსებ გვალია.

პილიპე შქსიერი

## ქარიშხალი

★

მოქმადნი პირნი

ალონზო — ნეპოლის მეფე.

სებასტიანო — მისი ძმა.

პროსპერო — მილანის კანონიერი პერცოვი.

ანტონიო — პროსპეროს ძმა, ტახტის უკანონოდ მამფეისებელი.

ფერდინანდი — ნეპოლის უფლისწული.

გონზალო — პატისიანი ზოხუცი მრჩეველი მეფისა.

ადრიანი

ფრანცისკო } დიდებულნი.

კალიბანი — ეელური, მახინჯი მონა.

ტრინკულო — მახარა.

სტეფანო — ლთი მსახური მეფისა.

კაპიტანი — გემისა.

ზოცმანი.

მუხლუაურები.

მირანდა — პროსპეროს ქალი.

არიელი — პეროვანი სული.

ირისი

ცერერი } სულეზი.

ჯუნო.

ნიმფები.

სხვა სულეზი.

მოქმედება სწარმოებს ზომადღზე და კუნძულზე.

## მოქმედება პირველი



## სურათი I

ბომალი ზღვაში. ისმის ქარიშხლის ზუზუნისა და ქექა-ქუხილის ხმა.

(შემოდინ კაპიტანი და ბოცმანი)

კაპიტანი—ბოცმანო!

ბოცმანი—აქა ვარ, ბატონო. რას მიბრძანებთ?

კაპიტანი—მეზღვაურებს უბრძანე მარდად იმუშაონ, თორემ მეჩეჩს მივეხეთქებით. აბა, ჩქარა, ცოცხლად.

(ვადის. შემოდინ მეზღვაურები)

ბოცმანი—აბა მარდად, ცოცხლად, ბიჭებო! ყოჩაღად, ყოჩაღად! კაპიტანის ნიშანს ელოდეთ.

(მეზღვაურები ვადიან)

ახლა ჩაპბერე, რამდენიც გინდოდეს, მანამ არ გასკდები.

(შემოდინ ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, ფერდინანდი, გონზალო და სხვები)

ალონზო—აბა. ფრთხილად, ბოცმანო, კაპიტანი სადღაა?

ვაეკაცურად მოიქეცით.

ბოცმანი—გთხოვთ, ქვევით ჩახვიდეთ.

ანტონიო—კაპიტანი სად არის, ბოცმანო?

ბოცმანი—განა არ გესმით კაპიტანის ხმა? კაიუტაში ჩადით.

აქ ხელს გვიშლით მუშაობაში, ქარიშხალს ეხმარებით.

გონზალო—დამშვიდდი, ჩემო კეთილო.

ბოცმანი—ზღვა რომ დაწყნარდება, მეც მაშინ დავშვიდდები. ნეტა მეფესთან რა უნდათ ამ მოყაყანე ბრიყვებს. კაიუტაში! გამეცალეთ მეთქი, ნუ გვაწუხებთ!

გონზალო—კეთილი. ოღონდ ეს მაინც გახსოვდეს, ვინა გყავს ხომალდზე.

ბოცმანი—ისეთი არავინ, ჩემს თავზე უფრო მიყვარდეს. თქვენ ხომ მეფის მრჩეველი ხართ! თუ კი მართლაც შეგწევთ ძალა, უბრძანეთ ახლა ქარიშხალს ჩადგეს, დაწყნარდეს, ჩვენ ხელსაც არ გაეანძრევთ მაშინ. გამოიყენეთ თქვენი უფლება. მაგრამ თუ არ ძალგიძთ, ზეცას მაღლი მოახსენეთ, რომ ამდენი ხანი გაცოცხლათ და თქვენს კაიუტაში აღსასრულს ელოდეთ, ალბათ. ასეთია ჩვენი ბედი. აბა, ყოჩაღად, ბიჭებო, გაგვეცალეთ-მეთქი, გეუბნებით.

გონზალო—დიდად მანუგეშა ამ ყმაწვილმა კაცმა. თუმცა ჩამოსახრჩობი კაცის სახე აქვს, არა მგონია წყალში დახრჩობა ეწეროს. ჰეთილო ბედისწერავ, ნურც შეუცვლი ბედს: დე, მაგისი სახრჩობელას თოკი ჩვენი ღუზის ჯაჭვი გახდეს, თორემ ჩვენი საკუთარი მეტად უიმედოა. და თუ სახრჩობელია არ უწერია—ჩვენი საქმე წასულია მაშინ.<sup>1</sup>

(ვადიან. შემოდის ბოცმანი)

<sup>1</sup> ინგლისური ანდაზა: He that is born to be hanged will never be drowned. — ვისაც ჩამოხრჩობა უწერია, წყალში არასოდეს დახრჩობა.

ბოცმან — ანძა დაუშვით, მარდადი უფრო დაბლა, კიდევ უფრო დაბლა.

(ისმის ყვირილის ხმა.)

კირმა გაგწყვიტოთ, ქარიშხალიც არ ბლავის ასე,  
ბრძანებასაც ვერ გაიგონებ.

(შემოდის სეპასტიანი. ანტონიო და გონზალო)

ისევ დაბრუნდნენ! აბა, აქ რა საქმე გაქვთ? ხომ არ გინდათ, ყველაფერს  
ხელი ეუშვათ და დაეიხროთ? გინდათ, ჩავიძიროთ?

სეპასტიანი — უირი გეცეს, შე უღმერთო ყიამყრალი, გულქვაძალი!

ბოცმან — მამ მოდიოთ და თქვენ იმუშავეთ.

ანტონიო — ჩამოსახრობი ხარ, ქოფაკო, უზრდულო ყიამყრალი, ჩამოსახრო-  
ბობი. შენ ჩვენზე უფრო გეშინია დახრობისა.

გონზალო — იმედი გქონდეს, რომ არ დაიხრობა, თუნდა კაკლის ნაქუჭზე  
მაგარი არც კი იყოს ჩვენი გემი.

ბოცმან — ქარის მიმართულებით მიატრიალეთ! ორი აფრა კიდევ აუშვით!  
ჩქარა!

(შემოდის დსველებული მეზღვაურები)

მეზღვაურები — დავიღუპეთ! ჩქარა ილოცეთ, ილოცეთ, დავიღუპეთ!

ბოცმან — როგორ, უფსკრულმა უნდა ჩაგვნიქას?

გონზალო — იქ ხელმწიფე და უფლისწული შესთხოვენ ღმერთსა,  
მო, ჩვენც მივიღეთ და ვილოცოთ. ერთი გვაქვს ხვედრი.

სეპასტიანი — მე მოთმინება მექარება.

ანტონიო — მორჩა, ლოთებმა წუთისოფელს გამოგვასალმეს.

გონზალო — თუნდა პირი შეპკრას ყველა წვეთმა მის ჩასანთქავად,

და ყველა ტალღამ ძლიერ ფართოდ გაუღოს ხაზა,

მანც ვიტყვი, რომ ჩამოხრობა მოელის მაგას.

(მოსმის არეული ხმები)

„ღმერთო გვიშველე!“ „ვიღუპებით, ო, ვიღუპებით!“

„გაი, ცოლშილო, გეთხოვებით უკანასკნელად!“

„შშვიდობით, ძმავო, ვიღუპებით! ო, დავიღუპეთ!“

ანტონიო — წავიდეთ, მეფესთან ერთად ჩვენც ჩავიძიროთ.

სეპასტიანი — წავიდეთ, გამოვეთხოვოთ.

ანტონიო და სეპასტიანი გადიან).

გონზალო — თუნდა ათას მილ ზღვას მივცემდი ახლა ბარდიოთა და ბუჩქე-  
ბით დაფარულ მიწის ერთ პატარა ნაკვეთში. მაგრამ ზეცა განაგებს ყვე-  
ლაფერს! ეჰ, ნეტავ კი ხმელეთზე დამგლია სული!

## სურათი II

კუნძული. პროსპეროს ქოხი.

(შემოდის პროსპერო და მირანდა)

მირანდა — თუკი მისწერი ხელოვნებით ააბობოქრე  
ეს ველური ზღვა, — კვლავ დააცხრე, ძვირფასო მამავ.  
ზეცას თითქო სურს, მყრალი კუპრი წამოიანთხიოს,  
მაგრამ ზღვის ზვირთნი აგერ, ცამდე ამხედრებულან  
და ნთქავენ იმ ცეცხლს. ო, ვეწამე იმათი ცოდვით,



ვის წამებასაც ვუყურებდი. მდიდრული გემი, ეკვი არ არის, კეთილშობილ მგზავრებით სავსე, — ნაკუწ-ნაკუწად გადაიქცა. ჩემს გულში რეკდა მათი კვნესის ხმა. საბრალონი სულ დაიღუპნენ! ძლიერი ღმერთი ვყოფილიყავ, მე შთაეაქცევი ზღვას დედამიწის შუაგულში და ლამაზ ზომალდს, მგზავრებით სავსეს ჩასანთქავად არ დაუთმობდი.

პროსპერო — დამშვიდდი, ნულარ აღმფოთლები, შენს მოწყალე გულს შაავონე, რომ არ მომხდარა უბედურება.

მირანდა — ო, ბედკრულო დღე!

პროსპერო — ნუ, ნუ შფოთავ! ეს მხოლოდ შენთვის, პო. მხოლოდ შენთვის გაეაქეთე მე ყველაფერი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო ასულო ჩემო, შენთვის, რომელმაც ჯერ არ იცი ვინა ხარ თვითონ, და არც ის იცი — მამაშენი საიდან არის! გგონივარ მხოლოდ ამ უბადრუკ ქოხის მფლობელი. ის კი არ იცი, რომ მე ბევრად უდიდესი ვარ.

მირანდა — ამის გაგება მე ფიქრადაც კი არ მომსულია.

პროსპერო — დროა ავიხსნა ყველაფერი. ხელი მომეცი და ჩამომხსენი ეს გრძნეული წამოსასხამი.  
(მოსასხამს დაბლა დაადებს)

ასე ახლა კი მოისვენე, ჩემო მისნობავ. აბა, ცრემლები მოიწმინდე და დაშოშმინდი. ზომალდის მსხვრევის საშინელი სანახაობა, შენს სათნო გულში სიბრაღული რომ აღძრა ახლა, ჩემი გრძნეული ხელოვნებით გამოვიწვიე, ისე, რომ არც ერთ იმ ზომალდში მყოფ ქმნილებასა, რომელთ ყვირილი გესმოდა და რომლებიც უკვე შენ დაღუპულიც კი გეგონა, არც ერთ სულს მათში ბეწვის დაკარგვის მწუხარებაც არ განუცლია. ჩამოჯექ, რადგან ბევრი რამე უნდა გიამბო.

მირანდა — აქამდეც ხშირად დაგიწყია თხრობა, თუ ვინ ვარ, მაგრამ უმაღვე შეწყვეტილი და მიმატოვებული ამ გამოცანის ფიქრით პყრობილს. მერე იტყოდი: „არა, ჯერ არ ღირს“.

პროსპერო — უკვე დადგა იგი საათი: ეამი გიბრძანებს გულხმვიერად მომაპყრო ყური და მორჩილებით მომისმინო. აბა თუ გახსოვს იგი ღრო, ვიდრე ამ სოროში დავსახლდებოდით? არა მგონია, რომ გახსოვდეს, რადგანაც მაშინ შენ სამი წლისა იყავ მხოლოდ.

მირანდა — მახსოვს, ბატონო.

პროსპერო — აბა რა გახსოვს? სხვა სახლი, თუ სხვა ხალხი გახსოვს? რის წარმოდგენა შეუძლია შენს მოგონებას, მითხარი ერთი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- მირანდა— ძველისძველი ამბაეი გახლავს,  
ის მოგონება სიზმარს უფრო ჰგავს, ვიდრე ცხადსა.  
არ მყავდა განა ერთ ღროს ოთხი-ხუთი მოახლე?
- პროსპერო— გყავდა, მირანდა, მეტიც გყავდა. მაგრამ ვით მოხდა,  
რომ ისევ ცოცხლობს ეს შენს თავში? კიდევ რას ხედავ  
გარდასულ ღროთა ბნელს უფსკრულში? თუ ძველი გახსოვს,  
მაშინ აქ-მოსვლაც გეხსომება.
- მირანდა— ეს კი არ მახსოვს.
- პროსპერო— თორმეტმა წელმა ჩაიარა, ჩემო მირანდა,  
თორმეტმა წელმა იმის შემდეგ, რაც მამაშენი  
ძლიერი პრინცი და მილანის ჰერცოგი იყო.
- მირანდა— როგორ, ბატონო, ნუთუ მამა არ ხარ შენ ჩემი?
- პროსპერო— თვით დედაშენმა, სათნოებით განთქმულმა ქალმა,  
ასე გადმომცა, რომ ასული ყოფილხარ ჩემი,  
მამაშენი კი ტახტზე იჯდა მაშინ მილანში,  
მისი მემკვიდრე, ღირსეული, შენა ხარ, შეილო.
- მირანდა— ჰოი, ზეცაო! საძაგელმა ბედის თამაშმა  
მოგვიყვანა აქ, თუ ნეტარმა ბედისწერამა?
- პროსპერო— ორივემ, შეილო, ვით შენ ამბობ, ბედის თამაშმა  
ჩვენ გამოგვრეკა იქედანა. ნეტარმა ბედმა  
აქ გამოგვრიცა.
- მირანდა— გული მტკივა, რომ ავიშაღე  
მწარე, ფიქრები, წაშლილი ჩემს მოგონებაში.  
მაგრამ, განაგრძე, მამაჩემო.
- პროსპერო— ჩემი ღვიძლი ძმა,  
და შენი ბიძა, ანტონიო,— მაგრამ, მირანდა,  
გთხოვ ყური მიგდო, — ასე უნდა გიმუხთლოს ძმამა?  
ძმამ, ვინც შენს შემდეგ, ქვეყანაზე ყველას მერჩივნა.  
რომელსაც ქვეყნის მართვა თვითონ გადავებარე—  
იმ ღროს კი ჩვენი საჰერცოგო პირველი იყო,  
პროსპეროც მაშინ ითვლებოდა პირველ ჰერცოგად,  
უბადლო თავის ღირსებით და მეცნიერების  
ულრმესი ცოდნით. მე გართულმა ჩემის მოძღვრებით,  
იმას მივანდე მმართველობა. და ისეთგვარად  
აღმაფრთოვანა, გამიტაცა მე იდუმალის  
სიბრძნის ძიებად, რომ თანდათან, ჩემის ქვეყნისთვის  
უცხო შევიქვენ. შემდეგ შენი ვერაგი ბიძა...  
მაგრამ, თუ მისმენ?
- მირანდა— გულისყურით, ბატონო ჩემო.
- პროსპერო— დახელოვნდა რა მოწყალების უხვ გაცემაში,  
თუ ვის მოაკლოს მან პატივი, ვინ აღამაღლოს,  
ანუ დათრგუნოს მიტისმეტის ზვიადობისთვის,  
ხელხალა გაწვრთნა ჩემნი კაცნი, ანუ შეცვალა,  
ან, უკეთ რომ ვთქვა, გარდაქმნა და რაკი ხელთ ჰქონდა  
მას გასაღები სახელმწიფოს და ქვეშევრდომთა,  
სუყველას გული ისეთნაირ ჰანგზე მომართა,



რაც ყურთა სმენას დაუტყობდა. ამრიგად გახდა, ჩემს სამეფო ტანს მოხვეული სურო, როძელიც ნელნელა მწოვდა ნორჩსა ყლორტებს. მაგრამ არ მისმენ?

მ ი რ ა ნ დ ა — გისმენ, ბატონო.

პ რ ო ს ჰ ე რ ო — მომისმინე, გემუდარები.

მე კი დავთმე რა, საზრუნავი ამქვეყნიური, შევეწირე რა მთელის არსით ჩემს საიდუმლო მეცნიერებას, რაიც თავის იდუმალებით ყველა სხვა ცნობილ სწავლის დარგზე უფრო მაღლა დგას და დავეწაფე რა გონების გამდიდრებასა, ბოროტი სული გავალვიძე ჩემს ვერაგ ძმაში. ჩემმა მისადმი მშობლის მსგავსმა მინდობელობამ მასში წარმოშვა ვერაგობა ისეთ ზომამდე, რა ზომამდისაც ვენდობოდი. ჩემი ნდობა კი უზომო იყო და უსაზღვრო. ამრიგად იგი გაბატონდა და დაეუფლა არა მარტო მას, რასაც აძლევდა სახელმწიფოს შემოსავალი, არამედ მასაც, რის მიღება თვით მე შემეძლო. და იმის მსგავსად, ვინც ოცნების ცოდვიან ზრახვებს მართლად მიიჩნევს და ენდობა საკუთარ ჩმახვას, ჩემმა ძმამ თავი დაარწმუნა ჰერცოგი ვარო. გამოიყენა დროებითი უფლება მარჯვედ, თანდათანობით, მედიდურის თავგასულობით...

მაგრამ თუ მისმენ?

მ ი რ ა ნ დ ა — ეს ამბავი ყრუსაც განკურნავს.

პ რ ო ს ჰ ე რ ო — რომ ჩამოეხსნა ფარდა იმას თვის როლებს შუა;

ვინც თვითონ იყო და ვის როლსაც ის თამაშობდა, საჭიროდა სცნო მილანის ტახტს დაუფლებოდა. მე საბრალომ კი საჰერცოგოდ საკმაოდ დიდად ჩემი წიგნები დავისახე. მე ძმამ ჩამთვალა შეუფერებლად, უუნაროდ გვირგვინისათვის. და შემდეგ თვითონ, ჰერცოგობას დახარბებული, შეუკავშირდა ნეაპოლის მეფეს, აღუთქვა, წლიური ხარკი, მორჩილება. თავისი ტახტი, ისე როგორც თვით საჰერცოგო ქედმოუხრელი მეფის გვირგვინის ქვეშევრდომი და ყმა გახადა. ვაგლახ, მილანო, ასე მდაბლად მხრებმოდრეკილო!

მ ი რ ა ნ დ ა — ჰოი, ზეცაო!

პ რ ო ს ჰ ე რ ო — დააკვირდი მათს შეთანხმებას,

შედგებას მისას და მითხარი ის ძმა განა!

მ ი რ ა ნ დ ა — მე შეეცოდავდი, მოკრძალებით რომ არ მეფიქრნა დიდდღაჩემზე. მაგრამ რამდენ ღირსეულ საშოს გაუჩენია უღირსი ძე.

პ რ ო ს ჰ ე რ ო — ჰა, შეთანხმებაც:

ჩემმა დიდიხნის მტერმა — მეფემ ნეაპოლისამ, მორჩილების და ხარკის ფასად, — ოღონდ არ ვიცი



რამდენს შეჰპირდა,—ანტონიოს პირობა მისცა,  
რომ მე ოჯახით განმდევნიდა საპერცოგოდან  
და ტურფა მილანს მას მისცემდა მთელის ღირსებით.  
შემდგომ ამისა შეჰკრეს გუნდი მოლაღატეთა  
და ერთხელ ღამით ამ განზრახვის შესასრულებლად  
მილანის კარი ანტონიომ მტრის ჯარს გაუხსნა.  
სამარისებურ სიბნელეში ავისმზრახველთა  
გამოგვაძევეს მეც და შენაც, მტირალი ბავშვი.

მ ი რ ა ნ დ ა — ო, გული მტყიფა. თუმც არ მახსოვს როგორ ვტიროდი,  
მაინც მინდა, რომ ხელმეორედ გამოვიტირო  
თვალები ისე მეწურება და ცრემლებსა ვგრძნობ.

პ რ ო ს ჰ ე რ ო — ცოტაც მისმინე და გიამბობ თუ ქარიშხალი  
რად ამოვადე. უამისოდ ეს საუბარიც  
ზომ უადგილო იქნებოდა.

მ ი რ ა ნ დ ა — როგორ მოხდა, რომ  
სულმთლად არ მოგვსპეს მაშინ იმათ?

პ რ ო ს ჰ ე რ ო — კარგადა მკითხავ,  
ჩემმა მოთხრობამ აღვიძრა შენ ახლა ეს კითხვა.  
ისეთნაირად ვუყვარდი ხალხს, ჩემო ძვირფასო,  
რომ ვერ გაბედეს, თვის ბნელ საქმეს სისხლი ვერ მოსცხეს,  
უფრო ნათელის ფერადებით შეაფერადეს.  
მოკლედ, ბარქაზში ჩავესხეს იმათ და შეგვაცურეს  
შორს, ზღვის სიღრმეში. იქ გველოდა მათგან წინასწარ  
მომზადებული ძველისძველი კოპანო ერთი,  
მოუკაზმავი, უიალქნო, უანძ-უსაქო.  
ვირთაგვებსაც კი ეგრძნოთ დიდი უბედურება  
და დაეცალათ იგი ნავი. იქ მიგვატოვეს,  
რათა გვებლავლნა ზღვაზე, ის კი ჩვენ მოგვბლაოდა,  
რათა გვეოზრა და გვექმინა ჩვენ ქარიშხლისთვის,  
რაც სიბრალულის თანაგრძნობით ჩვენვე გვიქმენდა  
და ამით გვენბდა.

მ ი რ ა ნ დ ა — ღმერთო ჩემო, მაშინ რა ტვირთი  
ვიქნებოდი მე!

პ რ ო ს ჰ ე რ ო — ქერუბინი იყავი ჩემი,  
ჩემი დამხსნელი! ზეციური ღიმილი შენი,  
როცა ვაფრქვევდი ზღვას მლაშე ცრემლს, როცა ვკენესოდი  
ჩემის ტვირთის ქვეშ, მე ვაეკაცურ ძალას მმატებდა.  
მიცხოველებდა სიმამაცეს, რომ მოთმინებით  
გადამეტანა გასაჭირი.

მ ი რ ა ნ დ ა — მაგრამ ნაპირზე  
როგორღა მოვხვდით?

პ რ ო ს ჰ ე რ ო — ზეცის ნებით. ნეაპოლეღმა  
კეთილშობილმა გონზალომა, რომელსაც ჰქონდა  
ჩვენი განდევნა მინდობილი, შეგვიბრალა და  
მოგვამარაგა სანოვაგით, სასმელი წყალით,  
მოგვცა მდიდრული ტანსაცმელი და თეთრეული,



მრავალის სახის მოსახმარი საჭირო ნივთი,  
 რანიც დღემდისაც დიდად ვგშველის. იმან იცოდა  
 რარიც მიყვარდა მე წიგნები, და იმოდენი  
 კეთილშობილი ხასიათი გამოიჩინა,  
 რომ შემიჩინა რამდენიმე ჩემივე წიგნი,  
 რომელთაც თვითონ ტახტზე უფრო დიდად ვაფასებ.

მ ი რ ა ნ დ ა — ნეტა ოდესმე დამენახა მე იგი კაცი!

(მ რ ო ს პ ე რ ო იღებს მოსახმარს)

პ რ ო ს პ ე რ ო — ახლა ავდგები. შენ იჯექი და მოისმინე  
 ამ მგზავრობისა დასასრულიც. აქ, ამ კუნძულზე  
 გამოვირიყეთ. აქვე შენმა მასწავლებელმა  
 უფრო მეტი რამ შეგასწავლე, ვიდრე შეეძლოთ  
 სხვა მეფის ასულთ შეესწავლათ უფროვე მეტის,  
 ზანტ, მოსაწყენი საათების განმავლობაში,  
 უფრო ნაკლებად გულმოდგინე აღმზრდელთა ხელში.

მ ი რ ა ნ დ ა — სამაგიერო ზეცამ გიზღათ! ახლა, ბატონო,  
 გემუდარები განშიმართო, ველარ ვისვენებ,  
 ეს ქარიშხალი რად აღძარი?

პ რ ო ს პ ე რ ო — ახლავ გაივებ.

უხემა იღბალმა უცნაურის შემთხვევის ძალით,  
 ჩემო ძვირფასო, ჩემნი მტერნი აქ მოიყვანა.  
 და წინათგრძნობით, როგორც ვხედავ, ჩემი სვე ბედი  
 უკავშირდება სხვებზე უფრო ბედნიერ ვარსკვლავს.  
 თუ კი ამით არ ვისარგებლე, ხელი შევეშვი,  
 სამარადქამოდ დამერღვევა ბედნიერება.

ნულარას მკითხავ. დაიძინე და დამშვიდდები.  
 ზედავ, თვალებიც გეხუჭება, სჯობს დაიძინო.

(მ ი რ ა ნ დ ა იძინებს)

უკვე მზადა ვარ, აბა მოდი ჩემთან, მსახურო,  
 ჩქარა გამოდი, მოახლოვდი, ჩემო არიელ.

(შემოდის ა რ ი ე ლ ი)

ა რ ი ე ლ ი — მოგესალმები, დიდო ბრძენო, დიდო პატრონო!

ჰა, მოვედი, რომ შეგისრულო ყველა სურვილი.

თუნდ ფრენა იყოს, თუნდ ცურვა, თუნდ ცეცხლში ჩასვლა,

თუნდ ამხედრება, თმახუჭუჭა ღრუბელთ ქულებზე.

მზადა გახლავართ არიელი და მისი სულნი

შენს მკაცრ ბრძანებას მოვუსმინოთ.

პ რ ო ს პ ე რ ო — როგორც გიბრძანე

ისეთნაირად თუ წარმართე ქარიშხლის ქროლვა?

ა რ ი ე ლ ი — ყველაფრით ისე. თავს დავესხი ხელმწიფის ხომალდს,

ხან გემის ცხვირზე, ხან ბაჟანზე, ყველა კუნძულში

მე შეშფოთების ცეცხლს ვანთებდი; ხან ვიყოფოდი

მრავალ ნაწილად და ვესხმოდი სხვადასხვა ადგილს

ანძას, იალქანს, გემის ბაჟანს. ცეცხლს გაუჩენდი

ყველას ცალცალკე, მერე ისევ შევაერთებდი.



თვით შემზარავი მეხთა სკდომის მათუყებელი იუპიტერის ელვაც, მგონი, არ იქნებოდა ისეთი სწრაფი, და ისეთი თვალშეუსწრობი. ცეცხლმა, გოგირდის ტყრცილის ხმამ თითქოს შებოქეს ძალგულოვანი მხნე ნეპტუნი. მის მამაც ტალღებს ძრწოლა მოჰგვარეს, დიახ, მისი მრისხანე კვერთხი მთლად აათრთოლეს.

პ რ ო ს პ ე რ ო — ჰოი, ჩემო მამაცო სულო! თუ აღმოაჩნდა ვინმეს სიმხნე, გულოვანება რომ შიშით გონი არ მიხდოდა?

ა რ ი ე ლ ი — არც ერთს იმათგანს. ყველა მოიცვა იქ სიგიჟის ციებ-ციხელებამ და განწირულის გაბრძოლებით აათამაშა. ცეცხლმოდებული გემი ყველამ, მეზღვაურთ გარდა, მიატოვა და აქაფებულ ზღვაში ჩავარდა. ტახტის მემკვიდრე ფერდინანდი, თმა აძაგრული, — თუმც ლერწამს უფრო გავდა ის თმა, — პირველი ჩახტა და დაიყვირა: „ჯოჯოხეთი სულ მთლად დაცლილა, ეშმაკები კი აქ მოსულან!“

პ რ ო ს პ ე რ ო — ყოჩაღ, შენ, სულო! ნაპირთან ახლოს მოხდა ესა?

ა რ ი ე ლ ი — აქვე, ბატონო.

პ რ ო ს პ ე რ ო — გადარჩნენ?

ა რ ი ე ლ ი — ერთი ლერიც თმისა არ დაუკარგავთ. იმათ ტანსაცმელს ერთი ლაქაც არ დასჩენია, უფრო კარგადაც გასუფთავდნენ. როგორც მიბრძანე, მიმოვაბნე მთელს კუნძულზე გუნდგუნდად ყველა. ტახტისმემკვიდრე გამოვრიყე სულ მარტოდმარტო და ამ კუნძულის ერთ უდაბნო კუთხეს მივაგდე, იქვე ზის ახლაც მოწყენილი გულზელდაკრეფით და ამოოხვრით ქარს აგრილებს.

პ რ ო ს პ ე რ ო — რა მოუვიდა ხელმწიფის ხომალდს და მეზღვაურთ, ანუ დანარჩენთ ხომალდზე მყოფთა?

ა რ ი ე ლ ი — მეფის გემი მშვიდობითა დგას ნავსაყუდელში. ღრმა უბეში, სადაცა ერთხელ, შუალამისას წარმაგზავენე მარად ტანჯულის ბერმუდისკენ ცერის მოსატანად, ის იქ დავმალე. მეზღვაურები გემის ფსკერზე ჩავყარე ყველა, ამ სატანჯველით დაქანცულნი მოვაჯადოვე და მივაძინე. სხვა მგზავრები ჯერ კი გავფანტე, მაგრამ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთსა. ახლა ისინი ხმელთაშუა ზღვით მისცურავენ ნეაპოლისკენ და დაღვრემილებს ჰგონიათ, რომ მეფის ხომალდი და თვითონ მეფეც დაიღუპა.



- პ რ ო ს ჰ ე რ ო — ეს ყველაფერი  
შენ ჩინებულად შეასრულე. სხვა საქმეცა გვაქვს.  
რა დრო იქნება ახლა დღისა?
- ა რ ი ე ლ ი — ნაშუადღევით.  
პ რ ო ს ჰ ე რ ო — ექვსამდე ორი საათიღა თუ დაგვრჩენია.  
უნდა დაზოგვით მოვიხმაროთ ეს ძვირფასი დრო.
- ა რ ი ე ლ ი — კიდევ საქმეა? ვიდრე ახალ საქმეს მომცემდე,  
მსურს მოგაგონო შეპირება, რომელიც ჯერ არ  
შესრულებულა.
- პ რ ო ს ჰ ე რ ო — რაო? ისევ უმადური ხარ?  
ნეტავ, რის თხოვნა ძალგამს კიდევ?
- ა რ ი ე ლ ი — თავისუფლების.  
პ რ ო ს ჰ ე რ ო — დრომდე? აროდეს აღარ მითხრა.
- ა რ ი ე ლ ი — გემუდარები,  
ეს მოიგონე, რა ერთგულად მიმსახურნია,  
არცა ტყუილი მითქვამს შენთვის, არც მცდარი რამე,  
არ ვწუწუნებდი არაოდეს. აკი შემპირდი  
ერთი წლით ადრე გაშვებასა.
- პ რ ო ს ჰ ე რ ო — გადაგავიწყდა,  
რა წამებიდან დაგიხსენი?
- ა რ ი ე ლ ი — არ დამეწყენია.  
პ რ ო ს ჰ ე რ ო — ჰო, დაგავიწყდა. დიდ საქმედ თველი ზღვის მლაშე წყლებში  
ხეტიალს, ფრენას ჩრდილოეთის მსუსხავ ქარის ფრთით,  
ყინულისაგან გაქვავებულ მიწის ძარღვებში  
ჩემთა საქმეთა შესრულებას...
- ა რ ი ე ლ ი — არა, ბატონო.  
პ რ ო ს ჰ ე რ ო — გულღვარძლიანო, ტყუი შენა. ნუთუ არ გახსოვს  
სიბერითა და შურით რკალად შემოგრაგნილი  
ბილწი მისანი სიკორაქსი? გადაგავიწყდა?
- ა რ ი ე ლ ი — არა.  
პ რ ო ს ჰ ე რ ო — არ გახსოვს. აბა მითხარ, სად დაიბადა?
- ა რ ი ე ლ ი — ალყირში, ჩემო მბრძანებელო.  
პ რ ო ს ჰ ე რ ო — ო, ნუთუ მართლა?  
მე უნდა თვეში ერთხელ მაინც ჩამოგითვალო  
რაცა ყოფილხარ, რადგან ასე გავიწყდება შენ.  
იმ წყველ მისანს უთვალავი ბოროტებისთვის,  
კაცთ მოსასმენად შემზარავი ჯადოქრობისთვის,  
გადაუწყვიტეს გაძევება ალყირიდანა.  
არ მოჰკლეს მიტომ, ეს შენც იცი, რადგან ახსოვდათ  
ერთი კეთილი საქმე მისი. ხომ მართალს ვამბობ?
- ა რ ი ე ლ ი — დიახ, ბატონო.  
პ რ ო ს ჰ ე რ ო — ეს ლურჯთვალა ავი ბებერი  
თავისი შვილით აქ დასტოვეს მეზღვაურებმა.  
შენ, ჩემო მონავ, როგორც თვითონ ვითქვამს ეს კიდევ.  
მისი მსახური იყავ მაშინ და რაკი გქონდა  
კეთილშობილი სული, იმის მიწიერ ზრახვებს



იმის საძაგელ ბრძანებებსა არ მორჩილებდი.  
ერთხელ ბებერმა თავის ჩვეულ გაცოფების დროს  
მოიშველია ძლიერებით განთქმულნი სულნი,  
ნაძვი გააპო და ნაპობში გამოგამწყვედია.

იქ გაატარე ტანჯვით საესე თორმეტი წელი.  
ამასობაში იგი მოკვდა. იქ გაქედილი  
შენ წისქვილის ქვის სისწრაფითა კენესდი, ბლაოდი.  
ზაშინ კუნძულზე კაცის ფეხი არ ჰქანებდა  
ბებრის მოგდებულ, ჰორფლიანის ლეკვისა გარდა.

ა რ ი ე ლ ი — ზო, მისი ვაჟი კალიბანი.

პ რ ო ს პ ე რ ო — გონება ჩლუნგი!

იმ კალიბანზე გეუბნები, რომელიც ახლა  
მსახურადა მყავს. თვითონ უკეთ გემახსოვრება,  
რა წამებაშიც დამიხვდი აქ. შენი კენესის ხმა  
მგლებს აყმუვლებდა სიბრაღულით და მარად ანჩხლ დათეს  
გულს უკუმშავდა. ამგვარ ტანჯვას მხოლოდ წყველ სულთ  
თუ მიუსჯიან. სიკორაქსსაც აღარ შეეძლო  
შენი გამოხსნა. როგორც მოველ და მოვისმინე  
მე შენი კენესა, ჩემის ცოდნის ხელოვანებით  
ნაძვი მოვვრიხე, ნაპობს პირი დაეალებინე  
და დაგიხსენი.

ა რ ი ე ლ ი — მადლობელი ვარ, მბრძანებელო,

პ რ ო ს პ ე რ ო — მაგრამ კიდევ თუ მორთავ წუწუნს, მუხას გაეაპობ,  
იმის ნაპობში გამოგამწყვედე და აგაყმუვლებ  
იქ თორმეტ ზამთარს.

ა რ ი ე ლ ი — მბრძანებელო, გთხოვ მომიტევე.  
დამორჩილდები შენს ბრძანებას და შეგისრულებ  
ყველაფერს უხმოდ.

პ რ ო ს პ ე რ ო — ასე ჰქმენ და მაშინ ორ დღეში  
თავისუფლებას მოგანიჭებ.

ა რ ი ე ლ ი — კარგო ბატონო,

რა საქმე უნდა შეეასრულო, მიბრძანე, რა გსურს?

პ რ ო ს პ ე რ ო — წა, ზღვის ფერიად გადაიქეც ხილული მხოლოდ  
ჩემთვის და შენი საკუთარი თავისთვის იყავ.  
სხვისთვის ყველასთვის უხილაგი. მამ ვასწი, ჩქარა,  
ფერიად იქეც და აქ მოდი. წადი ყოჩაღად,  
ძვირფასო სულო, გაიღვიძე, გეყოფა ძილი.  
(ა რ ი ე ლ ი ვადის)

გამოიღვიძე!

მ ი რ ა ნ დ ა — თქვენის ამბის უცნაურობა  
გულს მაწივებს ლოდად.

პ რ ო ს პ ე რ ო — შეარხიე და მოიშორე.

ახლა გამომყე კალიბანთან, ვინაც აროდეს  
ტკბილი სიტყვით არ გვიპასუხებს.

მ ი რ ა ნ დ ა — ო, არამზადა  
დასანახადაც მძულს, ბატონო.





პ რ ო ს პ ე რ ო — სხვა გზა არ არის.  
 ვერ მოვიშორებთ მას თავიდან. შეშას გვიზიდავს,  
 ცეცხლსაც გვიჩალებს და ყოველგვარ სამსახურს გვიწევს  
 შენ, ეი, მონავ, კალიბანო, მიწის ნაქერო.

პ ე ი, ხმა გამე.  
 კ ა ლ ი ბ ა ნ ი — (შეგნიდან) შეშა სახლში საკმაოდ ყრია.  
 პ რ ო ს პ ე რ ო — აქ მოდი-მეთქი, გეუბნები. სხვა რამ საქმე მაქვს.  
 ამ კუს შეხედე! აბა ჩქარა.

(შემოდის ა რ ი ე ლ ი, წყლის ფარიალ მკედილი)  
 ტურფა ზმანება!  
 ჩემო არიელ, ყური მიგდე.

ა რ ი ე ლ ი — კარგი, ბატონო.  
 (ვაღის)

პ რ ო ს პ ე რ ო — შხამის მთესაეო, მონავ, ალბათ, თვითონ ეშმაკმა  
 ჩაგსახა წყეულ დედაშენში, აქ მოდი ჩქარა.  
 (შემოდის კ ა ლ ი ბ ა ნ ი).

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — დაგსხურებოდეთ თქვენ ორივეს ის სნების ნამი,  
 რაც კი ოდესმე საზარელი ჯაობისაგან  
 დედას ყორნის ფრთით მოუწურავს. სამხრეთ დასავლის  
 ქარმა დაგფაროთ მუწულებით.

პ რ ო ს პ ე რ ო — სწორედ მაგისტვის,  
 გვეროდეს, ამლამ სულ დაგკრუნჩხავს ფილენჯის ქარი,  
 სუნთქვას შეგიყრავს გვერდის ჭვალი. ეს გრძელი ღამე,  
 რომ უსაქმოდ არ გაატარონ, დაგესევიან  
 შენ ალქაჯები და მთელს ტანზე ივარჯიშებენ.  
 ვით ზაფლის ფიჭა-ისე მსხვილად დაიჩხელიტები  
 და თითო ჩხელეტა უფრო მწარე იქნება, ვიდრე  
 იმ ფიჭის შემკვრელ ფუტკრის კბენა.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — სადილი მინდა:  
 ეს კუნძული ხომ მე შეკუთვნის დედიჩემისგან,  
 შენ კი მას მართმევე. პირველად რომ მოხვედი აქა,  
 მეფერებოდი, მარწყვიან წყალს მასშვედი ხოლმე,  
 ისიც მასწავლე, თუ რა ჰქვიან დიდ მანათობელს  
 და მასზე მომცროს, დღედაღამე რომ ანათებენ.  
 მეც შეგიყვარე, დაგატარე მთელი კონძოლი,  
 ანკარა წყარო, მლაშე გუბე, მწირი მიწები  
 და ნოყიერი ადგილები. ო, ამისათვის  
 წყეულიმც ვიყო! ყველა ჯადო სიკორაქისისა,  
 ჯოჯო, ღამურა, ხოჭოები შემოგეხვიოს!  
 რადგან თვით ვიყავ ჩემი თავის ხელმწიფე უწინ,  
 ახლა კი შენი ერთადერთი მონა შევიქნ.  
 ჩემი კუნძული შენ გიპირავს, მეკი სანაცვლოდ  
 კლდეზე ვაგდივარ.

პ რ ო ს პ ე რ ო — ო. ცრუ მონავ. კეთილ მოპყრობას  
 შენ ცემატყება გირჩევნია. ასეთ ჭუჭყიანს  
 შე შაინც ტკბილად გექცეოდი. ჩემთანვე ქონში

გეძინა ღამით, ვიდრე ბოლოს არ განიზრახე  
ჩემი ასულის გაწილება.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი —

ოჰო, ჰო, ჰო, ჰო!

ნეტავი მართლაც ასე მექნა. შენ შემოშალე,  
თორემ ამ კუნძულს კალიბნებით დავასახლებდი.

პ რ ო ს ჰ ე რ ო — საზარო მონავ, კარგს ვერაფერს ვერ შეითვისებ,

გაჩენილი ხარ ბოროტისთვის. მე შეგიბრალებ  
დიდი წვალეებით მეტყველებას ძლივს შეგაჩვიე.  
ყოველ საათში, ხან რას და ხან რას გასწავლიდი.

შენ კი, ველურო, არ გესმოდა შენივ ფიქრები  
და პირუტყვივით ზმუკუნებდი. მოგეცი ნიჭი  
მეტყველებისა, შეგასწავლე საგანთ სახელი,  
მაგრამ ბუნებით ბოროტი და ბილწი არსება  
კეთილ და სათნო საქმეს როგორ შეითვისებდი.  
ამიტომაც ხარ ჩაკეტილი იმ კლდის სოროში,  
თუმც უარესი საბყრობილის ღირსი ხარ შენა.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ენა მასწავლე და რად უნდა გამოვიყენო?

მხოლოდ წყევლისთვის: გაზმუილოს წითელმა ქირამა  
ამ შენის ენის სწავლებისთვის.

პ რ ო ს ჰ ე რ ო —

გა, ჯოჯოს თესლო,

წადი და შეშა მოგვიზიდე, მაგრამ ის გიჯობს  
ცოტა იჩქარო, სხვა რამ საქმეც უნდა გიბრძანო.  
რაო? მხრებს იჩეჩ, არამზადავ? თუ არ წახვედი,  
ან უხალისოდ შეასრულე ჩემი ბრძანება,  
კრუნჩხვით გაწამებ, ტკივილებით ძვლებს გაგიჭვალავ.  
გაბლაღებ ისე, შენის ცოდვით მხეცნიც კი თრთოდნენ.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ნუ, ნუ იზამ, ვთხოვ. (თავისთვის) რა ვქნა, უნდა დავემორჩილო.

მისწობას მისას ის ძალა აქვს, რომ სეტყობოსაც,  
ღელთიჩემის ღმერთს, მონად აქცევს.

პ რ ო ს ჰ ე რ ო —

მაშ, გასწი მონავ.

(კ ა ლ ი ბ ა ნ ი გადის) შემოდის ა რ ი ე ლ ი. უხილავია მღერის. მას მოსდევს ფ ე რ -  
ღ ი ნ ა ნ დ ი.)

ა რ ი ე ლ ი — ხელი ზელს ჩასკიდეთ, აქეთვე ჩქარა!

ქვიშაზე იხტუნეთ ჩიტების დარად.  
დაძვარეთ ურთერთი ამბორით მწველით,  
ზღვა დაცხრა, რონინებს ტალღები ნელი.  
ჰა, მარდაღ გაუსვით, იმღერეთ მაღლა,  
ბანს მოგცემთ სულების გუნდები ახლავ  
გაიგონეთ სმენა! სმენა!

(ისმის სხვადასხვა მხრიდან: აუ! აუ!)

ეს, ძაღლებმა იწყეს ღრენა.

(ისმის სხვადასხვა მხრიდან: აუ! აუ!)

გაიგონეთ, ჰეი სმენა!

გაბღენძილმა მამლაყინწამ  
დაიყიელა მედიდურად.



ფერდინანდო—ნეტა სად მღერენ? ჰაერში თუ მიწის სიღრმეში?  
 უკვე ხმა მიწყდა. ახლა ალბათ ამა კუნძულის  
 ღმერთს მოელიან. ზღვის ნაპირას ვიჯექი ჩემთვის  
 და მამაჩემის დაღუპვაზე მოვთქვამდი მწარედ.  
 უცერად მომწვდა ტალღებიდან მე სიმღერის ხმა,  
 და იმ ჰანგების ტყბილმა ქლერამ დააშოშმინა  
 მღელვარე გულიც და ტალღების მრისხანე ცოფიც  
 მას გამოვეყვი. არა, უფრო მომაჯადოვა.  
 ახლა კი გაჰქრა. მაგრამ, აი, ისევ იწყება.

(არიელი მღერის):

ხუთი ეკის სიღრმეზე წევს მამაშენი,  
 ძვლები მისი გადაიქცა მარჯნის დარად,  
 თვალზე კი მარგალიტად ზღვის ფსკერს შეენის;  
 არაფერი დაკარგულა, არ დამტყნარა.  
 ზღვის ტალღებმა შეუცვალეს მხოლოდ ნიმი,  
 მღიდვრულ რამედ გარდაქმნეს და ყოველ ღამე  
 ფერიები ჩამოჰკრავენ მწუხრის ზარებს.

(შინიდან ისმის: ძინი ძინი)

აჰა, „ძინი“ ძინი ეფინება არემარეს.

ფერდინანდო—დამხრჩვალნი მამა მომაგონა მე ამ სიმღერამ.  
 ამას მოკვდავი ვერ იმღერებს და თვითონ ქლერაც  
 მიწითურს არ გაეს, ეს ზეციდან მომესმის ახლა.

პროსპერო—შენი თვალების ფიჩორვანი ფარდა ზე ასწი  
 და მითხარ, აბა, იქ რას ხედავ.

მირანდა— ეს რაა? სული?  
 ო, ღმერთო, როგორ ხეკირება! ჩემო ბატონო,  
 მას ვაეკაცური იერი აქვს, მაგრამ სულია!

პროსპერო—არა, გოგონი. სჭამს, იძინებს და სხვა გრძნობებზეც  
 ჩვენნაირი აქვს. ეს ჰაბუკი გემის მარცხს მოჰყვა.  
 მშვენიების მატლი—სევდის ჩრდილი რომ არ ბურავდეს,  
 მაშინ შენ ალბათ უწოდებდი მოხდენილ ვაეკაცს.  
 მას მეგობრები დაუკარგავს და ახლა მარტო  
 დაეხეტება მათ საძებრად.

მირანდა— მე ვუწოდებდი  
 ღვთიურ ქმნილებას, რადგან მისებრ კეთილშობილი  
 ბუნების შეილი არ მინახავს.

პროსპერო—(თავისთვის) მე როგორც ვატყობ  
 ისე ეწყობა ყველაფერი, ვით გულს სურს ჩემსას.  
 ო, ჩემო სულო, მშვენიერო, ორი დღის შემდეგ  
 თავისუფლებას მოგანიჭებ.

ფერდინანდო— ახლა კი ვხედავ  
 თვითონ ღვთაება მღერდა თურმე. ჩემი ვედრება  
 შეისმინე და ეს მითხარი, აქაური ხარ?  
 თუ ამ კუნძულის მცხოვრები ხარ, მაშინ მასწავლე:  
 როგორ მოვიქცე, რა უნდა ვქნა? პირველი თხოვნა

მაინც ეს არის, თუმცა გკითხავ ყველაზე ბოლოს,  
საკვირველებავ, ქალი თუ ხარ?

მ ი რ ა ნ დ ა — საკვირველება

არ ვარ, ბატონო, ქალი კი ვარ.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ო, ჩემი ენა!

ჰოი ზეცაო, პირველი ვარ მე იმათ შორის,  
ვინც კი ამ ენას ლაპარაკობს. ოღონდ იქ ვიყო,  
სადაც ამ ენით მეტყველებენ.

პ რ ო ს პ ე რ ო — როგორ, პირველი?

რა იქნებოდი ნეაპოლის მეფე გისმენდეს.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — იგივე ეული ვიქნებოდი, რაიც ახლა ვარ.

გაოცებული იმით, რომ ნეაპოლს იცნობ.  
მეფე მისმენს მე და მიტომაც ვჭვითინებ ასე.  
თვითონ ვარ მეფე ნეაპოლის. და ამ თვალებით,  
სადაც მას შემდეგ მუდამ დელაეს ცრემლის ტალღები,  
მე ვნახე, როგორ დაიღუპა ხელმწიფე-მამა.

მ ი რ ა ნ დ ა — ჰოი, საბრალო!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — იმასთან სხვაც ბევრი დაიხრჩო.

თითონ ჰერცოგიც მილანისა, თვის უფლისწულით  
იქ დაიღუპა.

პ რ ო ს პ ე რ ო — (თავისთვის) რომ დრო იყოს ახლა ამისი,

მაშინ ჰერცოგის მილანისა თავისი ქალით,  
უფრორე მეტად მშვენიერით გეტყოდა მართალს.

ნაგრამ შეხედე: პირველივე თვალის შეველებით  
მოხიბლეს ამათ ერთმანეთი. ყოჩაღ, არიელ,  
თავისუფლებას მოგანიჭებ. კარგო ბატონო,  
ამ თავხედურის ლაპარაკით ძალიან ვშიშობ  
არ ავნო თავსა.

მ ი რ ა ნ დ ა — ნეტავ, მამა რატომ ინებებს

ასეთ სიმკაცრეს. კაცთა შორის ეს მესამეა,  
ვისთვისაც თვალი შემივლია ჩემს სიცოცხლეში.  
ეს პირველია, რომლისთვისაც აღმოძახდა ოხვრა.  
მამაჩემიც, რომ მას ჩემსავით შეიბრალებდეს!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — თუ კი არავის დაუპყრია ჯერ შენი გული,

გამოგაცხადებ ნეაპოლის დედოფლად მაშინ.

პ რ ო ს პ ე რ ო — ჩუმად, ბატონო. ეს კი უკვე მეტისმეტია.

(თავისთვის)

უკვე დაიპყრეს ერთმანეთი, მაგრამ აჯობებს  
ცოტათი უფრო გავუძნელო ჯვრისწერის საქმე,  
თორემ ადვილად მოპოებულს, ადვილად დათმობს.

(ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ე ს)

მე მომისმინე, გამოყევი ახლავ, ვიბრძანებ!  
სხვისი სახელი მივიღია გაიძვერობით,  
შემოპარულხარ ამ კუნძულზე და ახლა ცდილობ,  
მეც, მფლობელს მისას, წარმტაცო ეს საბრძანებელი.

ფერდინანდ — არა, მერწმუნეთ, თუ კაცი ვარ, სიმართლეს ვაზნობ.  
მირანდა — ასეთ ტაძარში ბოროტი ვერ დაისადგურებს!

მარიშხალი  
გინგლიროსეა

მაგრამ თუ ასე მშვენიერი სახლი აქვს ავ სულს,  
მაშინ კეთილიც მოინდომებს მასთან ცხოვრებას.

პროსპერო — აბა, წამოდი! შენ კი მასზე ნულარას მეტყვი,  
ვერაგი არის იგი. აბა, წავიდეთ, მომყე!  
თავს ბორკილებით ფეხებამდე დაგახრევიანებ,  
სასმელად მოგცემ ზღვის მლაშე წყალს, ხოლო საქმელად  
ქეცედს თევზისას, წყლის ნიჟარას, ხის გამხმარ ფესვებს.  
აბა, გამომყე!

ფერდინანდ — არ მოგყევი, ვიდრე ძალა მაქვს.  
ასეთ მიღებას საკადრისად უნდა დავუხვედე.  
(ხმალს იძრობს, მაგრამ მოჯადოებული გაშეშდება).

მირანდა — ძვირფასო მამა, რად დასაჯე ასე სასტიკად?!  
პატიოსანი არის იგი და უშიშარი.

პროსპერო — აა, გადასწყვიტე, რომ მამაშენს ასწავლო კეუა?  
ხმალი ჩააგე, მოლაღატე. შებორკილი ხარ.  
ასე შეგიკრა სინიდიისი დანაშაულმა,  
ნულარ ბაქიობ. შემიძლიან აი, ამ ჯოხით  
დაგაყრევიანო იარაღი.

მირანდა — ვთხოვ, მამაჩემო...

პროსპერო — იქით გამშორდი, ტანსაცმელზე ნუ მეკიდები.

მირანდა — ჩემო ბატონო, შეიბრალებთ, მე ვუთავდებებ.

პროსპერო — გაჩუმდი-მეთქი, ერთი სიტყვაც საკმარისია,  
რომ შენც გაგკიცხო, შეგიძლო იქნება კიდევ.  
ვის ესარჩლები? გაიძვერას? გაჩუმდი-მეთქი.  
კალიბანისა და მის გარდა არეინ გინახავს  
და ფიქრობ თითქოს მაგისდარი არ იყოს ქვეყნად.  
სულელი გოგო! რომ განახვა აგრეთვე სხვებიც,  
ამას ჩასთვლიდი კალიბანად, სხვებს — ანგელოზად.

მირანდა — მაგრამ რა ვუყო, თუ კი ასე მოკრძალებული  
გული მქონია. არც ვავბედავ კადნიერებას  
და არ ვისურვებ მე უკეთესს.

პროსპერო — დამემორჩილე  
და გამომყევი. თვითონ ხედავ არა გაქვს ძალა,  
ჩილი ბავშვივით მოგიდუნდა კუნთები.

ფერდინანდ — დიახ,  
ეს მართალს ამბობს. თითქოს მართლაც სიზმარში ვიყო,  
ისე წამერთვა მე ძაღლონე. მამის დაკარგვას,  
ძალის წართმევას, მეგობართა ზღვაში დაღუპვას,  
მუქარას ჩემი დამპყრობისას არად მივიჩნევ,  
ოღონდ კი დღეში ერთხელ მაინც ჩემი საყნიდან  
თვალი შევაგლო მე ამ ქალწულს. ყოველი კუთხე  
ამა ქვეყნისა დაე, იყოს თავისუფალი,  
მე აქ ტყვეობას ვამჯობინებ.

- პ რ ო ს პ ე რ ო — (თავისთვის) ძალიან კარგი!  
 (ფერდისანდს) აბა გამომეყე. (თავისთვის) ყოჩაღ ჩემო კარგო არიელ!  
 მ ი რ ა ნ დ ა — გულს ნუ გაიტეხ. მამაჩემი ასეთი მკაცრი  
 სიტყვებითა სჩანს, თორემ ისე გულკეთილია.  
 პირველად მესმის დღეს იმისგან ეს ლაპარაკი.  
 პ რ ო ს პ ე რ ო — ჯერ ყველაფერი შეასრულე, რაც მე გიბრძანე  
 და თავისუფლად ინავარდებ მთის ნიავევით.  
 ა რ ი ე ლ ი — ბრძანებას თქვენსას ავასრულებ.  
 პ რ ო ს პ ე რ ო — აბა, წავიდეთ.  
 შენ კი სიტყვასაც ნულარ დასძრავ მეტად ამაზე.  
 (გაღიან)

## მოკმელება მეორე

## სურათი :

იმევე კუნძულის სხვა ნაწილი.

(შემოდინ ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო, ადრიანო, ფრანცისკო და სხვები).

- გ ო ნ ზ ა ლ ო — ჩემო ბატონო, გევედრებით, გამხიარულდეთ.  
 ახლა ხომ ყველას გვაქვს მიზეზი სიხარულისა.  
 ამ გადარჩენამ შეანელა ის მწუხარება.  
 ყველას ხვედრია ეს ნაღველი: ყოველდღიურად  
 ვინმე ვაჭარი, ანუ ვინმე ვაჭრის მფარველი,  
 ან ცოლი ვინმე მეზღვაურის ამგვარად გლოვობს.  
 მე სასწაულად მიმჩნია ეს გადარჩენა,  
 მილიონიდან ჩვენებრ ცოტა თუ დაიკვებნის!  
 ჩვენ სევდას ბრძნულად შევეუწონეთ ჩვენი ნუგეში.  
 ა ლ ო ნ ზ ო — გთხოვ, მომასვენო.  
 ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — (ანტონიოს) ნუგეშს ულაპავს ცივ ფაფასავით.  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — თავს ვერც დააღწევს აგრერიგად მანუგეშებელს.  
 ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ხედავ, მომართა ჭკუამახვილობის საათი, საცაა ჩამოკრავს  
 კიდეც.  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — ბატონო ჩემო...  
 ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ეს ერთი დათვალე!  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — თუ ყველა სადარდებელი გულთან მიიტანე, რა გამოვა, რას  
 მიიღებ...  
 ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — დოლარს...  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — დიად, დოლორს, ესე იგი მწუხარებას. რისი თქმაც ვსურდათ,  
 იმაზე უფრო მართალი გამოგივიდათ.  
 ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — თქვენ კი ისე ბრძნულად გამიგეთ, რომ არც მოველოდი.  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — ამრიგად, ჩემო ბატონო...  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — რთგორ უწყალოდ ფლანგავს სიტყვებს!  
 ა ლ ო ნ ზ ო — შემობრალე, გემუდარები.





გონჯალო—კარგი, დავამთავრე. მაგრამ მაინც...

სებასტიანი—კიდევ იყბედებს.

ანტონიო—როგორ გგონია, პირველად რომელი იყივლებს, ეს თუ აღრიანი? სანაძლეს ჩამოვიდეთ.

სებასტიანი—ძველი მამალი.

ანტონიო—არა, ყვინჩილა.

სებასტიანი—კეთილი, სანაძლეო რა იქნება?

ანტონიო—არაფერი, ვიცინოთ.

სებასტიანი—აგრე იყოს.

აღრიანი—მართალია, ეს კუნძული უდაბნოსა ჰგავს...

სებასტიანი—ჰა, ჰა, ჰა!

ანტონიო—წავაგე, მე ვიხდი.

აღრიანი—მიუვალსა და დაუსახლებელს...

სებასტიანი—მაგრამ მაინც—

აღრიანი—მაგრამ მაინც...

ანტონიო—ამ სიტყვას ვერ შეეღევა.

აღრიანი—წყნარი, ნარნარი და საამო ჰეაა...

ანტონიო—ღიახ, ნარნარი ქალწული გახლავთ...

სებასტიანი—და წყნარიც, როგორც მან ბრძნულად განმარტა.

აღრიანი—ჰაერი ერთობ ტკბილსურნელოვანია.

სებასტიანი—თითქოს დამპალი ფილტვები ჰქონდეს.

ანტონიო—ან, თითქოს, ჰაობიდან იყო მონაბერი.

გონჯალო—მშვენიერი საცხოვრებელი ადგილია.

ანტონიო—რა თქმა უნდა, ოღონდ არაფერია ისეთი, რამაც უნდა გაცხოვროს.

სებასტიანი—ღიახ, ასეთი რამ სულ არ მოიპოვება, ან ძალიან ცოტა.

გონჯალო—რა ქორფა, ცერიანი ბალახია! როგორი მწვანე!

ანტონიო—ნიადაგი კი მართლაც აგურის ფერია.

სებასტიანი—აქა-იქ მწვანე ელფერი დაჰკრავს.

ანტონიო—დიდი შეცდომა არ მოსდის ზოლმე.

სებასტიანი—არა, მას მხოლოდ ჰეშმარიტებაში მოსდის შეცდომა.

გონჯალო—მთავარი საოცრება მაინც ის არის, რომელიც თითქმის დაუჯერებელია...

სებასტიანი—როგორც ყოველი საოცრება.

გონჯალო—რომ ჩვენს ტანსაცმელს, ზღვაში დასველების მიუხედავად, მაინც შერჩა სიახლე და ელვარება. მარილიან წყალს კი არ გაუფუჭებია, პირიქით, თითქოს ახლად შეღებულაო.

ანტონიო—მაგის ერთერთ ჯიბეს რომ ლაპარაკი შეეძლოს, არ იტყოდა ტყუისო?

სებასტიანი—რა თქმა უნდა, ან თუ არა და თავისი პატრონის სიცრუეს ჩუმად ჩაჯიბავდა.

გონჯალო—მე მგონი ისეთივე სიახლე აქვს ჩვენ ტანსაცმელს, როგორც პირველად ჩაცმის დღეს ჰქონდა აფრიკაში, მეფის მშვენიერი ასულის კლარიბელისა და ტუნისის მეფის ქორწილში.

სებასტიანი—ბედნიერი ქორწილი იყო, ჩვენც კარგ ფეხზე დაებრუნდით.

აღრიანი—ასეთი მომზიბლავი დედოფალი ჯერ არ ღირსებია ტუნისს.

- გონზალო—ქვრივი დიდონას მერე მართლაც არ ღდრსებია.
- ანტონიო—ქვრივიო! ღმერთმა დალაზეროს! საიდან მოაგონდა ეს ქვრივი? ქვრივი დიდონა!
- სებასტიანო—ენეასიც რომ ქვრივობით ეხსენებია, მაშინ რაღას იტყოდით, ჩემო ბატონო?
- ადრიანო—ქვრივი დიდონაო? თქვენ მასწავლით? ის ხომ ტუნისელი არ არის, კართაგენელია.
- გონზალო—ტუნისი ხომ კართაგენი იყო.
- ადრიანო—კართაგენი?
- გონზალო—დამერწმუნეთ, კართაგენი იყო.
- ანტონიო—ჯადოსნური ჩანგის ძალა აქვს მის ენას.
- სებასტიანო—დიდი კედლები და სახლები აუშენებია.
- ანტონიო—კიდევ რა სასწაულს მოახდენს, ნეტა?
- სებასტიანო—ალბათ ამ კუნძულს წაიღებს ჯიბით და თავის ბიჭს მიუტანს ვაშლის მაგივრად.
- ანტონიო—ვაშლის კურკებს კი ზღვაში დასთესს და ახალ კუნძულებს ამოაცენებს.
- გონზალო—რაო?
- ანტონიო—რათქმაუნდა, რამდენიმე ხნის შემდეგ.
- გონზალო—იმას მოვახსენებდით, ბატონო, რომ ჩვენს ტანსაცმელს ახლაც ისეთივე იერი აქვს, როგორც ტუნისში, თქვენი ასულის ქორწილში ჰქონდა, რომელიც ახლა დედოფალია.
- ანტონიო—და რომლის ბადაღს ტუნისი არ მოსწრებია.
- სებასტიანო—გთხოვთ, ქვრივ დიდონას ნუ იგულისხმებთ.
- ანტონიო—ო, ქვრივი დიდონა! ჰო, ქვრივი დიდონას გამოკლებით.
- გონზალო—ხომ ისეთივე ახალია ჩემი კამზოლი, ბატონო, როგორც ჩაცმის პირველ დღეს იყო? რამდენადმე მაინც.
- ანტონიო—ეს დამატება სწორედ დროული იყო.
- გონზალო—აი, თქვენი ქალის ქორწილში რომ მეცევა.
- ალონზო—შენი სიტყვები ყურს ხვდებიან—გულს არ წვდებიან. ჩემი ასული ნეტავ იქ არ გათხოვილიყო!
- სწორედ იქედან წამოსულმა დავკარგე ვაი!
- ვეღარასოდეს ვერ ვიხილავ ალბათ ჩემს ქალსაც, იტალიიდან იმ სიშორეს გადაკარგულსა.
- ვაიმე, შვილო, მილანისა და ნეაპოლის შენ ერთადერთო მემკვიდრეო, ნეტა ვიცოდე რომელ საშინელ ზღვის ურჩხულის კერძი შეიქვენ?
- ფრანცისკო—ბატონო, იქნებ ცოცხალია. მე თვითონ ვნახე აბობოქრებულ ტალღებზედა ამხედრებულნი, ვით მიარღვევდა ის მტრად ქცეულ წყლისა სიუხვეს; როგორ ვააბო მკერდით ტალღა მოხეტქებულნი, მღელვარე ზღვაში მას ამაყად ექირა თავი, ნაპირისაკენ ისწრაფოდა მძლავრი მკლავებით. და თვით ნაპირიც გალეული ზვირთთა ცემისგან, თითქოს თავს ხრიდა მის საშველად. ეჭვი არა მაქვს, ხმელეთს მშვიდობით მიაღწევდა.



ა ლ ო ნ ზ ო —

ის დაიღუპა.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — შენსავ თავა უსდა უმადლოდუ ამ მწუხარებას, შენი ასულით ევრობა არ აბედნიერე და ის არნიე გადაგეგლო აფრიკელისთვის. თვალიდან ასე მოიშორე, რაღა თქმა უნდა, ახლა ტირილის მიზეზი გაქვს.

ა ლ ო ნ ზ ო —

გთხოვ, მომასვენო.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მუხლმოდრეკილი შეგთხოვდით და თავს გაბეზრებდით, თვითონაც სულმა შშეენიერმა აღარ იცოდა, შენს ნება-სურვილს მორჩილებით დათანხმებოდა, თუ აპუოლოდა თვის გულისთქმას. შენი მემკვიდრეც, მე იმას ვშიშობ, სამუდამოდ დაკარგულია, ახლა მილანს და ნეაპოლში ქალთაგან უფრო მეტი დაქვრივდა, ვიდრე ჩვენ მათ მანუგეშებლად ჩაუყვანთ ვაჟკაცთ. ყველაფერი შენი ბრალია.

ა ლ ო ნ ზ ო — და მწუხარებაც მიტომ მერგო ყველაზე მეტი.

გ ო ნ ზ ა ლ ო — ჩემო ბატონო, სებასტიან, თუმც მართალს ამბობი, სიტლანქე დაჰკრავს თქვენს ლაპარაკს და დროც არ არის ახლა ასეთი საუბრისა. მალამოს ნაცვლად სჯიჯგნით ჭრილობას.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი —

აგრე იყოს!

ა ნ ტ ო ნ ი ო —

დოსტაჰრულად სჯის.

გ ო ნ ზ ა ლ ო — კარგო, ბატონო, როდესაც თქვენ მოიღრუბლებით, ჩვენ ავი დარი გვიდგას მაშინ.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი —

ავი დარიო?

ა ნ ტ ო ნ ი ო — ჰო, ძლიერ ავი.

გ ო ნ ზ ა ლ ო

მე რო ვიყო, ჩემო ბატონო,

ამა კუნძულის პლანტატორი...

ა ნ ტ ო ნ ი ო —

ჰინჰარს დასთესდა.

ს ე ბ ა ტ ი ა ნ ი — ან იქნებ ბალბას, ან მჟაუნას.

გ ო ნ ზ ა ლ ო —

მეფე რომ ვიყო

ამ კუნძულისა, როგორ ფიქრობთ, მაშინ რას ვიზამ?

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ვიცი, რომ ლეინოს ვერ იშოვი და ვერ დათვრები.

გ ო ნ ზ ა ლ ო — მაშინ ცხოვრებას მოვაწყობდი სულ სხვანაირად.

უბირველესად ავკრძალავდი ქვეყნად ვაჭრობას;

სამსჯავროების ხსენებაც კი არ იქნებოდა;

არ იქნებოდა არც სიმღიდრე, არც სიღარიბე,

არცა მსახურნი, წერაკითხვის მცოდნეც არავინ.

გავაუქმებდი საკუთრებას, მემკვიდრეობას,

სახლურებს მიწისას, ნიადაგის დამუშავებას,

ვენახის მოვლა-მოშენებას, ზეთის დაწურვას,

ხორბლის მოყვანას და ლითონის გამოყენებას.

სუყველა უქმად იქნებოდა კაციც და ქალიც, —

და იცხოვრებდნენ უცოდველად, წმინდად ყველანი, —

არც მმართველობა...

- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მამ მეფობას როგორ და ფიქრობს?  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — მის ქვეყანაში ავიწყდება დასასრულს თავი.
- გ ო ნ ზ ა ლ ო — არ დასჭირდება ხალხს არც შრომა, არც ოფლის დაღვრა.  
 საჭირო საგანს თვით ბუნება მიიწვდის ყველას.  
 ჩემს ქვეყანაში არ იქნება არც გამცემლობა,  
 არც ბოროტება, არცა ხმალი, თოფი, მახვილი,  
 არც სხვა რაიმე იარაღი: ბუნება უხვად  
 და ნოყიერად გამოკვებავს ჩემს უცოდველ ხალხს.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ქვეშევრდომები ურთერთთან არ იქორწინებენ.  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — აჰ, არა! ყველა არამზადა, კახბა იქნება.
- გ ო ნ ზ ა ლ ო — მე ისე ბრძნულად ვიმეფებ, რომ თვით ოქროს ხანას  
 აჯობებს ჩემი სახელმწიფო.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — დიდება მეფეს!  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — დღეგრძელი იყოს გონზალო!
- გ ო ნ ზ ა ლ ო — ჰო. მისმენთ, ბატონო?  
 ა ლ ო ნ ზ ო — ვთხოვთ გაჩუმდე: შენი სიტყვები არაფრის მთქმელია.  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — ყველაფერში ვემორჩილები თქვენს აღმატებულებას, მე მხო-  
 ლოდ სიცილის მიზეზი მიეუცი ამ ბატონებს, რომელთაც ისე მოქნილი  
 და მგრძობიარე ფილტვები აქვთ, რომ უმიზეზოდ იცინონ.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — ახლა თქვენ დაგცინოდით.  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — თქვენთან შედარებით, მე, აბა, რა სასაცილო ვარ. შეგიძლიათ  
 განაგრძოთ უაზრო სიცილი.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — მაგრად კი მოგხვდა!  
 ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მაღლობელი უნდა ვიყოთ, რომ ალესილი პირით არ მოგვ-  
 ხვედრია.
- გ ო ნ ზ ა ლ ო — თქვენ გულფიცხნი ხართ, ბატონებო, მთვარემ რომ ხუთი კვი-  
 რის განმავლობაში სახე არ იცვალავს, ალბათ თავისი სფერიდან ამოაგ-  
 დებდით.  
 (შემოდის ა რ ი ე ლ ი. უხილაეია. ისმის სადღესასწაულო მუსიკის ხმები)
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — რა თქმა უნდა, მერე კი სიბნელეში კეტებითა და ჩი-  
 რალდნებით ფრინველებზე სანადიროდ გაესწევდით.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — ოღონდ ნუ გაგვიბრაზდებით, კარგო ბატონო.  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — არა, მერწმუნეთ. ასე ადვილად როდი ვკარგავ მოთმინებას.  
 იქნებ ინებოთ და თქვენი სიცილით დამაძინოთ, მეტიმეტად დაღლილი  
 ვარ.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — მამ მიიძინეთ და ჩვენ გვისმინეთ.  
 (ა ლ ო ნ ზ ო ს, ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი ს ა და ა ნ ტ ო ნ ი ო ს გარდა ყველა დაიძინებს)
- ა ლ ო ნ ზ ო — ყველას რა უცებ დაეძინა! ნეტა ჩამთვლიმოს,  
 იქნება ძილში მომასვენოს მძიმე ფიქრებმა.  
 თითქოს და მართლაც შეძინება.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — შენც დაიძინე,  
 ძალად ნუ იფრთხოვ მოსვენებას. მწუხარების დროს  
 ძილი ძალიან იშვიათად მოგვეკარება.  
 და თუ გეწვია დაგამშვიდებს.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — ჩვენ კი, ბატონო,  
 აქვე ვიქნებით ორივენი და გიღარაჯებთ.



- ა ლ ო ნ ზ ო — მაღლობელი ვარ. თავი როგორ დამძიმებია.  
(ა ლ ო ნ ზ ო ს ჰაეძინება. ვაღის ა რ ი ე ლ ი).
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — რა უცხაურად მოეკიდა სუყველას ძილი.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — ეს უნდა იყოს აქაური ჰაეის გავლენით.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მერე ჩვენ რატომ არ ჩავვთვლიშა.  
მე სრულებითაც არ შეძინება.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — არც მე. ერთგვარ აღმაფრენას ვგრძნობ.  
ამათ კი თითქოს პირი შეჰკერეს, შეხდაკრულივით  
სუყველა ერთად განერთხო ძირს. რა შემთხვევა გაქვს,  
ო, ღირსეულო სებასტიან, რა შემთხვევა გაქვს.  
თუმც ვაგწუმდები... მაგრამ, მაინც ასე მგონია,  
შენს სახეზედაც ვხედავ იმას, რაც უნდა იყო  
შენ თვითშემთხვევა გიკარნახებს, მე კი ძლიერი  
წარმოსახვით ვჭერეტ შენს თავზედა დაშვებულ გვირგვინს.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ჰა, კიდევ ფზიზლობ?
- ა ნ ტ ო ნ ი ო — საუბარი ჩემი არ გესმის?
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მესმის და ვგრძნობ, რომ ძილნარევი ხმით ლაპარაკობ.  
გძინავს და ისე მასლაათობ. ჰა, რა მითხარი?  
უცხაურია, გეძინოს და თვალია იყო;  
ლაპარაკობდე, ზეზე იდგე, მიმოდიოდე  
და ღრმად გეძინოს.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — სებასტიან, კეთილშობილო,  
კარზე მომღგარი ბედი ვინდა აძინო, ჩაჰკლა.  
არა გძინავს და თვალი მაინც დახუტული გაქვს.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მკაფიოდ ხვრინავ. აზრი არის მაგ შენს ხვრინვაში.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — ჩვეულებრივად როდი ვხუმრობ, შენც ნუ იხუმრებ,  
ჩემი ისმინე, სამჯერ უფრო თუ გსურს ამაღლდე.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — დამღგარ წყალს ვგავარ.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — მე გასწავლი როგორ იღინო.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — კარგს იზამ. მომღგამს სიზარმაცით უძრავად დგომა.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — ნეტა იცოდე რა სათუთად ულოლიავებ  
მაგ შენს ოცნებას, სასაცილოდ რომ იგდებ თანაც!  
თითქოს იშორებ—თან კი უფრო მჭიდროდ ეკვრები.  
ვაუბედავ კაცს ასე მოსდის: ძალიან ზშირად  
სიზარმაცისა თუ შიშისაგან მიაღწევს მიზანს.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — თქვი, გევედრები, სახეზე და თვალბზე გატყობ,  
რალაც ვაწუხებს, სათქმელი გაქვს, და დაბადება  
მაგ სათქმელისა მშობიარის ტყვილით გიჭირს.
- ა ნ ტ ო ნ ი ო — აი, რა მინდა: გულმაეიწყმა ამ ვეებატონმა,  
რომელიც მიწად გადაქცევის შემდეგ, მაშინვე  
თვით მიეცემა დაეიწყებას, ხელმწიფეს ჩვენსას  
დაუსაბუთა, მას ზნედა სჭირს დასაბუთება,—  
რომ ძე იმისი ცოცხალია, მაგრამ მეფის-ძე  
არ დამხრჩვალის, ისევეა შეუძლებელი,  
ვით ის, რომ თვითონ მიძინებულს, შეიძლოს ცურვა.
- ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მეც აღარა მაქვს იმედი მის გაღარჩენისა.



ანტონიო—სამაგიეროდ მაგ იმედის უქონლობისგან უფრო დიდ იმედს მოელოდე! უიმედობა გზას გაგიკაფავს ისე მალალ იმედისაგენ, რომლის დანახვა და განჭვრეტა შორმანძილიდან პატივმოყვარე თვალებსაც კი არ შეუძლია. შენც ხომა გჯერა ფერდინანდი დამხრჩვეალი არის.

სებასტიან—ის დაიღუპა!

ანტონიო— ნეაპოლის ტახტის მემკვიდრედ მაშ ვინდა დარჩა?

სებასტიან— კლარიბელი.

ანტონიო— რომელიც ახლა

ტუნისის დედოფლობს? ცხრა მთას იქით გადაჯარგული? თუ მზემ თვითონვე არ იკისრა მის შეიკიკობა ვერცინ მიაწედის ამბავს ჩვენსას. მთვარის მცხოვრები ნელა მოძრაობს, ვერც ჩააღწევს. ახლად შობილისაც ნიკაპზე წვერი მოეზრდება ტუნისის ჩასვლამდე. იმის მიზეზით ზოგის გარდა, ზღვამ შთანთქა ყველა, და ბედისწერით გადაჩენილთ საქმე რამ შეგვხვდა, რომლისათვისაც პროლოგია, რაც გამოვცადეთ, ბოლო რაც გველის, ჩვენ ორზეა დამყარებული.

სებასტიან—ნეტა რას ბოდავ? ცხადია, რომ ჩემი ძმისწული, დედოფალია ტუნისისა, თანაც ის არის ტახტის მემკვიდრე ნეაპოლის. ამ ორ ქვეყანას მართლაც ამორებს რაღაც სივრცე...

ანტონიო— ყოველი გოჯი იმა სივრცისა გაიძახის:—„ო, კლარიბელმა ხელახლა უნდა გადამსეროს ნეაპოლისკენ? ის იქვე დარჩეს. დე, ფხიზლობდეს სებასტიანი!“ არ ჯობდა სიკედილს მიეწვინა ეს ხალხი ასე? მერწმუნე უფრო ცუდ დღეშიაც არ იქნებოდნენ. ნეაპოლისთვის გამგებელი მოიძებნება, არა ნაკლები ამ მძინარზე. კარისკაცებიც გამოჩნდებიან გონჯალოსებრ ენალაქლაქა. მეც, ჩემდა თავათ, კაქკაქსავით ძალმიძს ყბედობა. ეჰ, ნეტავე შენც ჩემი ფიჭვი დანტრიალებდეს! მაშინ ეს ძილი ჰოი, რა რიგ აჯამალლებდა! მიმიხვდი მაინც, რისი თქმაც მსურს.

სებასტიან— მგონი—მიგიხვდი.

ანტონიო—კმაყოფილი თუ ხარ ბედისა?

სებასტიან— მე მაგონდება—

როგორ წაართვი შენს ძმას ტახტი.

ანტონიო— შენ მართალი ხარ.

ახლა შეხედე ეს სამოსი როგორ მიხდება! წინანდელზედაც უფრო მშვენიის. მაშინ ჩემი ძმის ხელქვეითები მმეგობრობდნენ. ახლა ისინი მე მსახურებენ.





ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — სინდისი როგორილა გაქვს?  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — ჩემო ბატონო, სად ბინადრობს ეგ სინდისი.  
 თუ ჩემს მოყინულ ქუსლში არის—წალაში ჩაედებ.  
 გულში ვერა ვგრძნობ მაგ ღვთაებას. გზა მილანისკენ  
 გადამიღობოს თუნდა ოცმა სინდისმა ერთად.  
 უმალ გადნება შაქარივით, მე კი ვერ მომდრეკს.  
 აჰა, შენი ძმა აგერ, ვღია. ის რომ გადიქცეს  
 იმად, რასაც გავს ახლა ძილში,—მვედრად რომ გადიქცეს,—  
 რითი აჯობებს მიწას, რაზეც თვითონ განრთხმულა.  
 ამ მორჩილი ხმლით მივაძინებ მას სამუდამოდ,  
 ამასობაში შენც მომბაძე და ბებერ ქოფაკს,  
 ამ განათლებულ ბატონ კეთილგონიერებას  
 სამარადემოდ დაუხუჭე თვალები, რომ კვლავ  
 ვკლარ შეიძლოს ჩვენი საქმის გამომქლავება.  
 დანარჩენებს კი, ვით კატას რძე, ისე მოვიტყობობთ  
 და საათივით ჩვენს ნებაზე ავაკიკვიკებთ,  
 ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — შენი ამბავი მაგალითად გამოადგება:  
 შენ მილანის ტახტს დაეუფლე, ჩემო ძმობილო,  
 ამავე ხერხით მე ნეაპოლს ჩავეგდებ ხელში.  
 ხმალი იშიშვლე: ერთი დაკვრით ხარკს მოიშორებ,  
 და ჩემს—ხელმწიფის, სიყვარულსაც დაიმსახურებ.  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — შენც მოემზადე და როგორც კი აღვმართავ მახვილს,  
 მაშინვე დაჰქარ გონზალოსა.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ო, შეიცადე!  
 ჯერ მათქმევინე.  
 (მუსიკის ხმა. შემოდის უხილავი ა რ ი ე ლ ე.)  
 ა რ ი ე ლ ე — ჩემმა ბატონმა ჯადოსნური წინასწარტყერეტით  
 როგორც კი ნახა მეგობარი განსაცდელში ყავს,  
 მყისვე აქეთეკენ გამომგზავნა მის დასახსნელად.  
 თორემ გეგმები სულ მთლიანად ჩაეფუშება.  
 (სურში ჩამოდურებს გ ო ნ ზ ა ლ ო ს):

ბჭრინაეთ ასე მოსვენებით,  
 და არ იცით, რომ აქ მტრები  
 წამს უღიან მოხერხებულს.  
 თუ სიცოცხლე გიღირთ ჩაღმე,  
 გაღვიძეთ წადით საღმე.  
 წამოდექით, გაიღვიძეთ!

ა ნ ტ ო ნ ი ო — აბა ვიჩქაროთ, ერთად დავკრათ.  
 (გ ო ნ ზ ა ლ ო აღვიძებს)  
 გ ო ნ ზ ა ლ ო — კეთილნო სულნო,  
 თქვენ დაიფარეთ ჩვენი მეფე!  
 ა ლ ო ნ ზ ო — რა ამბავია?  
 რა მოხდა მეთქი? ჰეი, ჰეი გამოიღვიძეთ!  
 მახვილს რად იჭნევთ? თვალი ასე რამ აგიმღვრიათ?  
 რა ამბავია?

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — აქ ვიდექით, თქვენ გდარაჯობდით,  
 უეცრად მოგვწვდა საზარელი და მძინვარე ხმა,  
 ლომის ღრიალის, თუ კამჩის ბლავილის მსგავსი.  
 სმენა დამიხშო იმ ბლავილმა და ალბათ მაშინ  
 თქვენც გაგელვძიათ.

ა ლ ო ნ ზ ო — არაფერი გამიგონია.

ა ნ ტ ო ნ ი ო — ო, იმ ზათქის ხმა ურჩხულსაც კი შეაძრწუნებდა,  
 სულ მთლად შესძრავდა დედამიწას. მე ასე ვფიქრობ,  
 ლომების ხრო თუ ღრიალებდა.

ა ლ ო ნ ზ ო — შენც გაიგონე  
 ის ხმა, გონზალო?

გ ო ნ ზ ა ლ ო — სინდისს ვფიცავ, ჩემო ბატონო,  
 მე უცნაური ზუზუნის ხმამ გამომალეძია,  
 მყის შეგანჯღრით, ხმა გაგეცით. თვალი რა გავხსენ  
 ესენი ვნახე აქ, მეფეო ხმალამოწვდილნი.  
 რაღაც ხმაური მართლაც იყო. უმჯობესია  
 აქაურობას გავეცალოთ, ანუ თვითონვე  
 ვუდარაჯოთ თავს, ხმალი ვიძროთ.

ა ლ ო ნ ზ ო — მართლაც წავიდეთ,  
 ჩემი საბრალო შვილის ძებნა კვლავ განვაახლოთ.

გ ო ნ ზ ა ლ ო — ო, ზეცის ძალნო, დაიფარეთ ამ მხეცებისგან!  
 მჯერა, კუნძულზე არის იგი.

ა ლ ო ნ ზ ო — აბა გავსწიოთ!

(გაღიან)

ა რ ი ე ლ ი — ჩემო ბატონო, მალე ნახავთ ჩემს ნამოქმედარს.  
 გასწი, მეფეო, ფიქრი ნუ გაქვს. ეძიე შვილი!

(გაღის)

## სურათი II.

### გ ი ო ე კ უ ნ ძ უ ლ ი

(შემოდის კ ა ლ ი ბ ა ნ ი, შეშა მოაქვს. ისმის ქუხილის ხმა)

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — დამპალ წუმპისგან აორთქლილი ყოველი სნება  
 შემოეხვიოს თავს პროსპეროს, დაღრღნას, დაწიწკნოს.  
 ვიცი მისმენენ სულნი მისნი, მაინც დავწყევლი:  
 თუ კი თვითონვე არ უბრძანა, ვერ შემბედდენ  
 და ვერ მიჩხვლეტენ, მანკვა-გრეხით ვერ დამაფრთხობენ,  
 სიბნელეშიაც მუგუზლით ვერ გამოიტყუებენ  
 და ვერც კაობში ჩამაფლობენ. მაინც რა არის,  
 სულ ცოტა რამე გაახელებთ. მომესევიან,  
 ზან მიიღებენ მაიმუნის სახეს ისინი,  
 ილმობებიან, მკებენ, კბილებს აღრქიალებენ,  
 გადიქევიან ხანაც ზღარბად და შიშველ ფეხებს  
 ბასრი ეკლებით მიჩხვლეტავენ. მერე უეცრად  
 შემომეხვევა ტანს სრიალა ასპიტად ყველა.



ქართველთა  
წიგნების კავშირი

ენით მოლოკავენ და სისინით ქკუას მირყევენ.

(შემოდის ტ რ ა ნ კ უ ლ ი)

შეხე, შეხედე, ერთი სული აქეთკენ მოდის,  
უნდა მაწამოს, შეშა ზანტად რატომ მოგაქვსო.

სჯობს აქ განვეერთხო, იქნებ სულაც ველარ შემნიშნოს.

ტ რ ი ნ კ უ ლ ი—არც ბუნჩია სადმე და არც ჯაგი, რომ კაცმა თავი შეაფაროს. ქარიშხალი კი კვლავ ამოვარდება. უკვე მესმის ქარის სტვენა. მა, ის შავი ღრუბელი ისე დამძიმებულა, თითქოს ვეება კასრი იყოსო. საცაა გადმონათხევეს... ახლაც თუ წელანდელივით დაიგრუხუნა, აღარ ვიცი სად შევმალო თავი. ის ღრუბელი კოკისპირულად წამოვა. ეს რაღა არის? თევზია თუ ადამიანი? ცოცხალია თუ მკვდარი? თევზია. სუნით ვატყობ, რომ თევზია. ნამდვილი ძველი თევზის სუნი აქვს, დამპალი, ვირთევზას სუნი. საოცარი ცხოველია. ახლაც ინგლისში ვიყო, და ამ თევზის თუნდაც სურათი მომცა, სხვა არა მინდა რა. ბევრ დოკულაშია ბედოვლათს დაეცანცლავდი ვერცხლის ფულებს. ეს ურჩხული კაცს ააშენებს იქა. ყოველგვარი უცნაური მხეცი გაამდიდრებს იქ ადამიანს. ხეიბარ გლახაკს ერთ გროშსაც არ აჩუქებენ, ხოლო მკვდარი ინდიელისათვის თვალის შესაღლებად ათსაც კი არ დაიშურებენ. ფეხები ადამიანისას მიუჯავს! ფარფლიც თითქოს მკვლავებიო. სინდის ვფიცავ—თბილია. ა, მამ შევმცდარევი. ეს თევზი კი არ არის, ამ კუნძულის მკვიდრი ყოფილა. ალბათ მეხი თუ დაეცა. (ქუხილი) ვაი, ისევე ამოვარდა ქარიშხალი. არსად თავშესაფარი! ისლა დამრჩენია მაგის ხიფთანში შეეძრე. გაჭირება კაცს დედოფალთან დააწვენსო. ვიდრე ქარი ჩადგებოდეს, აქ შევაფარებ თავს.

(შეჭრება კ ა ლ ი ბ ა ნ ი ს ზიფთანში. შემოდის ს ტ ე ფ ა ნ ი. მღერის. ხელში ბოთლი უჭირავს).

ს ტ ე ფ ა ნ ი—აღარ გავალ, აღარ გავალ ზღვაში,

მირჩევნია აქ დავლიო სული.

ეს სიმღერა მკვდრისათვის ზარად არ გამოდგება, მაგრამ რა ექნა, ეს მიმშვიდებს გულსა.

(სემს. მღერის):

ჩვენ ყველასა გევაგს გულის ტრფილი,  
კაბიტანს, ბოცმანს, თოფჩასა და მე,  
ვის შერი უყვარს, მარგერი, მალი,  
კატერინა კი ვერ შევიყვარეთ.  
მწარე ენა აქვს. არის თავნება,  
ჯანდაბას გვგზავნის! და ან კი რა ქნას!  
სუნს კუპრისა და ზღვისას ვერ იტანს,  
თერძი კი მუდამ მორჩილად დაფხანს.  
ჯანდაბამ თვითონ წავიღეს, მაშინ!  
ჩვენ კი გაესწოთ, მიჰქებო, ზღვაში.

კული სიმღერაა, მაგრამ რა ექნა, ეს მიმშვიდებს გულსა.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი—ნუ მაწამებ, ჩამომეხსენი. ოჰ!

ს ტ ე ფ ა ნ ი—რაო? ეშმაკები ყოფილან აქა? ეელურებისა და ინდიელები-საგან ზომ არ გისწავლია ასეთი ოინები, ა? იმიტომ კი არ გადავურჩი დახრჩობას, რომ ახლა, აქ, შენი ოთხი ფეხისა შემეშინდეს; ჩემზე

ტყუილად როდი უთქვამთ, „ისეთი ძალგულოვანი ვინმეა, რომ ოთხფეხა კაციც ვერ მოაცვლევინებს ადგილიდან ფეხსო“. ასე იტყვნან მუდამ, ვიდრე სტეფანო თავის ცხვირითა სუნთქავს.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ვაი როგორ მაწამებს სული! ოჰ!

ს ტ ე ფ ა ნ ო — ეტყობა ამ კუნძულის ოთხფეხა ურჩხულია. ალბათ ციებ-ციხლება აწუხებს. მაგრამ ჩვენი ენა სად ისწავლა ამ ქაჯმა. ამისთვის მაინც მივეშველები. როგორმე რომ განვეკურნავედ, და ნეაპოლში წავიყვანდე! მშვენიერი საჩუქარი იქნება ყოველი იმპერატორისთვის, როგორ ქოშებსაც არ უნდა ატარებდეს იგი.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ნულარ მაწამებ გემულარები. ახლავე წავიღებ შეშას.

ს ტ ე ფ ა ნ ო — სიცხეს ჰკუცაც წაურთმეგია. მოდი ჩემს ბოთლს გავასინჯებ. თუ აქამდე არასოდეს უგემნია ღვინო, ახლა უთუოდ განიკურნება. მოვარჩენდე და მოვათვინიერებდე, მერე მე ვიცი. რა ფასიც უნდა ავიღო, ძვირი არ იქნება. ერთი-ორად აუნაზღაურებს მყიდველს.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ჯერ კი არ მაწუხებს, მაგრამ ვატყობ ახლავე დაიწყება ჩემი წამება. სულ მთლად კანკალე, უკვე პროსპერო მოქმედობს შენზე.

ს ტ ე ფ ა ნ ო — აბა წამოდექი და პირი გააღე. აი ეს ავალაპარაკებს კატასავით. გახსენი მეტქი პირი, გუებნები გიშველის, მაშინვე მოსპობს შენს მოსპობ ცხელებას. ვერ გიცვნია მეგობარი. აბა, კიდევ გააღე პირი.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — თითქო ნაცნობი ხმა მესმის. ეს ხომ... მაგრამ არა. იგი დაიხრჩო. ესენი ეშმაკები არიან! ღმერთო, მიშველე!

ს ტ ე ფ ა ნ ო — რაო. ოთხი ფეხი და ორი ხმა! აი, მართლაც საოცარი ურჩხული! წინა ხმა უფრო დალაგებით ლაპარაკობს, უკანა ხმა კი მყრალად იგინება და ილანძღება. სულ დავაცლევინებ ამ ბოთლს, ოღონდ კი განიკურნოს. ჰა, შესვი, მეორე პირშიაც ჩაგასხამ.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — სტეფანო!

ს ტ ე ფ ა ნ ო — შენი უკანა პირი მეძახის! გმადლობთ, მადლობელი ვარ. ეს ურჩხული არ არის, ეშმაკია. უნდა გაგეცალო. მე ხომ გრძელი კოვზი არა მაქვს!

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — სტეფანო? თუ კი მართლა სტეფანო ხარ, ხმა გამეცი, ხელი შემახე. მე ტრინკულო ვარ. ნუ გეშინია. შენი მეგობარი ტრინკულო ვარ.

ს ტ ე ფ ა ნ ო — თუ კი მართლა ტრინკულო ხარ, აქეთ გამოდი. მე გამოგათრეე ფეხებით. მართლაც მის ფეხებსა ჰგავს. (გამოათრეეს) ტრინკულო ყოფილხარ. ამ მახინჯთან რამ მოგიყვანა. ნუ თუ მავან მოსკორა, ტრინკულო.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მეხდაცემული მეგონა. მაგრამ ეს მითხარი. ნუთუ შენ არ დაიღრჩე ზღვაში, სტეფანო? იმედი მაქვს რომ არ დამღრჩავლხარ. ქარიშხალი ჩადგა. სწორედ ქარიშხლის შიშით შევაფარე თავი ამ მახინჯის ხიდთანს. ჰა, შენც ცოცხალი ხარ, სტეფანო? ო. ორი ნეაპოლელი გადარჩენილა!

ს ტ ე ფ ა ნ ო — ასე ნუ მატრიწალებ, კუჭი მსუბუქადა მაქვს.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — (თავისთვის) თუ სულელები არიან ესენი, კარგი ვინმეები ჩა-

<sup>1</sup> ინგლისური ანდაზა: He needs a long spoon that supps with the devil — ვინც ეშმაკთან ერთად ეახშობს, გრძელი კოვზი სჭირდება.



ნან. აი თვითონ კეთილი ღმერთი, ციურნი სასმელით ხელში. მოდი და-  
ვუჩოქებ.

ს ტ ე ფ ა ნ ო — როგორ გადარჩი, აქ როგორ მოხვედი? არა, ამ ბოთლს წაგა-  
ციებ, როგორ მოხვედი? მე გადამარჩინა ღვინის კასრმა, რომელიც მეზღვა-  
ურებმა გამოირიყეს ნაპირზე. მერე საკუთარი ხელით ხისაგან ეს ბოთლი  
გამოვჭერი.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — მაგ ბოთლსა ვფიცავ, შენი მორჩილი მონა გავხდები. ეს ნომ  
მიწიერი სასმელი არ არის.

ს ტ ე ფ ა ნ ო — აა. (ტრინკულოს) შემომფიცე-მეთქი, როგორ გადარჩი?

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — იხვსავით მოვეუსვი ნაპირისაკენ. ვფიცები, იხვსავით ვცურავ

ს ტ ე ფ ა ნ ო — აა, ემთხვევ სახარებას. იხვსავით ცურავ, მაგრამ მაინც ბა-  
ტი ხარ.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — ოჰ, სტეფანო, კიდევ გაქვს ღვინო?

ს ტ ე ფ ა ნ ო — მთელი დიდი კასრი. ზღვის პირას მოვაწყე მარანი და იქ შე-  
ვინახე. ურჩხულო, გაგიარა ბნელამ?

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — მითხარი, ხომ ციდან ჩამოვარდი?

ს ტ ე ფ ა ნ ო — მთვარიდან ჩამოვედი. ერთ ღროს მთვარეზე მიცხოვრია.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — მეც მინახიხარ მთვარეზე და გაღმერთებ კიდევ. მირანდას  
ხშირად უჩვენებია მთვარეზე შენი ძალი და ფიხი.

ს ტ ე ფ ა ნ ო — კეთილი. მაშ, დაიფიცე და ემთხვევ სახარებას. კიდევ ჩამო-  
ვასხამ. დაიფიცე.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — ამ კეთილ მნათობსა ვფიცავ. მეტად ბრიყვი ურჩხულია, მე  
კი მისი შემეშინდა. როგორ დაიჯერა მთვარეზე ყოფნა. ჩერჩეტი ურჩხუ-  
ლი ყოფილა, მიაპიტი ურჩხული.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ამ ეუნძელის ყოველ ნაყოფიან და ნოყიერ კუთხეს გაჩვე-  
ნებ, ფეხებსაც დაგიკოცნი, ოღონდ ჩემი ღმერთი იყავი.

ს ტ ე ფ ა ნ ო — აგრე იყოს. დაიჩოქე და შემომფიცე.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — ლამისაა სიცილით მომკლას ამ ქარაფშუტა ურჩხულმა. რა  
ქვეწარმავალია! ისე მინდა ვცემო...

ს ტ ე ფ ა ნ ო — ემთხვევ მეთქი!

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მთვრალი არ იყოს... საზარელი ურჩხული!

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — გეტყვი სად არის წყაროები, დაგიკრეფ კენკრას,  
შეშას მოგიტან, ვითევაებ შენთვის მუღამდღე.

ქირმა დაახრჩოს ის მტარვალი, ჩემი ბატონი,  
ამიერიდან შეშას მისთვის აღარ მივზიდავ.  
შენ, მშვენიერო ქმნილებო, შენ გამოგყვები.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — უცნაური ურჩხულია, უბედურ ღოთს მშვენიერი ქმნილება  
შეარქვა.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — გთხოვ გამომყევი. მე მიგიყვან პანტის ხეებთან,  
ჩემი კლანჭებით ამოგიტხრი შენ მიწავაშლას  
გასწავლი, ჩხიკვი სად იკეთებს ბუდეებს ტყეში,  
ანუ ხაფანგით მაიმუნებს როგორ იჭერენ.  
გაჩვენებ ტყეში თხილის ბუჩქებს, ხანდახან კიდევ  
ჩიტის ბარტყებსაც კი მოგიყვან. არ გამომყევი?

ს ტ ე ფ ა ნ ო — ახლა ლაყბობა შესწყვიტე და წინ გაგვიძეხი. მეფე და მისი

ამალა დაიღუბა. მისი მემკვიდრეები ჩვენ ვართ, ტრინკულო, აბა, ბოთლი  
გამომართვი. ჩემო ტრინკულო, მალე გავაყვებთ ღვინით. *გარკუნული*  
კალიბანი — (მთვრალია. მღერის) მშვიდობით, ჩემო ბატონო! *მშვიდობით*  
მშვიდობით, ჩემო ბატონო!

ტრინკულო — ყმულია ურჩხული! ლოთი ურჩხული!  
კალიბანი

არ ვსდევ თევზებს, მოგონი ჰქნეწას,  
არც ცეცხლისთვის მომაქვს შეშა,  
ალარც თევზებს ვრეცხავ მეტად,  
მიწის თხრასაც მოგონი ბედად.  
ბან, ბან, კალ-კალიბან.  
ემსახურე ბატონს ახალს,  
ძველი კი სხვას გამონახავს.

თავისუფლება ჰეი, ჰეი თავისუფლება. მეწვია! ჰეი, ჰეი!  
სტეფანო — აბა, მამაცო ურჩხულო, გზა გვასწავლე.

— : —

### მოკვდივბა მისამ

#### სურათი I.

პროსპეროს ქოხთან

(შემოდის ფერდინანდი, კუნძი მოაქვს).

ფერდინანდი — მომქანცველია თამაშობა, მაგრამ საამო.

პრავალგვარ საქმეს, მდაბიურსა, დამამცირებელს  
ხშირად ვასრულებთ საპატიო ღირსეულებით,  
და მწირ დასაწყისს მოსდევს ხოლმე მდიდარი ბოლო.  
ჩემი უმსგავსი მუშაობაც შეიქმნებოდა  
ღსევე მძიმე ვით ბილწია. მაგრამ ის ქალი,  
რომელსაც ახლა მე ვმსახურებ, მკვდარს გააცოცხლებს.  
ის მიმსუბუქებს მძიმე შრომას. ტლანქ მამამისზე  
იგი ათჯერაც მეტადაა კეთილშობილი.  
მამამისი ხომ გულქვად არის დაბადებული.  
ნაბრძანები მაქვს ათასობით ასეთი კუნძი.  
გადმოვზიდო და ერთ ილაგას დავაწყო ყველა.  
ჩემი ძვირფასი ქალბატონი მულამ ქვითინებს,  
როცა ამ დღეში დამინახავს. თან ასე ამბობს,  
ასეთსა უმსგავს საქმეს ჯერაც არ ჰყოლიო  
შემსრულებელი ასე კარგი. ეჰ, დამავეწყდა,  
ეს ტკბილი ფიჭრი მიმსუბუქებს მძიმე სატანჯველს,  
გულსაც შევბას ჰფენს.

(შემოდის მირანდა. მოშორებით პროსპერო დგას, მაგრამ ვერ ზღდაენი)

მირანდა — ო, ვაიმე, გემუღარებით,

ნუ იქანცებით! მეხმა დასწვას ყველა ეს კუნძი.

დაადგეთ ტვირთი, დაისვენეთ. ეს კუნძი ცეცხლში

თქვენი ასეთი ტანჯვის გამო ტირილს დაიწყებს.



გთხოვთ—დაისვენოთ. მამაჩემი გართული არის მეცნიერებით, ვერც მოიცილის იგი სამ საათს.

ფერდინანდ — უძვირფასესო ქალბატონო, ველარ მოვასწოვებ ნაბრძანები მაქვს მზის ჩასვლამდე მოვრჩე ყველაფერს.

მირანდა — თუ დაჯდებით და დაისვენებთ, კუნძს მე წავიღებ, გემუდარებით—მომკეთ ტვირთი, მოგეშველებით.

ფერდინანდ — არა, ძვირფასო ქმნილებათ, ის მირჩევნია, კისერი მელრძოს, სულ დამაწყდეს ყოველი ძარღვი, ვიდრე თქვენ საქმეს აკეთებდეთ დამამცირებელს, მე კი აქ ვიჯდუ უქმად, გულზე ხელდაკრეფილი.

მირანდა — რაც თქვენთვის არის, ის იქნება ჩემთვის ეს შრომა. არა, ის ჩემთვის უფრო მეტად ადვილიც არის, რადგან მე ამას გავაკეთებ მხოლოდ ხალისით, თქვენ კი მუშაობთ იძულებით.

პროსპერო — საბრალო ბალოო, შენაც მოგედო? მაშ აქ რა გინდა?

მირანდა — განაწამები სახე გაქვთ.

ფერდინანდ — არა, ქალბატონო, თუნდ ღამე იყოს, თუ ჩემთანა ხართ ახლოს, მაშინ დილა მგონია. გემუდარებით, მსურს ლოცვაში მოგიხსენიოთ, თქვენი სახელი მითხრათ, იქნებ.

მირანდა — მირანდა მქვია. ო, მამავ, ეს ვთქვი, შენი ნება გავტეხე ამით.

ფერდინანდ — ოი, მირანდა, მომხიბლაო, სწორუბოვარო, ყველაზე უფრო სანუკვარო, მთელ ქვეყანაზე, მრავალი ქალი შემხვედრია, ხშირად მომხდარა — დამონებია მათ ხმას ჩემი ერთგული სმენა, მომწონებია ბევრი კარგი ღირსებისათვის, მაგრამ აროდეს არ მინახავს ისე სრულმქნილი, რაიმე ნაკლი არ ჰქონოდეს. იმათ ღირსებას მუდამეამს რაღაც ზადი ახლავს და იგი ჩრდილავს. მაგრამ თქვენ კი, ო, თქვენ ისეთი სრულყოფილი ხართ, ისე უზადო და უბადლო, რომ უეჭველად ქვეყნად თუ არის რამე კარგი, თქვენ დაგყოლიათ.

მირანდა — ჯერ არ მიხილავს ქალის სახე, მხოლოდ საარკეში თუ დამინახავს ანარეკლი ჩემივე თავის. მამაკაცთაგან მხოლოდ ჩემი კეთილი მამა და თქვენ, კეთილი მეგობარი, დამინახიხართ. რა აღნაგობა აქვს ქვეყნად ხალხს, არ გამეგება. მაგრამ ვფიცავ ჩემს სათნობას,—ჩემი მშითევის ძვირფას მარგალიტს ერთადერთსა,—რომ თქვენ ერთს გარდა ქვეყნად არავის არ ვისურვებ. ვერცა ოცნებით, ვერ წარმოვიდგენ თქვენს გარდა სხვას, რომ მომეწონოს. მაგრამ რას ვცხედობ უთაგბოლოდ, მამის ბრძანება გადამავიწყდა.



- ფერდინანდ — მირანდა, მე უფლისწული ვარ.  
 ახლა კი, ვაგლახ, ალბათ მეფეც კი შევიქვნი.  
 და ეს იცოდე, ამ მონობას არ მოვითმენდი,  
 ისევე, როგორც არ მოვითმენ ტუჩზე მკედრის ბუხსა...  
 მაგრამ მისმინე, მინდა გული გადაგიშალო.  
 როგორც კი მოგკარ თვალი, მყისვე შენი შევიქენ  
 და ჩემი გული დაგემონა სამარადეამოდ.  
 მიტომაც ასე მოთმინებით ვათრეე ამ კუნძებს.
- მირანდა — ნუთუ გიყვარვარ?
- ფერდინანდი — ო, ზეცაო, ო, დედამიწავე,  
 თქვენ დამიმოწმეთ ჩემი აღთქმა. თუ კი სიმართლეს  
 ვამბობდე მაშინ, ეს წადილი დაავგირგვინეთ!  
 და თუ ვტყუოდე, ყოველგვარი ბედნიერება  
 უბედურებად გადამექცეს. მე თქვენ მიყვარხართ,  
 მე თქვენ გაღმერთებთ და თაყვანს გცემთ განუზომელად.
- მირანდა — რა სულელი ვარ! სიხარული ასე მატირებს.  
 პროსპერო — (თავისთვის) ორი სპეტაკი გრძნობის ასე წმინდა შეხვედრა!  
 ზეცაო მაღლი დააპყურე მათ წმიდა კავშირი!
- ფერდინანდი — მაინც რად ტირი?
- მირანდა — იმისთვის, რომ მე უღირსი ვარ,  
 ვერ გამიბედავს მოგანიჭო, რის მოცემაც მსურს  
 და იმისგანაც ცოტას ვიღებ, რის სურვილიც მკლავს.  
 სისულელეა! რაც მეტს ცდილობს თავის დაფარვას  
 ჩემი სურვილი, მით უმეტეს ვეება მოსჩანს.  
 განვედ, ცბიერო მორცხვობაო! შენ შთამაგონე,  
 ო, შენ უბრალო და წმინდაო უმანკობაე!  
 თუ კი შემირთავთ, მე მზადა ვარ გამოგყვეთ ცოლად,  
 თუ არ შემირთავთ, დაე მოვკვდე, მხევალი, თქვენი.  
 იმის ნება გაქვთ, ცოლობაზე უარი მითხრათ,  
 მაგრამ მონად რომ გადაგექცეთ, ვერ შეტყვეთ უარს.
- ფერდინანდი — ჩემო ძვირფასო, ქალბატონო, მეც სწორედ ასე  
 თქვენი მორჩილი ვიქნები სულ.
- მირანდა — გსურთ ჩემი ქმრობა?
- ფერდინანდი — ისე მწყურია, როგორც მონას თავისუფლება.  
 პა ჩემი ხელი.
- მირანდა — აჰა, ჩემს ხელს გულიც მოპყება.  
 ახლა მშვიდობით, ნახევარი საათით გტოვებ.
- ფერდინანდი — ო, ათასჯერაც, ათასჯერაც მშვიდობით იყავ.  
 (გადის)
- პროსპერო — თქვენებრ არ ძალმიძს განვიცადო ეს აღტაცება,  
 რადგანაც თქვენთვის ყველაფერი ეს ახალია.  
 მაგრამ ამგვარად არაფერი გამაზარებდა.  
 ახლა წავალ და ჩაუუჯდები ისევე ჩემს წიგნებს.  
 ბევრი რამ უნდა მოვაგვარო ვახშობის დრომდე.  
 (გადის)

სტატიი II.

ი ვ ი ე კ უ ნ ძ უ ლ ი

(მშობლიან კალიბანო, სტეფანო და ტრინკულო).

- ს ტ ე ფ ა ნ ო — კმარა. მეტად აღარ გაიმეორო. წყალს მხოლოდ მაშინ დავლევთ, როცა კასრი გამოიცილება. მანამდე — არც ერთ წვეთს. აბა, ჩამოასხი. მონა-ურჩხულო, ჩემი სადღეგრძელო შესვი.
- ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მონა-ურჩხულო, გამოთაყვანებულა! ამბობენ ამ კუნძულზე სულ ხუთნი ვართო. სამი მათგანი აქა ვართ, თუ კი სხვებიც ჩვენსავით შეხურებულია, მაშინ ასე გამოდის, რომ მთელი სახელმწიფო ირყევა.
- ს ტ ე ფ ა ნ ო — დალიე მეთქი, გიბრძანებ, მონა-ურჩხულო. თვალები როგორ ჩაგჩრია შუბლის ქვემოთ.
- ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მაშ, სად უნდა ჩასულიყო? მართლაც შამაცი ურჩხულს მაშინ იქნებოდა, კულის ქვეშ რომ ჩასჩროდა.
- ს ტ ე ფ ა ნ ო — ამას ლეინოში ჩაეხრჩო ენა. მე კი ზღვამაც ვერ დამახრჩო. ნაპირზე გამოსვლამდე ოცდახუთმეტი მილი გადმოვცურე. სინათლეს ვეციავე. ჩემს თანაშემწედ ან მედროშედ დავნიშნავ, ურჩხულო.
- ტ რ ი ნ კ ტ ლ ო — სჯობს თანაშემწედ დანიშნო, თორემ ფეხებს ძლივს მიათრევს, დროშა როგორღა უნდა წაილოს.
- ს ტ ე ფ ა ნ ო — ბატონო ურჩხულო, უკან არ დაეხევთ, ხომ?
- ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მაგრამ წინაც ვერ წახეალო, ძალებივით მიწას განერთხმით და ხმას ჩაიწყვეტო.
- ს ტ ე ფ ა ნ ო — თუ მართლა კარგი ურჩხული ხარ, შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც ამოილე ხმა.
- კ ა ლ ი ბ ა ნ ო — როგორ ბრძანდები, ვაებატონო? ნება მომეცი რომ ეს წაღები ავილოკო.  
 (ანიშნებს ტრინკულოზე)  
 ეს კი მხდალია  
 და ამიტომაც მას აროდეს ვემსახურები.
- ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მიჭარავ, ბრძიეყო ურჩხულო. ახლა მზადა ვარ თუნდ ჯარისკაცს წავეჩხუბო. როგორა გგონია, თავხედო თევზო, სამი კაცი ამდენ ოინოს შესვამს? თუ იმას ფიჭრობ, რომ რაკი ნახევრად თევზი ხარ და ნახევრად ურჩხული, ნება გაქვს — რამდენიც გინდა — იცრუო.
- კ ა ლ ი ბ ა ნ ო — გესმის, რა სიტყვებითა მოათხავს. ნუთუ ამის ნებას მისცემ, ჩემო ბატონო.
- ტ რ ი ნ კ უ ლ ო — ბატონო! მართლა თუ ურჩხული მიჩნევედა მაგას ბატონად.
- კ ა ლ ი ბ ა ნ ო — შეხე, შეხე, ისევ დაიწყო. ერთი სასიკედილოდ უკბინე, გემულდარები.
- ს ტ ე ფ ა ნ ო — ტრინკულო, ენას კბილები დააჭირე, თორემ ხომ იცი პირველსავე ზეზე... ეს საბრალო ურჩხული ჩემი მსახურია და შენისთანა ჩხუბის-თავს ნებას არ მიეცემ შეურაცხყოს.

- კალიბანო—მადლობელი ვარ, კეთილო ბატონო. იქნებ ინებო და მოსმინო ჩემი სათხოვარი.
- სტეფანო—რატომაც არა. ოღონდ დაიჩოქე და ისე მითხარი: ხუ და ტრინკულო კი ფეხზე ვიდგებით.  
(შემოდის არიელი უჩინარად).
- კალიბანო—როგორც მოგახსენეთ, მე ერთ მტარვალ მისანს ვემსახურები. იმან გაიძვერობით კუნძული წაშართვა.
- არიელი—სტყუი.
- კალიბანო—თვითონვე სტყუი, შე მასხარავ, შე მაიმუნო, ჩემი მამაცი მბრძანებელი ნეტავ მოგკლავდეს.  
ჰოი, შენ მართლაც მატყუარავ.
- სტეფანო—ტრინკულო, თუ კიდევ არ დააცალე თქმა, ამ ხელსა ვფიცავ, კბილებს დაგაძრობ.
- ტრინკულო—მე ხომ არაფერი მითქვამს.
- სტეფანო—გაჩუმდი, კრინტი არ დასძრა. (კალიბანს) მერე?
- კალიბანო—წამართვა მეთქი ეს კუნძული იმან მისნობით, ახლა ამას გთხოვ, თუ კი შენი დიდებულებაც წინააღმდეგი არ იქნება, იძიე შური, ვიცო—გაბედავ, ძალი შაგწევს. ეს ვერ გაბედავს.
- სტეფანო—შენ მართლაც ამბობ.
- კალიბანო—მთელი კუნძულის მბრძანებელი თითონ იქნები.  
მე კი მსახურად გეყოლები.
- სტეფანო—ახლა ესეც მითხარი, რა გავაკეთოთ. მასთან მიმიყვან?
- კალიბანო—ჰო, მე მიგიყვან. მე მიგიყვან. შენ კი მძინარეს თავში ლურსმანი ჩააქედე.
- არიელი—სტყუი, ვერსად ვერ მიიყვან.
- კალიბანო—ამას შეხედე, ამ მასხარას, სულელსა და ბილწს.  
გემუდარები, ერთი მაგრად მოასულმკვდარე,  
ეს ღვინის ბოთლიც გამოართვი. მერე მიბრძანდეს  
და ზღვის მლაშე წყალს დაეწაფოს. ჩუხჩუხა წყაროს  
მე არ ვასწავლი.
- სტეფანო—გაჩუმდი მეთქი, ტრინკულო. თავი ხომ არ მოგბეზრებია. კიდევ ერთი სიტყვა და ამ ხელსა ვფიცავ მოთმინება დამეკარგება და ქაშაყივით გაგხდი.
- ტრინკულო—ჩემთან რა გინდა, მე ხომ არაფერი მითქვამს. აქედან წავალ.
- სტეფანო—შენ არ თქვი ახლა სტყუისო?
- არიელი—შენ თითონ სტყუი.
- სტეფანო—რაო, მე ვტყუი? აბა, იგემე. (სცემს). თუ მოგეწონა კიდევ გაიმეორე სიცრუე.
- ტრინკულო—მე არაფერი მითქვამს. ჰკუაც დაგიკარგავს და სმენაც. ჯანდაბას ეს შენი ბოთლი, ამან გიყო ყველაფერი. ჰირმა სული გააგდების შეს ურჩხულს, ეშმაკმა დაგაჭამოს თითები.
- კალიბანო—ჰა, ჰა, ჰა?
- სტეფანო—(კალიბანს) განაგრძე. შენ კი გვერდზე მიდექი.
- კალიბანო—კიდევ მიბეგვე, ცოტა ხანში მეცა ვცემ მაგრად.
- სტეფანო—(ტრინკულოს) გვერდზე მიდექი-მეთქი. აბა, განაგრძე.



ქ ა ლ ი ბ ა ნ — როგორც გითხარი, ნაშუადღევს იძინებს ხოლმე,  
 შენც სწორედ ამ დროს შეხვალ ქოხში. ყველაზე ადრე  
 წიგნებს მივარდი, მერე მშვიდად შეშის ნაპობი  
 თავში ჩასცხე და გაუჩეჩქე, ანუ თუ გინდა,  
 ჯოხით მუცელი გაუფატრე, ყელი გამოსკერ.  
 ოღონდ გახსოვდეს, ჯერ წიგნები ხელთ უნდა იგდო.  
 უიმწიგნებოდ ისიც ჩემებრ ბედოვლათია;  
 არც ერთი სული მის ბრძანებას არ შეასრულებს,  
 იგი ჩემსავით ეზიზღება ყოველ იმათგანს.  
 დაიმახსოვრე, უნდა დასწვა წიგნები მხოლოდ.  
 სხვაც ბევრი რამ აქვს სანუკვარი ნივთი იმ ქოხში,  
 რომელთაც სახლის შესამკობად ინაზავს იგი,  
 მაგრამ ყველაზე უფრო მეტად შესანიშნავი  
 მისი ლამაზი ასულია, რომელსაც იგი  
 თვითონ უწოდებს სწორუბოვარს. ჩემს სიცოცხლეში  
 ქალთაგან მხოლოდ დედაჩემი და ეს მინახავს.  
 მაგრამ ისევე შეედრება მას დედაჩემი,  
 როგორც უდიდესს პაწაწინა, ნამცეცა რამე.

ს ტ ე ფ ა ნ — მაშ, შენ ამბობ ძალიან ლამაზია რა?

ქ ა ლ ი ბ ა ნ — დიახ, ბატონო. ლოგინშიაც გამოგადგება.  
 თანაც მერწმუნე, რომ ჯიშთან შეილებს გაგიჩენს.

ს ტ ე ფ ა ნ — ასე იყოს. მე მოვკლავ მას, ურჩხულო, მე და იმისი ქალი ამ  
 კუნძულის მეფე და დედოფალი ვიქნებით. ღმერთო, დაიფარე ჩვენი  
 ბრწყინვალეობა! შენ და ტრინკულოს ვეზირობას გიბოძებთ. რას იტყვი,  
 ტრინკულო, მოგწონს ჩვენი შეთანხმება?

ტ რ ი ნ კ უ ლ — დიდებულია.

ს ტ ე ფ ა ნ — ხელი მომეცი. ახლა ვნანობ, რომ გცემე. მაგრამ, ვიდრე ცოც-  
 ხალი ხარ, ენას კბილი მაგრად დააჭირე.

ქ ა ლ ი ბ ა ნ — ის დაიძინებს ნახევარი საათის შემდეგ,  
 არ გინდა, მაშინ მოუსწრაფო ბარემ სიცოცხლე?

ს ტ ე ფ ა ნ — ახლავე, ვფიცავ.

ა რ ი ე ლ — ჩემს ბრძანებელს უნდა ვაცნობო.

ქ ა ლ ი ბ ა ნ — ამით ძალიან გამახარე, გულზე მომეშვა.  
 მოდი ვილალოთ, არ ისურვებ ვიმღეროთ ერთად,  
 დღეს რომ მასწავლე ის სიმღერა?

ს ტ ე ფ ა ნ — დე, ასე იყოს  
 შენს ყოველ თხოვნას შევასრულებ, ჩემო ურჩხულო.  
 აბა, ტრინკულო, წამოვიწყეთ.

(მღერის)

ვილალობოთ, ვიმღეროთ,  
 ვიმღეროთ, ვალალობოთ!  
 ჩვენი ნება არ არის...

ქ ა ლ ი ბ ა ნ — არა, ეს არა. სხვა ხმაზე.

(ა რ ი ე ლი დოლისა და ხალამურის ხმაზე მღერის).

ს ტ ე ფ ა ნ — ეს რა არის?

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — „არავინ“ მღერის ჩვენს ხმაზე.

ს ტ ე ფ ა ნ ო — თუ კაცი ხარ, აღამიანად გამოგვეცხადე, თუ ეშვება ხარ —  
გორც გინდოდეს ისე გვეჩვენე.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — ღმერთო შეშინდე ცოდვები.

ს ტ ე ფ ა ნ ო — სიკვდილს ვერსად გაექცევი! გამოდი, ვინცა ხარ. ღმერთი  
იყოს ჩვენი მფარველი!

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — გეშინია?

ს ტ ე ფ ა ნ ო — არა, ურჩხულო, არ მეშინია.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — შიში ნურაფრის ნუ გექნება: მთელი კუნძული

ასეთი ხმებით, სიმღერითა და ტკბილი ჟღერით  
არის მოცული. მაგრამ არვის არ ვნებს ეს ხმები.

ხშირად ათასი ჩანვისა და საყვირის ჟღერა  
გამიზნუხუნებს ხოლმე ყურთან, გამომალვიძებს  
ხანდახან რამე ტკბილი ჰანგი და ისევ ძილს მგერის.

მაშინ სიზმარში გადიხსნება უცებ ღრუბლები  
და გამოჩნდება სანუკვარი სიმდიდრე ცაში,  
უნდა დამეფრქვეს თითქოს თავზე მთელი დოვლათი,  
მაგრამ უეცრად ვიღვიძებ და კვლავ სიზმარს ვნატრობ.

ს ტ ე ფ ა ნ ო — დიდებული სამეფო მექნება, მექთი მუსიკა!

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — გერ პროსპერო უნდა მოჰკლა.

ს ტ ე ფ ა ნ ო — მაგასაც ვიზამ. არ დამიწყინია.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — თანდათან გეშორდება სიმღერა. მოდი, ჩვენც გავყვეთ, მერე  
კი საქმეზე ვიზრუნოთ.

ს ტ ე ფ ა ნ ო — გაგვიძებ, ურჩხულო. ნეტა ის მედლოე მანახა, ჩინებულად  
უკრავს.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — არ წავიდეთ? მე გამოგყვები, სტეფანო.

1 (გადაან)

— : —

### სურათი III

#### იგივე კუნძული

(შემოდინა ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო, ადრია-  
ნი, ფრანცისკო და სხვები).

გ ო ნ ზ ა ლ ო — ღვთისშობელს ვფიცავ. ამას იქით ფეხს ვერ მოვიცვლი,

ბებური ძელები საშინლად მტებს, ბატონო ჩემო.

მაინც როგორი საშინელი საფლელი არის.

ყველგან: ეაკეზე და დაკლაკნილ წავარნებზედაც  
გთხოვთ, დამასვენოთ.

ა ლ ო ნ ზ ო — როდი გკიცხავ, მოხუცო კაცო.

რადგან თვითვე მაქვს არაქათი გამოლეული

და სულიერად დავცემულვარ. ჩამოისვენე.

იმედსაც უნდა საბოლოოდ გამოვეთხოვო,

ვერ მანუგეშებს ამის მეტად მისი ლაქუცი.

ვისთვისაც ამდენს ვეხეტებით, იგი დაიხრჩო.





და ზღვაც დაგვიცინის, ხმელეთზე რომ ვეძებთ ამოდ.

ანტონიო—(ჩუმად სებასტიანს) მიხარია, რომ იმუდს ასე გამოვთხოვეთ. პირველი მარცხი აგრერიგად ნუ შეგაშფოთებს და განზრახვაზეც ნუ აიღებ ხელს ამის გამო.

სებასტიანო—(ჩუმად ანტონიოს) როგორც ვიხელთებ, შევეისრულოთ ჩვენი წადილი.

ანტონიო—(ჩუმად სებასტიანს) მგონი აჯობებს ამაღამვე, მძიმე მგზავრობით ისე არიან დაქანცულნი, რომ ფხიზლად ყოფნას არც ისურვებენ, ვერც შესძლებენ.

სებასტიანო—(ჩუმად ანტონიოს) ამაღამ მეთქი, გეუბნები და ამით მოჩჩა.  
(ისმის სადღესასწაულო მუსიკის ხმა)

ალონზო— ჩუ, მეგობრებო, ასე საამო რა ხმა არის.

გონზალო— ტებილი ჰანგია.

(ღემთი შემოდის პროსპერო. უჩინარია. სცენაზე შემოვლენ უცნაური ფორმის არსებანი. მდიდრულ სუფრას გაშლიან. საამური ცეკვით. ჩამოვლნიან სცენაზე მყოფი და მისაღების შემდეგ სუფრასთან მიიწვივენ. შემდეგ გადიან.)

ალონზო—ზეცავ, შენს კეთილ მფარველობას ნუ მოგვაშორებ. ნეტა ვინ იყვენენ?

სებასტიანო— თოჯინები გაცოცხლებულან. ახლა კი მჯერა, რომ არსებობს ქვეყნად მარტორქაც, რომ არაბეთში ტახტად მართლაც ხე აქვთ ფენიქსებს, და ამეამადაც იმ ტახტზე ზის ფენიქსი ერთი.

ანტონიო—ორივე მჯერა. შემძლია ფიცით შევიკრა, თუნდაც ამაზე საოცარი რამ დავინახო. ქეშმარიტებად მივიღებ მას. მოგზაურები არა სტყუიან არასოდეს, თუმცა ყოველთვის ნაცარში მჯდომნი უგუნურნი ჰკიცხავენ იმით.

გონზალო—ვთქვათ ნეაპოლში განვაცხადო მე აქ ნახული, დამიჯერებენ? როგორ ფიქრობ? აი, რომ ვუთხრა ისეთი ხალხი ცხოვრობს მეთქი იმა კუნძულზე— ისინი ალბათ ამ კუნძულის მცხოვრებნი იყვენენ,— რომლებიც თუმცა გარეგნულად ურჩხულებს გვანან, მაგრამ ზრდილობით, მიხრა-მოხრით, ქცევის ლაზათით, ბევრს ჩვენებური მოდგმის ხალხსაც კი აჯობებენ, ჩვენში მათ მსგავსთა ბევრს ვერ ნახავ.

პროსპერო—(თავისთვის) კარგადა ბრძანებ, კეთილშობილო ვაჟბატონო. აქ, თქვენს შორისაც ბევრია ქაჯზე უარესი.

ალონზო— გონს ვერ მოვსულვარ! რა მიხრა-მოხრა, რა სიმაღლე, მოხდენილობა!

და თუმც არ ძალუძთ ლაპარაკი, ვერ დაინახეთ,  
რა ჩინებულად მიგვახვედრეს.

პ რ ო ს კ ე რ ო—(თავისთვის)                      ჯერ დაიცადე,  
ბოლოს შეაქე.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ო—                      უცნაურად გაუჩინარდნენ.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი—რა გვენაღვლება, დაგვიტოვეს მშვივრებს ხორაგი.  
შენ არ ინებებ, ხელმწიფეო! გემო გასინჯე.

ა ლ ო ნ ზ ო—არა, მე არა.

გ ო ნ ზ ა ლ ო—                      შიში ნუ გაქვს, ჩემო ბატონო.

აბა რომელი ჩვენთაგანი დაიჯერებდა,  
ჯერ კიდევ ჩვენი-ბავშვობის დროს, რომ მთიელებსა  
ხარების მსგავსად ხორცის ბურთი ეკრათ კისერზე,  
ან, რომ არსებობს ქვეყნად მოდგმა ისეთი ხალხის,  
რომელთაც მკერდზე გამობმული ჰქონია თავი,  
ახლა ჩვენ ამას დაეუჯერებთ ყველა მოგზაურს.

ა ლ ო ნ ზ ო—კარგი. მეც შევეჭამ, თუნდაც ამით ბოლო მომელოს.

ხომ სულერთია, უკვე გაქრა ჩემი ცხოვრება  
და კარგს აღარას ველოდები. შენც მოდი, ძმაო.  
ჩემო ბატონო პერცოგო, შენც. ერთად მოვუსხდეთ.

(ქუხილი და ელვა. შემოდის ა რ ი ე ლ ი. ჰარპის ფორმა აქვს. სუფრის თავზე ფრთებს  
ინერტყავს, ხორაგი გაჭრება).

ა რ ი ე ლ ი—სამ ცოდვილს ვხედავ ახლა აქა. ისინი ბედმა,  
რომელიც მართავს ამ ქვეყნიურ საქმეებს ყველას,  
მარადეაშს მშვიერს გაუმადლარს და მრისხანე ზღვას  
წაანთხევია და კუნძულზე გამოარიყა.

თქვენ არ იყავით ღირსი კაცთა შორის ცხოვრების  
და ამიტომაც უკაცრიელ მიწაზე მოხვდით.

მე თქვენ ჰკუიდან შემიშლიხართ,

(ა ლ ო ნ ზ ო, ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი და სხვები ხმალს იძრობენ).

ეს გულადობა

სიკვდილს გიმზადებთ თქვენ თვითონვე. უგუნურებო,  
მეცა და ჩემი მეგობრებიც ბედსა ვმსახურებთ.

თქვენი მახვილი როდი არის ისე ნაწრთობი,

რომ ქარიშხალი გადაჰყვეთოს, დაკოდოს ზღვები,

ან მოაცალოს ჩემს ფრთებს, თუნდაც ერთი ბუბმული.

ხელუხლებია თანამოძმე სულელები ჩემი.

თუნდაც შეგეძლოთ ჩვენი ვნება, ეს მახვილები

ისე დამძიმდა, რომ ოდნეაც ვერ ასწევთ მაღლა.

არ გაგონდებათ,—ამისთვის ვარ თქვენთან მოსული,—

მილანის ტახტი, ვით წარსტაცეთ კეთილ პროსპეროს,

უმაწყო ბავშვით შეაცურეთ მრისხანე ზღვაში,

ახლა სამივეს იმ ზღვამ გიზღათ სამაგიერო.

სამართლის ძალამ თქვენი ცოდვა არ დაიფიწყა,

მხოლოდ ცოტათი დააყოვნა. მერე ერთბაშად



გააგულისა თქვენზე ზღვაცა და ზღვის ნაპირიც,  
 დიან. ბევრი რამ ემუჭრება თქვენს მოსვენებას!  
 შვილი წარგტაცეს შენ, ალონზო, ახლა გიცხადებთ,  
 მოგელით გრძელი სატანჯველი, სადაც კი წახვალთ,  
 თვითონ უეცარ სიკვდილზედაც უფრო საზარი.  
 ამ მძიმე რისხვას შეგირბილებთ მხოლოდ ერთი რამ:  
 მონანიება და ცხოვრება წმიდა, უმანკო.

(ქუხილთან ერთად გაუჩინარდება. შემოდინ სულელები. ცეკვავენ. სცენაზე მყოფთ უპოინიან. მერე სუფრა გააქვთ).

პ რ ო ს პ ე რ ო—ჩემო არიელ, ჩინებული პარზი იყავი,  
 როგორც მე მსურდა ყველაფერი ისე წარმართე,  
 ზორავი მოსპე, შეასრულე ბრძანება ჩემი.  
 და სხვა სულელებიც მოქმედებდნენ ასევე კარგად.  
 ეს არის ჩემი ჯადოს ძალა: შეშლილი მტრები  
 შებორკილია ჩემს წინაშე. მე მშორჩილებენ.  
 ამათ დაეტოვებ ახლა ასე, გავეშურები  
 ჩემს საყვარელ ქალს და ფერდინანდს მოვინახულებ.

(გადის)

გ ო ნ ზ ა ლ ო—ჩემო ბატონო, ყველა წმიდანს გაფიცებ მითხრა.  
 რას უმზერ ასე გაშტერებით, რა მოგივიდა?

ა ლ ო ნ ზ ო—ო, საშინელი, საშინელი ჯოჯოხეთია!  
 თითქოს ტალღებიც ჩამძახოდნენ ყურში მე ამას.  
 ქარი ბდავილით მიმღეროდა და თვით ქუხილი  
 თავის საზარი საყვირითა გაიძახოდა  
 მხოლოდ ერთ სახელს, იმ განდევნილ პროსპეროს სახელს.  
 ზღვის უფსკრულზე წევს ჩემი შვილი, მაგრამ მოვძებნი,  
 იქ ჩავეშვები, გავეხვევი მის გვერდით ლამში.

(გადის)

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი—გავანადგურებ თუნდაც მთელ დასს ეშმაკებისას,  
 ოღონდ ბრძოლაში თითო-თითოდ გიწვევთ იცოდეთ.

ა ნ ტ ო ნ ი ო—მეც შენთანა ვარ.

(გადიან ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი და ა ნ ტ ო ნ ი ო).

გ ო ნ ზ ა ლ ო— შეიშალა სამივე ერთად:  
 კარგა ხანს მალა ცოდვამ თავი საწამლავსავით,  
 და მერე უცებ შეურყია ყველას გონება.  
 გთხოვთ გაეშუროთ, ვისაც ჩემზე მარდი ფეხი გაქვთ,  
 კვალდაკვალ მიჰყეთ და უშველეთ. შეშლილობის დროს  
 თავს არა ავნონ.

ა დ რ ი ა ნ ი— აბა, მომყეთ, გემუდარებით!

(გადიან)

## მოკამედება მეოთხე

მარინეული  
გნელონოთეკა

სურათი :

პროსპეროს ქობთან

(შემოდან პროსპერო, ფერდინანდი და მირანდა).

პროსპერო—თუ მეტისმეტად მკაცრი იყო ჩემი სასჯელი, სამაგიეროდ ახლა ყველას გინაზღაურებ:

ძაფს საკუთარი ცხოვრებისას მე შენ გაბარებ;  
 არა, უფრო მეტს—მე სიცოცხლეს გაბარებ ჩემსას,  
 შენ მოგანიჭე, მომინდვია დღეიდან შენთვის.  
 მიტომ გაწვალე, რომ მინდოდა გამომეცადნე,  
 და ეს გამოცდა ჩინებულად შენ ჩააბარე.  
 ზეცის წინაშე მე გიბოძებ ამ სანუკვარ განძს,  
 ჩემი ასულით რომ ვიკვებხნი, ნუ კი დამცინებ,  
 ამას თვითონვე დაინახავ, ჰოი, ფერდინანდ,  
 რომ ის ყოველგვარ შექებაზე უფრო მალლა დგას.

ფერდინანდი—თუნდ ორაკულმა მითხრას სხვა რამ, მე მაინც მჯერა.

პროსპერო—რახან ეგრეა, წაიყვანე ჩემი ასული,

შენს მიერ უკვე ღირსეულად მოპოებული.

ლეთისმსახურების წმიდა წესის შესრულებამდე

შენ რომ მოსწყვიტო ქალწულების კოკორი იმას,

ზეცა თქვენს გვირგვინს საამო ცვარს კი არ დააფრქვევს

და ცოლქმრულ კავშირს არ დალოცავს,—სარეცელს თქვენსას

დაესხურება ზიზღის ბილწი თესლები მაშინ,

ისე უმსგავსი მძულვარება მოგიცავთ მყისვე,

რომ საკუთარ თავს შეგაზიზღებთ. მაშ ფრთხილად იყავ,

წმიდა სანთელი ჰიმენისა მოგფენდეთ ნათელს.

ფერდინანდი—მე იმედი მაქვს მშვიდობაში გავლიით დღენი,

ვიქნებით დღეგრძელ, გავამრავლებთ შთამომავლობას,

ბოლომდე ასე გვეყვარება ჩვენ ერთმანეთი,

ვერც ბნელი დამე, ვერც ადგილი მოხერხებული,

ვერცა ბოროტი ანგელოზის ცდუნება ავი

პატიოსნებას ვერ წარმტაცებს, ეინს ვერ აღმიძრავს.

მე არ შეებღალავ სილამაზეს იმ წმინდა დღისას,

როცა მერნები თებოსისა მომეჩვენება

აკოჭლებული, ხოლო დამე, ჯაჭვითა შეკრული.

პროსპერო—მშვენიერადა სჯი. ჩამოჯექი და ესაუბრე,

ამიერიდან იგი შენი საკუთრებაა.

აბა, არიელ! კარგო მონავ, ჩემო არიელ!

(შემოდის არიელი)

არიელი—მე აქ ვახლავარ. ყოელისშემძლე ბატონო, რა გსურს?

პროსპერო—წარსული საქმე ღირსეულად შეასრულეთ თქვენ,

შენცა და შენმა მეგობრებმაც. ახლა მჭირდება,



იმისი მსგავსი სხვა ოინი მოგაწყობინოთ.

წადი, მომგვარე იგი გუნდი, რომელიც ერთხელ  
დავეუმორჩილე ძალას შენსას. აბა, გაფრინდი,  
ყველას სიძარდე მიანიჭე. ამ ახალგაზრდებს  
უნდა ვაჩვენო ჩემის ცოდნით გამოწვეული  
არარსებული, ზღაპრული რამ სანახაობა.  
ასე შევპირდი და ესენიც მას მოელიან.

ა რ ი ე ლ ი—ახლავე?

პ რ ო ს პ ე რ ო—ახლავ, ვიდრემდის თვალს დაეახამხამებ.

ა რ ი ე ლ ი—ვიდრე მეტყოდე, „გასწიე ჩქარა“

ვიდრე იტყოდე „ასე, ამგვარად“,  
მოზღვავედებიან სულელები ჯარად,  
მანქვას და გრეხას ჩვეულნი მარად.  
ჩემო ბატონო, გიყვარვარ? არა?

პ რ ო ს პ ე რ ო—ძლიერ მიყვარხარ, ჩემო კარგო, არიელ, ძლიერ...  
სანამდე თვითონ მოგიხმობდე, ნუ მოხვალ ახლოს.

ა რ ი ე ლ ი—მესმის, ბატონო.

(გადის)

პ რ ო ს პ ე რ ო— გამართლე შენი პირობა.

ენებათაღელვას არ მოუშვა სადავეები.  
როცა სისხლი დულს, აღმოდებულ ჩალას გავს ფიცი.  
თავშეკაგებით მოიქეცი, ან და შენს აღთქმას  
უთხარ: მშვიდობით.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი— სიტყვას გაძლევთ, ჩემო ბატონო!

სპეტაკი თოვლი, ლეთაებრივად გულს მოხვეული  
დამიქრობს მწველსა ვნებათღელვას.

პ რ ო ს პ ე რ ო— ძალიან კარგი.

აბა, არიელ, შენი გუნდი გამოიყვანე.  
ნუ დააკლდება ერთი სულიც. მარდად, მოქნილად!  
ახლა დაჩუმდით, და უყურეთ.  
(ნახი მუსიკა)

ი რ ი ს ი—ცერერ, მოწყალე ქალბატონო, აქეთ იჩქარე,  
ყანები პურის, ქერის, ცერცვის დასტოვე ბარემ;  
ცხვრით მოფენილი, მარად მწვანე დასტოვე მთები  
და თივის ზეინით დატვირთული ვრცელი მინდვრები;  
მდგლო, ფერადი ყვავილებით დამშვენებული,  
რასაც აპრილი მუდამ შენის ბრძანებით უვლის  
ნომფებისათვის საგვირგვინოდ; ქალაც დასტოვე  
სადაც მიჯნური, განატანჯი სიმშვიდეს კოვებს,  
ზღვის სანაპირო; ვაზი ჭიგოს შემოხვეული;  
კლდეები შენგან სანავარდოდ ამორჩეული;  
ცის დედოფალი, რომელსაც მე ვშიკრიკობ მარად  
გიზიძანებს დასთმო ეს სამყოფი. მოხვიდე ჩქარა.  
იმისმა დიდმა მოწყალეობამ ასე ინება,  
აქ, ამ მწვანეზე საზეიმოდ გასეირნება.

მა, ვერ უყურებ, ფარშევანგთა დაჰფარეს ზეცა,  
ცერერ, დედოფლის შესახვედრად გამოდი შენცა!  
(შემოდის ცერერა)

ერეპნესული  
ბინჯლიმთეხა

ცერერა — სალამს მოგიძღვნი, მოხატულო შენ მრავალ ზოლად —  
იუპიტერის ცოლის მარად ერთგულო მონავე.

ზაფრანის ფრთებით ყვავილები ჩემის საპკურად  
თაფლივით ტკბილი შენ თან მოგაქვს წვიმა შხაპუნა.  
ჩემს ტიტულ მთებსა და ჩემს მინდერებს ბუჩქებით ნაფენს  
შენ თაღად ადგამ ცისარტყელას გვირგვინს მრავალფერს.  
მაუწყე, შენმა დედოფალმა რისთვის მახლა,  
ამ პაწაწინა ბუსნოთ ნაფენ მინდორზე ახლა.

ირისი — უნდა აკურთხოს საზეიმოდ მიჯნური წყვილი.  
და საქორწინო საჩუქრები მიართვას ტკბილი.

ცერერა — ესეც მაუწყე ცის შიკრიკო, შენ ყველა იცი,  
ახლავს დედოფალს ან ვენერა, ან შვილი მისი?  
რაც მათ ბნელ პლუტონს ვერაგულად შეუწყვეს ხელი  
და ჩემი ქალი გაიტაცეს, მე ალთქმით წრფელით  
დავგმე ისიც და მისი ბრმა ძეც.

ირისი —  
ო, ნუ გაქვს ფიქრი  
იგი ლეთაება მტრედის ეტლით პაფოსკენ მიჰქრის.  
ღრუბლებს მიაბობს ახლა ისიც მემკვიდრეც მისა.  
ჯერ კი უნდოდათ გაწილება ამ ქალაქისა,  
მაგრამ ამოღ: მათ დაასწრეს, წმინდად შეჰფიცეს:  
უმანკოება სარეცელის დაიცვან მტკიცედ,  
ვიდრე ლამპარი ჰიმენისა არ აინთება,—  
მარსის მიჯნურიც გატრიალდა, დაუცხრა გზნება.  
მისმა ბოროტმა შვილმა, ბრაზით განახლებმა,  
ისრები მყისვე გასტეხა, თქვა: „ჩემმა ხელებმა  
არ ისროლოსო ამის მეტად. დღეიდან მარად  
მე ბულურებთან ვითამაშებ, ვით ყრმა პატარა“.

ცერერა — ცის დედოფალი ეშურება აქეთკენ მალლით,  
იუნონაა, მე ხმაზე ვცნობ.

(შემოდის იუნონა)

იუნონა — დიდი სიმდიდრე კურთხევა, ლხენა,  
ბედნიერება და გამრავლება!  
ნურც სიხარული მოგშლოდეთ თქვენა!  
ეს იუნონამ თქვენთვის ინება.

ცერერა — სავსე ბელელი, საბძელიც სავსე  
დასრულებული მტევნები ვაზის.  
ტოტი ნაყოფით ღამშიმებული  
და გაზაფხული თქვენთან მარადის!  
მიწის სიუხვე, ბარაქა მულამ  
გაჰირვება კი — თქვენთან აროდეს!  
ამას ცერერი გისურვებთ გულით  
და ეს კურთხევა თქვენთვის კმაროდეს.



- ფერდინანდ — რა დიდებული ხილვა არის, რა მიმზიდველი.  
გაგებდავ გკითხოთ, სულგბია განა, ესენი?
- პროსპერო — დიახ, სულგბი. ისინი მე ჩემის მისნობით  
გამოვიწვიე, რათა თქვენთვის ეჩვენებინათ  
ეს მშვენიერი ხილვა.
- ფერდინანდ — ნეტა, მუდამ აქ ვიყო  
ასეთი მამა, საოცნებო ასეთი ცოლი,  
სამოთხედ აქცევს ამ კუნძულსა.  
(იუნონა და ცერეა ჩურჩულებენ და ირის უბრალებენ რაღაცას)
- პროსპერო — ჩუმად, ძვირფასო,  
ხედავ ცერერი იუნონას ეჩურჩულება,  
ეტყობა უნდათ კიდევ რამე ხილვა გვაჩვენონ.  
გაჩუმდი, თორემ გაჭრებიან.
- ირის — ნაიალებო, ვისაც ბინად გაქვთ რუ ანკარა,  
ლელის გვირგვინი მოხდენილი ვის გშვენით თავზე,  
დასთმეთ შორევი და ამ მწვანე მდელოზე ჩქარა  
გამოეშურეთ, იუნონა გიბრძანებთ ასე.  
ნუ დააყოვნებთ, ფერიებო, ჩვენ შველა გვინდა,  
უნდა ვაკურთხოთ ამ ქალეაგის კავშირი წმინდა.  
(შემოდან ფერიები)  
თქვენც, მთიბავებო, გატრუსულნო აგვისტოს მზითა,  
გამოეშურეთ, მიატოვეთ სამკელი ყანა,  
ქილის ქუდები დაიხურეთ თავზე და ლალად  
ფეხი გაუსვით თქვენებურად ფერიებთანა.  
(შემოდან საზეიმოდ შორიული მთიბავეები. ცეკვავენ ფერიებთან  
ერთად. ბოლოს პროსპერო წამოეარდება და ლაპარაკობს; სულგბი ნელ-ნელა  
ურე ხმაურით გაელენ).
- პროსპერო — (თავისთვის) აკი ბოროტი შეთქმულება გადამავიწყდა  
მხეც კალიბანის და მის თანამზრახველთა მიერ.  
ჩემს მოსაკლავად შემზადებულ-შეთანხმებული.  
უკვე ახლოა ეამი მათი ამოქმედების.  
(მიმართავს სულგბს)  
ჩინებულია. განმერინეთ, მეტი არ მინდა.
- ფერდინანდ — საოცარია აგრერიგად რამ ააღელვა  
ნეტავი მამა?
- მირანდა — არც მინახავს დღემდე აროდეს  
იგი ამგვარად შეძრწუნებულ-აღელვებული.
- პროსპერო — შეშფოთებული თვალეები გაქვს, ჩემო სიძეო,  
თითქოს და რამემ შეგაშინა. გამხიარულდი.  
სანახაობა დაამთავრეს ამ აქტიორთა.  
გითხარით კიდევ, რომ ესენი სულგბი იყვნენ,  
ახლა თხელ ჰაერს შეერიენ, გაუჩინარდნენ.  
დადგება დრო და ამ ზღაპრული ხილვისა მსგავსად  
ციხე-კოშკები, ღრუბლის ქუდით დამშვენებულნი,  
სასახლეები დიდებული, წმიდა ტაძრები,  
თვით დედამიწა და ყოველი სულდგმული არსი,



ასე გაპქრება, ამ სულების ზეიმის გვარად  
დაიშლება და ღრუბლის კვალსაც აღარ დასტოვებს.  
ჩვენ ნაქსოვი ვართ სიზმრეული ნივთიერებით,  
წუთისოფელი სიზმრითაა გარემოცული.  
არეული ვარ, მომიტევეთ ჩემი სისუსტე:  
მოხუცი თავი ჩემი მძიმე ფიქრებს მოუცავს,  
მაგრამ თქვენ ეს ნუ შეგაწუხებთ, თუ გირჩევნიათ,  
ქოხში შედით და მოისვენეთ. ცოტას გაივლი,  
იქნებ—დაემშვიდღე.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ —ვისურვებთ თქვენ მშვიდობით ყოფნას.

დ ა მ ი რ ა ნ დ ა

(ქოხში შედიან).

პ რ ო ს პ ე რ ო —(არიელს) ჩემო არიელ, ჩემთან მოდი ფიქრის სისწრაფით!  
მადლობელი ვარ შენი დიდად, მოდი არიელ.

(შემოდის არიელი).

ა რ ი ე ლ —შენს ფიქრთა დენას მეც თან დაესდევ. კიდევ რა გნებაეს?

პ რ ო ს პ ე რ ო —მომზადებული უნდა დავხვდეთ კალიბანს, სულო.

ა რ ი ე ლ —ჰო, მბრძანებლო. როს ცერერი წარმოვადგინე,

მაშინ მინდოდა მეთქვა შენთვის, მაგრამ ვერ გითხარ,

გავარისებთქო—შემეშინდა.

პ რ ო ს პ ე რ ო — რაო, არიელ

ის ვერაგები სად დასტოვე?

ა რ ი ე ლ — ბატონო ჩემო,

რაგორც გითხარი სმისგან იყვნენ გახურებულნი.

გულმოცემულნი იმნაირად, რომ ნიავეს სცემდნენ:

პირისახეში რად გვეცემო, მიწას ჰკიცხავდნენ:

ფეხს რად გვეკონიო. თან განზრახვას არ ივიწყებდნენ.

უცებ დოღს დავკარ, გაუხედნავ კვიცივით დაფრთხნენ,

ყურები სცქვიტეს, დააყვიტეს თვალეზი ფართოდ,

ცხვირი აბზიკეს, თითქო ყნოსვით გრძნობდნენ მუსიკას.

მოვაჯადოვე მათი სმენა, ხბოსებრ კუნტრუშით

დოღის ხმას აპყვენენ, შევიტყუე ასკილის ტყეში,

ეკალბარდებში, ნემსისწვერა ცხრატყავიანში.

სულ დაიჩხვლიტნენ. ბოლოს თქვენი ქოხის გადაღმა

დამბალ ჭაობში მივატოვე. ახლაც იქ ხტიან,

მყაყე ჭანჭრობი იმათ ფეხზე უფრო მეტად ყარს.

პ რ ო ს პ ე რ ო —ეს ჩინებულად მოგიწყვია ჩემო ჩიტუნა.

კვლავ უჩინარი უნდა დარჩე. წადი ჩემს ქოხში

და ხარახურა მომიტანე იქიდან ჩქარა,

აქ დაგვეკირდება იმ ავაზაკთ მოსატყუებლად.

ა რ ი ე ლ —აი, მივდივარ.

(ვაღის)

პ რ ო ს პ ე რ ო — ავი სული! ის დაბადებით

ავი სულია. ვერ გარდაქმნა იმის ბუნება

ვერც აღზრდა-გაწრთენამ. ვერც ბეჯითმა ზრუნვამა ჩემმა.

წყალში ჩაყვარე მთელი შრომა ტყუილ-უბრალოდ!



რაც უფრო ხანი ემატება, ხორციით და სულით  
იგი უფროვე საზიზღარი და ბილწი ხდება.  
ისე ვაწვალებ მაგათ ყველას, რომ სულ ბლაოდნენ

(შემოდის არიელი. ბრჭყვიალა ტანსაცმელი მოაქვს).

აბა შემოდი, ჩამოკიდე ეს ტანსაცმელი.

პ რ ო ს პ ე რ ო და ა რ ი ე ლ ი უჩინარი არიან. შემოდინ კ ა ლ ი ბ ა ნ ი, ს ტ ე ფ ა ნ ო და ტ რ ი ნ კ ე ლ ო. მთლად გაწუწუნნი):

კ ა ლ ი ბ ა ნ — ახლა კი სიფრთხილედ გვმართებს, იმის ქოხს მივადექით. ბრუ-  
ტიანმა თხუნელამაც არ უნდა გაიგონოს ჩვენი ფეხის-ხმა.

ს ტ ე ფ ა ნ ო — მახინჯო ურჩხულო, შენი ჯადოქარი—აი, უვნებელი ჯადო-  
ქარო, რომ ამბობ, ცუდად მოგვექცა. გესმის, ურჩხულო!

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — ურჩხულო, საიდანღაც ცხენის შარდის სუნი მომდის, ჩემი  
ცხვირი შეურაცხყოფილია.

ს ტ ე ფ ა ნ ო — ჩემი ცხვირიც. გესმის მახინჯო ურჩხულო. თუ გამაგულისე,  
მაშინ...

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — მაშინ შენი საქმე წასულია, ურჩხულო.

კ ა ლ ი ბ ა ნ — კარგო ბატონო, შემინწყალე, ცოტაც მადროვე  
და ამ ტანჯვის წილ ისეთ ჯილდოს მივაღებინებ  
გადაგაიწყოს განსაცდელი. ახლა კი ჩუმად,  
შუალამეა და მდუმარედ არის ყოველი.

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — ეს კარგი. მაგრამ ბოთლები რომ ჩაყვარეთ ლაფში?..

ს ტ ე ფ ა ნ ო — ეს მარტო შერცხვენა და გაწბილება როდია, მახინჯო ურჩხუ-  
ლო, ეს აღნაზღაურებელი ზარალიცაა.

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — ჭაობში ჩაფლობაზე უფრო ეს მაწუხებს. შენ კი, ურჩხუ-  
ლო, მაინც იმას გაიძახი, უვნებელი ჯადოქარიაო.

ს ტ ე ფ ა ნ ო — ყურებამდე. რომ ჩაეიფლა ჭაობში, იმ ბოთლს მაინც გამო-  
ვათრევ.

კ ა ლ ი ბ ა ნ — ჩუმად იყავი, ხელმწიფეო, გემუდარები.

აბა, კარებიც ამ ქოხისა. უხმოდ შებრძანდი  
და შეასრულე ეს კეთილი ბოროტქმედება.

შენი გახდება ეს კუნძული სამარადეთამოდ  
და მეც მორჩილი კალიბანი, ფეხს აგილოკავ.

ს ტ ე ფ ა ნ ო — ხელი მომეცი, თავში რაღაც სისხლიანი ფიქრები მომდის.

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — მეფეო სტეფანო! კეთილშობილო, ღირსეულო სტეფანო!  
ერთი შეხედე, შენთვის რა სამოსელი მოუშაადებიათ.

კ ა ლ ი ბ ა ნ — ხელი გაუშვი, ბრძივო, ბრჭყვიალა ჩერებია სხვა არაფერი.

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — დიად, ურჩხულო! გვესმის რა ჩერებიც არის. ო მეფეო,  
სტეფანო.

ს ტ ე ფ ა ნ ო — მაგ მოსასხამს ხელი უშვი, ტრინკულო. მარჯვენას ვფიცავ,  
ჩემი უნდა გახდეს ეს მოსასხამი.

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — ეს ჩემს დიდებულებას ჰქონდეს.

კ ა ლ ი ბ ა ნ — ბრძივო, წყალმანქაც დაულრჩევიზარ, გაუბერიზარ.

ნეტა ვიცოდე—რად გკირდება ეს ხარახურა?

ხელი გაუშვით, გირჩევნიათ ჯერ მოჰკლათ იგი,

თორემ იცოდეთ, თუ დაგასწროთ გამოღვიძება,



თავით ფეხამდე გაგვხდის ტყავსა და დაგვამსგავსებს  
რალაც საშინელ მოჩვენებას.

ს ტ ე ფ ა ნ ო — ხმა ჩაიკმიდე ურჩხულო. ქალბატონო თოკო, ეს ჩემი ჯუბანაა?  
განა? მაშ ტანზე მოვირგო.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მოირგე, მოირგე. ყველაფერი ჩამოვიღოთ და მოვირგოთ,  
შეგვერგება.

ს ტ ე ფ ა ნ ო — ასე, მადლობელი ვარ. არავის დავეტოვებ დაუჯილდოებლად-  
რაო? მოვირგოთ შეგვერგებაო? აჰა, კიდევ ქურთუკი.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — მოდი, ურჩხულო, და რაც დარჩა, შენ წამოიღე.

ქ ა ლ ი ბ ა ნ ო — არა მინდა რა. დროსა ეკარგავთ ტყუილ-უბრალოდ,  
და იმას ვუცდით, რომ ბატებად გადაგვაქციოს.  
ან მოგვანიჭოს მაიმუნის მახინჯი სახე.

ს ტ ე ფ ა ნ ო — გეუბნებიან ხელები გაანძრეო. მოგვეშველე, ეს ჩემს ღვი-  
ნის კასრთან მივათრიოთ. ხომ არ გინდა სულაც გაგაძვეო ჩემი სახელ-  
მწიფოდან. აჰა, წაიღე ჩქარა.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — ესეც წაიღე.

ს ტ ე ფ ა ნ ო — ესეცა.

(მოსმის მონადირეთა შეძახილები. შემოდიან ძალდატყვევლი სულელები და მიესვენებენ  
სცენაზე მყოფთ. პ რ ო ს კ ე რ ო და ა რ ი ე ლ ი უსისინებენ.)

პ რ ო ს კ ე რ ო — მიდი, მთაო, მიდი!

ა რ ი ე ლ ო — ვერცხლო, არ გაგაქცეს, ეცი, ვერცხლო!

პ რ ო ს კ ე რ ო — აბა, გიემყო, აქეთ, აქეთ, მტარვალო აქეთ!  
(განდევნიან ქ ა ლ ი ბ ა ნ ს, ს ტ ე ფ ა ნ ო ს და ტ რ ი ნ კ უ ლ ო ს).  
უბრძანე სულებს, დაუწიწკნონ ყველას სახსარი,  
ძარღვები სულ მთლად დაუკრუნჩხონ, დაუნაოკონ,  
ლეოპარდივით აუჭრელონ სხეული ჩხვლეტით.

ა რ ი ე ლ ო — გესმის, ბლავიან.

პ რ ო ს კ ე რ ო — დე, აწამონ უფრო სასტიკად.

ჩემს ხელთ მოექცნენ უკვე ჩემი ბოროტი მტრები.

ახლა სულ მალე თავს მოვაბამ ჩემს სამუშაოს

და მოგანიჭებ ჰაერივით თავისუფლებას.

ახლა მომყევი.

(გადიან)

## მოკმელება მესუთი

### სურათი I

პ რ ო ს კ ე რ ო ს ქ ო ხ თ ა ნ

(შემოდიან პ რ ო ს კ ე რ ო ჯადოსნური მოსახამით და ა რ ი ე ლ ი.)

პ რ ო ს კ ე რ ო — უკვე თავს ვუყრი ჩემს საქმეებს, ჩემი მისნობაც  
არა მღალატობს. მმორჩილებენ სულელები კარგად.  
და დროც ტვირთის ქვეშ გამართული მიემართება.  
რა დრო იქნება ახლა დღისა?



არიელ — მალე ექვს დაპყრავს.  
და ამ დროისთვის, შენვე ბრძანე წელან, ბატონო,  
ჩვენ საქმეებსაც მოვრჩებითო.

პროსპერო — ასე ვთქვი მართლაც,  
როცა აღვძარი ქარიშხალი. მითხარი, სულო,  
რა მოუფიდათ ხელმწიფესა და მის ქვეშევრდომთ?

არიელ — ისე არიან შებორკილნი, როგორც მიბრძანე,  
მომწყვდეული მყავს სუყველანი მე იმ ჭალაში,  
რომელიც თქვენ ქოხს აედრისაგან იფარავს ხოლმე.  
შენ უნებართვოდ განძრევაც კი არ შეუძლიათ.  
კვიდიან შეშლილს მეფეს, შენს ძმას და ძმას მეფისას  
დანარჩენები მწუხარებით გულდათუთქულნი  
სასოწარკვეთით შეჰყურებენ, მგლოვიარობენ.  
ყველაზე მეტად კი ის ნაღვლობს, შენ რომ ამბობდი  
აი, „მოხუცი გულკეთილი გონზალოაო“.  
წვერებზე ცრემლი დაბა-ღუპით მოედინება,  
როგორც ზამთრობით წვიმა ისლის სახურავიდან.  
ისე წვალობენ შენი ჯადოთ მონუსხულები,  
რომ დაგანახვა, უსათუოდ გულს მოგიღობდა.

პროსპერო — აგრე გგონია?

არიელ — მე რომ ვიყო ადამიანი,  
ბატონო ჩემო, ჩემი გულიც კი მოღებოდა.

პროსპერო — ჩემიც მოღებდა. თუ შენ ძალგმს, ჰაეროვან სულს,  
ჩასწვდე მათ სევდას, თანაუგრძნო და შეიბრალო,  
მე ხომ მით უფრო. მე ხომ მათი მოღმის არსი ვარ,  
მათებრ განვიცი სიხარულსა და მწუხარებას.  
ბევრი შესცოდეს ჩემს წინაშე, ბევრი რამ მავნეს,  
მაგრამ მაინც ჩემს გულისწყრომას დავემორჩილებ  
გონებას, კეთილ მოაზროვნეს. პო, შევიწყალებ.  
შურისგებაზე მალაღია გულმოწყალება. თუ სინანული  
აღძრათ გულს, რა დამრჩენია,  
რისთვისა ნიშნად მე წარბსაც კი არ შევიკმუნნი.  
წადი, არიელ, გაეშურე. ათავისუფლე.  
მე მათ ვხსნი ჯადოს, დაეუბრუნებ გონიერებას.  
და ძველებურად იქნებიან.

არიელ — აქ მოგვერი იმათ.  
(გადის)

პროსპერო — ნაკადულების, მთების, ტბების, ქალების სულნო,  
ვინაც ნებტუნის მიქცევისას მსუბუქი ფეხით  
ტალღას მიჰყვებით, მოქცევისას უკან გამორბით;  
თქვენა, ნახევრად თოჯინებო, მთვარიან ღამეს  
მწვანე ბალახს რომ ცეკვა-ხტომით წრიულად თელავთ  
და ისე აფრთხობთ ცხერის ფარას, რომ იქ ველარ ძოვენ;  
აღმოაცენებთ ხოლმე სოკოს შუალამისას  
და მით ერთობით, მწუხრის ზარი ვიამებთ სმენას,  
თქვენ მეთქი, თქვენა, თუმც სუსტნი ხართ. გამოვიყენეთ



და შუადღისას მცხუნვარე მზე ჩაგაქრობინეთ.  
 გამოვიწვიეთ მარად ანჩხლი ქარები ერთად.  
 მწვანე ზღვასა და ლავეარდოვან ზეცის თაღს შორის  
 გაეპართვინეთ ჩვენ ფიცხელი, მჭურახე ომი.  
 ბობოქარ ქუხილს, შიშის—მომგვრელს, ცეცხლი შევეუნთე,  
 ზევისის ისარით ზევისისავე მუხა გავაპე.

ღრმად ფესვგადგმული კუნძული სულ ავაცახცახე,  
 ნაძვი, კედარი, ამოვგლიჯე ძირფესვიანად,  
 ჩემის ბრძანებით საფლავებმაც კი გახსნეს პირი  
 და გაიღვიძეს მარადიულ ძილისგან მკვდრებმა.  
 მისწობას ჩემსას სამუდამოდ ვემშვიდობები,  
 მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა უკანასკნელად:  
 მყისვე ციური მუსიკა მსურს გამოვიწვიო,  
 და იმ შესლილებს დაეუბრუნო სალი გონება.  
 მერე დავამსხვრევე ჯადოსნურ კვერთხს და ღრმად ჩავმარხავე,  
 შორს დედამიწის შუაგულში. წიგნებს კი ჩემსას  
 ისე ჩავძირავ, გემის ღუზაც ვეღარ მიწვდება.

(სადღესასწაულო მუსიკის ხმა. შემოდის ა ჩ ი ე ლ ი. მათ მოჰყვებიან: ა ლ ო ნ ზ ო,  
 რომელსაც შეშლილი სახე აქვს და გ ო ნ ზ ა ლ ო ახლავს; ასევე შეშლილი ს ე ბ ა ს-  
 ტ ი ა ნ ი და ა ნ ტ ო ნ ი ო, რომელთაც ა ნ დ რ ი ა ნ ი და ფ რ ა ნ ც ი ს კ ო მოჰყვე-  
 ბიან. ისინი შევლენ და დადგებიან პ რ ო ს პ ე რ ო ს მიერ მოხაზულ წრეში.)

დაე, მუსიკამ, რასაც შესწევს განკურნვის ძალა  
 და ყველაფერზე უფრო მეტად რაც გვანუგეშებს,  
 შენც დაგიამოს ეს გონება შეშფოთებული  
 მანდვე იდექი,—შენზე ახლა ჯადო მოქმედებს.  
 წმინდა გონზალო, კარგო კაცო, პატიოსანო,  
 შენის წაბაძვით ჩემს თვალებსაც მოადგა ცრემლი.  
 ჩქარა ეცლება ჯადოს ძალა უფრო და უფრო.  
 ვით განთიადი ღამეს ჩუმად მიეპარება  
 და ჰფანტავს წყვილიადს, სწორედ ისე მათი გონება  
 ბურუსს ფანტავს და იწმინდება თანდათანობით.  
 პოი, გონზალო, ჩემო მხსნელო, კეთილო კაცო  
 ახლაც როგორი ერთგულებით უვლი შენს მეფეს!  
 სამაგიეროს სიტყვითაც და საქმითაც გიზღავ.  
 შენ კი, ალონზო, რა სასტიკად მოგვეპყარ მაშინ,  
 მეც და ჩემს ქალსაც. შენმა ძმამ კი გადააჭარბა,  
 მიტომაცაა, სებასტიან, ასე რომ გტანჯავ.  
 ჩემო სისხლხორცო, ჩემო ძმაო, გულზევიადობამ  
 კაციშვილობაც ჩაკლა შენში და სინიღისიც.  
 ხელმწიფის მოკვლა განიზრახე მაგასთან ერთად,  
 მიტომაცაა, სხვებზე მეტად რომ იტანჯები.  
 არა ხარ ღირსი, მაგრამ მაინც შენც მოგიტყეებ.  
 აჰა, თანდათან გონს იკრეფენ. წმინდა ნაკადი  
 მალე გადაიქცხს დამყაყებულ ჭუჭყსა და ტალახს.  
 ყველა მიცქერის და ვერც ერთი მათგანი ვერ მცნობს.  
 არიელ, ჩემი მახვილი და ქული მომეცი.





იქ არის ქოხში. მსურს ვეჩვენო მე ძველებურად,  
როგორც ოდესღაც უნახივარ მილანში ამათ.  
ჩქარა და მყისვე მოგანიჭებ თავისუფლებას.  
(არ იცის მღერის და ძორთვაში შევლის)

არ იცის—მეც იქა ვწოვ, სადაც ნექტარს სწოვს ფუტკარი,  
ყვავილების გული ჩემი ბინა არის,  
დავფრენ მარად ღამურების ლალი ფრთებით,  
მძინავს მაშინ, როს ბუ ჰკივის გახელებით.  
ზაფხულობით, ზაფხულობით ლაღობს გული,  
აწ შექნება სილაღე და სიხარული.

პროსპერო—ჩემო არიელ, აი ასე. მე კი მშორდები,  
მაგრამ სულ მალე გახდები შენ თავისუფალი.  
ჰო, მალე, მალე. ახლა მიდი შეფის ხომალდთან,  
ოღონდ ასევე უჩინარი იყავი ჯერა,—  
მეზღვაურთ ნახავ მიძინებულთ გემის ბაქანზე,  
გამოაღვიძებ მათ, ბოცმანსაც და კაპიტანსაც,  
და აქ მოიყვან, ოღონდ ჩქარა, გემულდარები!

არ იცის—ფრენის დროს შევესვამ მსუბუქ ჰაერს და აქ გაეჩნდება!

გონზალო—მხოლოდ წამება, გაქირებება, ტანჯვა და შიში  
ბინადრობს ამა კუნძულზედა. ო, ზეცის ძალნო,  
თქვენ დაგვიფარეთ, მოგვაშორეთ ამ საშიშ მხარეს.

პროსპერო—აბა შემხედე. ხელმწიფეო, მე ვარ, პროსპერო,  
დამცირებული მბრძანებელი მილანის ტახტის.  
დასამტკიცებლად, რომ ცოცხალი პრინცი მოგმართავს,  
აჰა—გეხვევი. ვესალმები სულთ და გულით  
შენს თანამგზავრებს და ქვეშევრდომთ.

ალონზო— ეგ როდი ვიცი,  
ნამდვილად ის ხარ, თუ სხვა ვინმე. იქნებ სული ხარ  
და როგორც წელიწადი, ახლაც გინდა ჰკვიდან შემშალო.  
მაჯის ცემა გაქვს, როგორც ყველა ხორცისმულ არსებას,  
თვალი შეგავლე და გონება ამბოხებული  
მყის დამიმშვიდდა, შეშლილობამ გადაამიარა.  
შენს საპერცოგოს მე უკანვე გიბრუნებ ახლა  
და გვედრები მომიტეო შეცოდებისთვის.  
ეს მაინც მიკვირს, ვით გადარჩა ცოცხლად პროსპერო,  
ან ამ კუნძულზე როგორ მოხვდა?

პროსპერო— უპირველესად,  
ჩემო ძვირფასო მეგობარო, ნება მომეცი  
მკერდზე მივიკრა შენი წმინდა მოხუცი გული,  
ღირსებას შენსას არც ზომა აქვს და არც საზღვარი.

გონზალო—ვერ დავიფიცებ სიზმარია, თუ სინამდვილე.

პროსპერო—ჯერ ყიდევ თავში გიტრიალებთ აქ დანახული,  
მოჩვენებები და ის გიშლით—ცხადი ირწმუნოთ.

მოგესალმებით, მეგობრებო, გულით სუყველას.

(მიმართავს სებასტიანს და ახტონიოსს)

და თქვენ კი, წყვილო ვაებატონო, ასე რომ მსურდეს დავამტყიცებდი, რომე მხოლოდ მოლაღატე ხართ.

მის ბრწყინვალეებას აღვაგზნებდი თქვენზედა რისხვით, მაგრამ ამავერად არ ვინდომებ.

სებასტიანო—(თავისთვის) თვითონ ეშმაკი ლაპარაკობს მაგისი ვნით.

პროსპერო—სტყუი. მაგრამ შენ ვაებატონო უბოროტესო,

ძმას არ გიწოდებ, არ მსურს ამით პირი შევბილწო,

შენს უბუნებო დანაშაულს მე ვაპატიებ,

ოღონდ ახლავე დამიბრუნე მილანის ტახტი.

ვიცი, შენ ამას შეასრულებ.

ალონზო—

თუ პროსპერო ხარ,

გავვაგებინე დაწვრილებით, როგორ გადარჩი?

აქ როგორ შეგვხვდი ამ კუნძულზე, სადაც ჩვენ ავერ

უკვე მესამე საათია გამოვირიყეთ?

სადაც დავკარგე, ო რა მძიმე მოსაგონია,

ჩემი ძვირფასი ფერდინანდი?

პროსპერო—

ჩემო ბატონო,

ამას მეც ვწუხვარ.

ალონზო—

ამ დანაკარგს რა დამიბრუნებს.

თვით მოთმინებაც ვეღარ კურნავს ჩემს მწუხარებას.

პროსპერო—ალბათ თქვენ არც კი მიგიმართავთ მოთმინებისთვის.

მე გამოვცადე მისი ნაზი გულმოწყალება,

სწორედ ასეთი მწუხარება იმისმა ძალამ

დამიაბა და მომასვენა.

ალონზო—

ეს მწუხარება?

პროსპერო—მძიმე მით უფრო, რომ ახლახან შემემთხვა იგი.

და თანაგრძნობაც აგრერივად ვერ დამამშვიდებს.

შენ უფრო ძალგის ინუგეშო თავი როგორმე,

ქალი დავკარგე ერთადერთი.

ალონზო—

ქალი დავკარგე!

ო, ზეცის ძალნო, ნეაპოლში იყენენ ისინი,

როგორც მეფე და დედოფალი! შეიძლებოდეს

იმით მაგიერად მე გამხვია ზღვის ფსკერზე ლამში,

სად ჩემი შვილი არის ახლა. ერთი მითხარი,

როდის დავკარგე ქალიშვილი?

პროსპერო—

ქარიშხალის დროს

მაგრამ მე ვამჩნევ ამ შეხედრით ეს ბატონები

ისე არიან ვაკვირვებულ-გაშტერებულნი,

რომ სულ ამაოდ და უბრალოდ ძაბავენ ჰქუას.

მათ საკუთარი ხმისაც კი აღარა სჯერათ.

როგორც ის არის მართალი, რომ ჰქუაშეგერყათ,

უნდა ირწმუნოთ თქვენს წინაშე არის პროსპერო,

ჰერცოგი თავის ქალაქიდან გაძევებული,

და ამ კუნძულზე.—თუმც ეს მეტად უცნაურია,



სადაც ზომალდი დაგიმტვრიათ თქვენ ქარიშხალმა,  
 გამორიყული, ბრძანებელი ამ მიწა-წყალის.  
 მაგრამ ეს კმარა, ამის თხრობას დღეები უნდა,  
 ასე უეცრად არც ითქმება, არც საჭიროა.  
 კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ბატონო ჩემო,  
 ეს ქოზი გახლავთ აქ ამჟამად ჩემი სასახლე.  
 მყავს ცოტა მხლები, ქვეშევრდომი არავინა მყავს.  
 შიგ შეიხედეთ, ჯერ შენ ტანტი არ მოგიცია,  
 მე კი ვთავაზობ ამ ჩინებულ სამაგიეროს.

(ფრანკს გადასწევს. გამოჩნდებიან ფერდინანდი და მირანდა. ისინი ქაღალტა თამაშობენ).

მირანდა — ტკბილო ბატონო, რად მატყუებ!

ფერდინანდი — არა, ძვირფასო,  
 მთელი ქვეყანაც რომ მიბოძონ, არ მოგატყუებ.

მირანდა — ოცი სამეფოც რომ გიბოძონ, მე მაინც ვიტყვი,  
 რომ მატყუილებთ.

ალონზო — თუ კი ესეც მოჩვენებაა,  
 მაშინ მე ორჯერ დამიკარგავს ძვირფასი შვილი.

სებასტიანი — ჯერ არ მომხდარა ამის მსგავსი რამ სასწაული.

ფერდინანდი — თუმც ზღვა ყოველთვის გვემუქრება სიკვდილის რისხვით,  
 ის მოწყალეა: უმიზეზოდ ვწყველიდი იმას.

(დაიჩოქებს ალონზოს წინაშე)

ალონზო — ნუმც მოგკლებოდეს ბედნიერი მამის დალოცვა!  
 ახლა ადექი და მითხარი, აქ როგორ გაჩნდი?

მირანდა — ო, საოცრებავე, ერთად ვხედავ ამდენ ლამაზ არსს!

რა მომხიბლავი არის თურმე ადამიანი?

ან ის ქვეყანა რა იქნება, სადაც ამდენი

ადამიანი ცხოვრობს ერთად.

პროსპერო — პირველად ხედავ.

ალონზო — ნეტავ ვინ არის ეს ქალწული? ვისთან თამაშობ?

სამი საათი არც იქნება, რაც გაეცანი,

მითხარ ქალღმერთი ხომ არ არის? იქნება ამა

ჯერ დაგვაშორა ერთმანეთსა და კვლავ შეგვყარა.

ფერდინანდი — მოკვდავი გახლავთ ეს ქალწული, ბატონო ჩემო,  
 და მომანიჭა თვით უკვდავმა ბედისწერამა.

ამოვირჩიე მაშინ, როცა მე არ შემეძლო

რჩევა შეკითხა მამისათვის. არც კი ვიცოდი,

თუ მყავდა მამა. ქალი გახლავთ მილანის შთაერის,

რომლის დიდება ძლიერ ხშირად გამოიგონია.

მაგრამ რომელიც აქამომდე მე არ მენახა.

მან მომანიჭა მეორეჯერ სიცოცხლის სხივი,

ამ ქალწულმა კი ის მეორე მამად აქცია.

ალონზო — მაშინ იმისთვის მე ვიქნები მეორე მამა.

მაგრამ, ო, როგორ უცნაური, უბუნებოა

მამამ საკუთარ ქალიშვილსა შენდობა სთხოვოს.

პ რ ო ს პ ე რ ო —რა საჭიროა, ნურას ამბობთ, ჩემო ბატონო, წარსულის მძიმე მოგონებით ნუ შეეწუხდებით.

გ ო ნ ზ ა ლ ო —ცრემლები ყელში მებჯინება, ლაპარაკს მიშლის, გადმოიხედეთ, მაღლით ღმერთნო, და ბედნიერ წყვილს თავზე დაადგით კურთხეული გვირგვინი წმინდა! ალბათ მიტომაც გამოგვიყვებს ჩვენ ამ კუნძულზე.

ა ლ ო ნ ზ ო —ამინ. გისმინოს!

გ ო ნ ზ ა ლ ო — ხედავთ, როგორ საოცარია.

ნუთუ ჰერცოგმა მილანისამ თავისი ტახტი მიტომ დაკარგა, რომ შემდეგ მის შთამომავლობას ემეფნა თითონ ნეაპოლში. ო, გიხაროდენ განუსაზღვრელი სიხარულით! ამბავი ესე ჭვაზე ოქროთი ამოსჭერით: ერთ მგზავრობაში ტუნისში ჰოვა კლარიბელმა ქმარი თავისი და ფერდინანდმა, მამამ იმისმა, თვისი საცოლე იქ ნახა, სადაც დაღუპული გვეგონა თვითონ; პროსპერომ ტახტი დაიბრუნა ბედკრულ კუნძულზე და ჩვენც გონება დაგვიბრუნდა სწორედ იმ წუთში, როცა გვეგონა დაღუპული ვიყავით ყველა.

ა ლ ო ნ ზ ო —(ფერდინანდს და მირანდას)

ხელი მომეცი. დე, ნაღველი და მწუხარება ნუ მოშორდება იმის გულს, ვინც ავი გისურვოთ.

გ ო ნ ზ ა ლ ო —ამინ. აგიხდეს!

(შემოდის ა რ ი ე ლ ო. მას მოყვებიან გაყვრებული კაპიტანი და ბოცმანი).

ხედავთ, შეხეთ, ჩემო ბატონო, გვემატებიან. ხომ ვამბობდი, თუ კი ხმელეთზე სახრიობელები დარჩა მეთქი, ეს ვაეზატონი წყალში აროდეს დაიხრიობა. ჰა, ლეთისმგობბელო, ზღვაში ღრიალით შენ წყალობა დააფრთხე მაშინ, ხმელეთზე ენა რამ წაგართვა? რა ამბავს იტყვი?

ბ ო ც მ ა ნ ი —ყველაზე კარგი ის გახლავთ, რომ ხელმწიფეს ვხედავთ და სხვასაც ყველას. თანაც გემი ცოტა ხნის წინათ ჩვენ დამსხვრეული რომ გვეგონა, ახლა კოხტად დგას. და ისევეა მოკაზმული, ვით მგზავრობის წინ.

ა რ ი ე ლ ო —(ჩუმად პ რ ო ს პ ე რ ო ს) ჩემო ბატონო, ყველაფერი ეს მოვაგვარე, როცა დაგშორდით, იმის შემდეგ.

პ რ ო ს პ ე რ ო —(ჩუმად არიელს) ყოჩაღ, არიელ.

ა ლ ო ნ ზ ო —უფრო და უფრო საოცარი ამბები გვესმის.

აქ როგორ მოხვდით, მითხარ ერთი.

ბ ო ც მ ა ნ ი — ბატონო ჩემო,

თავი სიზმარში არ მეგონოს, ეცდიდი მოყოლას. აქ როგორ მოხვდით, ეს არ ვიცი, მაგრამ სუყველას, როგორც ნამდვილ მკვდრებს, გემის ფსკერზე დაგვძინებოდა. სწორედ ახლახან გაგვადვიმა უცხო რამ ხმებმა, ღრიალის, კენესის, ყმუილის, თუ ჯაჭვის ჩხრიალის



შისისმომგვრელმა ხმაურობამ. ფიცხლავ წამოვხტი  
და მაშინ მივხდით, რომ გადავრჩით მძიმე განსაცდელს.  
ჩვენი ლამაზი, კობტა, კარგი სამეფო გემი  
ვიხილეთ ისევ ძველებურად. ჩვენმა უფროსმა  
ხტუნვა დაიწყო სიხარულით. შერე კი უცებ,  
ჩემო ბატონო, რაღაც ძალამ თითქოს მოგვწყვიტა  
იჭაურობას და აქეთვე გამოგვაქანა.

ა რ ი ე ლ — (ჩუმაღ პ რ ო ს პ ე რ ო ს)  
არ მოგწონთ ჩემი მუშაობა?

პ რ ო ს პ ე რ ო — ყოჩაღ, არიელ!  
თავისუფლებას მოგანიჭებ.

ა ლ ო ნ ზ ო — კაცთაგანს, ალბათ,  
ამ გახლართული გზებით ჯერაც არვის უვლია.  
უბუნებოა ყველაფერი და უცნაური.  
ორაკული თუ გაგვიმარტავს!

პ რ ო ს პ ე რ ო — ჩემო მეუფე!  
ტყუილად იმტვრევ თავს უცნაურ გამოცანებით,  
თავისუფალ ჟამს, — ეს დროც ახლა მალე დადგება, —  
თვითონ აგისხნით სუყველაფერს, ყოველგვარ წვრილმანს,  
რაიც თქვენ ასე უჩვეულოთ მიგიჩნევიათ.  
ფიქრი ნურაფრის ნუ გექნება, გამხიარულდი.

(ჩუმაღ ა რ ი ე ლ ს)

შენ კი აქ მოდი ჩემთან, სულო, წადი საჩქაროთ  
და აქ მომგვარე კალიბანი, სხვებიც სუყველა.

(ა რ ი ე ლ ი ვ ა დ ო ს)

ბატონო ჩემო, თავს როგორ გრძნობ? ამაღას თქვენსას  
კიდევ აკლია რამდენიმე. არ გაგონდებათ?

(შემოდის ა ბ ი ე ლ ი, რომელიც კ ა ლ ი ბ ა ნ ს მოაფრევს. შემოდინ ნ ტ ე ფ ა ნ ო  
და ტ რ ი ნ კ ე ლ ო. მოპარული ტანსაცმელი აკვიათ)

ს ტ ე ფ ა ნ ო — ყველაფერი ბედისწერაზეა დამყარებული. ამიტომ ყველამ  
სხვისთვის უნდა იზრუნოს. საკუთარ თავზე ბევრი არ იფიქროს, Coragio,  
სულელო ურჩხულო! Coragio!

ტ რ ი ნ კ ე ლ ო — თუ ჩემი თავის მშვერავები არა ტყუიან, დიდებული სანა-  
ხოობაა.

კ ა ლ ი ბ ა ნ ო — ოი, სეტებოს, რა მოხდენილ სულელებსა ვხედავ,  
რა მშვენიერი პატრონი მყავს, მაგრამ მე ვშიშობ,  
ის დამსჯრს, ალბათ!

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ო — ანტონიო, ჩემო ბატონო,  
ერთი შეხედვ, ჰა, ჰა, ჰა! ჰა! ამას რას ვხედავ  
ნეტა, ფულით თუ იყიდება.

ა ნ ტ ო ნ ი ო — რატომაც არა,  
ბაზრად გასატან თევზს გავს სწორედ ერთი მათგანი.

პ რ ო ს პ ე რ ო — ერთი შეხედვთ, ბატონებო, ამით სახეებს  
და თვით განსაჯეთ, პატიოსან ზალხს გვანან, განა?  
ამა მახინჯი მონის დედა შრ'ანი იყო,



ისე ძლიერი, რომ მთვარესაც ის ბრძანებლობდა და იმავ მთვარის დახმარება არც სჭირდებოდა ზღვის მიქცევისა თუ მოქცევის გამოსაწვევად. სამივემ ერთად მე გამძარცვა. ამ ნაბუშარამ, ამან ნახევრად ჯადოქარმა ჩემ მოსაკლავად პირობა შეჰქრა ამითანა. ორს ზომ თქვენც იცნობთ, ეს მოციქული ბნელეთისა კი მე შეკუთვნის.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ალბათ საშინლად სასიკვდილოდ დაეჩიხვლიტები.

ა ლ ო ნ ზ ო — ეს სტეფანოა? ჩემი ლოთი მოსამსახურე?

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ახლაც მთვრალია, ნეტა ღვინოს საღ იშოვიდა...

ა ლ ო ნ ზ ო — გატყობ, ტრინკულოც კარგა მავრად შეხურებულა, ნეტა ვიცოდე, ამდენ ღვინოს საღ იშოვიდნენ.

ერთი მითხარი, ამგვარად რამ დაგამარილა?

ტ რ ი ნ კ უ ლ ო — რაც გაგშორდით, მერე ასე დაშარილებული დაედევარ. მე ის მაფიქრებს ძვლებშიაც თუ გაატანა. თუმცა არა უშავს; ბუზები არ შემაწუხებს.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — შენ რალა მოგივიდა, სტეფანო?

ს ტ ე ფ ა ნ ო — ხელი არ მახლო, სტეფანო არა ვარ მე, კრუნჩხვა ვარ.

პ რ ო ს ბ ე რ ო — შენ აპირებდი ამ კუნძულის მეფობას, ბრძიყო!

ს ტ ე ფ ა ნ ო — არა, მე მსურდა მაშინ მხოლოდ იარად ყოფნა.

ა ლ ო ნ ზ ო — ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი რამე!

(კ ა ლ ი ბ ა ნ ი უჩვენებს)

პ რ ო ს ბ ე რ ო — ეს მახინჯია ქცევიდაც და აღნაგობითაც.

წა, ჩემს სენაკში შედი, ბრძიყო, ეს მეგობრები თან წაიყვანე, როგორც გატყობ, შეწყალებას მთხოვ, ჯერ ყველაფერი შეასრულე უხმოდ, უსიტყვოდ,

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ყველაფერს ისე შევასრულებ, როგორც მიბრძანებ; ჰკუთ ვიქნები, მოწყალებას დაეიმსახურებ.

ვირი ვყოფილვარ, ეს ლოთი რომ ღმერთად ვიწამე, და ამ სულელსაც ვაღმერთებდი.

პ რ ო ს ბ ე რ ო — გასწიე ჩქარა.

ა ლ ო ნ ზ ო — ეს ტანსაცმელიც იქ დააწყეთ, საღ გიპოვიათ.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — არა, იქ, სადაც მოიპარეს.

(გაღიან: კ ა ლ ი ბ ა ნ ი, ს ტ ე ფ ა ნ ო და ტ რ ი ნ კ უ ლ ო.)

პ რ ო ს ბ ე რ ო — თქვენს ბრწყინვალებას და ქვეშევრდომთ, ბატონო ჩემო, ჩემს ღარიბ ქონში ვიწვევ ღამის გასატარებლად.

იქ მოისვენეთ, შევიქციოთ თავი საუბრით

და დროც ამ ტკბილსა მასლაათში სწრაფად გაივლის, ვიამბობთ ყველას, რაიცა თავს გადაამხდომია იმ დღიდან, როცა ამ კუნძულზე გამოვირჩიე.

ღილით მიგიყვანთ თქვენს ზომალდთან და გავეშუროთ ნებაოლისკენ. იმედი მაქვს იქ ქორწინებით ძვირფასი წყვილის წმიდა კავშირს დაეაგვირგვინებთ.

მერე, იქიდან დაებრუნდები მე ჩემს მილანში და მოსვენებით ვიოცნებებ საფლავის კარზე.



- ა ლ ო ნ ზ ო—მოუთმენელად ველოდები, რიდის მიამბობ  
საინტერესო და უცნაურ თავგადასავალს.
- პ რ ო ს პ ე რ ო—ყველას ვიამბობთ. თან ალგითქვამთ დამშვიდებულ ზღვას  
სამშობლოსაჲნ მქროლსა ნიავს, კეთილ მგზავრობას.  
სამეფო ფლოტსაჲც დავეწევით საცა იქნება.  
(ა რ ი ე ლ ს მ ი მ ა რ თ ა ე ს)
- არიელ, ამას შეასრულებ. მერე მშვიდობით,  
კვლავ შეერევი ჰაერსა და სამარადეამოდ  
თავისუფალი ინავარდებ,—შევიდეთ ქოხში.

(გაღიან)

თარგმანი ინგლისურიდან **მანბანბ პილიჩისა**

## მეგობრისადმი



1.

ისევ ამწვანდა დედამიწა. მინდორი ვრცელი  
მოირთო ფერად ყვავილებით გადაქარგული,  
მერცხლებმა ბუდე აივანზე მოსძებნეს ძველი  
და „ზურმუხტ ტახტზე მხიარული დაჯდა ზაფხული“.  
მხრებით მიაპობს ცას არწივი ფრთადაწურული,  
შორეულ ქედებს აღარ ფარავს თოვლის საბანი,  
აგერ წალკოტში სურნელს აფრქვევს იასამანი  
და მზეზე წყნარად იშმუშნება ტყე დაბურული.  
ბრწყინავს მიდამო ლურჯი თალით გადაზურული,  
მტკვარიც განთიადს ეგებება ტალღების ტაშით.  
აჰა, ზაფხულის ზეიმია ჩემს ქვეყანაში!

2.

შენ კი ამ ზეიმს მოღუღუნე ჩონგურის ხმითა  
ველარ უმღერებ... მოწყვეტილი მშობლიურ სერებს—  
იქ დაიჭერფლე, სადაც სისხლის მღელვარე ზღვიდან  
მზემ გამარჯვების სხივი სტყორცნა ზურმუხტის ველებს.  
მასხოვს, ორმოცდაორი წელი ქარიშხლიანი,  
დაბრმავებული—ცივად სდუმდა სწახლების ჯარი,  
ხეებს მიწიდან ფესვიანად გლეჯავდა ქარი,  
იყო საღამო მოღრუბლული და სუსხიანი.  
გადასჩხაოდა მთებს ყორანი პირსისხლიანი.  
შენ სთქვი: სამშობლო მოგვიხმობსო გამოსახსნელად!  
და გაეშურე ვერავი მტრის სისხლის ააღვრელად.

3.

აი გასცილდღ კავკასიონს. კასპიის ზღუდეს...  
და სტალინგრადთან, როცა ვოლგა გასჰერი ნავით,  
როცა გახედე არწივების დანგრეულ ბუდეს—  
ანაზღეულად გულს ეუფლა ფიჭრები შავი:  
იქ, სადაც წინათ შრიალებდა ალვის ხეები,  
ბალი ჰყვოდა, ყვავილების იდგა კარავი—  
ტყვიების კენესა გაისმოდა გულშემზარავი,



ფერფლში ეყარა გადამწვარი ორქვიდები,  
ქარხნებს ლოკავდა ანთებული ცეცხლის ენები.  
აქ მტერს შებმოდა გოლიათი ბუმბერაზ ძალით—  
გარემოცული სიკვდილით და ხანძარის ალით.

4.

იყო ბრძოლები მძვინვარე და გაათრებული:  
რევოლუციის კლდეკარების გადასარჩენად —  
დიდი სარდალის ბრძნული აზრით შთაგონებული,  
მტრის სიმაგრეებს აქ ლეწავდა ხალხის მარჯვენა.  
მამაის კორღანს მეწამული ფარავდა ალი,  
როგორც სასანთლეს, გაჩაღებულს ყუმბარის სკდომით,  
აი, პავლოვი აქ იბრძოდა ისე, ვით ლომი,  
დაუზოგავად მტერს მუსრავდა პირბასრი ხმალით,  
სამშობლომ მისცა ვაქკაცის გულს ფოლადის ძალი.  
ორმოცდაათი დღე მტრის ტანკებს უმკლავდებოდა,  
და ცეცხლის ტალღას უშიშარი მკერდით ხვდებოდა!

5.

ძმადშეფიცულნი, ანთებულნი მტრისადმი ზიზლით,  
მომძე ერები აქ იბრძოდნენ თავგანწირული,  
და მათ წმინდა სისხლს შეუერთდა იქ შენი სისხლიც,  
მათთან დაეცი მამულისთვის გულგანგმირული.  
როცა რეკავდა აღსასრულის მრისხანე ჟამი,  
ვიცი, ერთგული მშობელ დედის კუბოს ფიცრამდის,  
ვოლგის ნაპირას შენ საყვარელ თბილისს იცავდი,  
არ დაიოქილხარ მტრის წინაშე არცერთი წამი.  
დღეს ჩემი ჩანგი ბედნიერი ამაყოფს ამით.  
შენ ხომ—სამშობლოს განსაცდელი უმძიმეს დროში —  
წინ მიიწვევდი უძლეველი ლენინის დროში!

6.

ხანდახან შენზე ფიქრი მიპყრობს მე გატაცებით:  
გავცქერი სივრცეს, გრძლად გაწოლილ მწვანე ტრამალებს:  
ნუთუ ამ ვარდებს ვერასოდეს დაეწაფები?  
ნუთუ ვერ გნახავ, და ამოდ ვაციციბ თვალებს!  
ძაგრამ შენს სახეს ბნელი ღამის ბურუსი ფარავს.  
ვიტირო? არა, ცრემლს არ ვკადრებ თქვენს ხსოვნას დიადს,  
თქვენ მზის სინათლე გამოსტაცეთ უკუნეთ წყვილიადს,  
თქვენ ჯოჯოხეთის ბქეს დაატყდით მეხად და ზარად!  
თქვენს ვაქკაცობას შეუდრეკელს დიდება მარად:  
როგორც მზე ცაზე არ ჩაქრება სინათლის მფენი—  
ასევე ხალხში უკვდავია ხსენება თქვენი!

ანდრო ლომიძე

## ნახევარმთვარის შუაზე

დილით, ორანჰიანი, ღამაში სამ-  
გზაერო გემი „ცესარევიჩი“ სტამბო-  
ლის ნავსადგურიდან ბათუმისაკენ გაე-  
შურა.

ჭროდა ცივი, ძლიერი ზღვაური. გე-  
მი ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ იხრე-  
ბოდა.

საკაპიტანო ბოგიჩზე ფეხგაშლით  
მდგომი, თბილად ჩაცმული ხმელი, ჩია  
ტანის კაპიტანი ნიკო დონდუა ჩაღა-  
მებულ პორიზონტს დურბინდით მის-  
ჩერებოდა.

შავ ღრუბლებსა და ზღვას შორის  
სამი უზარმაზარი სვეტი იდგა. ამ  
სვეტებს თვალს არ აშორებდა კაპიტა-  
ნი — ჩვენსკენ ხომ არ იძვრიანო.

მოაგონდა ბისკაის ყურეში მობუ-  
ბუნე ქარიშხალი. დურბინდი თვალი-  
დან მოიშორა, პალტოს საყელო აი-  
წია, ჩაილაპარაკა:

— დმერთი დასწყევლის ბისკაის  
ყურეს, მუდამ გაგიყებუღია, კინაღამ  
ნაპირზე გამრიყა...

უხაროდა: გემი მშობლიურ ზღვაში  
მიპობდა ზვირთებს. აქ საშინელი ქა-  
რიშხალიც რომ აბორგდეს და აგუგუნ-  
დეს, შავი ზღვა მაინც არ გასწირავს  
ქართველ მეზღვაურს.

წელიწადი სრულდება, არ უნახავს  
ცოლშვილი... თამრიკო შვიდი თვისა  
დასტოვა. ახლა დიდი იქნება. შავტრუ-  
ხა გოგოა, თვალები კი ცისფერი აქვს,  
ღედისა გამოჰყვა.

„როგორ შემომცინა, როცა ვეშვი-  
ლობებოდი... ტირილიც უცნაური

იცის; მშვენიერი სახე შეუწუხდება,  
შერე ცრემლებს გადმოჰყრის... ენა-  
ცუალოს შამა“...— გაიფიქრა, ნაზი სი-  
ხარული მოჭეტულ თვალებში აულიყ-  
ლივდა, უსათუთესმა სიყვარულმა ქა-  
რებისაგან დამსკლარი ბაგე გაუბო-  
თვალეები მოხუტა, წარმოიდგინა: თამ-  
რიკო მკერდში ჰყავს ჩახუტებული,  
სტკება ჩვილის თმის სურნელებით...

კაპიტანმა უცებ თავი გადასწია —  
წვერმა ლოყა არ ატკინოსო. მერე თვა-  
ლები ფართოდ გაახილა; გულიანად  
გაეცინა—ოცნებამ აგრე როგორ გამი-  
ტაცაო.

კაპიტანს წინ ჩაუარა სიცივისაგან  
სახეგალურჯებულმა, თეთრწვერიანმა  
მალაღმა ბოცმანმა დიდენკომ.

— ვიზარია ხომ, სამშობლოში რომ  
ბრუნდები?

ბოცმანი შედგა, დიდი, ბუსუსიანი  
ყური დამქნარი, გრძელი თითებით  
მოისრისა.

— მთელი მსოფლიო მოვიარეთ, კა-  
პიტანო, მაგრამ ჩემი ოდესა ლონდონ-  
საც მირჩევნია და უცხოეთის ყველა  
ქალაქს, — მოკრძალებით მიუგო, ყური  
კვლავ მოისრისა და წაფიდა.

კაპიტანი ისევ ცოლშვილზე ფიქრს  
დაუბრუნდა:

„გივის თორმეტი წელი შეუსრულ-  
და“. ვაჟიშვილის ზრდას შეჰხაროდა.  
გივი თანდათან დამოუკიდებელი ხდე-  
ბოდა. ეს ახარებდა კაპიტანს, თანაც  
გულს უღრღნიდა გამოუთქმელი სევ-  
და. შვილსა და მამის შორის უხილავ

რამ კედელი ამოიზიდა; იზრდებოდა იგი...

გემი პატარა ქალაქ არხავას გაუსწორდა. გარკვევით გამოისახნენ ტყით დაფარული მთები.

შორით ლაზ მებადურთა სანდალი ტალღებზე ქანაობდა. კაპიტანი მხოლოდ თეთრ იალქანს ხედავდა. იალქანი ხან მუქ-ლურჯ ზვირთებს შორის იმალებოდა, ხან ზვირთს თავზე მოექცეოდა და თოვლისფრად ელავდა.

ეს ნაპირი, ეს მიწა მშობლიური სიყვარულის იდუმალ, ნაღვლიან ენაზე უხმობდა და თავისკენ ეწეოდა კაპიტანის გულს. თითქოს რამდენიმე საუკუნის წინათ აქ უთამაშნია და ურბენია ბავშვობისას.

განათლებულმა ლაზმა ზია-ბეი აბაშიძემ უთხრა კაპიტანს სტამბოლში: ლაზები ეროვნულ სახეს თანდათან ჰკარგავენო, ამისათვის ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ თურქებით. ლაზმა ფაიკ-ეფენდომ მოინდომა ლაზური ანბანის შექმნაო; თურქებმა დააბატიმრეს, ხელნაწერები დასწვეს და ფაიკ-ეფენდი გადაასახლესო.

„თურქების მიერ მიტაცებული ჩვენი მიწა...“ — იტყოდა ხოლმე კაპიტანი და მძიმედ, მძიმედ ამოიოხრებდა.

კაიუტის კარზე კაკუნი ვაისმა.

კაპიტანმა თავი ასწია, წიგნი დახურა.

— შემოდი!

კარები გააღო. კაპიტანის უფროსმა თანამემწემ, ყოველთვის პირგაპარსულმა, მსუქანცხვირიანმა ნიკოლოზ პისმენიმ.

— გემი უნდა გააჩეროთ.

— რაშია საქმე? მანქანა ზომ არ გაფუჭდა? — კაპიტანმა მკაცრად შეწედა.

— ნავს წავაწყდით, თეთრი ალამი მოსჩანს, აგარია შეემთხვათ ალბათ, უნდა დავეხმაროთ.

— გემს დიდხანს ნუ გააჩერებთ! — ბრძანა და წიგნის კითხველს განაგრძო.

გეგლელოვნი

— ამდენ ხანს რატომ გააჩერეს გემი? — უკმაყოფილოდ ჩაიდუღუნა კაპიტანმა, ადგომა დააბირა.

კარები ფრთხილად შემოაღო რევოლვერმომარჯვებულმა თურქმა, ფეხი იატაკზე დაუსხლტა და გაიშხლართა.

„მეკობრენი ყოფილან... სულელუ პისმენი...“

კაპიტანმა შარვლის ჯიბიდან იძრო რევოლვერი და ორჯერ დაახალა.

იატაკზე სისხლში მცურავი მეკობრის ვახვრეტილ, სისხლდაქცეულ თვალს გაბრუებული დაჰყურებდა. ხელები გაასაფსავა, რევოლვერი გაუფარდა. „კაცი მოვკალი“, — სთქვა და თმა ყალბზე დაუდგა. ორმოცდაათ წელს მიიღწია, ქათამიც კი არ დაუკლავა.

კაპიტანი კანკალებდა, მკვდრისფერი დასდებოდა, ეს რა ჩავიდინეო, თავის თავს ეკითხებოდა.

კაიუტიდან რომ გავიდა, ორმა თურქმა გაჰმაწრა. წინააღმდეგობა არ გაუწვია, თვალებს შესაბრალისად აცეცებდა.

ახმახმა, ყბებგანიერმა მეკობრემ გვაძთან ჩაიჩოქა, ზეცისაკენ აღაპყრო ხელები და შეჰბლაელა:

— ალახ... ძმის სისხლს არავის შევარჩენ...

— ახლა ხელი არ ახლო კაპიტანს, ქიაზიმ-ბეი ახმახს, — შეუტია დაბალმა, პირბუტაყმა მხარბეკიანმა თურქმა, მეთაურმა ოსმანმა.

ცრემლმორეულმა ახმახმა გაშლილი, დიდი ხელი ძმას სისხლდაქცეულ თვალზე დაადო. ღია, შავ თვალს ჩააცქერდა.

— ძმაო! — წაიხურჩულა მუღარით. — არ გეცოდება შენი უბედური ძმა ქიაზიმი...

— მკვდარს ნუ ელოლიავები, ლაჩარო... შენც აგრე მოკვდები, მეც... ჩადი ნაეში... — მეკობრეთა მეთაურმა ზინულით წამოაყენა ახმახი, ზურგში ლონივრად ჰკრა ხელი, წინ გაიგდო. მერე დაბრუნდა, გვამი აიტაცა და ქიმიდან ზღვაში გადაუშვა.

კაპიტნის დანახვაზე აწუწუნდნენ გემის ბოლოში თავმოყრილი მგზავრები. გაბაწრული მეზღვაურები ავზთან იყვნენ ერთმანეთზე მიყრილნი.

ბებერი, ძველტყავად ქცეული, ვაფითრებული, მდიდარი ოდესელი ვაჭარი, რამდენიმე ფაბრიკის, პატრონი, წამდაუწუმ ქუდს იძრობდა კიტრივით მოგრძო შელოტ თავიდან და ლულულულებდა:

— მაპატიეთ, ბატონებო, რაც მქონდა, მოგვეით. მე, ერთი საწყალი კაცი ვარ, ხომ ზედავთ, შიმშილისაგან როგორა ვარ მიღუული...

კაპიტანი ტრაპზე რომ ჩაიტანეს, ბოკმანს ქვითინი წასკდა.

კაპიტანს არ გაუგონია, ისევ მოკლულ მეკობრეზე ფიქრობდა. საითაც კი გაიხედავდა, ყველგან ცურავდა გასისხლიანებულ წამწამებში ჩამჯდარი რვეალი, სისხლიანი ლაქა.

ოსმანი გემბანზე ტრაპთან იდგა. თითის სისხო, ჭრილობით შეფაგვეთილ, შავ, მარჯვენა წარბს ზან ნელა მოშვილდავდა, ზანაც გაშლიდა. მისი ფართო, მუდამ ამღვრეული თვალები ზანტად, მრისხანედ მოძრაობდნენ. სხვა თურქები საესე ტომრებს კაპიტნის ირგვლივ ნაეში ალაგებდნენ.

ნავი დაიტვირთა. ოსმანმა გემბანს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და ტრაპს ჩაპყცა.

იალქნიანი ნავი ნაპირისაკენ სწრაფად დაძრა.

ახმახი მეკობრე საქვს მართავდა. კაპიტანმა სათითაოდ შეათვალიერა თურქები. ზანშა შესული თურქი აღფროთვანებით შეჭყურებდა ოსმანს,

მის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა. ერთი ახალგაზრდა, ენო, პირშიშველი, მოუსვენარი, აყინიწული. ვეება ცხვირი ვარხვის ნისკარტს მიუგავდა. კაპიტანს თითქოს ყურადღებას არაეინ აქცევდა, მაგრამ, არა... მკერდჩაეარდნილი, ყბებგანიერი, ახმახი მესაქე ჩასისხლიანებულ თვალებს არ ამორებდა. დროგამოშვებით გმინავდა, თამბაქოს ბოლისაგან შეყვითლებული გრძელი უღვაშის ბოლოს პირში იჩრიდა, ეანგისფერი ლოჯებით სძიგნიდა.

ნაპირს მიუახლოვდნენ. იალქანი ჩამოუშვეს, ნიჩბები მოიმარჯვეს.

იქ, სადაც ტალღა ტყდებოდა, ნავი რამდენჯერმე შემოტრიალდა, კინაღამ გადაყირავდა. ტალღამ აიტაცა ნავი და მთის ძირას ნაპირზე ისროლა.

მეკობრენი ნავიდან ამოცვივდნენ, ტომრები წამოიკიდეს და ტყიან ფერდობს აპყვნენ.

ოსმანმა ცალი ხელით კაპიტანი ნავის ფსკერს მსუბუქად მოაშორა, მიწაზე დასვა, ფეხები შეუხსნა და დაპტერეული რუსულით მიმართა:

— წინ გამიძეხ!

კაპიტანმა ყურზე სისველე იგრძნო. აიხედა. თოვას იწყებდა.

ჯერ წყალნარევი მძიმე ფიფქი ფვივოდა, მერე მშრალმა, ფართო ფიფქებმა იწყეს ჰაერში ფარფატი.

აღმართს აღიოდა, ფიქრობდა: „უჩემოდ რა ეშველება გემს? პისმენი გამოცდილი მეზღვაურია. მგზავრები მეზღვაურებს შეაქრიან ბაწრებს, გემში მშვილობით მივა ბათოშში, მე კი... მომქლავენ... მოკვედები ისე, რომ თამრიკოს ტიტინს ვერ გავიგონებ, ვერ ენახავ გივის, ცოლს, დედას...“

გრძნობდა: წინ სიკვდილი იყო, უკანაც სიკვდილი მიჰყვებოდა ფეხდაფეხ. მოკლულის ბედი აღარ აწუხებდა იმეამად, საყუთარი სიცოცხლის გადარჩენის უსახლვრო სურვილს



შეეპყრო იგი. ათასი ტყეია რომ ჰქონოდა. ათასივეს გულში აძგერებდა ოსმანსა და მის ამხანაგებს.

თვალეზანთებული, დაძაბული კაპიტანი შემოტრიალდა, ისე შეხედა ოსმანს, რომ მეკობრეთა მეთაური ერთ წამს დაიბნა, შეჩერდა. მერე გონს მოვიდა, რვეოლევრზე იტაცა ხელი. შუფგაკვეთილი წარბი აჩქარებით აღმოძრავდა.

კაპიტანმა ზურგი უჩვენა, ღრმად ამოისუნთქა, მოეშვა, თავი უღონოდ დახარა და გზა განაგრძო.

მეკობრეებმა ტყის პირას ოთხი სარი დაასვეს, ზედ იალქანი გადახურეს, კარავში შევიდნენ, ცეცხლი დაანთეს. კაპიტანი ცეცხლს მიუჯდა. საოცარი დაღლილობა იგრძნო, ძილი მოუნდა. სიკვდილის სიახლოვე რატომღაც აღარ აწუხებდა.

— ურჯულოს თავს როდის მიაჩქებ? — შეეკითხა ახმახი ოსმანს.

— ნუ ჩქარობ, ქიაზიმ — ბეი, გამოსასყიდი მივიღოთ. მაგის ნათესავეები ეცდებიან ფული ბლომად მოგვცენ. კაპიტანია, უბრალო კაცი ზომ არ არის... — ოსმანმა სახე მიაბრუნა მის გვერდით მჯდომ თავდახრილ კაპიტანისაკენ.

კაპიტანმა იცოდა თურქული ენა.

— ჩემს ნათესავეებს ფულს დასცინოლავენ, მერე მომკლავენ. აი, თურმერა სურთ... ვერ ეღირსებით ვეცერთ კაპიტანს“.

— ჩემში ვერაფერს მიიღებთ.

მეკობრენი ერთხანს დაიბნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— შენი ხელით დასწერ ქალაღს. როცა ფულს მივიღებთ, ცოცხალს გაგიშვებთ, არ მოგკლავთ. ვინ გასწავლა ჩვენი ენა? — ოსმანმა უხერხულობა

იგრძნო, გულში გაიფიქრა: ბევრიც რომ უმტყიცო — არსებობდა თუ არა, აღარ დაიჯერებს. *შეზღოვნილი*

— არაფერს დაწერი! — იყო კაპიტანის ცივი, მშვიდი პასუხი.

— მაშინ მოგკლავთ, — ხმას აუმაღლა ოსმანმა, — ამ კაცს ძმა რომ მოუკალი, როგორ ფიქრობ, შეგზობა? ნაჭერ-ნაჭერ დაგჭრის.

— მომკალით.

— ფეხები შეუქარით, მოაშორეთ... — ოსმანს თვალეზი უფრო აემღვრა.

კაპიტანთან ახმახი მყისვე მიიჭრა და გაბაწერას შეუდგა. ბალნიანი, მოკლეთრჩხილიანი, ჭუჭყიანი თითებით ბაწარს ღონიერად ახვევდა კაპიტანის წვივებზე. პირი გაეღო, ფარული ბედნიერებით აესებოდა თვალეზი. ხანდახან ტუჩებს კმაყოფილებით აცმაცუნებდა. მაშინ გრძელი უღვაშის ბოლოები ირხეოდნენ.

კაპიტანის ხორცში დანასავეთ იჭრებოდა ბაწარი; დამკინავეი ღიმილი მაინც არ მოშორებია მის თხელ ტუჩებს.

ახმახმა ღილინიც კი დაიწყო. ბოლოს ისე ღონიერად შემოუჭირა ბაწარი, რომ თავით გაწითლდა, კისრის ძარღვები დაებერა. ველარ მოითმინა კაპიტანმა, ტკივილისაგან კბილები დააღრჭილა და თურქულად რჯული შეაგინა.

ახმახმა კაპიტანი ასწია, გარეთ გაიყვანა, თოვლზე დააგდო, ფეხსაცმელის ქუსლი სამჯერ ჩაპკრა სახეში და მუშტები დაუშინა. კაპიტანმა ორივე ფეხი მუხლებში მოხარა და ნიკაპში აძგერა ახმახს. ახმახი ყირაპალა გადატრიალდა. გახელებული წამოვარდა, ფეხებში ხელი ჩააელო, თოვლზე ათრია, მოიქნია და თავი ძირკვს მაგრად მიარტყმევინა.

— ეყოფა! — გაისმა ოსმანის ბრძანება.

აქოშინებულმა, კაპიტნის სისხლით ხელშეღებულმა ახმახმა კარვისაყენ გასწია.

ახალგაზრდა თურქი კარვიდან გამოვიდა, დაცრეცილად ფარაჯა სახე-გასისხლიანებულ კაპიტანს გადააფარა.

• • •  
 თოვლმა თეთრად შემოსა ხეები, მიწა. მხოლოდ აქა-იქ წითლად გამოიყურებოდა გასისხლიანებული თოვლი. საიდანღაც გაჩნდა ყორანი, ჰაერში ტრიალებდა, სისხლიან თოვლს დაჰყურებდა. წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა.

მცირე ხნის შემდეგ სისხლიანი თოვლი უსპეტაკესმა ფეხებმა დაჰფარეს, თეთრად აქოქათდა ყველაფერი. გაცივებული ყორანი თავს ამოძრავებდა, საისხლს ეძებდა. მერე აფრინდა და ტყისაკენ გადაეშვა.

• • •  
 ღამით თოვა შეწყდა, ცა გადაიწმინდა, ქარიც ჩაღდა. ზღვისაკენ დახრილ ნახევარმთვარის შუქი მოეფინა ზღვასა და ხმელეთს.

მეკობრენი ძილს მიეცნენ. არ ეძინა მხოლოდ ახალგაზრდას. ილღიაში თოფამოჩრილი კაპიტანსა და კარავს შორის ბოლთასა სცემდა. უძრავად მწოლ კაპიტანთან რამდენსამე წამს შეჩერდა, ფარაჯა გადასწია თოფის ლულა სახეზე მიადო, დაემუქრა:

— გაქცევა არ გაბედო, თორემ, დაგცხრილავ ტყვიით.

ახალგაზრდამ ფიჩხი მოზიდა, კარავთან დიდი ცეცხლი დაანთო.

კაპიტანს სიცივისაგან აერყოლებდა. კბილებს ერთმანეთზე აცემინებდა. ჩაეთვლიმებოდა, ეზმანებოდა: „უზარმაზარი სისხლიანი კომეტა ცის სიღრმიდან კაპიტნისაკენ მიჭროდა, გზაში პატარაედებოდა, მეკობრის გახვერტილ

თვალს ემსგავსებოდა.“ უმაღლე გამოეღვიძებოდა და უფრანქმუნად გიგლნივნივნი

შუალამე გადავიდა.

ცეცხლის ენები აღარ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, აღარ ისმოდა ფიჩხის ტაკუნნი. დროდადრო ჩაღველფილ კოცონიდან ნაპერწყალი თუ ამოვარდებოდა ტყრციალით.

ახალგაზრდა თურქმა კოცონთან მოიკალათა ჩასთვლიმა. როცა თურქს თავი ჩამოუფარდებოდა, კაპიტანს ეჩვენებოდა: თურქი ჰორიზონტისაკენ დახრილ მთვარეს დიდი ცხვირით ეხებოდა, თითქოს ჰკენკავსო.

მსუენავი მელა ტყიდან გამოცუნცულდა, ჰაერი დაუნოსა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იმ ტომრისაკენ, რომელშიც კონსერვები და პური ელაგა. ტომარა რომ დასუნა, ამ დროს კოცონიდან ნაპერწყალი ამოენტო, ხუთად გაიყო და დაიფანტა. შეშინებულმა მელამ ტყისაკენ იბრუნა პირი და გაიქცა.

თვალეზმბილულული კაპიტანი მოუთმენლად ელოდებოდა განთიადს, მზეს, გათოშილი ძელები რომ გაეთბო. თვალს გაახელდა: მთვარე ერთსა და იმავე ალაგას ეკიდა. ცის დასავალზე გაქრული ღრუბელიც ადვილს არ იცვლიდა.

თოფის გასროლამ გამოაფხიზლა კაპიტანი.

ახალგაზრდა თურქი თოვლზე დაეცა და გაშეშდა.

მეკობრენი წამოხტნენ, ოსმანმა კარვიდან თავი გამოჰყო, ტყისაკენ რამდენჯერმე ისროლა რევოლვერი.

ტყიდან კვლავ ივრიალა თოფმა.

კარავი წაიქცა. ერთი თურქი საესე ტომარას გადააჯდა, მთიდან ქვევით ისკუბა. მას მიჰყვა მეორეც.

მეკობრებში ვილაც გულშემზარავად აკენსდა.

ოსმანმა უკან დაიხია, უკანასკნელი ვაზნა დასცალა, შეტორტმანდა, თავი ვერ შეიმავრა და ქარაფიდან გადაიჩხა.

სროლა შეწყდა.

ტყეს დაბალი, ბრგე, მხრებდათოვლილი, ილიაში თოფამოჩრილი კაცო გამოეყო. შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა. მერე ტყისკენ მიიბრუნა სახე და ჩუმად დაუსტვინა. უცებ ექვსი კაცი ტყიდან გამოვარდა. ზოგს კეტი ეჭირა, ზოგს ცული. მაღალი, მხრებში მოხრილი მოხუცი ახალგაზრდა თურქის გემს დააკვირდა. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, დაიხარა.

— კაპიტანო!—სიხარულისგან შეჭ-

ყვირა, ცული დაავდო, ბაწარი შეუხსნა, ააყენა, მკლავები შემოიხედა, აქვითინდა.

— მთელი ღამე დაგეძებთ... როგორ მიგატოვებდით... გემი არხავასთან გაეჩერეთ... დღეგრძელი იყოს ეს ღაზი. გაგვამხნევა, თოფი აიღო და გაგვიძღვა. დალოცვილი მარჯვენა ჰქონია, ვინც ნიშანში ამოიღო, ცოცხალი არ გაუშვია.

თოფზე დაყრდნობილი, ბრგე ღაზი, პისმენი და ნაოსნები სიყვარულით შეჭყურებდნენ ბოცმანსა და კაპიტანს.

ნახევარმთვარის შუქიც მიიღია, მთვარე ჩავარდა ზღვაში და ჩამობნელდა.

ნაირი ზარიანი

## ლექსები

მოსკოვი



ჰოი, რამდენი ქალაქია  
ამ მოხუც მზის ქვეშ,  
სახელგანთქმული  
დარბაზებით, ციხე-კოშკებით,  
მაგრამ შენ მაინც  
ყველა ქალაქს სჯობიხარ ისევ,  
თავს დატრიალებს  
ბრწყინვალემა წითელ დროშების!..

ლონდონი?.. არა!..

სქელ ბურუსით დაბურულ სულში  
აღარ უბრწყინავს  
მას ვარსკვლავი საბედნიერო...  
დღეს იქ ჩერჩილი  
კვლევ მზაკვრობის აღდგენას უცდის:  
— ვაჰ, თუ მშვიდობის  
ნიშანშაო სადმე იელვოს...

ნიუ-იორკი?

იქაც ბრუნავს შავი ღრუბელი,  
თავისუფლების  
დიდი ძეგლი ველარა ძეგლობს.  
შეხეთ: რუხველტის  
სავარძელში ჩაჯდა ტრუმენი, —  
და დოლარებით  
დამქაშების შეკრება შესძლო...

ქვეყნად შენს გარდა

რაა კიდევ უფრო ძლიერი,  
უფრო ძვირფასი,  
მომზიბლავე, კეთილშობილი.  
შენ გყავს სტალინი,  
მისი გული, მისი იერი  
იყო და არის  
ლენინური ცეცხლით წრთობილი.

დღეს სომხეთიდან  
 შენ გიმღერის ყველა პოეტი,  
 იმ სომხეთიდან —  
 სად სისხლის ღვრა  
 იყო ყოველთვის...  
 სად ხშირად ტიზბონს  
 სპილოების ქარაფანებით  
 გადაუთელავს დამხობილი ფალავანები.

დიდო მოსკოვო,  
 მაგ შუქსავესე კამარედებში  
 ბელადის სიბრძნემ  
 გაზაფხულის სული შთაგებრა.  
 როგორც შეგხედავ,  
 ოცნებაში გადავეშვები  
 და საგულეში  
 შეირხევა გული სამღერლად!..

შენ მსოფლიოში  
 პირველი ხარ ქალაქთა შორის,  
 ღიმილით ხედები  
 ყველა ერის ღირსეულ შვილებს...  
 თქმაც ზედმეტია,  
 ჩვენ ყველანი ვართ თანასწორი, —  
 და კომუნისმის დიად კიშკარს  
 თანაბრად გვიღებ!..

ამიტომ იყო,  
 როცა მაგ შენს დიდ კარიბჭესთან  
 არ შეუშინდნენ  
 ვაეკაცები ფაშისტურ წარღვნას.  
 შურისძიებამ  
 მრისხანების ხმით დაიჭეკა  
 და მტერად აქცია  
 მტრის ურდონი საბჭოთა ჯარმა...

კაშკაში გააქვს  
 მოელვარე კრემლის ვარსკვლავებს,  
 მშვიდად იგონებ  
 სახელოვან ბრძოლებს გადახდილს.  
 მეც შენთანა ვარ,  
 შენი გულის ფეთქვა მახარებს,  
 და ჩემს სტრიქონებს ემატებათ  
 ღონე არაქსის!..  
 შენ ხარ შუქურა



ძღვევამოსილ საუკუნისა.  
 დრო გადის, გადის,  
 უფრო მეტად  
 ბრწყინავ და ბრწყინავ...  
 დგახარ ამაყად,  
 მილიონთა გესმის გულისთქმა, —  
 და მომავალი თელს გასწორებს  
 წმინდაზე წმინდა...

უღიადესი ოცნებანი პირველყოვლისა  
 აქ, ამ უძილო  
 კრემლის გულში იბადებთან...  
 ახალი დროის მშენებელი შენთან მოდის და  
 მაგ შენი ცეცხლით  
 ინათლება მისი გენია!..

შენ ხომ ჩემთვისაც  
 მშობლიური ტკბილი კერა ხარ.  
 ამაყად დავალ  
 შენს ქუჩებში, სომხეთის შვილი.  
 მეც სხვებთან ერთად  
 ჩემებურად გიმღერ ქებას და, —  
 ვგაძნობ: სიმღერაში  
 ღონიერი სიცოცხლე ღვივის!..

შენი დიდება, ეს ხომ  
 ჩემი დიდებაც არის.  
 თუ ძალა შემწევს,  
 ამაშიაც შენ გბძევს წილი.  
 მშვიდობა შენდა!..  
 ვინც გისურვოს გლოვა და ზარი,  
 წხამად შეერგოს სიცოცხლე ტკბილი!..

თარგმანი შ. აფისულაშვილისა



★

## მშობლიური სახლი

მე წუხელ ვნახე მწველი სიზმარი,  
 აღსდგა მშობლიურ სახლის ხატება,  
 ვესალმებოდი თვალე მცინარი  
 ჩემი ბავშვობის გამოცხადებას.

ეზოში დედის მუდარის მსგავსად  
 მესმა სომხურად წყაროს დუღუნი  
 და მებვეოდა ნაცნობი ალუაც  
 თეთრი აბრილით შემოფუთული.

ერდოდან შუქი ტანმონახსახე  
 ოქროს ნაკადად გადმომელვარა.  
 მზე მშობლიურად დამცქერდა თავზე  
 და შევიცანი მთელი ქვეყანა.

★

## კომიტასს

ჩვენ სიმების აელერება შემოგვესმა  
 ვით სიცოცხლის, სიყვარულის ამოკენესა,  
 შემოგვესმა ოროველას ხმა განთქმული  
 და ჩუხჩუხი ფერდობებზე ნაკადულის.  
 ათრთოლებულ სიმებიდან მოვისმინე —  
 სევანელი ქალიშვილი მოკისკისებს.  
 მთვარიანში შეყვარებულ ვაჟკაცების  
 ტკბილ ოცნებებს უმღეროდი გატაცებით.  
 შენს სიმებზე ეშხიანი დანიშნულის  
 დარდიანი გული დნება დაისრული.  
 შენს ჰანგებში თავს აფარებს მთა და ბარად  
 უსახლკარო მარტო ბედის ანაბარა.  
 უმღეროდი კაცს სიცოცხლე გამწარებულს,  
 არ უმღერდი ოქროს ტახტზე დაბრძანებულს.  
 მარტო ჩვენთვის თვალნათელო, ჩვენ მოგვენდე,  
 ჩვენ სტალინურ დიდ დღეების ოქრომჭედლებს.  
 შენს ჰანგებში სიცოცხლეა ჩასახული  
 შენს სიმებზე ელვა კრთება გაზაფხულის.

თარგმანი ზ. ლორთქიფანიძისა

მისიელ ქალიშვიკა

## ლენინგრალი



ბედნიერი ვარ—ღირსი გამზადე,  
შენი მშვენება მენახა სრული,  
შენი ქუჩები კალმით ნახატი  
და ბრინჯაოდან მეტყველი სული.

ცისკენ მზირალი კაცის ოცნება,  
ჩამავალ სხივით რომ ეკოცნება,—  
მენახა მუნჯი სილუეტები  
და სააახლეთა თეთრი სვეტები  
მდინარის პირზე გამოხატული.

აქ ადვილია გმირთან შეხვედრა,  
მე მაკრთობს მეტყველ თვალთა შეხედვა,  
სახლები რაა—მათაც იომეს,  
ქალაქი, ზღაპრად მოსული დღემდე,  
ხარამობით იხვევს კრილობებს,  
ვით მეომარი ბრძოლების შემდეგ.

გმირო ქალაქო! ერთი მიზანი  
ჩვენ სიხარულის გზებს გვაზიარებს,  
ბედნიერი ვარ—ღირაად მიცანი—  
ბელით ვეხები შენს ნატყვიარებს...

პარილ სულავენი

## ბმირი

★

ჩვენ ყველა შევხვდით ფეხზე დამდგარნი,  
როცა გვესტუმრა მგზავრი გვიანი.  
იგი გვეგონა უფრო სხვაგვარი,  
უფრო მეტყველი ადამიანი.  
მოვიდა ჩუმი, მკრთალი ღიმილი  
იყო ნიშანი გზით დაღლილობის  
და მე ვიგრძენი შუბლზე ტკივილი  
ბაგეშეკრული მისი ჭრილობის.  
როს ვსაუბრობდით გულთბილად დიდხანს,  
მას დაღლილობამ გადაუარა.  
ბრძოლებზე არ სთქვა არცერთი სიტყვა,  
იტყოდი: ომში იყო თუ არა?  
მან გაატარა დღენი ოთახში  
აუღელვებლად, თბილად და უხმოდ,  
როს მოასვენა სული ცოტა ხნით,  
ცხოვრების მძლავრმა ძახილმა უხმო.  
და ოთახიდან ისე გავიდა,  
როგორც ხუთი წლის წინათ გრიგალში;  
თითქოს დაიწყო სუნთქვა თავიდან,  
თითქოს პირველი იყო რიყრაყი.

როდესაც ღამე მოვა ნებივრად  
და აციმციმებს ვარსკვლავებს ხვამლი,  
იგი ბრუნდება ჩვეულებრივად,  
მთლად გაბოლილი რუსთავეის კვამლით.

## სამი თვე დასავლეთ ევროპაში



### თვითმფრინავით იტალიისაკენ

იტალიის გაცნობა დავიწყებ ჯერ კიდევ მოსკოვიდან, ვნუკოვოს აეროდრომზე. იმ დღით საბჭოთა თვითმფრინავით თავის ქვეყანაში ბრუნდებოდა საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი იტალიის პროფკავშირების ქალთა დელეგაცია. აეროდრომზე გაშაცნეს დელეგაციის წევრები, რომლებთანაც ერთად მომიხდა მგზავრობა.

მოსკოვიდან დილის 7 საათზე გავფრინდით.

ბუქარესტში ნახევარი საათით დაეშვა ჩვენი თვითმფრინავი. დავეშვით აგრეთვე ბელგრადში, სადაც დრო ვიშოვე და ჰაერობორტის შენობა დავიარე. პირველი, რაც დიდ და მშვენივრად შორთულ დარბაზში თვალში მეცა, ეს იყო დარბაზის ცენტრში მოთავსებული ამხანაგ სტალინის დიდი და მხატვრულად ძალიან კარგად შესრულებული წურათი.

ერთხანს ჩვენი თვითმფრინავი იუგოსლავიის ტერიტორიით მიიშრებოდა. სიხარულითა და სიყვარულით დავცქეროდი ამ გმირულ ქვეყანას, რომელმაც პიტლერის ურდოების წინააღმდეგ შეგანწირულ ბრძოლით სამარადისო დიდება მოიპოვა. აი ამ მთებში, რომლის მწვერვალებს ალტაცებით დავცქეროდი, საბჭოთა გმირული არმიის

გამარჯვებით გამხსნევებული ხალხი დიდხანს უმკლავდებოდა, ებრძოდა და ანადგურებდა ფაშისტ დამპყრობელებს. ჩემს თვალწინ გაივლეს იმ საშინელმა წლებმა, როცა უთანასწორო ბრძოლაში სისხლისაგან იცლებოდა ეს პატარა, გმირული ქვეყანა. ახლა გულმშვიდად დავცქეროდი მის მთებსა და ველებს, სადაც გამარჯვებულ ხალხს ხალისიანი ცხოვრება დაეწყო.

თვითმფრინავიდან იუგოსლავიამ ზემო იმერეთი მომაგონა. ისეთივე პეიზაჟები, ისეთივე ფერები.

მალე მოთავდა იუგოსლავია, გადავიფრინეთ ჩერნოგორიაზე, გადავსერეთ ადრიატიკის ზღვა და პირველი ქალაქი, რომელიც იტალიის ტერიტორიაზე დავინახე, იყო ქ. ბარი.

ნათელი, მზიანი დღე იყო. ასეთ ამინდში აღვიღმდებარეობის რელიეფი ძალიან მკაფიოდაა გამოსახული და ამის გამო ჩვენს ქვევით თითქოს ზელისგულზე გადაშლილიყო იტალია.

გადავიფრინეთ იტალიის „ჩექმის“ ბოლოზე, და გადავიარეთ რა მთის გრეხილი, დავეშვით ნეაპოლისკენ.

ჩემი თანამგზავრი იტალიელი ქალები, რომელთა შორის იყვნენ მომღერლები, იურისტი, ფეიქრები და უბრალო მუშები, როგორც კი გამოჩნდა იტალიის მიწა-წყალი, უეცრად გამოცოცხლდნენ და საოცრად ახმაურდ-

მოკოცლდნენ და საოკრად ახმაურდნენ. ყველა ერთბაშად ალაპარაკდა, ერთმანეთს სიტყვას არ აცლიდნენ, აყაყანდნენ, ამღერდნენ.

იმ წუთში ძალიან მეუცხოვა და მეოცა მათი ქცევა და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა იტალიაში ცხოვრება მომიხდა, მივხვდი და გავიგე, რომ საერთოდ ასეთი ჩვეულება ჰქონიათ. საუბრის დროს ისინი თითქმის ყვირიან, ექსტებს იშველიებენ, და საერთოდ ექსპანსიურები არიან.

მაგრამ, რაც შემდეგ დავინახე, მან კიდევ უფრო გამაკვირვა: თითქოს დირიჟორის წინაშე ისინი ერთბაშად დადუმდნენ, დაწყნარდნენ, გაიკეთეს შავი სათვალეები, და იძინეს იმ დრომდე, სანამ ნეპოლს არ მივუახლოვდით.

მე კი რა დამაძინებდა! თვითმფრინავის ფანჯრიდან გადავყურებდი აქამდე ჩემთვის უნახავ ქვეყანას და ვცდილობდი არაფერი გამომჩინებოდა შეუნიშნავი.

შორიდან უცერად დავინახე პატარა ბორცვი, რომელიც, რაც უფრო ვუახლოვდებოდით, თანდათან იზრდებოდა.

ჩვენი მფრინავი, საბჭოთა პილოტი, გამოვიდა კაბინიდან და თავაზიანად მომმართა:

— ხომ არ მოგეწყინათ ამ საზოგადოებაში, ამხანაგო ვაჩნაძე?

პასუხი არ მაცალა და თითონვე დაამთავრა:

— აბა რა იქნება, ჩვენებური ერთი სიტყვაც ვერ გაიფრთხილეთ აქამდე!

სიმართლე გითხრათ, მართლაც ძალიან მესიამოვნა მასთან საუბარი. თითქმის ნახევარი დღის განმავლობაში მღუპარედ მყოფი კინალამ მეც იმ იტალიელ ქალებივით არ ავხმინადი ახლა.

ბორცვთან უკვე ახლო კიყავით და მაშინ შევნიშნე, რომ ის მალალი მთა ყოფილიყო.

— გინდათ გაჩვენოთ ვეზუვი თვითმფრინავის ცხვირიდან? — იმ მალალ მთისაკენ ხელი გაიშვირა პილოტმა.

ალბათ შევნიშნა თვალეებში სინაირული. მაშინვე შებრუნდა კაბინაში და წაიყვანა თვითმფრინავის მანქანის ცეცხლისმფრქვევ მთის წვერზე გადაატარა მანქანა და შემდეგ ისევ შემოხაზა წრე.

მთის კრატერი ბოლოვდა. ეს საშინელი მთა, რომელსაც მრავალჯერ უბედურება მოუტანია ხალხისათვის, თვითმფრინავიდან მეჩვენა არც თუ ისე დიდი და რამდენიმედ საცოდავიც.

პილოტმა, როგორც სჩანს, შენიშნა ჩემი დიდი დაინტერესება, ისევ შემოხაზა წრე ვეზუვის თავზე და შემდეგ მითხრა:

— ჰო, რაო, კიდევ გინდათ ნახოთ? მომეწიდა პილოტის შეწყუხება, მალე მოვა ვუთხარი და ამის შემდეგ თვითმფრინავი პირდაპირ წავიდა რომის მიმართულებით.

ჩემი თანამგზავრი იტალიელი ქალები მალე ისევ გამოკოცლდნენ, ჩამოიხსნეს სათვალეები, ისევ ახმაურდნენ, ალაპარაკდნენ, ერთბაშად ეცნენ ხელჩანთებს და შიგ რაღაცას დაუწყეს ძებნა.

ისინი, თითქოს ვინმე უბრძანებდაო, ყველა ერთნაირად და ერთნაირი სისწრაფით მოქმედებდნენ. თავდაპირველად სახეზე რაღაც თეთრი წაიცხეს, შემდეგ დაიხილეს სახის კანი და ბოლოს რაღაც ვარდისფერი საცხებელი წაისვეს. თითქმის ნახევარი საათი მონადომეს ამ „საქმეს“ და როცა რომს ვუახლოვდებოდით, ჩემი თანამგზავრი დღეგატი ქალები ჩემს თვალწინ წარმოსდგნენ იტალიური კოსმეტიკის მთელი ბრწყინვალეებით.

ერთი საათის შემდეგ რომის აეროდრომზე დავეშვით.

სალამოს შვიდ საათზე, ჩვენი საელჩოდან მოვიდნენ ჩემს წასაყვანად დი ქალაქისკენ გავემგზავრე. ღამდებოდა, როცა სასტუმროში მივიდი, სახელდახელოდ ვისაუბრე და საშინლად დაღლილმა მაშინვე დავემინე... ამ დღით

მე ჯერ კიდევ ჩემს ქვეყანაში ვიყავი... თორმეტი საათის განმავლობაში ჩვენმა თვითმფრინავმა გაიარა უზარ-პაზარი მანძილი: მოსკოვი-რომი...

### მეწიციანი

მეორე დღეს ძალიან ადრე ავდექი, დავათვალიერე რომი და შემდეგ მატარებლით ვენეციისკენ გავემგზავრე.

ვენეციის სადგურზე არაეინ დამხედდა. რამდენიმე იტალიური ფრაზა, რომელიც ქართული ასოებით მქონდა ჩაწერილი, მოვიშველიე, დავიჭირავე ჩემოდანის-წამლები და ქალაქში გავედი. ის იყო მივალწიე ვენეციის დიდი არხის გასასვლელთან, როცა დავინახე ჩემს შესახვედრად მომავალი ჩვენი ვიცე-კონსული და კინო-ფესტივალზე ჩამოსული ჩვენი დელეგაციის ყველა წევრი.

თანამედროვე „გონდოლით“, საბჭოთა მოტორიანი ნავით, რომელსაც საბჭოთა შოფერი მართავდა, გავიარე პირველად ვენეციის არხი.

სამშობლოსადმი სიყვარულის და აგრეთვე ნიამაყის გრძნობას, რომ საბჭოთა ადამიანი ხარ, განიცდის ყოველი ჩვენი მოქალაქე, როგორც კი დასტოვებს თავის მშობლიურ მიწაწყლის საზღვარს. სიხარული გიპყრობს, რომ ხარ მრავალმილიონიან სამშობლოს შვილი. ამავე დროს გებადება დიდი პასოხისმგებლობის გრძნობა, რომ შენმა მოქმედებამ და საქციელმა არაფრით შელახოს შენი ქვეყნის ღირსება. რა სიხარულს იწვევს იქ, უცხოეთში, ყოველი საბჭოთა ადამიანის ნახვა! დიდი სიხარული ვიგრძენი, როცა ვნახე ჩემი იმხანაგები და აგრეთვე ის საბჭოთა ადამიანები, რომელნიც უცხოეთში მუშაობენ. როგორ უხაროდათ იმთავც, როცა საბჭოთა ქვეყნიდან, სამშობლოდან, ახლად ჩამოსულ ადამიანს შეხვდნენ!

მეორე დღიდან შეუდგა მუშაობას ჩვენი დელეგაცია.

დღეში სამჯერ — დღით, სასტუმრო-ლევის ოთხ საათზე და საღამოს — სწარმოებდა ფესტივალზე მონაწილე ფილმების განხილვა.

როგორც კი ვიშოვიდი თავისუფალ დროს, მივდიოდით ქალაქის დასათვალიერებლად. აგვისტოში აქ ძალიან ცხელა და ამიტომ დილით ადრე ვარჩევდით ქალაქში სიარულს.

თავს არ შეგაწყენთ ვენეციის აღწერილობით. ამ თავისებურ ქალაქზე, მის არხებზე, ხიდეებზე, ეკლესიებზე რამდენი დაწერილა. ვიტყვი მხოლოდ, რომ პირველი შეხედვისთანავე ქალაქს გაკვირვებაში მოვყავართ. ის წარმოვიდგებათ დიდ მუზეუმად. შემდეგ კი იღლებით მისგან და ისე გრძნობთ თავს თითქოს სადმე თეატრში იყოთ. არა, თეატრის დარბაზში კი არა, არამედ სცენაზე, რომლის კულისებში დაყრილია მრავალი კარგად შესრულებული დეკორაცია.

ზღაპრულად გეჩვენებათ ეს პატარა ხიდეები, ვიწრო ქუჩები, დოცების სასახლე, ჩუქურთმიანი სახლები ბალუსტრადებით და მოზაიკით. არხებში, თითქოს სარკეში, მოსჩანს სასახლეების, ტაძრების, ქოხმახების ანარეკლი.

ვენეციელნი დიდი პატრიოტები არიან თავისი ქალაქისა. ზანდაზან უნებურ ღიმილსაც კი იწვევს ეს მათი გადაქარბებული ალტაცება. ისინი ყველგან და ყველაფერში რაღაც განსაკუთრებულს ხედავენ და ცდილობენ თქვენც დაგარწმუნონ ამაში.

ვენეციელები ფანტაზიორები არიან, ისეთ რამესაც ვიამბობენ თავის ქალაქზე, რაც იქ არ ყოფილა და არ მომზდარა. მაგალითად, მათ მაჩვენეს სახლი, სადაც თითქოს დეზდემონა ცხოვრობდა.

საინტერესო სანახაობას წარმოადგენს არხები, რომელზედაც დასრიალებენ გონდოლები. რომლითაც მოგზაუ-



რობენ ქალაქის მცხოვრებნი და აგრეთვე დაატარებენ ხილს, სანოვაგეს, სხვადასხვა საქონელს.

მე მხოლოდ ვენეციაში მივხვდი, თუ რატომ გაიკეთეს სათვალეები თვითმფრინავში ჩემმა თანამგზავრმა იტალიელმა ქალებმა. აქ ისე თვალისმოშორულად ბრწყინავს მზე, რომ თუ სამთო სათვალეებს არ გაიკეთებთ, თვალი სულ მალე დაგეღლებათ.

ძალიან ადრე იყო, როცა ერთხელ ქალაქში ვავედი. ქალაქი ის იყო იღუპებდა. გავიარე რამდენიმე ხიდი, გადავსერე ლაბირინტის მსგავსი ვიწრო ქუჩები და უცრად მოვხვდი წმიდა მარკოს მოედანზე. მცირე ხნის შემდეგ, თითქოს ვიღაცას ბრძანებით, ერთბაშად გაიღვიძა მთელმა ქალაქმა, — ქუჩები, მოედანი და კაფეები ხალხით გაივსო.

მოედანზე დაფრინავდნენ „წმიდა“ მტრედები. არ ვიცი რომელი ღმერთის ქვეშევრდომებად სთვლიან ისინი თავს, მაგრამ საკმელს კი ყველა ქვეყნის და ყველა ჯურის ხალხისაგან ღებულობენ. უცხოელი მოგზაურები, რომელთაც აქ ბლომად შეხვდებით, თავის მოვალეობად სთვლიან გაუმასპინძლდნენ მტრედებს, — პირდაპირ ხელით აწოდებენ საკმელს „წმიდა“ ფრინველებს და ისინიც მთელი დღის განმავლობაში კენკავენ და კენკავენ. ყოველი უცხოელი მოგზაური აგრეთვე ვალდებულიად სთვლის თავს სურათი გადაიღოს მტრედებთან ერთად.

ეს „წმიდა“ ფრინველები, მე მგონია, ყველაზე უფრო მკიდრო კონტაქტში არიან იტალიურ ღმერთთან, იმ ღმერთთან, რომელიც იტალიაში ყველაფრით და ყოველ ნაბიჯზე ვაქრობს.

იტალიაში ძალიან მარჯვედ ვაქრობენ სარწმუნოებით. ყველგან იყიდება „წმიდა მადონა“. თუ ეკლესია ძველებურია, შიგ შესვლა შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ფულს გადაიხდით. შესვლით კი შეხვედით, მაგრამ არ

იფიქროთ, რომ უფასოდ ნახავთ იქ იმ სურათებს და საეკლესიო ინტერესებს, რომელნიც რაიმე ინტერესს წარმოადგენენ. ამაში კიდევ ცალკე უნდა მისცეთ ფული იმ კაცს, რომელიც გინდათ თუ არ გინდათ, მაინც ავტორღიალებათ და არ მოგცილდებათ ვიდრე ხარკს არ აიღებს.

გიდი ჯერ შემოგთავაზებს თავის მხრივ დახმარებას, შემდეგ გთხოვს დაიქირაოთ, ბოლოს კი პირდაპირ მოითხოვს ამას. გარდა ამისა ეს გიდეები გაიძულებენ იყიდოთ ლოცვანები და სხვადასხვა უსარგებლო ნივთები, რომელნიც, მათი თქმით, სასწაულმოქმედნი არიან. ეკლესიებსა და ვატიკანს ათასობით მუქთახორა უწევს მომსახურებას იმ მიზნით, ვითომ თქვენ გაგიწიოს დახმარება და გაჩვენოს წმიდა ადგილები, — ნამდვილად კი იმისათვის, რომ ფული იშოვნონ.

ცნობილ წმიდა-მარკოს ტაძარში საგანგებოდ დილით შევიდით ხოლმე. მაინტერესებდა იმისი დანახავა, თუ როგორ ექირათ თავი მლოცველებს და რა განცდანი იპყრობდა მათ. ჩუმად დავედებოდი ხოლმე ბნელ კუთხეში და თვალს ვადევნებდი ყველაფერს, რაც ეკლესიაში ხდებოდა.

ფარდულში სადაც მლოცველები აღსარებისათვის შედიოდნენ, ირხეოდა შავი ფერის შემაზრხენი ფარდები: — შიგნით, ბნელში, ზის იტალიელი მღვდელი და აღსარების მიმცემს ელოდება. ის ზის შიგნით თბობასავით, რომელიც მოთმენით უცდის თავის მსხვერპლს. დროდადრო გამოიხედავს ხოლმე მღვდელი, როცა დიდხანს არ სჩანს სასურველი მორწმუნე. ბოლოს ამ შავი ფარდისწინ დაიჩოქებს ვინმე, — უმეტეს შემთხვევაში — ქალი. მაშინ შავი ფარდიდან გამოჩნდება მღვდლის გამოწვდილი ხელი და ფულს აიღებს მლოცველისაგან. ამის შემდეგ მღვდელი აღსარებას მოუსმენს. ჩუმად, ისე ჩუმად, რომ ჩურჩულიც კი არ ის-

მის, მორწმუნე უამბობს თავის თავგადსაველს, ბოლოს ცოდვითა პატიებას მიიღებს და „გაპატიოსნებული, განწმენდილი“ შორდება.

წმიდა მარკოს ეკლესია აშენებულია მე-11 საუკუნეში რომელიც ბრწყინავს ოქროსფერი მოზაიკით, ხუთი გუმბათი აქვს. მისი სილამაზე ყურადღებას იქცევს და უცხოელი ტურისტებით მუდამ საესება ეკლესია.

უცხოელთა მრავალი ჯგუფი, გიდების თანხლებით დაეხეტება ეკლესიაში. სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები არავითარ ანგარიშს არ უწევენ სალოცავად დამღვარ იტალიელებს, დაურიღებლად დადიან მათ შორის და ათვალეირებენ ყველაფერს, რაც თვალში მოხვდებათ.

ხშირად მათ თავხედურად უჭირავთ თავი, მაგრამ ეს გარემოება არავის პროტესტს არ იწვევს. რომელი მღვდელი განაცხადებს უკმაყოფილებას, როცა სწორედ ეს ტურისტები საგრძნობი შემოსავლის წყაროა მისთვის! ეკლესია სავაჭრო საზღადაა ქვეული და რად დააფრთხობს სასურველ კლიენტს!

იტალიაში უამრავია კულტის მსახური. თითქმის ყოველ ფეხის დადგმაზე შეხვდებით ბერის შავ სილუეტს, კეკლტყად მორთულ მონაზონს გაკრახმებული საყელოთი და თავსაბურავით, ჯვრებითა და ჯაჭვებით შემოსილ კაპუტინს და მრავალი „წმიდა ორდენის“ წარმომადგენელს.

ყველა ესენი, რა თქმა უნდა, ვატიკანის ყურმოკრილი მონები და ნების აღმასრულებელი არიან. ვატიკანი ცდილობს თავის გავლენის ქვეშ იყოლოს ხალხი. ამისათვის ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, არაფერს არ ერიდება. ვატიკანი, როცა მისი სარგებლობისათვის საჭიროა, რომელიმე ადამიანს წმიდანადაც კი გამოაცხადებს.

არავითარ შემთხვევას არ გაუშვებს ვატიკანი იმისათვის, რეჟიმის დასარყვობა ნახოს და ფუტლებს ამოქნახოს.

მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილება ვატიკანი. ის ცდილობს თავის ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს მთელი ხალხი და წარმართოს იტალიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ვატიკანი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებაშიც ერევა. ასე, მაგალითად ჩემს იქ ყოფნისას წირვის დროს მღვდელმა წარმოსთქვა სიტყვა კინოფილმების შესახებ და თავის მრევლს რჩევა მისცა, თუ რომელი კინო-სურათი ენახათ და რომელს არ დასწრებოდნენ. შიგნით ეკლესიაში გამოკრულია სია იმ სურათებისა, რომელნიც რეკომენდებულია „წმიდა“ პაპის მიერ.

ომის დროს რომის ერთერთ ქუჩაზე ყუმბარა ჩამოვარდა. ეს იყო ერთადერთი ყუმბარა, რადგან რომი ღია ქალაქად იყო გამოცხადებული. ყუმბარა აფეთქდა, მაგრამ მამა და შვილი, რომელნიც იქვე იდგნენ, როგორღაც ცოცხლები გადაარჩნენ და ოდნავადაც არ დაზიანებულან.

ასეთ შემთხვევას უყურადღებოდ როგორ დასტოვებდა ვატიკანი! პაპის განკარგულებით ის ადგილი, სადაც ყუმბარა აფეთქდა, წმიდა ადგილად გამოცხადდა. მაშინვე მოაწყვეს იქ პატარა ფარდული და გამართეს ხატების სავაჭრო. ვატიკანი ურჩევდა ხალხს:

— ვისაც უნდა მომავალში ყოველგვარ ბიფათს გადაურჩეს, მან უნდა იყიდოს ხატი და იქვე, ფარდულის მიმყოფ ხის კედელზე დაჰკიდოს!

გაიმართა ფიცხელი ვაჭრობა. მორწმუნენი ყიდულობდნენ ხატებს და კედლებდენ ქუჩაში კედელზე. აჭრულდა კედელი ათასგვარი წმიდანით და ვატიკანიც კმაყოფილია, რომ მისმა კომერციულმა ნაბიჯმა ასეთი ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო.

ვენეციაში, ისე როგორც საერთოდ იტალიაში, თანდათან იზრდება სიძვირ

რე. სავაჭროებში ბლომად მოიძებნება საქონელი, მაგრამ მოსახლეების დიდ უმრავლესობას მისი ყიდვის საშუალება არ გააჩნია სამაგიეროდ ამ საქონელს იაფ ფასებში იძენენ ამერიკელები. ვენეცია ვაჭრობს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში. როგორც კი მოთველება სეზონი და წავლენ უცხოელი ტურისტები, იხურება თითქმის ყველა სავაჭრო რესტორანი და სასტუმრო.

### ქარხანა „მურანო“

ჩვენმა დელეგაციამ ინახულა შუშის ქარხანა „მურანო“. ვენეცია დიდხინიდან ცნობილია შუშის ნაწარმოებით. კუნძული, სადაც აშენებულია ქარხანა, წარმოადგენს პატარა ქალაქს: იქ მხოლოდ მუშები ცხოვრობენ თავისი ოჯახებით.

„მურანოს“ ხანგრძლივი ისტორია და ტრადიცია აქვს. ეს ქარხანა ჯერ ყიდევ მეთოთხმეტე საუკუნეშია დაარსებული.

ქარხანაში 670 კაცი მუშაობს. ყველა მუშა კომუნისტური პარტიის წევრია.

მუშებს შორის არიან ისეთი სპეციალისტები, რომელთა უძველესი წინაპრებიც შუშის ხელობაზე მუშაობდნენ. თაობიდან თაობაში გადადის მათი სპეციალობა. ასეთია, მაგალითად, ხელოსანი სპეციალისტი ბონ-ალდო, შავ ხე-ქუჭათმიანი, ტანწერწეტი, ლამაზი შესახედაობის მამაკაცი.

ოთხი საუკუნეა, რაც ბონ-ალდოს ოჯახმა დაიწყო თავისი მუშური ბიოგრაფია. — ყველა მისი წინაპარი შუშის ოსტატი იყო.

ჩვენს დელეგაციას კუნძულის ნაპირზე შეეგება ქარხნის მუშათა წარმომადგენელი. პირველად შეგვიყვანეს კაბინეტში, სადაც ლენინისა და სტალინის სურათები ეკიდა. ყოველ ჩვენს სიტყვას და მისალმებას მუშები ტავით ხვდებოდნენ. მათ სახეზე გულწრფელი სიხარული აღბეჭდილიყო.

მთელი ქარხანა გამოედინა ჩვენს სანახავად.

— გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს! გაუმარჯოს დიდ სტალინს! — ისმოდა ყოველის მხრიდან.

მუშები ალტაცებით გვართმევდნენ ხელს, გვიღიმოდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი სიხარული გამოეთქვათ. პირველ წუთიდანვე ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

დაგვათვალისწინებინეს ქარხანა, რომელიც, როგორც თავიდანვე შევამჩნიე, განსაკუთრებულად უყვართ. ეს სიყვარული, ცხადია, თაობიდან თაობაშია გადასული და თითოეული მათგანის ძვალ-რბილშია გამჯდარი.

მუშებთან საუბარში გამოირკვა, რომ ქარხანაში არ არსებობს ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პირობები. შუშის წარმოება ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოა, აუცილებელია ზოგიერთ სავალდებულო კანონის დაცვა, მაგრამ ქარხნის დირექტორი სამისოდ სრულიადაც არ ზრუნავს.

ძალიან დიდი ინტერესით გვეკითხებოდნენ მუშები საბჭოთა დიდი ქვეყნის ცხოვრებაზე. მათ ინტერესებდათ ყველა წერილმანი ჩვენი ცხოვრებისა, ისინი ხარბად უსმენდნენ ყოველ სიტყვას, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეეხებოდა. რაოდენი დაინტერესება, სიხარული და სიყვარული შევნიშნე მათ ცოცხალ თვალბში, როცა შემოგვექეროდნენ მათი საოცნებო ქვეყნიდან მისულ ადამიანებს და ისმენდნენ მართალ სიტყვას დიდ საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაზე.

— აი აგრე უნდა ცხოვრობდეს ადამიანი! აი სადაა ადამიანური ცხოვრება, აი რას უნდა მიადწიონ სხვა ქვეყნების მშრომელებმა! — ისმოდა ყოველი მხრიდან მურანოს მუშათა რეპლიკები. ამ ამოძახილებში ისმოდა ალტაცება და ამავე ღროს ის ფარული ზრახვა და იმედი, რომელიც ყოველი მათგანის

გულში ღრმად იყო ჩანერგილი.

როდესაც მუშები სტალინზე ლაპაპარაკობდნენ, რამდენიმე კაცის თვალეზში ცრემლი შეენიშნე. მურანოს მუშებმა შარშან სპეციალურად დაამზადეს და საჩუქრად გაუგზავნეს დიდ სტალინს თავისი ქარხნის ნაწარმოებნი.

ოსტატმა ბონ-ალდომ გვითხრა, რომ მას განზრახული აქვს განსაკუთრებულად თხელი შუშიდან გააკეთოს სასმისი, რომელზედაც აღბეჭდილი იქნება საბჭოთა კავშირის ღერბი და საჩუქრად გაუგზავნოს დიდ სტალინს.

ბონ-ალდომ ბოლოს შეგვიყვანა საამქროში, სადაც ყველაზე უფრო ძნელი და ფაქიზი სამუშაოები სწარმოებს. მან ჩაიკვა სპეციალური ტანსაცმელი და გაღვივებულ ღუმელთან, საიდანაც გამოვარდებოდა ხოლმე ცეცხლი, თავისი ოსტატობა და ხელოვნება გვიჩვენა. მისი მუშაობა მართლაც რომ განსაკვიფრებელი იყო, პირდაპირ ნამდვილი ეკვილიბრისტიკა. რამდენიმე წუთში, ჩვენს თვალწინ მან გააკეთა ულამაზესი გენციური ვაზა და იქვე მოხატა. შემდეგ მან აიღო გავარჯერებული დიდი ნაჭერი და სიცილით გვითხრა:

— ახლა მე თქვენთვის გავაკეთებ ბატს. ჩვენი უძველესი ტრადიციის მიხედვით ბატი ბედნიერებას მოგიტანთ თქვენ.

რამდენიმე წუთში მან მართლაც ვაკეთა ფრინველი, რომელიც ნამდვილ მშვენიერ ხელოვნურ ნაწარმოებს წარმოადგენდა.

როდესაც „მურანოდან“ ვბრუნდებოდით, მთელი ქარხნის მუშები გამოვიდნენ ჩვენს ვასაცილებლად. თათქვის ყველამ გადაგვკოცნა და ყველა გამოგვკვა ნაპირამდე. გამოთხოვებისას მათ აღვივებდნენ რომ დაესწრებოდნენ ჩვენი კინო ფილმების გასინჯვას.

მურანოს მუშებმა თავიანთი დაპირება პირნათლად შეასრულეს. თუ რა დახმარება გავკვიწვს მათ, ამაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი.

## ფესტივალები

გენციური ვაზა

სანამ კინო-ფესტივალის მიმდინარეობის აღწერას შევუდგებოდე, ორი-ოდე სიტყვით მინდა აღვნიშნო, თუ საერთოდ რა მდგომარეობაშია კინოწარმოება და განსაკუთრებით კინოგაქირავების საქმე იტალიაში.

ვინაა იტალიაში ფაქტიური მფლობელი კინო წარმოებისა? ისევე ვატიკანი. პაპის შემდეგ კი — ამერიკელები. იტალიაში 40 ათასი კინო-თეატრია. აქედან 28 ათასი ეკუთვნის ვატიკანს, რვა ათასი ამერიკელებს, ხოლო დანარჩენი ოთხი ათასი იტალიელ წვრილ მწარმოებლებს.

ამრიგად, ვატიკანის და ამერიკელების ხელშია კინო-ფილმების, გადაღების და გაქირავების საქმე. ვატიკანს საკუთარი ატელიე აქვს, სადაც ამზადებს სპეციალურ კინო-სურათებს და რომელთა საშუალებით ცდილობს გაავრცელოს ხალხში კათოლიკური და ფაშისტური იდეები.

იტალიელ წვრილ მწარმოებლებს საშუალება არა აქვთ არა თუ გააძლიერონ მშობლიური წარმოება, იმისი შესაძლებლობაც არა აქვთ, რომ თავისი სურვილის მიხედვით წარმართონ კინო-სურათების გაქირავების საქმე.

რამდენიმე იტალიელმა კინო-მწარმოებელმა დიდი სურვილი გამოსთქვა ხალხს აჩვენოს საბჭოთა ფილმები, დაიწყეს კიდევაც საამისო მუშაობა, მაგრამ მათი კეთილი სურვილები მხოლოდ სურვილად დარჩა — ვატიკანი და ამერიკელები ჩაერივნენ ამ საქმეში, მთავრობაზე ზეგავლენა მოახდინეს, არავითარ სხვა საშუალებასაც არ დაერიდნენ და მწარმოებლებს ხელი ააღებინეს საბჭოთა სურათების ჩვენებაზე.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 70 სურათი, სხვადასხვა ქვეყანაში გადაღებული.

ჩვენ დიდი ინტერესით და თითქმის მღელვარებით ველოდით იმ დღეს, როცა დაიწყებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კინო-სურათების ჩვენება.

რა ვნახეთ იქ? რას წარმოადგენს თანამედროვე ამერიკის და ევროპის კინო-ხელოვნება?

ჩვენ ველოდით, რომ რაიმეთი მაინც საინტერესო იქნებოდა განსაკუთრებით ამერიკული ფილმები, სურათები იმ ქვეყნისა, სადაც ოდესღაც ნაყოფიერად მუშაობდნენ გრიფიცი და ჩარლი ჩაპლინი.

მაგრამ ყველაფერმა, რაც ვნახეთ, მხოლოდ იმედების გაცრუება გამოიწვია. ვერცერთი სურათი ვერ ვნახეთ ისეთი, რომელიც რაიმე მხატვრულ — ესთეტიურ ღირებულებას წარმოადგენდა და პოლიტიკურად ოდნავ მაინც გამართლებული ყოფილიყო. ამას თავი დავანებოთ, ისინი თვალსაზრისითაც მახინჯი და მანე არიან.

კრიმინალი, — აი რაზეა აგებული ყველა ამერიკული ფილმი. სურათის თემაა: საგიჟეთი, შიზოფრენიით შეპყრობილი, მომწამვლელი და ათასნაირი ჯურის და ხასიათის მკვლელები. ამერიკულ სურათებში ერთმანეთს კლავენ უთოთი თავში დარტყმით, მეათე სართულიდან გადმოგდებით, ადამიანს ამოაცლიან ტვინს, აღრჩობენ წყალში და სხვადასხვა...

ერთერთ სურათში ასეთი ფინალია: დაედევნებიან ვიღაც უმწეო მოხუცს, შეაგდებენ ოთახში, შემდეგ ქერიდან გადმოყრიან ფქვილს და სანამ მოხუცი ფქვილში არ გაიგუდება, მანამდე თავს არ დაანებებენ.

ფერადებით შესრულებულ სურათში, რომელსაც ეწოდება „ისინი ცას დაუტოვეთ“, ასეთი ამბავია: ერთ ლამაზ ქალს უყვარს მხატვარი, მაგრამ მის ბედნიერებას ბორკავს ის გარემოება, რომ მხატვარს ოჯახი ჰყავს, — მოხუცი მამა, ცოლი და ავადმყოფი ვაჟი პირველი ცოლიდან. მხატვარის

ცოლი ამ შეყვარებულ ქალს უფიქროს დაა. ქალი არავითარ შემთხვევაში ვერ ერიდება, ოღონდ კი პირად ბედნიერებას მიადგინოს. ქალი ციხეში დაატუსაღებინებს საკუთარ დას, მოწამლავს მოხუც მამაკაცს, დასასრულ კი ბოლოს მოუღებს ავადმყოფ, ცალფეხა ყმაწვილს. და რა საშინელი საშუალებით, რა გულცივად, როგორი საღიზმით! ერთ მზიან დღეს ქალი წაიყვანს ყმაწვილს ზღვაზე და ჩასვამს ნავში ვასასეირნებლად. როგორც კი საკმაოდ მოშორდებიან ნაპირს, ქალი, ვითომ უცაბედად, ნავს გადააბრუნებს. ყმაწვილი წყალში იღრჩობა, ითხოვს შევლას, მაგრამ ქალი არა თუ ზელსაც არ გაანძრევს დასახმარებლად, აცოცდება ნავზე და გულგრილად უცქერის, თუ როგორ იღუპება ვაჟი. როცა უკანასკნელი ჩაიძირება, ქალი განგებ დაიწყებს კივილს და ითხოვს შევლას. მაგრამ რაღა დროს, ის უკვე დაიღუპა! შინ დაბრუნებული ქალი ინახულებს თავის საყვარელ არსებას, მხატვარს, და უეცრად გაიგებს, რომ ქმარს ეცოდება ციხეში მყოფი ცოლი. ეს გარემოება სიბრაზით გულს უფსებს ქალს, ეკვიანობა, იპყრობს და ამ ნიადაგზე ჯერ მხატვარს მოკლავს, შემდეგ კი თითონაც თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

მეორე ამერიკული ფილმი, სახელწოდებით „ქალი ზღვის პირად“, ასეთ სუჟეტზეა აგებული: უკმაყოფილების ნიადაგზე ცოლი რაღაც სითხეს შეასხამს ქმარს სახეში და დააბრმავებს. ამის შემდეგ ქალი რომანს გააჩაღებს ერთ ამერიკელ ოფიცერთან. ორივენი გადასწყვეტენ მოსპონ ბრმა. ოფიცერი ცხენზე შესვამს ბრმას და უფსკრულის ნაპირზე გაატარებს. ბრმა მამაკაცი გადაიჩეხება უფსკრულში, მაგრამ როგორღაც ცოცხალი გადარჩება და შინ დაბრუნდება. ამის შემდეგ ქალი და ოფიცერი ნავში ჩასვამენ მას, შორს გაიყვანენ ზღვაში და გადაისვრიან.

ბრმა იღუპება, ქალი და ოფიცერი კი ლიმილით შესცქერიან ამას და ბედნიერნი გადაეხვევიან ერთმანეთს.

თითქმის ყველა ამერიკული ზურათი ასეთი ხასიათის სუეეტზეა აგებული. ეს სურათები ნამდვილი კატალოგია იმისა, თუ რამდენნაირი სახის მკვლელობა არსებობს, ნამდვილი სახელმძღვანელოა მკვლელთათვის და ავაზაკთათვის.

რა მიზანი ამოქმედებს ამერიკის კინო-წარმოებას, როცა ასეთ სურათებს უშვებს? მხოლოდნამხოლოდ მოგება. ამერიკული კინო-წარმოება, იმის მაგიერ, რომ სულფერი საზრდო მისცეს, ჰუმანური გრძნობები გაუღვივოს მასებს, აამაღლოს მორალურად და გონებრივად, ასწავლოს იმას თუ რადარანაირი საშუალებით შეიძლება ადამიანის წამება და მოსპობა.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამერიკული კინო-ფილმები ზეგავლენას ახდენენ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა კინო წარმოებებზე. ამ შემთხვევაში უნდა მოვიხსენიოთ ფრანგული სურათები.

საფრანგეთში გადაღებულ სურათებს ყველაზე უფრო ამკარად ემჩნევთ ამერიკის გავლენა.

მაგალითისათვის ავიღოთ ფრანგულ ფილმი „უშმაკი სხულში“.

რას გვიჩვენებს, რას მოგვითხრობს ეს სურათი?

ორ ძმას კავშირი აქვს ერთ ქალთან. ქალი ჯერ უფროს ძმას გაჰყვება და შემდეგ უმცროსთან ერთად გადასწყვეტს მოსპოს ქმარი. ვაიტყუებენ მას მდინარისაკენ, გადაიყვრიან წყალში, თითონ კი დასხდებიან ნაპირზე და გულგრილად უცქერენ, თუ როგორ იღუპება ის. ამის შემდეგ იწყება მათი „ბედნიერი“ ცხოვრება.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე იტალიური ფილმები, რომლებიც დამზადებულია ვატიკანის მიზნით. სურათი „მესიე ვანსენი“,

მოგვითხრობს შემდეგს: იყო გინწყ ღარიბი მღვდელი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ღვთისსახლში სამსახურს მიუძღვნა. მღვდელმა დააპირა ტანჯვა შეუმსუბუქოს ცხოვრებისაგან გამწვანებულ ღარიბ მოსახლეობას. მისი სახელი შორს გაეარღება და ქვეყნის შორეული ადგილიდანაც მრავალი მივა მასთან დახმარების სათხოვნელად. ეკლესიას, სადაც სწირავს ზემოთაღნიშნული მღვდელი გარსემოერტყმება ხალხი. მღვდელს არ შეუძლია ყველა უზრუნველყოს, ხალხი კი დახმარებას მოითხოვს. შეშინებული მღვდელი გაეცქევა ხალხს და მონასტერში გადადის საცხოვრებლად. აქაც არ იფიწყებს მღვდელი თავის ძველ მოღვაწეობას. ისევ შორს გაითქვა მისი სახელი. მდიდრების შემწეობით მღვდელი სასაღილოებს დააარსებს ღარიბთა გამოსაკვებად, ხალხი ისევ მოაწყდა მონასტერს, მაგრამ მღვდელი ახლაც ვერ შესძლებს მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამის შემდეგ ხალხი ქვით ჩაქოლავს მღვდელს.

ძნელად გამოსარკვევია, თუ რისი თქმა უნდოდა ამ სურათით ვატიკანს. ერთი კი ცხადია: ხალხი მას ნაჩვენები ჰყავს როგორც ველური ბრბო, რომელიც არავითარი დახმარების და სიყვარულის ღირსი არაა.

იტალიურ სურათებში მხოლოდ ერთმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ეს იყო „ტრაგიკული ნადირობა“. სურათი გადაღებულია კომუნისტური პარტიის წევრთა შორის შეგროვილი ფულით. ის გვიამბობს თუ როგორ ძლიერდება დემოკრატიული მოძრაობა, გვიამბობს პურისა და მიწის პრობლემაზე, რომელიც დღეს აღეკვებს იტალიის ხალხს. დემოკრატიული იდეების ამკარად გატარება შეუძლებელი შეიქნა ფილმის ხელმძღვანელთათვის. ამის გამო ისინი იძულებული შეიქნენ გამოეგონებიათ მეტად რთული სათავგადასავლო სუეტი და მხოლოდ ამ გზით გაეტარები-



ნათ ხალხისთვის საჭირო და სასარგებლო იდეები.

**ფესტივალზე** პრემია მიიღო ჩეხო-სლოვაკურმა მულტიპლიკაციურმა ფერადიანმა სურათმა „სათამაშოების ჯანყი“. ფილმი შემდეგ ამბავზეა აგებული: გერმანელი სალდათი ჩადის ჩეხო-სლოვაკიაში. ერთხელ ის შევა სათამაშოების მაღაზიაში. სათამაშოები დაინახავენ თუ არა ფაშისტ სალდათს, მის წინააღმდეგ აჯანყდებიან, სცემენ, გააშვივლებენ და გააგდებენ მაღაზიიდან.

სურათი ხალხს იწვევს მაყურებელში, პოლიტიკურად საინტერესოა და ტექნიკურად ბრწყინვალედაა შესრულებული.

ინტერესნოკლებული არ იყო კიდევ ორი მექსიკური ფილმი. იდეას, მორალს, ტყუილად დაუწყებთ ძებნას ამ სურათებში, ამ მხრივ ისინი უმწეოა. ორივე ფილმი საინტერესოა მხოლოდ იმიტით, რომ ეცნობით მექსიკის ყოფაცხოვრების ზოგიერთ მხარეებს, ხალხურ ცეკვებს და სიმღერებს.

ვენეციაში გამართულ ფესტივალზე სწვადასხვა ქვეყნის კინო-წარმოებებმა გამოგზავნეს თავიანთი საუკეთესო ფილმები. თუ 1947 წლის ნამუშევარში ამერიკის და საფრანგეთის სურათებს შორის საუკეთესო იყო ისინი, რომელთა შესახებ ზემოდ გვქონდა საუბარი, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რას წარმოადგენენ ის სურათები, რომელნიც ფესტივალზე გამოჩენის ღირსად არ ჩაუთვლიათ.

ცხადია, რომ ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში დღეს მეტად დაბლა სდგას კინო-სურათების დონე, განსაკუთრებით მისი პოლიტიკურ-მორალური მხარე. რას უნდა მოველოდოთ ამ სურათებიდან, სადაც მკვლევობას, ძარცვას, ადამიანის პრაზაობას და სიძულვილს ქადაგებენ!

თუ აქამდე რაიმე იყო იქ ცოცხალი, ამჟამად სასტიკ დევნას განიცდის. ამერიკა სდევნის თავის საუკეთესო

ოსტატებს, ჩარლი ჩაპლინს და კრლ-დუელს სამართალში აძლეეს მხოლოდ ამისათვის, რომ ისინი მოწინავე იდეებით გამსჭვალულნი არიან.

ამერიკაში დღითიდღე ქრებიან ეკრანიდან მოწინავე აზრების მატარებელი სურათები. ბოროტება, სიმახინჯე, გაზარწა, სიძულვილი აი თემები, რომლითაც სულდგმულობს დღეს ოდესღაც განთქმული ჰოლივუდი. ჰოლივუდის წარმოებიდან თანამედროვე ამერიკის მესვეურნი მოითხოვენ რეაქციულ აზრების გავრცელებას, ახალი ომის სამზადისს, ატომური ბომბით ომის წარმოების აგიტაციას. სული გეხუთებით, როცა უყურებთ ჰოლივუდის ახალ სურათებს. ნამდვილ სიგიჟედ ჩასთვლით ყველაფერს, რასაც ის ქადაგებს და თავზე ახვევს ხალხს.

რა კეთილშობილებით, იდეურობით, მაღალი მორალით, ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულით საესეა საბჭოთა სურათები, რა დიდი განსხვავებაა ჩვენსა და კაცი-ჭამია, კაცობოძულე ჰოლივუდის ნაწარმოებთა შორის!

აი რატომ იყო, რომ მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, რომელსაც ამერიკელები და ვატიკანი უქმნიდენ საბჭოთა დელეგაციას და ფილმებს ჩვენმა სურათებმა მაინც გადალახეს ყველა ჯებირი და მაღალი შეფასება მიიღეს.

ფესტივალის ეიური იძულებული იყო აღეარებინა საბჭოთა ფილმების იდეურ-მხატვრული მაღალი დონე და პრემიებით დაეჯილდოებინა. ეიურის წევრთა შორის იყო ვატიკანის წარმომადგენელი, მღვდელი, რომელმაც ერთ სხდომაზე შემდეგი განუცხადა ჩვენს წარმომადგენელს:

— იძულებული ვარ ვაღიარო, რომ ფესტივალზე მხოლოდ ორმა სახელმწიფომ წარმოადგინა იდეურ-პრინციპალური სურათები: საბჭოთა კავშირმა და იტალიამ!



კატეჯანის მსახურზე ვერაინ იტყვის, რომ ეს სიტყვები ჩვენდამი სიმპატიამ ათქმევინა. აშკარა სინამდვილემ აიძულა სიმართლე აღეარებინა.

### საბჭოთა სურათების დიდი წარმატება

ამერიკელებს მეტისმეტად ანერვიულებდათ ის გარემოება, რომ იმარჯვებდნენ საბჭოთა სურათები. ამის გამო ისინი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ჩვენთვის: აფუჭებდნენ ჩვენს ანონსებს, დაბრკოლებებს უქმნიდნენ მოედნებზე ჩვენი სურათების ჩვენებას, განზრახ ურევდნენ საათებს, რომელიც ჩვენი ფილმების საჩვენებლად იყო განკუთვნილი. საბჭოთა დელეგაციის წევრთა ავტორიტეტის დასაცემად ბურჟუაზიული პრესა ხშირად აბსურდულ, სამარცხვინო ზომებსაც მიმართავდა. ასე, მაგალითად, ზომის ერთ სოლიდურ გაზეთში დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის სტატია: საბჭოთა მსახიობი ქალები ორ-ლოვა და ვაჩნაძე ანგარიშს არ უწევენ ევროპის ხალხს, ისინი არ ემორჩილებიან ევროპაში დღეს გამეფებულ მოდას, ისინი წინააღმდეგი არიან ატარონ შალვარი (უკანასკნელი დროის ამერიკულ სურათებში ყველა ქალი შალვარს ატარებს).

ერთ სურათში („გაზაფხული“) რეჟისორ ალექსანდროვს გამოყვანილი ჰყავს თავის საქმის არამცოდნე, უჭკუო და ტრაბახა შოფერი. მისი მანქანა სწორედ იმ მომენტში დადგება ხოლმე, როდესაც მგზავრები საჭირო საქმეზე მიიჭეკრიან. იტალიურმა გაზეთმა ამის გამო შემდეგი დასწერა:

— „რეჟისორი ალექსანდროვი ასწავლის საბჭოთა მთავრობას, რომ მისი მანქანები უვარგისია“...

სურათში „ნადირის ბილიტი“, რომელმაც პირველი მთავარ როლი მიიღო, ნაჩვენებია, თუ როგორ ნადირობენ შორეულ აღმოსავლეთის მთებში ირემსა და ჯიხვზე. ჩვენი მონადირენი დიდხანს დასდევენ, ნადირს და ბოლოს მოკლავენ.

როდესაც ამ სურათის განხილვა იყო, ვიურიმ ვერაითარი ნაკლი ვერ უპოვა და იძულებული გახდა მაღალი შეფასება მიეცა, მაგრამ მაინც დასძინა:

— მეტისმეტად ტენდენციურია თქვენი სურათები. აქაც კი, სადაც უმთავრესად ბუნებაა ნაჩვენები, აგიტაცია სჭარბობს...

— რისი აგიტაცია? — გაგვიკვირდა ჩვენ.

ვიურის ერთმა წევრმა ასეთი პასუხი გაგვცა:

— ჯიხვის სახით თქვენ გამოყვანილი გყავთ ფაშისში, ხოლო მონადირე — საბჭოთა კავშირია...

უნებურად გაგვეცინა და ვუთხარი, რომ ასეთი რამ ფიქრად არ მოგვევლია. მაგრამ თუ მათ ამგვარად ენშით, დეე ასე იყოს, დეე ფაშისტი—ჯიხვი საბჭოთა მონადირის ხელით დაიღუპოს!

### საბოლოოდ მაინც ჩვენ გა- ვიმარჯვით

ძალიან რთულ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ამერიკელები ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდნენ, ოღონდ კი ხმაური აეტეხათ თავიანთი სურათების გარშემო და პრემიები მიეღოთ. არ ზოგავდნენ ფულს, ქრთამს აძლევდნენ გაზეთებს და ცალკე ჟურნალისტებს.

მაგრამ ამერიკელებს მაინც ვერაფერმა უშველა: არცერთ მათ სურათს პრემია არ მიენიჭა!

კვირა — 15 აგვისტო — ვენეციური კარნავალის ტრადიციული დღე იყო. დიდ არხზე გამოეფინენ ძველებური

გონდოლები, რომელშიაც საგანგებოდ მორთულნი და მოკაზმულნი სხედან. ლამაზი სანახვია გონდოლების პარადი. ამ დღეს ვენეციაში უამრავი ხალხი იყრის თავს. სპეციალურად მოწყობილი ლოკები სავსეა სამხედროებით, მთავრობის წევრებით, უცხოელებით.

იმ საღამოს დანიშნული იყო სურათი „გაზაფხულის“ და საბჭოთა სხვა სურათების ჩვენება.

იტალიის მთავრობამ გვთხოვა ჩვენს სურათთან ერთად გვეჩვენებინა ვენეციური კარნავალის ქრონიკაც ჩვენ დაეთანხმდით იმ პირობით, რომ ჯერ ქრონიკა წავიდოდა, შემდეგ კი ჩვენი სურათები.

ასე შევთანხმდით, მაგრამ რატომღაც დაგვიანდა ქრონიკის მოტანა და ამის გამო გვთხოვეს: ჯერ თქვენი სურათი წავიდეს, ხოლო შემდეგ ჩვენი ქრონიკაო.

დაიწყო სურათ „გაზაფხულის“ ჩვენება დიდძალი ხალხი დაესწრო. თავდა პირველად ყურადღებით და ინტერესით უცქერდნენ სურათს, შემდეგ კი თანდათან დაირღვა წესრიგი, თითქოს ვიღაცას ღირიყრობობით, აქა-იქ გაისმა სტვენა და ბოლოს სტვენა ისე გახშირდა და გაძლიერდა, რომ შეუძლებელი შეიქნა დარბაზში ყოფნა. ასეთ მდგომარეობაში, როგორც იქნა, დამთავრდა სურათის ჩვენება, რის შემდეგ უცერად ეკრანზე გამოჩნდა არა ვარნავალის ქრონიკა, არამედ იტალიის მთავრობის თავმჯდომარე დე-გასპერი, რომელიც მიმართავდა იტალიის ხალხს განცხადებით, რომ იტალიის მთავრობა იძულებულია ხელი მოაწეროს საბჭოთა კავშირთან დადებულ სარეპარაციო შეთანხმებას. დე-გასპერი გამოსთქვამდა მოსაზრებას, რომ შეთანხმება უნდა შეიცვალოს, რადგან იტალიას მისი შესრულება გაუჭირდებაო.

ამ უადგილო ქრონიკამ თავისი საქმე გააკეთა: დარბაზში მყოფ მაყურებ-

ლებს, რომელთა უმრავლესობას იტალიელნი შეადგენდნენ, ~~მჭკრფედედეტყოთ უკმაყოფილება~~ ~~სტვენა~~ ~~იტალიელი~~ შემოთვება.

ისე დამთავრდა ჩვენი სურათის ჩვენება, რომ ტაში არ დაუკრავთ. სამაგიეროდ ისევ გაისმა სტვენა. ცხადია, ყველაფერი ეს მოწყობილი იყო განზრახ იმისათვის, რომ გაექარწყლებიათ საბჭოთა სურათისაგან მიღებული შთაბეჭდილება. როგორც შემდეგ ვეითბრეს, ისინი, ვინც სტვენდა, მოსყიდულნი ყოფილიყვნენ.

ერთი დღის შემდეგ უნდა გვეჩვენებინა სურათი „ნახიშოვი“. ჩვენ ველავდით, რადგან გვეგონა, რომ ახლაც რაიმეს გვიხრიცხდნენ. მაგრამ რა დღე იყო ჩვენი განცვიფრება, როცა სრულიად საწინააღმდეგო ამბავი მოხდა. დარბაზმა სურათი ალტაცებით მიიღო და დაუსრულებელი ტაში იყო.

„ნახიშოვის“ ჩვენების დროს ენახეთ ჩვენი მეგობრები „მურანოელნი“ და უნებურად გაეუზიარეთ ჩვენი სიხარული. ამ საუბარის დროს გავიგეთ იმის მიზეზიც, თუ რატომ იყო ამ დღეს დაცული წესრიგი: წინა დღით „მურანის“ მუშებს დაუვლიათ ვენეციის კაფეები და განუცხადებიათ ხალხის ვასავონად, რომ დაუზოგავად სცემენ ყველას, ვინც ხვალ საბჭოთა ფილმის ჩვენების დროს სტვენას დაიწყებს და წესრიგს დაარღვევს. „მურანოს“ მუშების ეს მუქარა ელვის სისწრაფით მოსდებია მთელ ვენეციას და შეუშინებია სკანდალისმოყვარული ნაძირალები.

მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელსაც ჩვენ გვიქმნიდნენ, განსაკუთრებით ამერიკელები, შეიღმა საბჭოთა სურათმა, მიიღო უმაღლესი პრემია. არცერთ სხვა ქვეყნის სურათებს არ მიუღიათ ასეთი მაღალი შეფასება. საბოლოოდ მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ.

## თეატრალური ფესტივალები

კინოფესტივალთან ერთად ვენეციაში თეატრალური ფესტივალი ტარდებოდა.

დროის უქონლობის გამო საშუალება არ გვქონდა ყველა სპექტაკლს დავსწრებოდით, მაგრამ მაინც მოვახერხეთ იმ დადგმების ნახვა, რომლებსაც განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ უცხოელები და რომლითაც მათ თავი მოსწონდათ.

— ო, თქვენ დღეს განსაკუთრებულ სპექტაკლს ნახავთ!—ალტაცებით მომმართა ერთმა უცხოელმა. — რა მხატვრული ნაწარმოებია, რა სიბრძნე და სიღრმე!

ეს გახლდათ საფრანგეთის და საერთოდ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის მიერ „მეორე ქრისტეთ“ გამოცხადებულ თანამედროვე ფრანგ მწერალ სარტრის პიესა „რვა საათი“.

ბევრს არაფერს ვიტყვი ამ პიესაზე. მთელი მისი ავლა-დიდება „სიბრძნე“ და „სიღრმე“ მაშინვე აშკარა გახდება თქვენთვის, როგორც კი მის შინაარსს გაეცნობით.

მოქმედება სწარმოებს ერთ ჩაკეტილ ოთახში, სადაც ერთმანეთს ზღვება „იმქვეყნიური“ სამყაროს ოთხი წარმომადგენელი, ოთხი მიცვალებული, ოთხივე ყოფილი ავაზაკი.

მთელი მოქმედება აკებულა დიალოგზე, რომელიც სწარმოებს ამ მიცვალებულთა შორის. სიცოცხლეში ისინი ავაზაკები და მკვლელები იყვნენ და სიკვდილის შემდეგ თავის ძველ ზელობას განაგრძობენ. მკვდრებს რამდენიმე ხნით ავიწყდებათ, რომ ისინი ცოცხლები აღარ არიან და ერთმანეთს მოსაკლავად დასდევენ. ბოლოს გაახსენდებათ, რომ ისინი უკვე მიცვალებული არიან, ამის შემდეგ დამშვიდდებიან და თავის უბედურებას შესჩივიან ერთმანეთს.

ესა და ეს... ეს გახლავთ ნაშდელი ბოღვა, გიჟის ბოღვა და ქვეყნაფერი. ქეშმარიტად რკინის სინტაქსის უნდა გქონდეს კაცს ან და თითონ უნდა იყო სარტრის პიესის გმირთა მონათესავე, რომ სამი საათის განმავლობაში უსმინო სულით ავადმყოფთა უაზრო რომეოს!

ფუფურებდი სპექტაკლს, ვუსმენდი პიესას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა გონებრივ სიღატაკემდე დავიდა დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია, რა სიმბინჯემ შესცვალა კაპიტალისტურ ქვეყნებში ის მწერლობა, რომლის წარმომადგენლნი ტყვენ წინათ ბაღვაკი, დიკენსი, მარკ ტვენი და სხვ.

## ვენეციის შემდეგ

სამი კვირა დევყავით ვენეციაში და ამ ხნის განმავლობაში დაწვრილებით გავეცანიტ ყველაფერს, რაც კი ყურადღების ღირსი იყო. უდიდესი ინტერესი გამოიწვია ჩვენში მუზეუმებმა, სადაც თავმოყრილია ტიციანის, ტინტორეტოს, ვერონეზის და სხვა სახელგანთქმულ იტალიელ მხატვართა სურათები.

მრავალმხრივ საინტერესო იყო ვენეცია, მაგრამ მაინც არ გაგვიყოლია სინანული, რომ ვტოვებდით მას. განსაკუთრებით გვიხაროდა ის, რომ ვშორდებოდით ფესტივალის მონაწილე ამერიკელებს და მათ დამქაშებს, რომელნიც ვერაფრით ვერ შერიგებოდნენ ჩვენს ბრწყინვალე გამარჯვებას და გაბრაზებულნი ჩვენზე ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ.

აქ სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ ერთი მოვლენა, რომელსაც თვით იტალიელებმა მიაქციეს ყურადღება და რაც დამაზანიათებელია გათავხედებულ ამერიკელ კაპიტალისტების წარმომადგენელთათვის: ამერიკელებს ვენეციაში ისე ეპირათ თავი, თითქოს

აქურობის ბატონ-ბატონები ყოფილიყვნენ, თითქოს დამონებულ ქალაქში იმყოფებოდნენ. უმრავლესობა მათგანი პირველად იყო ვენეციაში და ერთხელაც არავინ დაინტერესებულა თავისი თვლით ენახა მსოფლიოში განთქმული მხატვართა სურათები. თავისუფალ საათებში ამერიკელები მხოლოდ იმითი „წყალობდნენ“ ქალაქს, რომ კაფედან კაფეში გადადიოდნენ, ან და მცირე ხნით გონდოლით გაისეირნებდნენ, რომ შემდეგ ისევ რომელიმე კაფეში დაბრუნებულყვნენ.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ანეკდოტური ამბავი, რომელზედაც დიმიტრი ლაპარაკობენ ზოლმე ვენეციის მკვიდრნი: ომის დროს ვენეციაში მოხვდა ერთი ამერიკელი სალდათი. მან დაიარა ქალაქი და შემდეგ ასეთი წერილი გაუგზავნა მშობლებს.

— დიდხანია ვნატრობდი შენახა ვენეცია და ბედნიერი ვარ, რომ ოცნება შემისრულდა. ვენეციაში ვარ და აქედან გწერთ. მაგრამ რა უღიბლო აღმოჩნდი! ერთი თვეა ამ ქალაქში ვარ და მთელი ამ ხნის განმავლობაში საოცარი წყალდიდობაა. როგორც სჩანს ადიდებული მდინარე შემოჭრილა, ქალაქის ქუჩები ერთიანად წყლითაა დაფარული...”

სასაცილოა ეს რეგენი ჯარისკაცი, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, ის მაინც უფრო კეთილშობილი სჩანს კინო-ფესტივალის მონაწილე ამერიკელებთან შედარებით. ის ცნობისმოყვარე მაინც ყოფილა, ქალაქი მაინც დაუვლია და უნახავს.

ვენეციიდან მილანში გავემგზავრეთ. მილანი საკმაოდ დიდი ქალაქია. რა თქმა უნდა ვინახულეთ მისი ცნობილი ძეგლებური ტაძარი. იგი მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გრანდიოზულობით. მეტად საინტერესო სანახავია ის აგრეთვე შიგნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარკმელებში ჩასმულ ფერადი შუშებიდან

შემოსული სინათლე, რომელიც განსაკვირებელ განათებას ქმნის.

მილანის ტაძრის სანახევროს მადონას ოქროს ქანდაკება. ერთმა მდიდარმა ამერიკელმა მოგზაურმა მოისურვა მისი ყიდვა.

— ჩემს ოთახში უნდა დავდგაო! — ეთქვა.

ამერიკელი მილიონერი ისეთ დიდ თანხას იძლეოდა, რომ იტალიის მთავრობა დაეხარბა მას და დასვა საკითხი ქანდაკების გაყიდვის შესახებ. წმიდა მადონა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ქასოებით შეპყურებდნენ მორწმუნენი, კინაღამ გადასახლდა ამერიკაში. მისი წმიდანობა უძლური აღმოჩნდა დოლარების წინაშე. თითქმის გადაწყვეტილი იყო ქანდაკების გაყიდვის საკითხი, როცა ამ საქმეში ჩაერივნენ და პროტესტის ხმა აღიმალეს იტალიელმა მოქანდაკეებმა, მხატვრებმა და ინტელიგენციის წაწილმა, რომელმაც თავნებ ამერიკელ მილიონერის მოქმედება ერის შეურაცხყოფად აღიარა. დიდი დავიდანობის შემდეგ, როგორც იქნა, გადააჩინეს მადონა ოკეანეს გზით შორეულ ამერიკაში გამგზავრებისგან.

მილანში ვნახე ლეონარდო და-ვინჩის „საიდუმლო სერობა“, მაგრამ ნეტავ არ შენახა! ვული მეტყინა, რომ ეს დიდებული მხატვრობა ასე უყურადღებოდ და მიტოვებული. სურათს არ უვლიან, დრო თანდათან შეუბრალებლად აფუჭებს, და თუ ასეთი მდგომარეობა, გაგრძელდა მალე მისგან აღარაფერი დარჩება.

ერთი დღე დაეყავით მილანში და შემდეგ მანქანით რომისკენ გავემგზავრეთ. გზა შუტრად ლამაზი იყო. გადავიარეთ მთები, დავერეთ მრავალი მთის მდინარე. ამ ადგილებმა საქართველო მომაგონა. საერთოდ იტალია ძალიან გავს ჩვენს ქვეყანას. ზსევე ხბლავს თვალს მისი ბუნების სილამაზე, როგორც საქართველოსი. განსხვავება

მხოლოდ ისაა, რომ იტალიის მხოლოდ ზოგიერთი რაიონია ლამაზი და ბუნებით მდიდარი, ჩვენი ქვეყანა კი, თქვენც დამეთანხმებით, საერთოდ მდიდარია ბუნებით. მეტად კოლორიტულია და მრავალფეროვანი. მე ვნახე იტალიის სახელგანთქმული ალპები, მაგრამ რა შედარებაა ჩვენს გრანდიოზულ კავკასიონთან! ჩემო საყვარელო სამშობლო, როდენი უპირატესობა გაქვს შენ იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელნიც გაზღაპრებულია სხვადასხვა მოგზაურთა და კალმოსანთა წყალობით! რამდენად უფრო წარმტაცია შენი ბუნება, რამდენად უფრო კეთილშობილი და რაინდულია შენი ხალხი!

ძალიან მიგვეჩქარება რომისკენ. იმ დღეს, საღამოს ექვს საათზე, მთელს იტალიაში დემონსტრაცია ტარდებოდა.

გზაზე ერთ სოფელში შევჩერდით. გარშემო ვენახები იყო. ვახეზს მწიფე მტევნები ესხა. მოგვენატრა ყურძენი და შავებში ჩაცმულ ერთ გლეხის ქალს ვთხოვეთ გაეყიდა ყურძენი.

— ოი, არა, არ შემიძლია! — სთქვა მან — ვენახი მემამულეს ეკუთვნის და თუ არ დავეკითხე, მარცვალსაც ვერ მოწვევებ!

გული დაგვწყდა, მაგრამ რა უნდა გვექნა. ის იყო წასვლას ვაპირებდით, როცა დედაკაცმა ჩვენი ვინაობა იკითხა. გაიგო თუ არა ვინც ვიყავით მის სახეზე უეცრად გაცემა აღიბეჭდა და შემდეგ ხალისიანად შესძახა:

— რუსეთიდან ხართ? დაიცადეთ, არ წახვიდეთ!

შეტრიალდა, შევიდა ვენახში და რამდენიმე წუთის შემდეგ კალთით მოგვიტანა ყურძნის მტევნები.

— მიირთვიო, მიირთვიო! — შემოგვთავაზა მან.

დედაკაცის სახეს ღიმილი არ შორდებოდა, საოცარი ხალისით, სიხარულით შემოგვცქეროდა.

როცა ფული შეეთავზეთ, მან წყენით გვითხრა:

— არა, რას ამბობთ! — თქვენს ფულს როგორ გამოგართმევთ!

მადლობა გადაუხადეთ, დავემშვიდობეთ.

— ვივა, რუსა! — შემოგვძახა მან, როცა ჩვენი მანქანა დაიძრა.

ის კიდეც დიდხანს იღვა გზისპირად, იცქირებოდა ჩვენსკენ და ხანდახან ხელებს გვიქნევდა.

სამუდამოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში ეს შავებში ჩაცმული, გამხდარი იტალიელი დედაკაცი, რომელსაც ასე ძლიერად გაუხარდა საბჭოთა ქვეყნის ადამიანთა დანახვა.

უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი შემთხვევა პირველი არ ყოფილა. ქუჩაში, მაღაზიებში, ყველგან, სადაც კი ეგრედწოდებული მდაბიო ხალხი გაიგებდა თუ არა ვინ ვიყავით, ხმამაღლა მოგვესალმებოდა და ხელს გვიწვდიდა ჩამოსართმევად. ერთმა ოქრომქედელმა იტალიელმა, რომლის პატარა სახელოსნოში შევედი რალაც ნიეთის შესაკეთებლად, არასგზით არ აიღო ჩემგან ფული, როცა გაიგო, რომ ქართველი ვიყავი.

— ატარეთ ჩემგან იტალიელისგან სახსოვრად! — ხალისიანად მითხრა.

გაეიარეთ ქალაქი ბოლონია. ქუჩებში უამრავი ხალხი იყო გამოფენილი ახლოვდებოდა დემონსტრაციის დაწყების საათი და ყველანი ემზადებოდნენ.

ქალაქ სენინაში შევედით ზუსტად ექვს საათზე. მთავარი მოედანი და ქუჩები ხალხით სავსე იყო. დემონსტრანტებს დაჰქონდათ პლაკატები ლოზუნგებით:

— ძირს დე-გასპერი! პური და მიწა! სამუშაო დღის საათების შემცირება! ბავშვთა შრომის დაცვა!

დემონსტრანტებს დაჰქონდათ უზარმაზარი საღრჩობელა, რომელზედაც ფეხებით დაკიდებული იყო დე-გასპერის სურათი.



ლამის გათევა ფლორენციაში მოგვიხდა. ამ ქალაქმა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. ქალაქი წარმოადგენს ბუნებისა და იშვიათი არქიტექტურის საოცარ შერწყმას. განსაცვიფრებელია ძველებური ხიდები; შენობები და ქუჩები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს თქვენ შორეულ წარსულში გადაგისროლეს. ამ ხიდებზე, ქუჩებზე დადიოდა ოდესღაც ქალაქის მარადი მშენება და სიამაყე დიდი პოეტი დანტე. დაუფიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე მიქელანჯელოს „დავითმა“. უცქერით ამ შესანიშნავ ქანდაკებას, რომელიც უბრალოდ სდგას დე-ლა-სინიორას მოედანზე და გეჩვენებათ, თითქოს ცოცხალი არსება გაჩერებულა და ამართულა ხალხში. სამუდამოდ მესხიერებაში რჩება აგრეთვე მედიჩების სასახლე, რომლის დარბაზებში დაცულია რაფაელის, ლეონარდო და-ვინჩის და სხვა დიდ იტალიელ მხატვართა ქმნილებანი.

რომში მხოლოდ მესამე დღეს ჩავედით. ნაცნობებმა გვიამბეს, თუ როგორ ჩატარებულიყო იქ დემონსტრაცია.

— ო, ეს მეტად გრანდიოზული სახანაობა იყო! ხალხმა აშკარად გამოსთქვა თავისი გულსინადები! — მღელვარებით და თან კმაყოფილებით გვეუბნებოდა ერთი იტალიელი კინო-მსახიობი.

რომში დემონსტრანტები ყვირით და მუქარით გაემართნენ დე-გასპერის სახლისკენ. აქაც მათ მიჰქონდათ საღრჩობელა, რომელზედაც ისევ დე-გასპერის სურათი ეკიდა. ეს საღრჩობელა დემონსტრანტებმა რამდენიმეჯერ აატარეს და ჩაატარეს მისი სახლის წინ. ხალხმა არც „უწმიდესი“ პაპი დაინდო: პაპის გამოხატულება დიდ ჯვარზე ყო-  
9 „მნათობი“ № 6.

ფილიყო გაკრული, ხოლო უკან მოსდევდა ვირზე შემჯდარი ვილაც „წმიდანი“, რომელიც ფულს თხოვდა ხალხს.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით რომის ისტორიულ ძეგლთა აღწერაზე, ვაგვიხარებთ მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც უნებურად განიცდის ყველა ქალაქის დათვალიერებისას: ძველი და ახალი, თანამედროვე რომი პირველ შეხედვისთანავე მკაფიოდ განიჩევიან ერთმანეთისაგან უმთავრესად იმითი, რომ ძველი ყურადღებას იქცევს თავისი გემოვნებითა და გრანდიოზულობით, ხოლო თანამედროვე შენობები, ქუჩებში დადგმული და დარბაზებში გამოფენილი ქანდაკებანი და მხატვრობა გაოცებთ თავისი უნიკობით და მდარე ხარისხით. როგორც ცოცხალი მხილება კაპიტალისტური და მუსოლინის დროინდელი იტალიის დაკნინებისა სდგას მთელი თავისი გრანდიოზულობით ძველი ფორუმისა და კოლიზეის ნანგრევები.

კოლიზეის მოგონებისას არ შემიძლია არ გავიხსენო ისევ იმ ამერიკელი სალდათის ანეკდოტური ამბავი. უკანასკნელს თურმე დაეთვალა ირებინა კოლიზეი და თავისი შთაბეჭდილება შემდეგნაირად გამოეთქვა მშობლებსა დამი ამერიკაში გაგზავნილ წერილში:

„დღეს ვნახე ნანგრევები ერთი შენობისა, რომელსაც იტალიელები კოლიზეის უწოდებენ. როგორც სწანს დიდი შენობა ყოფილა, მაგრამ დახე ჩვენი ავიაციის ძალას — ნანგრევებად უქცევია. კოლიზეის ახლო-მახლო კვარტალებიც გაუნადგურებია ჩვენს ყუმბარებს. იმ ადგილზე, რომელსაც ფორუმს უწოდებენ, დარჩენილა მხოლოდ ქვის სვეტები, სხვა არაფერი. ყოჩაღ, ჩვენო მფრინავებო! ბარაქალა, კარგად უმუშავინათ!“

## სამხრეთ იტალიაში

დელეგაციის წევრებმა თითქმის მთელი იტალია დაეიარეთ და მრავალი რამ ვინახულეთ. ამ მხრივ დიდი დახმარება გაგვიწია და შეგვიწყობ ხელი ჩვენმა საელჩომ იტალიაში.

საელჩოს თანამშრომელთა დახმარებითა და თანხლებით ვეწვიეთ სამხრეთ იტალიასაც.

შუადღე იყო, როცა ნეაპოლში მივედით. შორიდანვე მოგვხიბლა ქალაქისა და მისი გარემოს სილამაზემ. მშვიდი, ლურჯი ზღვა, საოცრად ლურჯი ცა, ტერასებით ამშენებული ქალაქი, დიდი ნაენადგური, ზღვის უბე, რომლის ფონზე ამართულა ცეცხლისმფრქვეველი ვეზუვი.

მთელი დღის განმავლობაში შეუწყვეტელი ფუსფუსია ქალაქში. ხმაური გვიანი ღამემდე არ სწყდება. ელექტრონით გაჩაღებულ ქუჩებში დადიან ახალგაზრდები გიტარით და მანდოლინით ხელში, ისმის სიმღერა, ხმამაღალი ლაპარაკი. კაფეები სავსეა ხალხით. მაგრამ ვინაა ეს ხალხი, რომელიც კაფეებში დროს ატარებს და იღვინს? უცხოელები, ისევ და ისევ უცხოელი ტურისტები!

გაიარეთ ქალაქის ცენტრი, ეწვიეთ თითქმის იქვე მიმყოფ მის ქუჩებსა და ჩიხებს და ფეშენებულ სასტუმროები-სა და მდიდრულად მორთულ კაფეების გვერდით თქვენ ნახავთ შემზარავ სურათს; ესაა არა შენიღბული, არამედ ნამდვილი ნეაპოლი — რა საოცარი, რა გულისმომკვლელი ნიღბაქვე! უცქვრით ამას და გიკვირთ, — ასეთ პირობებში როგორ ცხოვრობენ ადამიანები?

ნეაპოლში იმდენი მათხოვარია, რამდენიც არსად დედამიწის ზურგზე. ფარდულებს, რომლებშიაც შეხიზნულან ღატაკნი, არც კარი აქვს, არც ფანჯარა. კარგი პატრონი იქ პირუტყვ-

საც არ მოათავსებს. რაზედღე დასწავლულ, ძონძებში გაჩვეულ ბავშვებს ქუჩისპირად დასტუმრებულნი უნდა იყვნენ, სასთუმლოთ ქვა დაუდევთ და ჰძინავეთ. იქვე დაყრილია ნეხვი ათასგვარი სიბინძურე, ჰერი მოწამლულია. იმავე ქუჩებში ნახავთ აგრეთვე პლაკატებს, რომელნიც გაუკრავთ სახლის კედლებსა და დობებზე. რომელიღაც უჩინარ მხატვარს დაუხატავს მთავრობის წევრები და თითოეულ პორტრეტის ქვეშ მოუთავსებია წარწერა, სადაც მთელ თავის გულის წყრომას გამოსთქვამს და პირდაპირ უშვერი სიტყვებით ახასიათებს ყოველ მათგანს. ადამიანები, რომელნიც სასოწარკვეთილებამდე არიან მისულნი, არაფერს ერიდებიან, არაფრის შიში არ აქვთ. ან რისი შიში უნდა ექნეთ? იმაზე მეტი საშინელი რაღა იქნება, რასაც მათი ცხოვრება წარმოადგენს?

მოშივებულნი კაფეში შევედით. აქ ჩვენთან მოვიდა შვიდი წლის ბიჭუნა, თითქმის ტიტველი, საოცრად მკრთალი, ავადმყოფი და მოწყალე ითხოვა. მალე გამოვედით კაფედან, ქუჩის ბოლოში დავეწვიეთ იმავე ბავშვს და დაეინახეთ: ეილაც დედაკაცმა ჩამოართვა მას მათხოვრობით აღებული ფული და დაავალა — კიდევ წადი და იმათხოვე. უმუშევრობა, ქურდობა, მკვლელობა, თვითმკვლელობა, ჩვეულებრივი მოვლენაა ამ ქალაქში. რა მომხიბლავია მისი სილამაზე, როცა ზღვიდან უცქვრით და რა საშინელია როცა მის სინამდვილეს გაეცნობით!

სორენტოში და კაპრიზე ვავემგზავრეთ განსაკუთრებულად იმისათვის, რომ გვენახა სახლი და ავარაკი, სადაც ჩვენი საყვარელი დიდი მწერალი მაქსიმ გორკი ცხოვრობდა. სორენტოში ის სახლი ეილაც ქალს ეკუთვნის. ეთხოვეთ ნება მოეცა დაგვეთვალიერებინა ოთახები, მაგრამ სახლის პატრონმა რატომღაც შიგ არ შეგვიშვა. საბ-

ყოთა მთავრობას თავის დროზე უნდოდა ამ სახლის ყიდვა, მაგრამ მისი პატრონი არ დათანხმებულიყო.

მეორე დილით, გათენებისას, დაეტოვებოდა ნეაპოლი და საფრანგეთში მიმავალ მატარებლით გავემგზავრეთ.

დაღამებული იყო, როცა შვეიცარიის საზღვრებს გაუარა ჩვენმა მატარებელმა. მთელი დღის განმავლობაში, სანამ იტალიის ტერიტორიაზე ვიყავით, ძალზე ცხელდა. ახლა კი, დაღამებისას, საგრძნობლად სციოდა. მატარებელი საოცარი სისწრაფით მიჭროდა. მთვარის სინათლეზე ვხედავდი მთებს, თოვლიან მწვერვალებს, ტბებს. ხშირად გვზვდებოდა გვირაბები. დიდხანს ვიდექი ფანჯარასთან და გავყურებდი აქამდე უნახავ ქვეყანას. ჩაფუქროლეთ მთვარით განათებულ შვეიცარიას... დაღლილს შეუმჩნევლად ჩამძინებოდა.

### პარიზში

— „მე ვისურვებდრ მეცხოვრა და მომკვდარიყავ პარიზში, რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე ისეთი ქალაქი, როგორც მოსკოვია!“

ეს სიტყვები ვლადიმერ მაიაკოვსკის ეკუთვნის.

ამ სიტყვებს დამატება არ სჭირდება. ჩვენ ბედი გვეწია—პარიზში შემოდგომაზე მოვხვდით. ეს დრო ყველაზე უფრო წარმატება აქ.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ქალაქის არქიტექტურა, მისი ბალები, მოედნები, სანაპიროები. მდიდარია პარიზი თავისი მუზეუმებით.

თეატრ „კომედი ფრანსეზში“ ვნახეთ მოლიერის პიესები „ტარტიფი“ და „სკაპენის ცულლუტობა“. მარინის თეატრში განსაკუთრებით მოგვეწონა მსახიობი ბარო, რომელიც ასრულებს პამლეტისა და სირანო დე ბერჟერაკის როლებს. სპექტაკლის გაფორმებას, დეკორაციებს ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც საფრანგეთში, ისე იტა-

ლიაში რეჟისორების ყურადღების მთავარ ცენტრშია თითონ მსახიობი მსახიობის თამაში. რა თქმა უნდა ეს კარგია, მაგრამ რატომაა, რომ თეატრში ყოფნისას მაინც თან გახლავს იმის გრძნობა, რომ ხელოვნება აქ მაინც მეორე პლანზეა, ხოლო კომერცია მთავარ როლს ასრულებს?

„კომედი ფრანსეზში“ სპექტაკლი მიმდინარეობს უანტრაქტოდ, ეს გარემოება როგორღაც აქარწყლებს სადღესასწაულო, საზეიმო ელფერს, რომელსაც მაყურებელი უნდა განიცდიდეს თეატრში. სამაგიეროდ წარმატებაშია თეატრის კომერციული მხარე — აღმინისტრაციას საშუალება აქვს ერთი საღამოს განმავლობაში ორი პიესა დასდგას და ამით ხალხი მიიზიდოს. მოლიერის გენიას, ასე ვთქვათ, მაინც გააქვს თავისი და მაყურებელს ნამდვილ სიამოვნებას განაცდევინებს, მაგრამ ამის შემდეგ ნახათ ისევ სარტრის და მისი ეპიგონების კომმარულ პიესებს და გაკვირვება გიპყრობთ—როგორ არსებობს მოლიერის გვერდით ეს საშინელი გადაგვარება და დაცემულობა?

საფრანგეთის ბურჟუაზიის დეკადანსი, მისი გაბრწნა და სულიერი სიცალიერე კიდევ უფრო მკაფიოდ შეღავნდება, •კიდევ უფრო ცხადი ხდება თქვენთვის, როცა თანამედროვე ხელოვნებას—ფერწერას და სკულპტურას—ეცნობით. ლუერისა და როდენის მუზეუმის შემდეგ შემთხვევა მქონდა მენახა თანამედროვე მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა. გაოცებული დავდიოდი დიდ დარბაზებში. ეს იყო არა ხელოვნების ნაწარმოებთა, არამედ აზრის სილატაკის გამოფენა. ერთ დარბაზში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე იდგა სკულპტურა, რომელსაც ძუძუ და ორი თავი ჰქონდა. ვცდილობდი მიმხედარიყავ, გამეგო, თუ რა უნდა ყოფილიყო. რა აზრი ჩაესახა მასში მოქანდაკეს, მაგრამ ამაოდ. ასე-

ვე გაუგებარია და განსაცვიფრებელი დარბაზში გამოფენილი მეორე „ნაწარმოები“, რომელიც არც ფერწერას მიეკუთვნება და არც სკულპტურას: სდგას რაღაც ყუთი, ყუთზე მიკრულია ცალი თვალი, ხოლო უკან დადგმულია პალმა და ჩექმა წარწერით: „ჩემი მამის პორტრეტი“. ჭეშმარიტად კიდევ რაღაც შეეჭვსე თუ მეშვიდე გრძნობა უნდა ექნეს ადამიანს, რომ როგორმე ჩაწვდეს ზიზლისმოგვრელ ამ თანამედროვე „ხელოვნებას“. გახრწნა, ბოდვა და ფსიქიური წონასწორობის დარღვევა ხომ არ ეწოდება ამ შეეჭვსე თუ მეშვიდე გრძნობას?

საფრანგეთის კინო-წარმოება ამერიკელთა ხელშია. ფრანგების კინო-ატელები ამერიკელებმა შეისყიდეს. როგორც კი გამოჩნდება რომელიმე ახალგაზრდა ნიჭიერი ფრანგი არტისტი, მასთან უშუალოდ ხელშეკრულებას სდებენ, საგრძნობ თანხას აძლევენ და ამერიკაში გზავნიან. მაგრამ აქ ისინი არამც თუ ვითარდებიან როგორც მსახიობები, არამედ სრულიად უქმად არიან რადგან სამუშაოს აღარ აძლევენ. პირდაპირ ავიაკურად მოექცევენ ამერიკელები საფრანგეთის ძველ ცნობილ რეჟისორებსაც. გაიტყუეს ისინი ამერიკაში, შემდეგ კი უსაქმოდ დასტოვეს. კონტრაქტის დარღვევის შიში გამოციდელ ხელოვნებს სხვა ქვეყანაში წასვლის და მუშაობის საშუალებას უსპობს და ისინი იძულებული ხდებიან უფლებებო მონებად დარჩენ უცხო ქვეყანაში.

ჩვენ მართალია არ ვიჭნებოდით, რომ თანამედროვე ბურჟუაზიის ხელოვნება საფრანგეთის ხალხის მისწრაფებისა და სულის გამომხატველად მიგვეჩნია.

არსებობს მეორე საფრანგეთი — საფრანგეთი მშრომელთა. საფრანგეთი მებრძოლთა.

სექტემბრის ექვსში დანიშნული იყო მიტინგი, სადაც სიტყვით უნდა გამო-

სულიყო დე-გოლი. მიტინგის საპროტესტოდ წინა დღით დაიწყო ცალკეული გაფიცვები. მიტინგი უნდა დაწყებულიყო შუადღისას. ექვს სექტემბერს დილიდან გაფიცვა გამოაცხადა მეტრომ. ამას მოჰყვა ტრამვაის, ტროლეიბუსის, ავტობუსისა და ტაქსის მუშების გაფიცვა. მთელ ქალაქში შეჩერდა მოძრაობა. საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს პარიზში, ხალხით სავსე მძის ქუჩები და მოედნები. რა ცხადად იგრძნობდა ის შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც აქ ორ სამყაროს შორის სწარმოებდა!

ბუნებრივი იყო, რომ ასეთ გრანდიოზულ საპროტესტო გაფიცვას გამოხმაურებოდნენ გაზეთები, მემარჯვენე გაზეთები შეეცადნენ შეენელებათ გაფიცვებით გამოწვეული შთაბეჭდილება. ბურჟუაზიის მიერ დაჭირავებული კალმოსნები იმით შეეცადნენ საზოგადოებრივი აზრის მიძინებას, რომ ისევ ასტეხეს ხმაური ერთ „დიდ პრობლემაზე“, რომლის გარშემო „დისკუსია თითქმის სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

საფრანგეთში, და საერთოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კრიზისია, უმუშევრობა, ეცემა ფულის ფასი, საწვავის დიდი ნაკლებობა და ამ დროს რაზე სწერენ და დაობენ ბურჟუაზიული კალმოსნები?

ეს თავსატეხი „პრობლემა“ გახლავთ — მოდა.

საფრანგეთში განიზრახეს შემოიღონ ასეთი ახალი მოდა: ქალებმა უნდა ატარონ კაბა, რომელსაც მუხლს ქვევით თვრამეტი სანტიმეტრის სიგრძე ექნება. ამერიკაში პროტესტს აცხადებენ ამაზე და მოითხოვენ, რომ კაბის სიგრძე მუხლს ქვევით მხოლოდ თუთხმეტრ სანტიმეტრი იქნეს. ამ „დისკუსიაში“ ჩაბმული არიან ყურნალისტები, ხელოვნების მუშაკები და სახელმწიფო მოღვაწენიც.

ერთი შეხედვით სასაცილო და უაზრო ამბავია, მაგრამ ამას თავისი აზრი და შინაარსი აქვს: საფრანგეთს ქსოვილები დაუგროვდა და ცდილობს მეტი მატერია გაასაღოს, ხოლო ამერიკა შუშისაგან ამზადებს ქალის წინდებს „ნიელონს“ და ვინღა იყიდის მას, თუ ფეხი დაფარული იქნება?

ნიშანდობლივია, რომ სწორედ დეგოლის წინააღმდეგ საპროტესტო გაფიცვის მეორე დღიდან უფრო მწვავე ფორმებში განაახლეს დისკუსია ახალი მოდის გარშემო.

არ ვიცი ვისი მღელვარების დაშოშმინებას ცდილობდნენ ამით, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მათი ცდა უნაყოფო იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში ქუჩებში, კაფეში, თეატრებში, ყველგან ხალხი მღელვარებით ლაპარაკობდა ექვსი სექტემბრის ამბავზე.

ჩვენი დღეგაგაცის დაბრუნების დრო მოვიდა და ჩვენც სიხარულით გამოვემგზავრეთ სამშობლოსკენ.

მრავალი შთაბეჭდილებით სავსენი ვბრუნდებოდით და ამასთანავე ვგრძნობდით სიამაყეს, რომ ვიყავით დიდი სამშობლოს შვილები, რომ საბჭოთა ქვეყნის ხელოვნება ევროპისა და ამუკის ხელოვნებასთან შედარებით თვალუწვდენ სიმაღლეზე სდგას.

რამდენადაც უფრო მაღალია ჩვენი ხელოვნება, იმდენად მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ ხელოვნების მუშაეებს. უკეთესად უნდა ვიმუშაოთ მეტი სურათი უნდა გამოვუშვათ ეკრანზე. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კინო და საერთოდ საბჭოთა ხელოვნება ყველაზე პროგრესიული და ჰუმანიურია, რომ მსოფლიოს მშრომელნი უდიდესი ინტერესით გადადევნებენ თვალყურს, ჩვენგან მოელიან ახალ სიტყვას, ჩვენი იმედით არიან.

საბჭოთა ხელოვნებამ თავისი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი ქვეყნის აყვავების საქმეში — ესაა მისი უმთავრესი და უწმიდესი მოვალეობა.

3. პენაგუნილი

დიდი რევოლუციონერი დემოკრატი და კრივიკოსი  
ბ. ბ. ბელინსკი



I.

კომუნისტური პარტიის ბელადებმა და ხელმძღვანელებმა, ჩვენმა სოციალისტურმა საზოგადოებამ დიდ რუს კრიტიკოსს ბესარიონ გრიგოლისძე ბელინსკის საპატიო ადგილი მიუჩინეს ძველი რუსეთის ცხოვრების პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიური განახლებისათვის მებრძოლთა რიგებში.

ლენინი ცნობილ ნაშრომში „რა ვაკეთოთ“ სწერდა:

„მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლიან მხოლოდ პარტიას, რომელსაც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორია. ხოლო რაოდენამდე შაინც კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ, აუ ეს რას ნიშნავს, დაე მკითხველმა გაიხსენოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი, როგორც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა“...

სხვა ადგილას, 1914 წელს დაწერილ წერილში, „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიიდან“ ლენინი გვეუბნება:

„ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობიდან რაზნოჩინცების მიერ თა-

ვად-აზნაურთა სრული გაძევების წინამორბედი, ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის დროს, ბ. ბ. ბელინსკი იყო. ბელინსკის განთქმული, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შემაჯამებელი „წერილი გოგოლისადმი“ ცენზურა-გაუფლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენდა იმ ნაწარმოებთაგან, რომლებმაც დღევანდლამდე უდიდესი ცხოველყოფელი მნიშვნელობა შეინარჩუნეს“.

საბჭოთა კავშირის განსაცდელის ეამს, როდესაც ფაშისტთა ურდოების უკუსაქცევად საჭირო გახდა ჩვენი ხალხის მთელი სულიერი და ფიზიკური ძალღონის მოკრება, ამხანაგმა სტალინმა 1941 წლის ნოემბრის დაუვიწყარ ისტორიულ მოხსენებაში დაგვანახვა გერმანელ ფაშისტთა პარტიის ლიდერებისა და მათი სარდლობის შავბნელი ზრახვა მთელი საბჭოთა ხალხისა და კერძოდ რუსი ხალხის მიმართ, ისტორიის მკაცრი განაჩენი გამოუტანა მათ და დასძინა:

„ამ ადამიანებს, რომლებსაც სინიღისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსაპოვისაკენ, პლებანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკი-



ნისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურვიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ“...

ამხანაგი ედანოვი ეურნალების „წვეზდასი“ და „ლენინგრადის“ შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში არაერთხელ უწოდებს ბელინსკის რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის დიდ წარმომადგენელს და ამბობს:

„საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიცია XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს განაგრძობს, იმ ტრადიციებს, რომლებიც შექმნეს ჩვენმა დიდმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ბელინსკიმ, დობროლუბოვმა, ჩერნიშევსკიმ, სალტიკოვ-შჩედრინმა, ვანაგრაძო პლეხანოვმა და მეცნიერულად დამუშავეს და დაასაბუთეს ლენინმა და სტალინმა“.

ასე დიდად და საბატიოდ აფასებდნენ ბელინსკის კომუნისტური პარტიის ბელადები და ხელმძღვანელები.

გერცენი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი, ჩერნიშევსკი და მომდევნო წლების პროგრესულად და რევოლუციურად მოაზროვნე სხვა ცნობილი მწერლები და პოლიტიკური მოღვაწენი უდიდეს როლს აკეთებდნენ ბელინსკის რუსეთის ლიტერატურისა და დემოკრატიულ-რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. ბევრი მათგანი თავის და თავისი თაობის უშუალო მასწავლებლად მას სთვლიდა.

„რაც უნდა მოხდეს რუსულ ლიტერატურაში, ამბობს დობროლუბოვი, რაც უნდა ბრწყინვალედ განვითარდეს იგი, ბელინსკი მუდამ იქნება რუსული ლიტერატურის სიამაყე, მისი დიდება, მისი დამამშვენებელი. ბელინსკის გავლენას დღევანდლამდე ნათლად გვაგრძნობინებს ყველაფერი, რაც კი რამ მშვენიერი და კეთილშობილური

ჩნდება ჩვენში. დღევანდლამდე ყოველ ჩვენს საუკეთესო ლიტერატურულ მოღვაწეს შეგნებული აქვს, რამ თაობისი განვითარების თვალსაჩინო ნაწილი უშუალოდ ან არაუშუალოდ ბელინსკის მეოხებით შეუძენია... სხვადასხვა ელფერის ლიტერატურულ წრეებში ძნელად გამოიმჩნეება ხუთი-ექვსი გათახსირებული და სულდაბალი პიროვნება, რომელიც გაბედავს მისი სახელის უდიერად წარმოთქმას. რუსეთის ყველა კუთხეში არიან ადამიანები, რომლებიც ენთუზიამით გამსჭვალულან ამ გენიალური ადამიანის მიმართ, და, რა თქმა უნდა, ესენი რუსეთის საუკეთესო ადამიანებს წარმოადგენენ“. (იხ. დობროლუბოვის წერილი: „ბ. ბელინსკის თხზულებანი“).

ასეთი იყო დიდი მოაზროვნე რევოლუციონერისა და კრიტიკოსის დობროლუბოვის შეხედულება ბელინსკიზე.

ბესარიონ ბელინსკი დაიბადა ხელმოკლე მკურნალის ოჯახში 1817 წელს, გარდაიცვალა 1848 წელს.

მამასადამე, მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის შეგნებული ცხოვრება გაატარა ევროპის ეანდარმად წოდებულის ნიკოლოზ პირველის სულისშემხუთავი რეაქციული მეფობის დროს.

ბელინსკი ახალგაზრდობიდანვე უძლიერესი სიძულვილით გაიმსქვალა რეაქციის მიმართ.

მაგრამ ძნელია თქმა, ბელინსკის უფრო მეტად სძულდა რეაქცია, თუ რეაქციას ბელინსკი.

ახალგაზრდა ბელინსკის უნივერსიტეტის დამთავრებაც კი არ დააცალეს. შარი მოსდეს და სასწავლებლიდან გააძევეს.

მეფის ეანდარმები კვალდაკვალ დასდევდნენ დიდ კრიტიკოსს და ყოველ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ.

ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შემდეგ ცნობებს ვპოულობთ:

ოხრანკის ერთერთი აგენტი ეანდარმების შეფს სწერს:

„ბელინსკისა და მისი მიმდევრების თხზულებებში არის რაღაც მსგავსი კომუნისმისა; ახალი თაობა ამ პირთა ზეგავლენით შეიძლება სრულიად კომუნისტური გახდეს“.

ამ დაბეზლების საფუძველზე ეანდარმების შეფმა ბელინსკის მიმართ ჯეროვან ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვა.

რეაქციონერი ჟურნალისტი ბულგარინი ბელინსკისა და ჟურნალ „ოტჩინესტვენნიე ზაპისკის“ ასე აბეზლებს:

„ჟურნალმა „ოტჩინესტვენნიე ზაპისკიმ“, რომელიც ამჟამად და სრულიად დაუფარავად იბეჭდება კომუნისმისა, სოციალიზმისა და პანთეიზმის სულისკვეთებით, ისეთი ზეგავლენა მოახდინა რუსეთში, რომლის მსგავსს ჯერ არასოდეს არ მოვსწრებდით... უგუნური ახალგაზრდობა და უდიდესი კლასი იმ აღამიანებისა, რომლებიც დღითიდღე მრავლდებიან და რომლებსაც დასაყარგი არაფერი გააჩნიათ, მაგრამ თუ გადატრიალება მოხდება, ყველაფრის მიღების იმედი აქვთ, „ოტჩინესტვენნიე ზაპისკის“ სახარებად სთვლიან, ხოლო რედაქტორსა და მის პირველ მინისტრს ბელინსკის (გამოგდებულ მოსკოველ სტუდენტს) მოციქულებად“.

ბელინსკის დაპატიმრების აზრი ნიკოლაოზის მთავრობის წრეებში უკვე მწიფდებოდა.

„ტყუილად კი არ ეხუმრებოდაო, — სწერს გერცენი თავის მოგონებებში „Былое и думы“ — პეტრე-პაულეს ციხის კომენდანტი სკობელევი ბელინსკის:

— „რალას აგვიანებთ? როდის გვეწვევით? მე უკვე დაგიმზადეთ თბილი კაზემატი, შიგ არავის ვუშვებ, თქვენთვის ვინახავო“.

მაგრამ ბელინსკი მართო მეცხრამეტე საუკუნის რეაქციონერთა სიძულელის საგანი არ ყოფილა.

1909 წელს გამოვიდა წერილების კრებული „ვეხი“ ბერძნულენოვანი ბულგარეთის, გერმანოზონის, ~~სამხრეთის~~ და სხვათა მონაწილეობით. ლენინი ამ კრებულს „ლიბერალური რევოლუციის ენციკლოპედიას“ უწოდებს.

კრებული, აშბობს ლენინი „უდიდესი ნიშანსვეტია რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, ყველა მის მთავარ ამოცანასთან, ყველა მის ძირითად ტრადიციასთან რუსული კადეტისმისა და საერთოდ რუსული ლიბერალიზმის სრული გათიშვის გზაზე“.

რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ გაბოროტებული ავტორები შხამსა და ბალლამს ანთხევდნენ რევოლუციონერ დემოკრატებზე. მაღალფარდოვან ფრანგებს ამოუარებულმა რეაქციონერებმა ერთმანეთს თვალთმაქცურად დაუპირისპირეს ერთი მხრით, ჩაადაევი, ვლადიმერ სოლოვიოვი, დოსტოვესკი, მეორე მხრით ბელინსკი, დობროლუბოვი, ჩერნიშევსკი. განსაკუთრებით ნიშანში ამოიღეს ბელინსკი და გამოაცხადეს: „ჩვენი პუბლიცისტის ისტორია ბელინსკის შემდეგ... დაუსრულებელი კოშმარიაო“ (იხ. ლენინის წერილი „ვეხის“ შესახებ).

ასეთი იყო რეაქციონერთა ბანაკის დამოკიდებულება ბელინსკისადმი.

## II.

თანამედროვეებმა მას „მძვინვარე ბესარიონის“ სახელი დაუმკვიდრეს.

მართლაც, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ და პოლიტიკურ იდეათა ჯერ ძიებასა და შემდეგ დაცვაში დიდი კრიტიკოსი და მოაზროვნე მძვინვარე, შეურიგებელი, დაუცხრომელი მებრძოლი იყო.

პრინციპული ხასიათის დავაში მისთვის უცხო ცნებას შეადგენდა კომპრომისი, დათმობა, მიხვეულ-მოხვეუ-

ლი გზები. მთელი მისი ცხოვრება მეამბოხის გაათრებულ ამხედრებას წარმოადგენდა თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

დიდი დემოკრატის თანამედროვე პ. ვიაზემსკი ერთ თავის წერილში სწერდა:

ბელინსკი „ლიტერატურული მეამბოხეა, და რაკი ჩვენში ამბოხების მოსაწყობად მოედნებზე ადგილი არ არის, ამიტომ ჟურნალებში აწყობს ამბოხებასაო“.

„ბელინსკი ყველაზე მოქმედი, დიუცბრომელი, დიალექტიკურ-მგზნებარე ბუნების მებრძოლი ადამიანი არისო“, ამბობს გერცენი.

ის ვერ იტანდა ცბიერებას, სუსტთა და დაჩაგრულთა მოტყუებას, თვალის ახვევას.

ბელინსკი დიდ მარხვაში სადილაღ ეწვია ერთ ლიტერატორს—გეამბობს იგივე გერცენი „*Былое и думы*“-ს მეოთხე კარში.—მოიტანეს რამდენიმე სამარხეო კერძი.

— დიდი ხანია, —ჰკითხა ბელინსკიმ მასპინძელს, —ასეთი ღვთისმოსავი გახდითო?

— ჩვენ სამარხეოს ეჭამთ, —უპასუხა მასპინძელმა, —მხოლოდ და მხოლოდ მსახურების დასანახავად.

— მსახურებისაო? —სთქვა ბელინსკიმ და ვაფთხრდა. —მსახურებისა! — ვაიმეორა და წამოდგა. სად არიან თქვენნი მსახურები? მე მათ ვეტყვი, რომ ისინი მოტყუებული არიან; ყოველი ამკარა ბიწიერება უკეთესია და უფრო ადამიანური, ვიდრე ასე აბუჩად აგდება სუსტისა და გაუნათლებელისა, ვიდრე ასეთი თვალთმაქცობა... ერთ კალაპოტში უნდა მოგაქციონ თქვენცა და მთელი მეფეები, ხუცები და პლანტატორები! მშვილობით ბრძანდებოდეთ, სამარხეოს სხეების თვალის ასახვევად არა ეჭამ, მე მსახურები არა მყავს“.

ვაი იმას, ვინც ბელინსკის თანადსწრებით უდიერად მიჩნევენდა ხალხს, ხალხის ინტერესებისა და მებრძოლებს, ვინც ეცდებოდა ძალმომრეობის, სოციალური უსამართლობის, მდაბალთა ჩაგვრის, ადამიანის უფლებათა შელახვისა და შეზღუდვის, პოლიციური სახელმწიფოს რეჟიმისა და სამშობლოს დამცირების გამართლებას.

ფიზიკურად დასუსტებული და უკურნებელი სენით დაავადებული ბელინსკი წელში გასწორდებოდა, აღმართებოდა, გოლიათად გაიზრდებოდა. ცეცხლისმფრქვევი თვალებითა და რისხვით სავსე სიტყვებით — მესხავით თავს დაატყდებოდა კადნიერ მოპირდაპირეს, თავისი ძლიერი ლოგიკით, დიდი რწმენითა და ნებისყოფის სიმტკიცით წელში გასტეხდა, ხოლო მის არგუმენტაციას ნაცარმტერად აქცევდა.

მით უფრო საინტერესოა ფსიქოლოგიურად შედგარი და შეუპოვარი ბელინსკის არაჩვეულებრივი მორცხვობა და მორიდებულობა, ასე ვთქვათ, პირადს ყოფაცხოვრებაში, მეტადრე თუ უცნობს ან მრავალრიცხოვან საზოგადოებაში მოხვედებოდა.

გერცენი იქვე გეამბობს:

„ბელინსკი ხანდახან ოდოევსკის ბინაზე ჭგრეთწოდებულ ლიტერატურულ-დიპლომატიურ საღამოებს ესწრებოდა.

ერთი ასეთი საღამოს ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ სტუმრები წაიღწამოვიდნენ, მასპინძელმა უფრო ვიწრო წრე არ გაუშვა და დასტოვა. ბელინსკი უეჭველად წავიღოდა, მაგრამ ავეჯის ბარიკადა ხელს უშლიდა. ოთახის კუნჭულში სკამზე მოიბუხა. წინ პატარა მაგიდა ედგა წითელი ღვინის ბოთლითა და ქიქებით. პირდაპირ, ცოტა გეზად, ყუკოვსკი იჯდა. მას ფორმის თეთრი შარვალი ეცვა. ბელინსკი დიდხანს ითმენდა, მაგრამ თავის ბედს გაუმჯობესება რომ ვერ დაატყო, ჩუმჩუმად მაგიდას წაატანა ხე-

ლი და უკანუკან გააჩოჩა. მაგიდა ჯერ დაჰყვა ნებას, მერე შეტორტმანდა და ძირს ბრახვანი მოიღო... წითელმა ღვინომ ეუკოვსკის ტანისამოსი შხაპუნით მორწყო. ეუკოვსკი წამოხტა. თავისი თეთრი შარვალი წითელფრად შეღებოლი დაინახა... აქა-იქ ჭიქების ნამსხვრევები ეყარა... შეიქმნა ალიაქოთი. ბელინსკიმ დრო იხელთა და გაქრა“.

### III.

თავისი მოღვაწეობის პირველ ხანს ბელინსკი ფილოსოფიის საკითხებში იდეალისტურ შეხედულებათა დასაძლევად იბრძოდა.

გერმანელი იდეალისტებისაგან განსხვავებით, იგი ყურადღებას ამახვილებდა არა იმდენად ღვთაებრივს დროსგარე იდეაზე, რამდენადაც განვითარების დიალექტიკურ იდეაზე.

ბელინსკი ამტკიცებდა, რომ აბსოლუტურმა იდეამ და სამყარომ, როგორც მისმა გამოვლინებამ, არ იციან, თუ რა არის უძრავი სიმშვიდე. მათ ახასიათებს მარადი მოძრაობა, მუდმივი ცვალებადობა და ისტორიული განვითარება.

„მარადი იდეა მუდამ ცოცხლობს, ესე იგი მუდამ ჭკმნის, რათა დაანგრეოს, და მუდამ ანგრევს, რათა შეჭკმნას. მარად იდეას ანსახიერებენ ცხრათვალა მზე, უცხო სილამაზის პლანეტა, მოციალე კომეტა; მარადი იდეის სიცოცხლესა და სუნთქვას ამყვანებენ ზღვათა მღელვარე მოქცევა და უუქცევა, უღანბოთა მძვინვარე ქარიშხალიც ფოთოლთა შრიალიც, ნაკადულის ჩუხჩუხიც, ლომის ბრღლენივაც, ჩვილი ყრმის ცრემლიც, მშვენიერების ღიმილიც, ადამიანის ნებისყოფაც, გენიოსის მწყობრი აღნაგობის ქმნილებანიც; დროის ბორბალი თვალშეუსწრებელი სისწრაფით ბრუნავს, ცის დაუსრულებელი სივრცის ვაკეებზე მნათობნი ჰქრებიან, როგორც

გამოფიტული ვულკანები, და ახლები ენთებიან; დედამიწის გზაზე მოდგმანი და თაობანი მიდიან და ახლები სცვლიან; სიკვდილი სიცოცხლეს ანადგურებს, სიცოცხლე სიკვდილსა სპობს; ბუნების ძალნი ერთმანეთს ებრძვიან, მტრობენ, მათ ამშვიდებენ შუამავალი ძალები და ჰარმონია მეფობს ამ მარადს ორომტრიალში, დასაბამთა და ნიეთთა ბრძოლაში“.

დიდი რუსი მეაზროვნე თავიდანვე ებრძოდა იდეალისტების რეაქციულ კონცეფციას, რომლის მომარჯვებით, მაგ., ჰეგელმა, საზოგადოების განვითარების პროცესი შემოფარგლა პრუსიის კონსტიტუციური მონარქიით, ხოლო ფილოსოფიის ისტორია აბსოლუტურ-იდეალისტური სისტემით.

რთული და დაუცხრომელი ძიების შემდეგ ბელინსკი დგება ფილოსოფიური მატერიალიზმის პოზიციებზე.

რა ახასიათებს ფილოსოფიურ მატერიალიზმს იდეალისტური ფილოსოფიისაგან განსხვავებით?

I. სამყარო „აბსოლუტური იდეის“, „მსოფლიო სულის“, „ცნობიერების“ განსახიერება არისო, — გვეუბნებიან იდეალისტები.

სამყარო თავისი ბუნებით მატერიალიურია; სამყაროს მრავალფეროვანი მოვლენანი მოძრავი მატერიის მრავალსახეობანია; სამყარო ვითარდება მატერიის მოძრაობის კანონებით და მას არავითარი „მსოფლიო სული“ არ ესაჭიროება, — უპასუხებენ მატერიალისტები.

II. რეალურად არსებობს მხოლოდ ჩვენი ცნობიერება. მატერიალური სამყარო, ყოფიერება, ბუნება მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს შეგრძნობაში, ცნებაში არსებობს, — გვეუბნებიან იდეალისტები.

მატერია, ბუნება, ყოფიერება ობიექტური რეალობაა; იგი ცნობიერების გარეშე და ცნობიერების დამოუკიდებლად არსებობს; მატერია პირველად

დია, რადგან იგი შეგრძნობის, წარმოდგენის, ცნობიერების სათავეა; ცნობიერება მეორადია, წარმოებულია, რადგან იგი ანარეკლია მატერიისა, ანარეკლია ყოფიერებისა; აზროვნება პროდუქტია მატერიისა, რომელმაც თავისი განვითარებით უმაღლეს სრულქმნას მიაღწია; აზროვნება პროდუქტია ტვინისა, ხოლო ტვინი ორგანოა აზროვნებისა; ამიტომ შეუძლებელია აზროვნება მატერიის დავაშოროთ, — უპასუხებენ მატერიალისტები.

III. სამყაროსი და მისი კანონზომიერების შეცნობის შესაძლებლობა სადავოა; ადამიანის ცოდნა უტყუარი არ არის; ობიექტური ქვეშაირიტება არ არსებობს, სამყარო სავესეა „თავისთავადი ნივთებით“, რომლებსაც მეცნიერება ვერასოდეს ვერ შეიცნობს, — აცხადებენ იდეალისტები.

სამყარო და მისი კანონზომიერება სრულიად შესაცნობია; ცდით, პრაქტიკით შემოწმებული ჩვენი ცოდნა ბუნების კანონებისა — უტყუარი ცოდნაა; ამ ცოდნას ობიექტურ ქვეშაირიტებათა მნიშვნელობა აქვს; არ არსებობენ სამყაროში შეუცნობელი ნივთები; არსებობენ მხოლოდ ნივთები, რომლებიც ჯერ შეცნობილი არ არიან, მაგრამ მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალით გაგებულნი და შეცნობილი იქნებიან, უპასუხებენ მატერიალისტები. (დაწვრილებით იხ. ამხანაგ სტალინის ნაწარმოები: „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“).

ასეთია ძალიან მოკლედ ფილოსოფიური მატერიალიზმის მთავარი დებულებანი წინააღმდეგ იდეალისტური ფილოსოფიისა.

თავისი ფილოსოფიური აზრები ბელინსკის მწყობრ სისტემად არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ ეს აზრები ბლომად არის გაბნეული მის კრიტიკულ-პუბლიცისტურსა და აგრეთვე კერძო წერილებშიც.

დიდი მოაზროვნე ერთ წერილში ბოტკინს უზიარებს თავის შეხედულებას ოგიუსტ კონტის ფილანთროპიკაში.

„კონტი შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ, ცხადია, ახალი ფილოსოფიის შემქმნელი ვერ იქნება. საამისოდ გენია არის საჭირო, რისი ნასაბიცი კი კონტს არ გააჩნია.

ახალი ფილოსოფიის შემქმნელმა უნდა გაანთავისუფლოს მეცნიერება ტრანსცენდენტალიზმისა და თეოლოგიის ზმანებისაგან... ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოაშოროს გონებას ყოველივე ფანტასტიკური და მისტიკური“...

ბელინსკი ამტკიცებდა, რომ ადამიანის აზრი, გონება, გრძნობა მატერიალურია, ამქვეყნიური წარმოშობისა და არა საიდუმლო ძალთა ზეგავლენით მოვლენილი.

„ეშმაკსაც წაუღია მეტაფიზიკა: ეს სიტყვა ნიშნავს ზენატურალურს, მასადაამე, იგი უაზრობაა... ლოგიკა თავისი გზით უნდა მიდიოდეს, მაგრამ ერთ წუთსაც არ უნდა დაევიწყოთ, რომ მისი კვლევის საგანია ყვეელი, რომლის ფესვი მიწაშია, ესე იგი მისი საგანია სულიერი რამ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურის მოქმედებაა“.

„თქვენ, რა თქმა უნდა, მიმართავს ბელინსკი შეითხველს, ძალიან აფასებთ ადამიანის გრძნობას?

კეთილი! მაშ დაფასეთ ხორცის ნაჭერიც; იგი ჰფეთქავს ადამიანის მეგრდში; თქვენ მას გულს უწოდებთ და მისი შენელებული ან აჩქარებული ფეთქება ზედმიწევნით | შეესაბამება თქვენი სულის ყოველ მოძრაობას.

თქვენ, რა თქმა უნდა, დიდ პატივსაც სცემთ ადამიანის ჭკუას?

კეთილი! მაშ მოწიწებული გაცემით შეჩერდით ტვინის მასის წინაშე, სადაც სწარმოებს ყველა გონებრივი მოქმედება, საიდანაც ხერხეშლის გზით


 IV. ეროვნული  
 ბრძოლისთვის

მთელ ორგანიზმზე ვრცელდება ნერვების ძაფები, რომლებიც შეგროვობი-სა და გრძნობის ორგანოები არიან...

თუ ასე არ მოიქცევი, თქვენ ადამიანში გაგაოცებთ შედეგი, მიზეზს კი გვერდს აუქცევთ, ან უფრო უარესიც დაგეპარებათ, შესთხზავთ ბუნებაში არარსებულ მიზეზებს და ამას დასჯერდებით.

ფსიქოლოგია, რომელიც ფიზიოლოგიას არ ეყრდნობა, ისევე უძლურია, როგორც ფიზიოლოგია, რომელიც ანატომიის არსებობას არ იცნობს.

თანამედროვე მეცნიერება მიღწეულს არ სჯერდება: მას სურს ქიმიური ანალიზით მიაგნოს ბუნების საიდუმლო ლაბორატორიას, ხოლო ემბრიონის (ჩანასახის) დაკვირვებით ზნეობრივი განვითარების ფიზიკური პროცესი დაინახოს... (იხ. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურა 1846 წელს“).

ბელინსკის შეურიგებლობა ჰეგელისადმი უფროდაუფრო ღრმავდებოდა:

„მე დიდი ხანია ვფიქრობდი, სწერს იგი ბოტკინს, რომ ჰეგელის ფილოსოფია მხოლოდ მომენტია, თუმცა დიდი მომენტია, მაგრამ მისი შედეგების აბსოლუტობა არაფრის მაქნისია... სჯობია მოკვდეს კაცი, ვიდრე მას შეურიგდეს...“

ჰეგელმა ცხოვრების მოვლენები აჩრდილებად აქცია, რომლებიც გაძვალტყავებული ხელებით ერთმანეთს ჩასჭიდებიან და ჰაერში, სასაფლაოს თავზე, დაეღურს უელიან.

მე ძალიან დიდი მიზეზი მაქვს ჰეგელზე გაბრაზებისა...

კარგი რამ ყოფილა, თქვენმა მზემ, პრუსიის მთაერობა... რა ბევრი ჩინონია საჭირო — არამზადები არიან, კაცობრიობის ტირანები და სხვა არაფერი! პრუსიის მთაერობა თავისუფლებისა და გონების ჯალათების სამთა კავშირის წევრია, ესეც შენი ჰეგელი!“

დიდი რევოლუციონერი დემოკრატი სასტიკ ომს უცხადებს ანტისაზოგადობრივ ინდივიდუალიზმს.

იმავე ბოტკინს 1841 წელს სწერს:

„ერთხელ შენ მწერდი, ჩვენი მეგობრობა იმას გვაძლევს, რასაც საზოგადოება ვერასოდეს მოგვეცემდაო. უადრესად უსამართლო აზრია, აშკარად ყალბი შეხედულება!.. უსაზოგადოებოდ არც მეგობრობა არსებობს, არც სიყვარული, არც სულიერი ინტერესები“...

მაგრამ ბელინსკის ყოველი საზოგადოება თანაბრად არ იზიდავდა. ხოლო მოწონებულ საზოგადოებაში იგი ერთიმეორეს არ უპირისპირებდა პიროვნებასა და საზოგადოებას. პირიქით, მის აზროვნებაში მათი სინთეზია განასკული.

„მე გამიძლიერდა რაღაც თავდაუქმრელი, მწვავე, ფანატიკური სიყვარული ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, რომელთა არსებობა შესაძლებელია მხოლოდ სიმართლესა და ქველობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაშიო“. (იხ. წერილები ბოტკინთან).

„...ადამიანის არსებობა მარტო იმით არ განიზომება, რომ იგი ინდივიდუალური და პიროვნულია. ის საზოგადოების წევრიც არის, თავისი მიწაწყლის შეილიც, რომელიც ეკუთვნის ადამიანთა მოდგმის დიად ოჯახს. ამიტომ ის დროის შეილია და ისტორიის აღზრდილი: მისი გრძნობა და აზროვნება სახეს იცვლის საზოგადოებრიობისა და ნაციონალიზმის შესაბამისად, სამშობლოსი და ადამიანთა მთელი მოდგმის ისტორიული ვითარების შესაბამისად“. (იხ. სტატიები პუშკინის შესახებ).

საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტი თავს მაშინ იჩენს, როცა პი-



როვნებას გულწრფელად არ უყვარს საზოგადოება, ხალხი.

„... ხალხი შეუცდომლად სამართლიანია და მართალი არის თავისი ინსტიტუტებით. თუ იგი ამ მხრით როდისმე ტყუვდება, მხოლოდ ერთი წუთით, მეტი ხნით არა. ვისაც ხალხი არ უყვარს სიყვარულის შინაგანი, ცოცხალი, გულითადი მოთხოვნებით, ხალხი მას არასოდეს არ შეიყვარებს...“

(იხ. სტატიები: „ალექსანდრე პუშკინის თხზულებანი“).

ასეთია, ბელინსკის აზრით, ხალხის ის მძლავრი ინსტიტუტი, რომლის მეოხებითაც იგი ყოველთვის არჩევს ერთიმეორისაგან ნამდვილ გულწრფელ სიყვარულსაც ხალხის მიმართ, სიყვარულის საბურველით მიჩქმალულ ანგარებასაც და მით უმეტეს აშკარა მტრობასაც.

## V.

ეროვნული საკითხი, რომელიც მთელი კაცობრიობისათვის ერთერთი მწვავე საკითხია, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირში გადაიჭრა ერთა სრული თანასწორუფლებიანობის ნიადაგზე.

სწორედ ორი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა ეროვნული საკითხის გარშემო შექმნილ თავის უდიდეს თეორიულ საგანძურს კიდევ ერთი ძვირფასი პატიოსანი თვალი შეჰმატა.

„ყოველ ერს,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი—სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეგოებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და აესებს, ამდიდრებს ამ საგანძურს. ამ აზრით ყვე-

ლა ერი—მცირეც და დიდც—თანაბარ მდგომარეობაშია, და თანათულო ერთი ყოველი სხვა ერის თანაბარმნიშვნელოვანია“.

ეროვნული საკითხის გადაჭრა, დიდისა თუ პატარა ერის უფლებათა თანაბრად დაცვა, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ უკლასო საზოგადოებაში, სოციალისტური საზოგადოების ფარგლებში შეიძლება.

დღევანდელი ბურჟუაზიული სახელმწიფოების მმართველი წრეებისა და მესვეურებისათვის ეროვნული საკითხის საბჭოური გაგება მიუწევდომელია, მე-19 საუკუნის 40-იანი წლების რუსეთში ხომ ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის ბელინსკის აზრები ამ საკითხზე:

„ერები მხოლოდ იმითმე კჰმნიან თავისი ცხოვრებით /კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული ცხოვრების ერთ საერთო აკორდს, რომ ყოველი მათგანი წარმოადგენს განსაკუთრებულ ბგერას ამ აკორდში: სრულიად ერთნაირი ბგერებისაგან აკორდი ვერ შეიქმნებაო“.

(ბელინსკის სტატიები: „ა. პუშკინის თხზულებანი“).

ბელინსკის აზრით, „ეროვნებანი რომ არ არსებობდნენ, კაცობრიობა მკვლარი ლოგიკური აბსტრაქტი იქნებოდა, სიტყვა-უშინაარსო, ბგერა-მნიშვნელობას მოკლებული“...

„... დღითი-დღე და უფროდაუფრო მკვლავნდება ჩვენს დროში თანაგრძობა და სიყვარული ერთი ხალხისა მეორის მიმართ. ეს სანუგეშო, ჰუმანური მოვლენა განათლების შედეგია. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ განათლება ეროვნებას თავის ხახეს უკარგავდეს და სხვადასხვა ეროვნებას ერთმანეთს ისე ამსგავსებდეს როგორც ორ წვეთ წყალსაო“...

ბელინსკის თანაბარი ძალით ჰქონდა მახვილი მომარჯვებული როგორც უსისხლბორცო კოსმოპოლიტიზმისა,

ისე ნაციონალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ.

აქ ჩვენ უკვე ვხედავთ ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის შეხამების ცდას, რომელსაც ავტორი თავის წერილებში უფროდაუფრო აღრმავებს.

დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი კარგად ხედავდა ერის ცხოვრებაში კლასობრივად გაბატონებული უმცირესი ნაწილის როლს.

„კარგი რამ იქნებოდა, თქვენმა მხემ, ფრანგთა ნაცია, მასზე რომ აზრი შეგვედგინა ლუდოვიკო XV დროის გახრწნილი თავადაზნაურობის მიხედვით!

უმცირესობას ხალხის ნაციონალობის უფრო ცუდი მხარეების გამოხატვა შეუძლიან, ვიდრე კარგისა, რადგან უმცირესობა ზელოვნური ცხოვრებით ცხოვრობს, როდესაც თავის თავს უმრავლესობას უპირდაპირებს, როგორც მისგან განცალკევებული და უცხო ნაწილი.

ამასვე ვხედავთ თანამედროვე საფრანგეთშიც, სადაც ბურჟუაზია ახლა გაბატონებული წოდება არისო“.

ამგვარად, ბელინსკის ნაწერებში უკვე აღინიშნა კლასობრივი მიდგომა ისეთი დიდი საკითხის გარკვევაში, როგორცია ნაციონალური საკითხი.

## VI.

„ბობოქარ ბესარიონს“ კარგად ესმოდა თავისი საყვარელი სამშობლოს ჩამორჩენილობის მიზეზი. თვითმპყრობელობა რუს ხალხს სულს უხუთავდა, ძალღონეს უბორკავდა, უმეტერების წყვდიადიდან გამოსვლის გზას უკეტავდა.

კაბიტალიზმი ფეხს ნელა იკიდებდა. სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემა და ბატონყმობის სამარცხვინო ინსტიტუტი ქვეყნის ეკონომიურ და საწარმოო ძალთა განვითარებას ვასაქანს არ აძლევდა.

„საზიზღარია ჩინეთის სახელმწიფო,—სწერდა განრისხებული ბელინსკი,—მაგრამ უფრო საზიზღარია ეს სახელმწიფო, რომელშიაც უხვად არსებობენ სასიცოცხლო ელემენტები, მაგრამ რომელიც რკინის მარწყუხების არტახებით არის შებოჭილი და ინგლისური ავადმყოფობით შეპყრობილ ბავშვს მოგვეგონებს. საზიზღრობაა, საძაგლობაა, გულშემწარავი სანახაობაა!“... „მეტის მოთმენა შეუძლებელია“.

და აი რევოლუციონერმა დემოკრატმა ბელინსკიმ მკაცრი, დაუნდობელი ომი გამოუცხადა თვითმპყრობელობას, ბატონყმობას,

რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილების მიმართ ბელინსკის შეურიგებელი პოზიციის ყველაზე მკაფიო გამოსახულებას წარმოადგენს მისი წერილი გოგოლისადმი.

ცნობილია, რომ გენიალურმა რუსმა მწერალმა გოგოლმა გამოაქვეყნა „მეგობრებთან მიწერ-მოწერის ამორჩეული ადგილები“.

ამ წიგნში ავტორმა დაკვირვებით აღწერა თვითმპყრობელობის მიმართ ბელინსკის „მოუღიქრებელი და მოუშფიფებელი“ უწოდა მათ და უარპყო ახალი სალიტერატურო სკოლა.

მაგრამ გოგოლი ამასაც არ დასჯერდა: მან თვითმპყრობელობას ქებათაქება შეასხა ხალხის ქედმოხრჩობა საქებურად მიიჩნია, ბატონყმობა იდეალურ ინსტიტუტად გამოაცხადა.

გოგოლის წიგნმა ყველა პატიოსანი აღამიანის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ბელინსკის რისხვას კი საზღვარი არა ჰქონდა. მან გაითვალისწინა გოგოლის გამოსვლის პოლიტიკური მნიშვნელობა და ამხილა მისი რეაქციული ნასიათი.

მიუხედავად იმისა, რომ ბელინსკი გოგოლს ახალი დროის უდიდეს რეალისტ მწერლად სთვლიდა, ეთაყვანებოდა მას და მთელი თავისი არსებით უყვარდა იგი, მან ეს საშინელი დანაშაუ-

ლი დიდ მწერალს ოდნავადაც არ აპატია და უღმობელი დაუნდობლობით თავს მეხად დაატყდა

„ეს უბრალო შეცდომა კი არა, — სწერდა ბოტკინს ბელინსკი, — ოსტატურად გამოანგარიშებული სულმდაბლობა და უნამუსობა არისო. გოგოლი... ტალირანია, კარდინალი ფეშია, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ღმერთს ატყუებდა და რომ კვდებოდა, ეშმაკიც მოატყუაო“.

„რუსეთს მისტიციზმი, ასკეტიზმი, ცრუ ღვთისმოსაობა კი არ იხსნის, არამედ ცივილიზაციის, განათლების, ჰუმანობის წარმატებაო, — სწერდა ბელინსკი გოგოლს.“

მას, რუსეთს საეკლესიო ქადაგებანი კი არ ესაჭიროება (საკმაოდ აქვს მოსწენილი!), ლოცვები კი არა (საკმაოდ ლოცულობდა იგი!), არამედ ხალხში ვალვიძება ადამიანური ღირსების გრძნობისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მიჩქმალული იყო ტალახსა და საქონლის პატივში, მას ესაჭიროება სამართალი, უფლება და კანონები, რომლებიც შეხამებული იქნება საეკლესიო მოძღვრებასთან კი არა, არამედ საღ აზრთან, სიმართლესთან...

ახლა რუსეთში ყველაზე ცხოველი, თანამედროვე ნაციონალური საკითხებია: ბატონყმობის გაუქმება, ფიზიკური დასჯის მოსპობა, შეძლებისამებრ თუნდაც იმ კანონების მტკიცე შესრულების შემოღება, რომლებიც უკვე გვაქვს.

აი, საკითხები, რომლებიც აწუხებენ მთელ რუსეთს მის აბატიურ ძილღვიძილში! და სწორედ ამ დროს დიდი მწერალი, რომელმაც თავისი საუცხოო, მხატვრული, ღრმად ჰუმანიტატი ქმნილებებით ესოდენ მძლავრად შეუწყობილი რუსეთის თვითშეგნებას, გვევლინება წიგნით, რომელიც ქრისტიცი და ეკლესიის სახელით ასწავლის ბარბაროს მემამულეს, თუ როგორ ააძროს გლეხობას მეტი ფული, თანაც ავიწიებს

და დაუბანელ ღორის ღინგს უწოდებს მას...

მათრახის მქადაგებელი, უმეცრების მოციქულო, ობსკურანტიზმისა და სიბნელის ქომაგო, თათრულ ზნეჩვეულებათა პანეგირისტო, რას — სჩადიხართ! წინ დაიხედეთ, — თქვენ ხომ უფსკრულის პირას დგებართ“...

წერილი წარმოდგენს არა მარტო გოგოლის შეხედულებათა დაგმობას, არამედ 40-იანი წლების რუსეთის მთელი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მკაცრ კრიტიკას.

ბელინსკის წერილით აღინიშნა განათავისუფლებული მოძრაობის ახალი ხანა. მასში მკაფიოდ გამოიხატა ბატონყმობის უღელში შემპული გლეხობის სულისკვეთება, რევოლუციური დემოკრატიის იდეები.

თვითმპყრობელობამ იგრძნო საშინელი ძალა წერილისა და გააფთრებული დევნა გააჩალა მის წინააღმდეგ. წერილის წაკითხვისათვის ციხეებსა, კატორღასა და ციმბირში აღპობდა ახლავაზრდობას.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვ. ი. ლენინმა ბელინსკის წერილის უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა აღინიშნა და მას ცენზურა-გაუფლელი დემოკრატიული ლიტერატურის ერთ-ერთი მსაუკეთესო ნაწარმოები უწოდა.

## VII.

ბელინსკი თანამედროვე რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილების კრიტიკაზე არ შეჩერებულა.

მან, ჯერ ერთი, დაჰგმო, საერთოდ, ყოველგვარი მონარქია.

„ჰეგელი ოცნებობდა კონსტიტუციურ მონარქიაზე, როგორც სახელმწიფო იდეალზეო, — რა ვიწრო, შეზღუდული ცნება და გაგებაა! არა, მონარქები არ უნდა იყვნენო“...

ამავე დროს მისი რევოლუციურა სულისკვეთება თანდათან სოციალური საკითხების გზით ღრმავდებოდა.

„სოციალობა, სოციალობა—ან სიკვდილი! აი ჩემი დევიზო... რა ბედნაა, რომ ჩჩვეულთათვის ნეტარება არსებობს, მაშინ როდესაც უდიდეს ნაწილს მისი შესაძლებლობა არც კი წარმოუდგენია? შორს ჩემგან ნეტარება, თუ იგი ათას კაცში მხოლოდ ჩემი ხვედრია! არ მინდა ასეთი ნეტარება, თუ კი მას მოკლებული არიან ჩემი უმცროსი ძმები!

დადგება დრო: არ იქნებიან არც მდიდრები, არც ღარიბები, არც მეფენი და არც ქვეშევრდომნი.

არაფერი არ არის იმ საქმეზე მაღალი და კეთილშობილი, რომელიც ხელს უწყობს სოციალიზმის განვითარებასა და გზას უხსნის მას. სასაცილოა იმის ფიქრიც კი, რომ ეს თავისთავად გაკეთდება, დროის ზეგავლენით, ძალდაუტანებელი ვადატრიოლების გარეშე, უსისხლოდ... რას ნიშნავს ათასის სისხლი მილიონების დამცირებასა და ტანჯვა-წამებასთან შედარებით...

მეგონა, ვიცი თუ რა არის რევოლუცია. ტყუილია. მხოლოდ ახლა ვიწყებ მის გაგებას. რევოლუციაზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს გააკეთებს“.

(წერილები ბოტკინთან).

რევოლუციურად განწყობილ ბელინსკის ააღმასებს თვალთმაქცური ლიბერალური ზომიერება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში.

„მე მიყვარს პროგრესი,—მოჰყავს მას ერთი გერმანელის სიტყვები—მაგრამ პროგრესი ზომიერი... და აქაც მე უფრო ზომიერება მიყვარს, ვიდრე პროგრესიო“.

„როდესაც ტურგენევმა ამ გერმანელის სიტყვები ვადმომცა, ამბობს ბელინსკი, კინაღამ ვიტყვი, რომ გერმანული არ ვიციოდი და შემდეგი ვერ ვუპასუხე:

მე მიყვარს ქოთანში მოხარშული შეჭამანდი, მაგრამ აქაც ქოთანი უფრო მიყვარს, ვიდრე შეჭამანდი“.

ასეთი იყო ბელინსკის რევოლუციური განწყობილება, როდესაც ვერმანიაში პირისპირ გავეცნო კამიტატორების თანდაყოლილ თვისებებსა და მოვლენებს.

„რა სილატაკეო გერმანიაში, მეტადრე უბედურ სილენიაში, რომელსაც ფრიდრიხ დიდი თავის გვირგვინის საუკეთესო მარგალიტად სთვლიდა. მხოლოდ აქ გავიგე სიტყვა პ ა უ ჰ ე რ ი ზ მ ი ს საშინელი მნიშვნელობა... ადამიანს საღი ხელი აქვს, იგი შრომის მოყვარეა და პატიოსანი, მზად არის იმუშაოს, სამუშაო კი არ გააჩნია... აქ უკვე ბედნიერია ის, ვისაც შეუძლიან თავისი ძალღიბა და მცირეწლოვანი შვილებით ცხენის ურემში შეებას და ფეხშიშველა მამა-შვილებმა ქვანახშირი ზიდონ ზალცბრუნინიდან ფრეიბურგში. ხოლო ვისაც არ შეუძლიან ძალღიბა ან ცხენის საქმე იშოვოს, ის მოწყალეებას თხოულობს... საშინელება!“

ხუთიოდე თვის შემდეგ ბელინსკი უკვე ბურჟუაზიის არსებობის საკითხსა სვამს:

„ბურჟუაზიის საკითხსაო—სწერს ბელინსკი თავის მეგობარს ბოტკინს—საბოლოოდ ისტორია, ადამიანთა უმაღლესი სამსჯავრო ვადასწყევტს. მაგრამ მეც ვიცი, რომ კაპიტალისტების მეუფებამ თანამედროვე საფრანგეთს საუკუნო სიღრმეები აჭამა... ...კაპიტალისტების ამ მეუფებაში ყველაფერი დახურდავებულია, ყველაფერს არარაობა ახასიათებს. არ გააჩნიათ ნაციონალური პატივის, ნაციონალური სიამაყის გრძნობა. გადახედეთ ლიტერატურას—რა სანახაობას წარმოადგენს იგი? ყველაფერი, რაშიაც კი სიცოცხლისა და ტალანტის ნაპერწკალი ღვივის, ოპოზიციას ეკუთვნის, იმ ოპოზიციას, რომლისთვისაც ბურჟუაზია ათაშანავს იარა არის საფრანგეთის სხეულზე“.

ბელინსკის კარგად ესმოდა, რომ ბურჟუაზიამ თავის დროზე რევოლუციური როლი შეასრულა ისტორიაში. „მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც ბურჟუაზია ფეოდალური წყობილებისა და აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ იბრძოდა“.

„ბურჟუაზია ბრძოლაში და ბურჟუაზია გამარჯვებული ერთი და იგივე არ არისო!“.

სიმართლისათვის აღძრული მიძიებელი გონება რევოლუციონერი დემოკრატისა ერთ წერტილზე არ ვაყინულა. მოსალოდნელი იყო ახალ-ახალი ლოგიკური დასკვნის გამოტანა.

მართლაც, ბელინსკი უფრო და უფრო მკაფიოდ და გარკვეულად აყალიბებს თავის აზრებს.

„მე ვთქვიო, არ ვარგა სახელმწიფოსათვის, რომ იგი კაპიტალისტების ხელში იყოს, ახლა დაფურთავი“.

ვაი იმ სახელმწიფოს, რომელიც კაპიტალისტების ხელშია. კაპიტალისტებს არ ვაჩნიათ პატრიოტიზმი, ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ მაღალ გრძნობას. მათთვის ომი ან მშვიდობა ფონდების აწევას ან დაცემას უდრის— ამის იქით კაპიტალისტები ვერაფერს ხედავენ“.

უფრო ადრე მან წარმოსთქვა იმ საზოგადოებრივი წყობილების სახელი, რომელმაც კაპიტალიზმი უნდა შესცვალოს.

„სოციალიზმის იდეა ჩემთვის გადაიქცა იდეათა იდეად, ყოფიერების ყოფიერებად, საკითხთა საკითხად, რწმენისა და ცოდნის თავად და ბოლოდ. ყველაფერი სოციალიზმის იდეიდან მომდინარეობს, ყველაფერი სოციალიზმის იდეისათვის არსებობს და ყველაფერი სოციალიზმის იდეისაკენ მიიმართება.“

სოციალიზმის იდეამ ჩემს თვალში შთანთქა ისტორიაც, რელიგიაც და ფილოსოფიაც. ამიტომ სოციალიზმის

იდეით ვხსნი ახლა ჩემს ცხოვრებას, შენსას და ყველას ცხოვრებას, ვესაუკითხვევდრიფარ ცხოვრების გზაზეთ“.

ასეთი იყო ბელინსკის მსოფლმხედველობის განვითარების პროცესი, რომელმაც იგი ფილოსოფიური მატერიალიზმისა და სოციალიზმის პოზიციებზე დააყენა.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მე-19 საუკუნის ორმოციანი წლების რუსეთში ჯერ კიდევ მძვინვარებდა შუა საუკუნეთა ფეოდალიზმის დამახასიათებელი ბატონყმობა, ხოლო კაპიტალიზმი ის-ის იყო ფეხს იკიდებდა ნელი ნაბიჯით.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ვერ ჩამოყალიბდებოდა კაპიტალიზმის ეპოქის დამახასიათებელი მუშათა კლასი.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ვერ შეიქმნებოდა მუშათა კლასის რევოლუციური პარტია.

და თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ორი ფაქტორის გადამწყვეტ მნიშვნელობას, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ იმ ხანებში ვერ წარმოიშობოდა მუშათა კლასის მსოფლმხედველობის დამახასიათებელი მარქსისტული დიალექტიკურ-ისტორიული მატერიალიზმი, ვერ შეიქმნებოდა მეცნიერული სოციალიზმის იდეა.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია და ისტორიულად ადვილად გასაგები, რომ ბელინსკი ვერ გადავიდოდა ფილოსოფიური მატერიალიზმის შემდგომი განვითარების საფეხურზე და დიალექტიკურ-ისტორიულ მატერიალიზმს ვერ დაეუფლებოდა.

ამიტომ ვეცხადია ისიც, რომ იგი უტოპიური სოციალიზმის რკალში უნდა დარჩენილიყო, რადგან სოციალიზმის განხორციელების იმედს გლეხობაზე ამყარებდა, რაკი რევოლუციური მუშათა კლასი ჯერ არა სჩანდა.

მაგრამ დასავლეთის უტოპისტ-სოციალისტებთან შედარებით ბელინსკიმ გაცილებით დიდი ნაბიჯი გადადგა. მან უარყო მათი ილუზიები საზოგადოების მშვიდობიანად გარდაქმნის შესაძლებლობის შესახებ, რევოლუციური ძალდატანების აუცილებლობა აღიარა და სოციალიზმის იდეა რევოლუციური ბრძოლის ქადაგებას შეუხამა.

### VIII.

ხელოვნებისა და კერძოდ ლიტერატურის ნაწარმოებთა შეტყაობასა და გაგებაში დიდმა კრიტიკოსმა გენიალური ოსტატობით მოიმარჯვა მატერიალისტური ესთეტიკის ბასრი იარაღი.

ლიტერატურა მისთვის ცხოვრებამოყირკებულ, ფუფუნებითა და განცხრობით დაღლილ გერბიან თუ უგერბო არისტოკრატთა თავშესაფარი სავანე არ არის და არც მწვავე შეგრძნობის მაძიებელთა თავშესაქცევი სალონი.

კვლას გვახსოვს დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის წერილი დრომოჭმული აზროვნების მწერალთა წინააღმდეგ. ავტორმა თავის სტატიას ეპიგრაფად ბელინსკის შემდეგი სიტყვები წარუძღვარა და ამით გვაცოდინა, რომ დიდი რუსი კრიტიკოსის შეხედულებას მთლიანად იზიარებდა.

„ჩვენი ლიტერატურა სამეჯლისო დარბაზად უნდათ გახადონ და უკვე მანდილოსნებს ეპატიებინან; ჩვენი ლიტერატორები „მაღალი საზოგადოების“ პირებად უნდათ გადააქციონ და უკანასკნელი მოდის ფრაკებითა და თეთრი ზღლიათმანებით შემოსონ. ენერჯიის ნაცვლად სურათ ზერწლე ზრდილობა ვაბაბატონონ, გრძნობის ნაცვლად — ყალბი თავაზიანობა, აზრის ნაცვლად — მოღად შემოღებელი ფრაზა, მშვენიერების ნაცვლად — მანკვა-გრება, კრიტიკის ნაცვლად — ქათინაურები“.

ლიტერატურა ბელინსკისათვის ის სამეჯლოა, სადაც მწერლის გამახვილებული გრძნობა და აზროვნების სამსახურად მოწოდებულ ნაწარმოებთა შესაქმნელად იწრთობა.

მისი მსჯელობა, მოკლე ვადმოცემით, ასე მიიმატება:

ცრუ-კლასიციზმმა და სენტიმენტალურმა რომანტიზმმა თავისი როლი შეასრულეს, დრო მოსკამეს.

ახლა ლიტერატურის დანიშნულების გამართლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იგი მტკიცედ იდგება რეალიზმის, რეალისტური მიმართულების საფუძველზე.

ქეშმარიტი ლიტერატურა სინამდვილის ამსახველია. იგი სარკვესავით გვაჩვენებს ცხოვრებას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ცხოვრების გარეშე პოეზია არ არსებობს, ხოლო ქეშმარიტი პოეტისათვის სადაც სიცოცხლე და ცხოვრება, იქ პოეზიაც არის.

ნამდვილი პოეზიისათვის უცხოა ფანტასტიკა, ნაცოდვილარი ოცნება, ყალბი გრძნობა, ნაზმანევი იდეალური სახეები. იგი ცხოვრებას ფერუმპარილით არ აღამაზებს...

ანალიზის სიყვარული, კვლევის დაუცხრომელი წადილი, სიძულვილითა და სიყვარულით სავსე მგზნებარე აზროვნება ახლა ყოველი ქეშმარიტი პოეზიის სიცოცხლედ გადაიქცა.

პოეტი, მით უმეტეს დიდი პოეტი, არასოდეს ტყუილს არ იგონებს და ზოგად-ადამიანურს ცოცხალ ფორმებად ჩამოჰქმნის.

ამიტომ ის თხზულება, რომელშიც ადამიანი თავის სასვერაფერსა სცნობს და ყველაფერი პოეტს ეკუთვნის, არავითარი ყურადღების ღირსი არ არის და მხოლოდ ფუჭი ჩმახვაა.



ნამდვილი პოეტის ქმნილება ყოველი ადამიანის ისეთივე კუთვნილებაა, როგორც თვით პოეტისა. ამით აიხსნება, რომ ყველას, ვისაც კი ადამიანობა გააჩნია, მხატვრული ნაწარმოების განცდაც შეუძლიან.

არ ვარ გა, როცა პოეტის ღმერთების ენით გვიმღერს და მოკვდავ ადამიანებს ამ სიმღერისა არაფერი გვესმის! ასეთი ბუნდოვანი და მისტიკური პოეზია შეიძლება მხოლოდ სასაცილო ეპიგრაფების საგანი იყოს.

ამაოდ დაშვება ის პოეტი, თუნდაც ნიჭიერი, რომელსაც დედამიწა დაუტოვებია, ცასა და ვარსკვლავებს მისჩერებია, მაგრამ იქ ახალი ვერაფერი შეუძენს. პლანეტის აღმომჩენი ასტრონომი უფრო პოეტია, ვიდრე ვარსკვლავების უსაგნოდ მზირალი, თუმცა, შესაძლებელია, ასტრონომს არც ერთი ლექსი არ დაეწეროს.

ვის რად უნდა სიცალიერისა და სიცივის სამეუფეო. დაილოცოს ჩვენი დედამიწა. აქ სინათლეც არის და სითბოც... აქვეა ჩვენი ცხოვრება, სიცოცხლე და ჩვენი პოეზია. ვინც დედამიწას ზურგს აქცევს, ვისაც მისი არაფერი ვაეგება, ის პოეტი ვერ იქნება და მხოლოდ იმას შესძლებს, რომ ცივს მალლობ სივრცეში ცივსა და ფუყე ფრაზებს ელოლიავოს.

ცხოვრება ფართოა და დაუღეველი. აქ სიკეთეც არის და ბოროტებაც; სათნოებაცა და ძალმომრეობაც; ჭირიცა და ლხინიც; გამარჯვებაცა და დამარცხებაც, ბრძოლაცა და მონურად ქედის წახრაც.

მწერალმა უნდა გვიჩვენოს ყველაფერი, გვიჩვენოს სინამდვილე, რეალობა.

ყველაზე მეტ ხანს ხელოვნების ისეთი ნაწარმოები სძლებს, რომელიც მთელი სისრულითა და მთელი თავისი ძალონით გადმოგვეცემს ეპოქას, იმას, რაც

უფრო ნამდვილი, უფრო არსებითი და უფრო დამახასიათებელია მისთვის.

ნაწარმოები, რომელიც სამწარმოებს ვერ ასრულებს ან რიგიანად ვერ ასრულებს,—სხვა ეპოქაში თავის ინტერესს ჰკარგავს. მას სწრაფმსროლი ცხოვრების ტალღები დაეწყების უფსკრულისაყენ მიაქანებენ.

ლიტერატურის პროგრესი ტალანტების რიცხვით არ განიზომება. ტალანტები ყოველთვის იყვენენ, არიან, იქნებიან.

საქმე ის არის, თუ რა მიმართულებას ადგანან მწერლები, რა ხერხითა სწერენ:

მწერლები ბუნებას ყალბი საღებავით კი არ უნდა აფერადებდნენ, სინამდვილეს კი არ უნდა აიდეალიზებდნენ, ესე იგი არ არსებულს კი არ უნდა გვიხატავდნენ, იმას კი არ უნდა გვიამბობდნენ, რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო, არამედ ცხოვრებასა და სინამდვილეს ჭეშმარიტი სახით უნდა გვიჩვენებდნენ.

ხელოვნებაში არაფერი ბუნდოვანი და გაუგებარი არ უნდა იყოს.

ხელოვნების ნაწარმოები იმით არის ძვირფასი, რომ იგი შემოქმედებითი ფანტაზიის აღმოდებული ჩირაღდნით თავის გმირთა გულის მოძრაობის ყოველ ხვეულს, ყოველ კუნჭულს, მათი მოქმედების ყველა ფარულ მიზეზს აშუქებს, ნაამბობ მოვლენას შემთხვეობის საბურველსა ხდის და მხოლოდ აუცილებელს გვიხატავს, როგორც საკმაო მიზეზის გარეუვალ შედეგს.

ნაწარმოებს, რომელიც სპეციალისტებს მოსწონთ, ხოლო უმრავლესობას კი არა,—შესაძლებელია თავისი ღირსება ჰქონდეს.

მაგრამ ნამდვილად კარგინაწარმოები ის არის, რომელიც სპეციალისტებსაც მოსწონთ და უმრავლესობასაც.

არსებობს ძველი პიტიკის ისეთი რეცეპტი, რომლის მიხედვით მხატვრულ ნაწარმოებში რამდენიმე სულელ ადამიანზე საჭიროა ერთი ქვეიანი მაინც მოდიოდეს და რამდენიმე არამზადზე ერთი სათნო და კეთილისმყოფელი მაინც.

ასეთ რეცეპტს ხელოვნებასთან ერთად არაფერი აქვს, რადგან შედეგად მივიღებთ განყენებული სათნობისა ან ბიჭიერების რიტორიკულ განსახიერებას და არა რეალურ ადამიანს.

ხოლო თუ რეალური ადამიანის ჩვენებას დავაჯალებთ ხელოვნებას, მას უნდა დავაჯალოთ აგრეთვე საზოგადოების ჩვენებაც, რადგან თუშეცა ადამიანს ბუნება. ჰქმნის, მაგრამ მას ან ვითარებს და აყალიბებს საზოგადოება; საზოგადოების გავლენას ადამიანი ვერსად წაუვა.

თუნდაც მხოლოდ ცდა ქედმაღალი ადამიანისა, რომ საზოგადოების გავლენის დამოუკიდებლად და ამ გავლენის გარეშე განვითარდეს, მას უცნაურობისა და თავისებური სიმახინჯის ზეკედს ასეამს.

შემოქმედმა სიცოცხლის ნამდვილი აზრი უნდა გვიჩვენოს. თორემ ზოგიერთ მწერალს ჰგონია, რომ ადამიანის სიცოცხლის აზრს პირადი ბედნიერება შეადგენს, ხოლო პირადი ბედნიერების საფუძველს მხოლოდ სიყვარულია.

ეს რომ ქეშმარიტებად აღვიაროთ, მაშინ ცხოვრება მართლაც ჯოჯოხეთად და გადახრუკულ უღაბნოდ გადაიქცეოდა, რომელიც საფლავებითა და ადამიანთა დამსხვრეული გულებით მოიფინებოდა.

„მაგრამ,—ამბობს დიდი და კეთილშობილი რევოლუციონერი მოაზროვნე,—არსებობს ადამიანისათვის ცხოვრების დიდი სამყაროც, გარდა გულის შინაგანი სამყაროსი—სამყარო ისტორიული განჭვრეტისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა,—ის დიდი სამ-

ყარო, სადაც აზრი საქმედ იქცევა, ხოლო მაღალი მგრძობელი მზობრივად.

ეს არის სამყარო შეუწელებელი მუშაობისა, დაუსრულებელი შემოქმედებისა, სამყარო მომავლის მარადი ბრძოლისა წარსულთან...

და მაღლი მას, ვინც გულხელდაკრეფილი არ დაჰყურებდა აზვირთებული ცხოვრების ოკეანის ტალღათა სრბოლას, ვინც ოკეანის ზედაპირზე ზედაედა არა მხოლოდ ზომალდების ნამსხვრევებს, ფაფარაყრილი ტალღების გააფთრებულ ატყორცნას, ჩაშავებულ ბულს, მხოლოდ ელვის შუქით განათებულ ღამეს, ვისაც მოესმოდა არა მხოლოდ გოდება სასოწარკვეთილებისა და გება დაღუპვისა; არამედ ვინც ამ ზავთსა და დრტიენვაში თვალათაგან არ ჰკარგავდა ბრძოლისა და მისწრაფების მიზნის გამაშუქებელ, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავსაც, ვინც ყურს არ ფყრებდა გავონილ ძაბილს:

„იბრძოლე და, თუ საჭიროა, დაიღუპე კიდევ; ნეტარება წინ არის, თუ შენ არა, შენი ძმები დასტკბებიან მისით და ქებათაქებას შეასახმენ ძალისა და სიმართლის სამარადისო გამგებელს“ (იხ. ბელინსკის სტატ. „ალ-პუშკინის თხზულებანი“).

ხელოვნების საკითხთან • მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალური და საკაცობრიო ელემენტების ურთიერთი მიმართება.

თუ მწერალს უნდა, რომ მისი შემოქმედება ყველგან და ყველამ აღიაროს, და არა მარტო მისმა თანამემამულეებმა, იგი, პირველ ყოვლისა, ნაციონალური უნდა იყოს; მაგრამ ეს ერთადერთი პირობა არ არის, ამავე დროს საჭიროა მწერალი საკაცობრივაც იყოს...

ნაციონალურ მწერალს დიდი ისტორიული მნიშვნელობა მარტო თავისი სამშობლოსათვის არ უნდა ჰქონდეს, იგი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენასაც უნდა წარმოადგენდეს.

ბელინსკი ამავე დროს ჰგმობს უცხოურის მონურ ფაყვანისცემას.

დროა თავი დაეანებოთ ალტაცებას მხოლოდ იმის გამო, რომ ესა თუ ის ნაწარმოები ევროპულია. წავიდა ის დრო, როცა ყოველ უნიჭო უცხოელ მწერალს ყოველ ნიჭიერ რუს მწერალზე მაღლა ვაყენებდითო.

ეგრეთწოდებული „წმინდა ხელოვნების“ რეაქციულ თეორიას, რომლის მიხედვით ხელოვნება თვითმიზანია და „ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისათვის“ არსებობს, კრიტიკოსი ასე გვიხახავს.

წმინდა ხელოვნება ზმანებაა. ამიტომ თვით მისმა თავგამოდებულმა დამცველებმაც არ იციან, თუ რა არის იგი.

ხელოვნება არის ხელახლა წარმოქმნა სინამდვილისა, გამეორებული, თითქმის ახლად შექმნილი სამყარო. ამიტომ შეუძლებელია იგი წარმოვიდგინოთ სხვა მოვლენათაგან გამოთავთავებულ, იზოლირებულ მოქმედებად.

პირველ ყოვლისა, შეუძლებელია ნაწარმოებში თავი არ იჩინოს თვით ავტორის პიროვნებამ, ხოლო ავტორის პიროვნებაში ეპოქამ, ქვეყანამ, ხალხის ხასიათმა.

შექსპირი რომ რამდენიმე ათეული წლით გვიან დაბადებულიყო, რა თქმა უნდა, მისი გენია უცვლელი დარჩებოდა, მაგრამ ნაწარმოებთა ხასიათი სხვანაირი იქნებოდა.

„ფაუსტი“ „წმინდა ხელოვნების“ თავგანისმცემლებს თავიანთი თეორიის ბრწყინვალე გამართლებად მიაჩნიათ, ნამდვილად კი იგი „ფაუსტის“ დროინდელი გერმანელი საზოგადოების სრული ასახვაა.

ახალ დროში საკუთრივ მხატვრულ ინტერესს შეუძლებელი იყო იდგილი არ დაეთმო კაცობრიობის სხვა უდიდესი ინტერესებისათვის, და ხელოვნება ამა ცენტრით მოტილად მოქცეიდა ხელი მათს სამ-

სახურს, როგორც ამიტოტერესების ორგანიზმს. მაგრამ ამით ხელოვნებას თავისი სხე არ დაუკარგავს, მხოლოდ ახალი ხასიათი მიიღო.

ხელოვნებას საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურის უფლებას ვერ წაართმევთ.

ეს იქნებოდა ხელოვნების დამცირება და არა ამადლება, რადგან ამ უფლების წართმევით მას ცხოველმყოფელ ძალას გამოვაცლიდით, აზრს გამოვფიტავდით, ერთგვარი სიბარიტული ტკობის საგნად, უქნართა თავშესაქცევ სათამაშოდ გადავაქცევდით და სიკვდილის განაჩენსაც კი გამოვუტანდით.

ცხადზე უცხადესია ფორმისა და შინაარსის შეხამების საჭიროება.

უშინაარსო ფორმა უგვენობაა. უფორმო შინაარსი ხელოვნება არ არის.

ბელინსკი ილაშქრებს მეცნიერებისა და ხელოვნების ერთმანეთისაგან დაშორების ტენდენციის წინააღმდეგ.

მეცნიერებისა და ხელოვნების განმასხვავებელი მათი შინაარსი კი არ არის, არამედ შინაარსის დამუშავების ხერხი.

ფილოსოფოსი სილოგიზმებით ლაპარაკობს.

პოეტი—სახეებითა და სურათებით.

ეკონომისტი, შეიარაღებული სტატისტიკური ცნობებით, ამტკიცებს, რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა გაუმჯობესდა და გაუარესდა ამა და ამ მიზეზების მეოხებით.

სინამდვილის ცოცხლად და მკაფიოდ დახატვის უნარით შეიარაღებული პოეტი გვიჩვენებს, რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა მართლაც გაუმჯობესდა ან გაუარესდა ამა და ამ მიზეზების მეოხებით.

მეცნიერება გვიმტკიცებს, ხელოვნება გვიჩვენებს, ორივენი გვაჯერებენ.

მეცნიერება გვაჯერებს ლოგიკური საბუთებით.

ხელოვნება გვაჯერებს სახეებითა და სურათებით.

საზოგადოების უმაღლესი და უწმინდესი ინტერესია საზოგადოების კეთილდღეობა.

ამ კეთილდღეობის ერთერთი გზა შეგნებაა, ხოლო ხელოვნებას მეცნიერებაზე ნაკლებ არ შეუძლიან ხელი შეუწყოს შეგნებას.

აქ მეცნიერებაცა და ხელოვნებაც ერთნაირად არის საჭირო.

არც მეცნიერებას შეუძლიან ხელოვნების ადგილის დაჭერა, არც ხელოვნებას—მეცნიერების ადგილისა.

არ დარჩენილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო მწერალი რუსულ-ლიტერატურის არსებობის მანძილზე, რომ დიდ კრიტიკოსს არ შეეფასებინოს და მისთვის თავისი ადგილი არ მიეჩნიოს მწერლობის განვითარების ისტორიაში.

თავის შრომებში ბელინსკიმ უდიდესი სიყვარული გამოამჟღავნა მშობლიური ლიტერატურისა და მის სულისჩამდგმელთა მიმართ.

აზრის სიღრმითა და მხატვრული ნაწარმოების გავების უნარით ბელინსკის წერილები დღესაც უბადლონი არიან. მათ დღესაც დიდი გატაცებით ვკითხულობთ და ხარბად ვეწაფებით.

დერჟავინის, ჟუკოვსკის, ბატიუშკოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, გერცენის, დამწყები მწერლების გონჩაროვის, ტურგენევის, დოსტოევსკისა და სხვათა და სხვათა ქმნილებათა მიმოხილვის დროს იგი ბრწყინვალედ იმარჯვებს ისტორიულ თვალსაზრისს და რუსულ ლიტერატურას სთვლის ერთ მთლიან ისტორიულ-კულტურულ პროცესად, ხოლო ამ პროცესის შეცნობას საფუძვლად უდებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გავებას.

პუშკინის შემოქმედება, მაგალითად, შესაძლებელი ვახადა განსწავლულმა ისტორიულმა პირობამ, ხოლო დოვა და დაევაქაცა წინამორბედი პოეტების მოღვაწეობამ. დიდი პოეტის გენიამ შეიწოვა წინამორბედთა ქმნილებანი, როგორც თავისი კანონიერი კუთვნილება, და დაუბრუნა ქვეყნიერებას ახალი, ფერშეცვლილი სახით.

შეიძლება თამამად ვთქვათ და დავამტკიცოთ, ამბობს ბელინსკი: ერთი მხრით 1812 წლის სამამულო ომი, ხოლო მეორე მხრით დერჟავინი, ჟუკოვსკი და ბატიუშკოვი რომ არ ყოფილიყვნენ. არც ახალი რუსე ლიტერატურის მამამთავარი, მათი მოწაფე პუშკინი იქნებოდა.

მაგრამ ამავე დროს ვერ ვიტყვით, უმეტეს, ვერ დავამტკიცებთ, რომ პუშკინს რამე ესესხნოს, ვადმოვლოს თავისი მასწავლებლისაგან და ყველაფერში შეუღარებლად მალა არა მდგარიყოს მათზე.

რა მოეთხოვება მწერალს, როგორც პიროვნებას?

ჩვენ ი დ რ ო, ამბობს ბელინსკი, მ უ ხ ლ ს მ ო ი დ რ ე კ ს მ ხ ო ლ ო დ ის ე თ ი მ წ ე რ ლ ის წ ი ნ ა შ ე, რ ო მ ლ ის ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ ის ქ მ ნ ი ლ ე ბ ა თ ა ს ა უ კ ე თ ე ს ო კ ო მ ე ნ ტ ა რ ი ა, ხ ო ლ ო ქ მ ნ ი ლ ე ბ ა ნ ი მ ი ს ი ც ხ ო ვ რ ე ბ ის ს ა უ კ ე თ ე ს ო გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა.

პ რ ა კ ტ ი კ უ ლ ი ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა და ს ი მ ა რ თ ლ ის გ ზ ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ ი მ მ წ ე რ ა ლ ს შ ე უ ძ ლ ი ა ნ, ვ ი ნ ც თ ი თ ო ნ მ ი ე ჩ ვ ი ა ა მ გ ზ ა შ ე მ ტ კ ი ც ე ნ ა ბ ი ჯ ი თ ს ი ა რ უ ლ ს...

კარგია კაცი იყოს მეცნიერი, პოეტი, მეთმარი, კანონმდებელი და სხვა, მაგრამ ცუდია თუ ამავე დროს იგი „ადამიანი“ არ არის.

„ადამიანობა“ კი იმას ნიშნავს, რომ კაცს არსებობის სრული და კანონიერი უფლება ჰქონდეს მაშინაც, როცა იგი სხვა არაფერი არ არის გარდა იმისა, რომ ადამიანია.

ასეთი კრიტიკოსის მოკლედ გადმოცემული შეხედულებანი ლიტერატურასა და მწერლებზე (იხ. სტატიები რუსული ლიტერატურის შესახებ).

## IX.

ბელინსკის თავისი მშობელი ხალხი უღრმესი გრძობით უყვარდა და მიუხედავად გულშემზარავი აწმყოსი, მომავალს ნათელი იმედით შეჰყურებდა.

„დიად... ამბობს ბელინსკი, ჩვენ მოწოდებული ვართ მსოფლიოს ჩვენი სიტყვა, ჩვენი აზრი უთხრათ. მაგრამ თუ რანაირი იქნება ეს სიტყვა, რანაირი იქნება ეს აზრი... ამას ჩვენი შვილიშვილები ან შვილიშვილთა შვილები ვაიგებენ ისე, რომ ჯაფა არ დასჭირდებათ გამოსაცნობად, რადგან ამ სიტყვას, ამ აზრს ისინი იტყვიან“.

„რუსეთი, მგონია, ევროპაზე უკეთესად შესძლებს სოციალური საკითხი გადასჭრას და ბოლო მოუღოს კაპიტალისა და საკუთრების მტრობას შრომის მიმართ“.

ამბობს იგი და ეს სიტყვები დღეს წინასწარმეტყველებასავით გაისმის.

სხვა ადგილას ბელინსკი აცხადებს: რუსეთი უმთავრესად მომავლის ქვეყანა არის.

მომავლის ქვეყანა... მაგრამ როგორ ესახება ბელინსკის ეს მომავალი?

და აქ დიდი რევოლუციონერი მოაზროვნე უფრო გასაოცარ წინასწარმეტყველურ გამჭრიახობას ამჟღავნებს.

„სამთავროში“ 1840 წელს იგი გულთმისანსავით დალადებს:

„შეწატრით ჩვენს შვილიშვილებსა და შვილიშვილთა შვილებს, რომლებ-

საც 1940 წელს წილად შეხედებათ რუსეთის ნახვა. რუსეთი ოდგება განათლებული მსოფლიოს სათავეში; იგი მისცემს კანონებს მეცნიერებასაც, ხელოვნებასაც და მიიღებს პატივისცემის მოწიწებულ გრძობას მთელი განათლებული კაცობრიობისაგან“.



ერთი საუკუნის წინათ ბორკილადებული სამშობლოს მეზარემ ბელინსკიმ რუსეთის იმპერიის ხალხთა განთავისუფლების აზრი და ნატერა გულში ჩაუთესლა თანამედროვეებსაც და იდეურ შთამომავლებსაც, უწინასწარმეტყველა რევოლუციის გამარჯვება და ბრძოლის საგნად დაუსახა იგი.

ასი წლის მანძილით დამორებული მოაზროვნის მახვილმა თვალმა გაჰკვეთა რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე ჩამოწოლილი წყვილიადი, განსუკრიტა რევოლუციის ალით გაშუქებულ მებრძოლთა სილუეტები და მკაფიოდ მოესმა მას ხალხთ ბორკილის მსხვერვის ხმა, გამარჯვებული რევოლუციის სახეიშო ჰანგები.

სტალინური ეპოქის სურათს, ცხადია, სრულად ვერ დაინახავდა, მაგრამ საოცარი სიცხადით შეიგრძნო მისი ზოგადი მოხაზულობა:

ყოფილი „ხალხთა სატუსალო“ რუსეთი მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იქცა მოძმე რესპუბლიკათა შორის.

რუსი ხალხი თანასწორ მეგობრად ჩადგა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის.

საბჭოთა კავშირის ერები, ბელინსკის საყვარელი რუსი ხალხის მეთაურობით, მარტო თავის ბედნიერებას არა სჭედენ დაუცხრომელი ბრძოლითა და შრომით.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების, დიდი სტალინის მეთაურობით სამოქმედოდ აღძრულ ერებს ხელთ უპყრიათ ელვარე შუქის შფრქვევი ჩირაღდანი და ნარეკლით მოფენილ ძნელ გზას უნათებენ მთელ კაცობრიობას სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის დასამყარებლად.

ჩვენც, ვის ბედსაც შენატროდა ბელინსკი, თვალს ვავლებთ საუკუნის გაღმა დარჩენილ შავბნელ ეპოქას, მკაფიოდ ვხედავთ უკუნეთში გამოშუ-

ქებულ დიდი რევოლუციონერ დემოკრატის ნათელ სახეს დემოკრატის, სიყვარულის გრძნობით ვფრთხილებთ მას.

დიდება მათ, ვინც სულიერი ხიდი გასდეს სოციალისტური ეპოქის შვილებსა და რევოლუციური დემოკრატიის მამამთავარს შორის!

დიდება მათ, რომლებმაც ხალხის წყლულით გულდასერილ მებრძოლ მოაზროვნეს თავისი ქვეყნის განთავისუფლების მწვავე ნატვრა აუსრულეს!



## ბალახიონ ვაზიძე \*



გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობა ვრცელი, მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ამ დიდ პოეტურ მრავალმხრივობას რევოლუციის წინაპერიოდში თან გასდევს ღრმა წინააღმდეგობა. გ. ტაბიძის პოეზია არსებული შავბნელი სინამდვილის კონფლიქტში დაიბადა. ამ კონფლიქტს ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში ორი ნაკადი ასაზრდოებდა: ძირითადი მაგისტრალური პოეტური საწყისი და განვითარება პოეტისა მოდიოდა კლასიკური ქართული მწერლობის საწყისებიდან, საზრდოობდა ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი ტრადიციით და მიიმართებოდა რომანტიზმის გზით. მეორეს მხრივ, გალაკტიონ ტაბიძე მე-20 საუკუნის ქართველ პოეტებს შორის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც რუსულ-ევროპულ სიმბოლისტურ-დეკადენტური პოეზიის გავლენა განიცადა და თავისებური პოეტური ხარკი მისცა ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმართულებებს. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ამ უკანასკნელთა კვალი გალაკტიონის პოეზიაში, მას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეცეს მის რევოლუციამდელ შემოქმედებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა. საკითხის ამგვარად წარმოდგენა იქნებოდა ფაქტების დამახინჯება. მწერალი მისი შემოქმედებითი მოტივებით, თემებით, განწყობილებით და

ფაქტებით უნდა გავიგოთ, და არა წინასწარ შემუშავებული და გამოგონილი ტრაფარეტებითა და იარლიკებით.



გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება ორი, სრულიად სხვადასხვა ეპოქის მიჯნაზე გაიშალა: ერთის მხრივ, გ. ტაბიძის შემოქმედება დაიწყო და მიმდინარეობდა სოციალისტური რევოლუციის წინა ეპოქაში, რეაქციისა, მსოფლიო ომისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის დღეებში. ამ ეპოქამ თავისი დაღი დაასვა გ. ტაბიძის პოეზიას. მეორეს მხრივ, გ. ტაბიძის პოეტური მოღვაწეობა, სოციალისტური რევოლუციის ეპოქას დაუკავშირდა. და ამ ახალ ეპოქაში ჰპოვა მან ოპტიმისტური გაშლა და განვითარება. განსხვავებულ ეპოქათა ხასიათმა თავისებურად გამოიწვია მისი პოეტური შემოქმედება: განწყობილების, თემების, მოტივებისა და პოეტური გამოხატვის ხერხებითაც კი.

გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსი — „პირველი მისი“ 1908 წელს დაიბეჭდა; მისი პოეტური აზროვნება კი 1905 წლის რევოლუციის დღეებში მომწიფდა. ამ დროს, უკვე ქაბუკი პოეტი, არა მარტო მოწამე ვახდა თუ როგორ აღსდგა თავისუფლების საქმისთვის ჩვენი ხალხი, თუ როგორ აღიმართა რევოლუციის დიადი ღრმში, არამედ იგი თვითონ იყო ერთერთი ჯა-

\* წერილი მეორე.

რისკაცი ამ რევოლუციისა. რევოლუციის მღელვარე დღეებში მოხდა პოეტის სულიერი ფორმირება. გალაკტიონ ტაბიძემ თავისი ბირველი სიტყვა რევოლუციურ მუშათა კლასს დაუკავშირა: პირველი ლექსი, დაბეჭდვამდის არალეგალურ რევოლუციონერთა კრებაზე წაიკითხა. ამ ლექსში აშკარად ჩანს პოეტის ოპტიმისტური დამოკიდებულება რევოლუციისთან, ხალხის მომავალთან. პოეტი ჯერ აღწერს რეაქციის პარაზსს და ჩვენ თვალწინ აღიმართება დარბევის, შიმშილის, ბორკილებისა და ციხის მწვავე სურათები:

„მეფეს კი, მეფეს კი —  
ჭარბით და გროვლით  
თითქოს არაგისა  
და არაჩაისი  
ციხეში, პორცილში  
შიშშილში — ომებში  
სურს ჩაქლას მუშათა  
პირველი შაისი“.

მაგრამ პოეტი აქ არ სვამს წერტილს. მას სწამს, რომ მოვა დრო და რევოლუციური პროლეტარიატი კვლავ აღმართავს თავისუფლების დროშას. პოეტი მთელი თავისი რომანტიული გრძნობით მიესალმება „ამ ნათელ გაწვევას“.

„დრო მოვა და ისევ  
პროლეტარიატი  
შაისის ეარდებით  
სიცოცხლეს აფხვებს.  
სალაში იმ დღეებს,  
სალაში იმ ბრძოლებს,  
იმ ნათელ გაწვევას,  
იმ პირველ შაისებს!“

ასეთი იყო ის რომანტიკული შთაბეჭდილებანი და, რწმენა მომავლისა, რომელიც 1905 წლის რევოლუციიდან მოდიოდა. მაგრამ სულ მალე მისტიკურმა განწყობილებამ, სევდამ და კაეშანმა შეიპყრო პოეტი. გალაკტიონ ტაბიძე აღრინდელ ლექსებში

ცდილობს ერთგვარად ახსნას ამ სევდიანი განწყობილების მიზეზი. მოულოდროს შეითხველს თავისივე განწყობილებისა და კაეშანის საფუძვლების შესახებ. 1909 წელს დაწერილ ლექსში იგი საკითხს სვამს თუ „რა აკრთობს და აწუხებს აქ ადამიანს?“ დასმულ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა:

„თავისუფლება დაკარგეთო,  
თავისუფლება.  
შეისმინეო, ჰე, ბუნებაე  
მუღარა ჩვენი!  
გრძნობა გვეკარგვის, სული შლოთავს,  
გული წიხდება,  
რად არ წაღებო ჩვენი კვნესა,  
ტანჯვა ესდენი?  
მზე დაგვჭაოთათებს... ყვევილთ გუნდი  
გვეალერსება,  
ტანჯვა არისო ყველაფერი  
მოსაგონებლად,  
თავისუფლება აღარა გვაქვს,  
თავისუფლება,  
იტირეთ, მშებო, ცრემლი დაგვჩა  
მანუგეშებლად“.

ასე აქვს მას უკვე წარმოდგენილი ადამიანის სევდის, ნაღველის და ცრემლის მიზეზი ამ პერიოდში. პოეტი ამ შავწნელ სინამდვილეთა გამო იტანჯება ადამიანების ტანჯვასთან ერთად. პოეტი გულწრფელად ამბობს. როცა დაეუფდებ ამ ხმებს ყურს, მეც ვეიტანჯებიო. და იგი ვაოცებით შეჰყურებს სამშობლო მთებს და ფრთავაშლილ, ტურფა ბუნებას, რომელთა შვილები ასე მოუცავს სევდას და ნაღველს.

გალაკტიონ ტაბიძისათვის რევოლუციის მზიანი დღეები დარჩა როგორც რომანტიული მოგონების ნათელი სვეტი. მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას და სიხარულს არაერთხელ იგონებს იგი. პოეტს უყვარს ეს დიდი წარსული:

„როგორ მიყვარდა? მაგრამ ხსოვნა  
იმ ტრფობის სულს,  
დარჩა ჩემს გულში წარღმული“

და მოკამკამე,  
იმას იგონებს დაღონება  
დალაღულ ველის...  
იმ სიყვარულის მიმღერე რამე".

პოეტი დიდი რომანტიულის გზნებითა და ილტაცებით ლაპარაკობს იმ დიად ბრძოლების შესახებ, იმ ქარიშხლიან სიცოცხლის დღეებზე, რომელთაც მასში წარუშლელი შთაბეჭდილება და სიყვარული დასტოვეს:

„ღიღი მიზანი, ბრძოლა იყო  
ახალ დღეების,  
არ დავეშუღვარ, მაგრამ გესლით  
მე მოვიშხამე.  
აი, ნაყოფი, ქარიშხლიან  
სიცოცხლის ვნების.  
მე იმ ბრძოლების მიმღერე რამე.  
ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ  
დაუძღურების  
და წარუშლელი მწუხარების  
გაგზდი მოწამე,  
მოწამე გაგზდი ცაცხლისა  
და განადგურების  
გემუღარები, მიმღერე რამე!“

ასე იგონებდა პოეტი უფრო გვიან, 1912 წელს, დიდი ბრძოლების მზიან დღეებს. ქვევით ვნახავთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ეს ხაზი თავიდან ბოლომდე თან გასდევს მის პოეზიას. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ რევოლუციის წინაპერიოდში გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ამგვარ განწყობილებათათვის წამყვანი, დომინანტური მნიშვნელობა მიგვენიჭებინა.

რევოლუციის დამარცხებით და რეაქციის მძვინვარებით გულმოკლული პოეტი თავის პოეზიის საგანს „უიმედო სევდასა და მისტიკურ განწყობილებებში“ ეძებს. პოეტი აკვირდება ცხოვრებას მის გარშემო არსებულ სინამდვილეს და მას სევდა იპყრობს. და ხშირად ბურჟუაზიის მოკლე პოეტის ფიქრები ამ მკაცრ სინამდვილეში გამოსავალს ვერ პოულობენ. და ხშირად დეკადენტური განწყობლებებით, უპერსპექტივო ხედვით, ცხოვრე-

ბისაგან განდგომის მისწრაფებით გვევლინება. სულიერი მარტოობის შეწყვეტრავდება მოსვენების უწყვეტ პოეტს.

„ო, ვის, ვის ემის ზემო ცენესა  
და ტანჯვა სულის,  
საუკუნეთა მსეღელობაში  
გაციებულის?  
აღამიანო ყოფნა შენი  
კუბოლ იცვლება,  
მე, კი, უბედურს,  
თვით სიკვდილიც არ შეღისება“.

ტაბიძის პოეტურ ლექსიკაში მტკიცედ მკვიდრდება მისტიკური სიტყვიერი ლექსიკონი კუბო, მონასტერი, ცა, სასწაული. პოეტის განწყობილება სევდიან, უსასოობით მოცულ ფიქრებში ვლენდება. მარტოობისაგან, ცხოვრებისაგან, გულმოკლული პოეტს ბეზრდება თვით სიცოცხლეც კი. „ღამის სიცივისაგან სულის ქვეყნა-წვალეებით გაწამებული“ პოეტი ასკენის:

„მეტყვი, რომ ხველა მომეზრდა ქვეყნად  
რომ დავიღაღე მე ამ კუბოში,  
რომ მას ველოდი და მუდამ ასე  
დაღონებული ვიღოდი ბრბოში“.

მაგრამ ეს ღამაში, ცისფერთვალეება ქალი, რომელიც ცხოვრების სიყვარულის იმედის, სიმბოლოდ დაუსახავს პოეტს, არსად ჩანს. პოეტის მისტიკური დეკადენტური განწყობილება გამოხატულია ლექსში, რომელსაც ჰქვია „ათოვდა ზამთრის ბაღებს.“ ამ ლექსში პოეტს ცხოვრება წარმოდგენილი აქვს დაუსრულებელი უსასოებისა, მწუხარებისა და სევდის სადგურად, იგი მუქი, მისტიკური ფერებით ხატავს არსებულ ყოფას:

„ათოვდა ზამთრის ბაღებს,  
მიქონდათ შავი კუბო.  
და შლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქალი  
გზა იყო უდაბური,  
უსაბო, უპირქუბო  
მიქონდათ კიდევ კუბო.“

ყორნების საუბარი:  
 დარეკე დეუკარი!  
 ათოვდა ზამთრის ბაღებს“.

ასეთი მისტიკური ექსტაზით წარმოედგინა ცხოვრება ვალაკტიონ ტაბიძეს. პოეტისათვის ეს ქვეყანა მკენარი იმედების საწყობი იყო. ცხოვრება კი ქვეულა უდაბნოდ. მარტოდშთენილი პოეტი თავის სულიერ ტრაგედიას ასე წარმოგვიდგენს:

„სიყმაწვილეში მე ვკანებოდი,  
 როგორც ფოთოლი,  
 ობოლი ვიყავ მე მამინაც  
 სულით ობოლი,  
 ეამი მიჰქროდა ახალი დღით  
 ვანრინებულნი.  
 არ მშვიდდებოდა ჩემში მაინც  
 გული ვნებული.  
 დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის  
 არ მესმის ნანა.  
 ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა“

პოეტი უიმედობის ჯადოსნურ რკალში მოექცა. იგი არაერთხელ ცდილა გაერღვია ეს სულისგამყინავი ბურუსი, რომ დაენახა თავის სამშობლოს „მთისა ქედები“, მაგრამ შავი ყორანი სიყრმიდანვე ასდევნებია პოეტს და წაურთმევეია მისთვის სინათლის, სიცოცხლის, პერსპექტივისა და მომავლის რწმენა. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი პოეტი გულისმომკვლელი უსასოობით შეპყრობილი, მწარედ მოსთქვამს თავის ბედზე:

„გზაზე მივდივარ... მსურს გაეარკვიო  
 ვასასულელი გზის სიგრძე უცულოლი  
 შავი ყორანი ისე მომჩხავის:  
 შორს ნუ ვასცქერი... შორს ნურვის ელი“.

პოეტისათვის გაურკვეველია ცხოვრების ნამდვილი გზა.

„მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სხანს,  
 ამ სიბნელეშიც ვაჭირდა ვაფლა;  
 შავმა ყორანმა ფრთაფრთას შემოკრა,  
 შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა“.

ამგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდა პოეტი. მას სურს დროქმდობა შინც დაიშვიდოს სული და ბრუნს შეგობარი. რაკი მან შეგობარი დაკარგა აღამიანებს შორის, რაკი იგი ცხოვრებამ ასე მწარედ დასაჯა, პოეტი ფანტაზიით ქმნის იგონებს, თხზავს ობოლი სულის ორეულს-მეგობარს. სუბიექტური მეს ეს ფანტასტიკური ორეული ის გამოგონილი საშუალებებია, რომელშიაც სულიერ სიმშვიდეს თუ კმაყოფილებას ეძებს პოეტი. ეს გზა ნაცადი გზა იყო რომანტიკოსებისა და იგი თავისებურ უკიდურეს განვითარებას აღწევს სიმბოლისტიკების შემოქმედებაში. ვალაკტიონ ტაბიძეც რომანტიზმისა და სიმბოლიზმის შემაერთებელ გზაზე მთელის სისრულით აწვითარებს, ამ მოტივს. ვალაკტიონ ტაბიძის პოეტურ სამყაროში მრავალფეროვანია ორეულების, ფანტაზიით შექმნილი, სულით ობოლი პოეტის „მეგობრების“ სახელები. ამ ორეულთა შორის პირველი ადგილი მაინც დამეს ეკუთვნის. ვალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „მე და დამე“ „ორეულების“ მთელი ფილოსოფიაა. ამ ლექსში რომანტიზმისა და სიმბოლიზმის ელემენტების თავისებურად შერწყმასთან ვაქვეს საქმე. პოეტი ოსტატურად ცვლის დუმილის სიმბოლისტიკურ ვაგებას ლამის მისტიკური სულის გამოძახილის ფორმით. სიმბოლისტიკების აზრით (ასევე უფრო ადრე რომანტიკოსების აზრით) ადამიანი თავის შინაარსს ნამდვილად ავლენს არა მის ჩვეულებრივ მდგომარეობაში, არა ხილულ და ნათელ ქვეყანაში, არამედ მის ბუნდოვანობაში, ჩრდილოვან მდგომარეობაში. სიმბოლისტიკების მიზნობრიობის მტიკე პრინციპი დამყარებულია შემეცნების პოზიტიურ განდგომაზე, ცხოვრების ბრძოლის მოტივების შენაცვლებაზე საიდუმლო ექსტაზით. სიმბოლისტი პოეტი ემიჯნება ხილულ ქვეყანას და იძირება საკუთარ მეში,

რათა იქ პოვოს აბსოლიუტის ნამდვილი გამოვლინება და შეუერთდეს მას. ამიტომ ის თავისთავს ათავისუფლებს ცხოვრების სინამდვილის შთაბეჭდილებისაგან. და მთელ გულისყურს მიაპყრობს საკუთარ მეს, ცხოვრებისაგან სრულიად გამოთიშულ შინაგან განცდებს. იგი ხელოვნურ სულიერ ცხოვრებას კმნის. სულიერი ექსტაზის საუკეთესო დროდ სიმბოლისტებისათვის აღიარებულია ღამე. ღამე, როდესაც იღვიძებს ადამიანის სული, ხოლო მისი ფიზიკური არსება, რომელიც მოჩვენებათა ზმანებაა, მხოლოდ ერთგვარად ეცლება ამ სულს. ღამის მდგომარეობა, ბუნდოვანი და ჩრდილოვანი მდგომარეობაა სულისა, თითქოს ააზღოვებს მას ირეალურ სამყაროსთან. სიმბოლისტების აზრით პოეტმა უნდა უკუაგდოს პოზიტიური შემეცნების გზა. უარყოფს მიზეზობრივი კავშირი საგანთა შორის და საიდუმლო ნიშნების საშუალებით მიგვახვედროს, გვანიშნოს ობიექტიური სამყაროს მიღმა მდებარე იდეა. ამის საუკეთესო საშუალება არის ბუნდოვანობა. ყველა ამ გარემოების გამო სიმბოლისტებმა ხელოვნების პრინციპად შთავონება აღიარეს. არა დახატვა საგნისა, არამედ სიმბოლოების საშუალებით მინიშნება, მიხვედრა აღიარებულია ხელოვნების პრინციპად.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ხელოვნების ეს დეკადენტური თეორია ზშირად არის განვითარებული.

როდესაც ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძე თავისი ძლიერი რეალისტური პრინციპით შემოვიდა, მან თავის რეალისტურ დროშაზე ცხოვრების სიყვარული, სინამდვილის ამქვეყნიური ყოფის ლოზუნგი დააწერა. ცხოვრებისა და სინამდვილის ეს რეალისტური ფილოსოფია ი. ჭავჭავაძემ მკვეთრად გამოხატა თავის საპროგრამო ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „მგზავრის წერილები“. აქ ილია ჭავჭავაძე როგორც რეალისტი, სიციცხ-

ლის, ბობოქარი ცხოვრების, დღის სინათლის სიყვარულს ქადაგებდა ილია ჭავჭავაძე, ნათელი აზრით შთავაჩვენებელი, ალტაცებით წერს: „წაიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილთა დასისზმრებოდა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაივავლაბით“. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექონდა რეალიზმის დიდ წარმომადგენელთან. სრულიად სხვაგვარია მდგომარეობა, როდესაც გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამეს“ ვეხებით.

რომანტიკოსი გალაკტიონ ტაბიძე კი პირიქით, თავის მეგობრად, თავის სულის მესაიდუმლოდ ღამეს ხატავს. პოეტს იტაცებს, მთვარის ნათელი, მტრედისფერი ცა, ლურჯი სვეტებით დასერილი. ეს საიდუმლო შუქი მასში აღძრავს უხე გრძნობებს. ღამის ეს საიდუმლოება მას საკუთარ მდგომარეობას აგონებს.

„საიდუმლო შუქი გარეთ,  
მე, არის შესუღრული,  
ისე საესე უხე გრძნობებით,  
ვით ამ ღამეს ჩემი გული“.

ბნელი გულის ფიჭვებს, მის განუზომელ ნალველს, რასაც ასე საიდუმლოდ გულში დაატარებს პოეტი, როდი უმჯლავნებს. თავის მეგობრებს. ამ საიდუმლოთა მკვიდნე მხოლოდ დამეა.

„მხოლოდ ღამემ, უძილობის  
დროს საჩემელში მოკეპემემ,  
იციხ ჩემი საიდუმლო,

ყველა იციხ თეთრმა ღამემ.  
იციხ როგორ დაერიჩი ოზლად,  
როგორ ვვენე და ვეწამე,  
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე,  
მე და ღამე, მე და ღამე“.

ღამე, ბუნდოვანი მდგომარეობა პოეტს უღვიძებს მიუწვედომელის და ირაციონალური ქვეყნის განცდებს. აღძრავს მასში საიდუმლოთა ამოხსნის გრძნობას. ეს სამყარო სრულებით არ

უმსგავსებმა რეალურს, ემპირიულს, მის შეგობრებისთვის ნაცნობს და თვალსაჩინო ცხოვრებას. ეს სულ სხვა მხარეა, რომელიც მხოლოდ პოეტმა იცის. ექსტაზით წარმოდგენილი ეს სინამდვილე პოეტს უნდა მუდამ თან ახლდეს. მას ბინდი უყვრს, დამე უყვარს, სამაგიეროდ დლე, განთიადი და სინათლე ტანჯავს. ეს განწყობილება აქვს გამოხატული გალაკტიონ ტაბიძეს ლექსში, რომელსაც ჰქვია „ბინდის სტუმარი“.

— „ო, გვედრები, ნუ შემოშფოთებ...  
ლოცვას მზურვალეს, ლოცვას პოეტურს...  
შუა ღამეა, მოესტქვამ და ვგოდებ...  
— შენთან ყოფნა მსურს... შენთან ყოფნა  
მსურს...“

ბინდი ღამისა ვაღაიწალა  
განთიადი... მე ვტანჯები...  
სად მივაქვს სუნთქვა... სად მივაქვს ძალა?  
შენთან დაერჩები, შენთან დაერჩები!“

პოეტს განთიადი „ტანჯავს“. ამიტომ შეუძლებელია მას დლე. ეს ქვეყანა და ცხოვრება. სამაგიეროდ მზურვალედ უყვარს და „ლოცვას პოეტურს“ აღძრავს მასში შუღლამე, რომელთანაც ყოფნა განუზომლად სურს პოეტს. ამაზე უფრო გარკვევით იშვიათად გამოუხატავთ რომანტიკული, სიმბოლისტური პოეტიკის წესი და მრწამსი ქართულ ლიტერატურაში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მართოდენ დამე როდი იყო სულის სიმბოლიზაციის საშუალება. პოეტის მიერ შეთხზულ ამ ღამის მაგვარ ორეულებს შორის განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ქარს. ქარი მრავალგზის ხვდება ტაბიძის პოეზიაში. ჯერ ერთი იგი გვხვდება როგორც რევოლუციის ქარიშხლიანი დღეების სიმბოლო, უფრო ხშირად კი როგორც პოეტის სულიერი ობლობის, მარტობის სიმბოლო. და იმაშიაც, — რომ ქარი ერთ დროს იყო ქარიშხლიანი დღეების სიმბოლო და ახლა იგი პოეტის სულიერი ობლობისა

და მარტობის, სევდისა და კაეშნის სიმბოლოდ ქცეულა, მარტობის სიმბოლოდ ტაბიძის წინამდებარეობაში მსგავსა, რომელიც მან ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში გაიარა.

შუა ღამისას, როდესაც პოეტი თავის სევდიან სტრიქონებს ქმნის, როდესაც იგი უჩვეულო ფიქრს შეუბყრია, ამ დროს მას მხოლოდ ქარზე ფიქრი და ოცნება იტაცებს. ქარში მისი მდგომარეობის ანალოგიას პოულობს.

გალაკტიონ ტაბიძე თავის ცნობილ ლექსში „ქარი“ — ასე გვიხატავს პოეტის დამოკიდებულებას ქართან:

„ქარი ხან სტვენდა, ხან სტიროდა  
გულმოსკვნილი,  
ხან გამოუთქმელ სივარდობით,  
კენესდა... წველობდა.  
გული უსმენდა მას, ამ ქეთონს  
გამოურკვეველს  
და ოცნებობდა იუბიუნელ  
ფიქრთ მოვონებით;  
ქარი კი ისევ ედებოდა  
ქეთონით ტყვევულს,  
დამქანარ ყვაილებს იტაცებდა  
მოსხტეტელ ფრთებით...  
მხოლოდ მე ვიყავ იმის მსგავსი  
და მოწყენილ ხმებს  
მიტომ კენესოდა  
სარკმელთან ქარი“.

ასეთივე გავებით ხატავს ის თავის დამოკიდებულებას ქართან ლექსებში „წუხელის ღამით ქარი დაქროდა“, „ქარით დატირებული“ და სხვ. ამ ლექსებში ქარი წარმოდგენილია როგორც პოეტის სულიერი განცდებისა და მდგომარეობის გამოხატველი. ქარიც იმავე მარტობის, სულიერი ობლობის მწარე განცდებით არის გასულიერებული როგორადაც თავათ თავისი მდგომარეობა წარმოუდგენია პოეტს. ამ მდგომარეობაში მოსჩანს იმ წარსულის გახსენებაც, როდესაც ისინი თავიანთ ბედით კმაყოფილი იყვნენ.



„დასცხრი ვრიგალო! ყველაფერი როლი დაგვარგეთ, რა ეუყთ ვულში? თუ სიამის ჩურჩული მიწყდა-რად დაგიფყდა წყნარი ლოცვა ქალწულის ბაგეთ, და მოგონება თეთრად წარსულთ რად დაგიფყდათ?“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში პოეტის მეს სიმბოლიზაციის საშუალება წარმოდგენილია აგრეთვე ვარსკვლავებითაც. ლექსში „ზომლი“, პოეტი თავის სულის მესაიდუმლეს, თავისი მდგომარეობის ანალოგიას ვარსკვლავში ხედავს. წინათ თუ მხოლოდ ვარსკვლავებმა იცოდნენ ცაში, „რომ ქვეყნად ჩემზე ზედნიერი არავინ იყო“ აი ახლა, როდესაც შეეჩვია გული სევდას და ურწმუნობას,

„ახლაც კი, მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი“.

რომანტიზმ-სიმბოლიზმის | პოეტიკის სალაროში პოულობდა გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განწყობილებანი თავისებურ გამოხატვას რევოლუციამდელ ლექსებში. ცხოვრებისაგან განდგომის, სინამდვილის ვაცილების დეკადენტური აზრი არა ერთგზის არის გამოხატული მის აღრინდელ ლექსებში. პოეტი ბშირად ოცნებობდა:

„საძვე ყრუ ადგილს დავესახლები ეს ფერი მარად თვალს ეგვარება, სადაც იქნება ხალხი ნაკლები და უფრო ნაკლებ აღმაიანი“.

ამგვარი აზრით შეპყრობილ პოეტს იტაცებდა რომანტიკოსების საყვარელი ცისფერი, ირეალური სამყაროს ეს თავისებური სიმბოლო. პოეტი წერდა:

„აქ მრავალი ცისფერი ფერი, ეს ფერი მარად თვალს ეგვარება, როგორც ქალწულის სახელ მერი — არის ცისფერი და მწებარება. გახედე შორს ფერს! გახედე სურებს!“

გახედე ტალღებს ჩქისოვილს ტბაში. ცისფერი ასე უცხოდ იდგნენს სამოსელს დღეთა მღელვარებაში. სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“.

თუ, ერთის მწრივ, გალაკტიონ ტაბიძის სიყვარული ცისფერისადმი, მისი გატაცება უჩვეულო აბსოლუტისადმი საწყისებს იღებდა ქართულ რომანტიზმიდან, კერძოდ ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან, მეორეს მხრივ, — რევოლუციის წინაპერიოდის ლექსებში თავისებურ გამოხატულებას პოულობდა რუსულ და ევროპულ დეკადენტური მიმართულებების გამოძახილიც. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მრავალჯერ ხვდება სიმბოლიზტების — ზოდლერისა, ედგარ პოსა და სხვათა სახელები. ბევრ შემთხვევაში გალაკტიონ ტაბიძე, მათ „მამებად“ ხატავს. ლექსი „ქიანურებში“ გ. ტაბიძე წერს:

„მშირად ვიგონებ ვერღეს, როგორც დაღუბულ შამას დაღვრის მშლილი ცრემლებს მოგონებათა გამშას“.

ასევე მისი ლექსები „საუბარი ედგარზე“, „ედგარი მესამედ“ ნათლად გამოხატავენ გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულებას სიმბოლისტებთან. სიმბოლისტურ - დეკადენტური პოეზიის გაგლენით უნდა აიხსნას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გამოხატული სიკვდილის თავისებური აპოლოგია. გ. ტაბიძემ, მას შემდეგ, რაც ვერ პოევა სულიერი მეგობარი ადამიანებს შორის, ვერ დაიმშვიდა რა მშფოთვარე სული ვერც ბუნებასა თუ სიყვარულში, რომლითაც გულმოკლული პოეტი ამბობდა: „ახლა მე ვწყველი, ვწყველი სიყვარულს“. სიკვდილში იწყო გამოსავალის ძებნა. გ. ტაბიძის შემოქმედებაში სიკვდილისაკენ სწრაფვასაც თავისი „ახსნა“ აქვს, რასაკვირველია, ეს

ახსნა როდია დასაბუთებული ან გამართლებული. პოეტი ამბობს, რომ დავიბადე განთიადისასო, კარგად მახსოვს როგორ ვიბრძოდით:

„ცხარედ ვიბრძოდით კმაწვილურ ვინით,  
მაგრამ დაცინივით მომიკლეს ჩწმენა,  
და ძირს ვავემხე კენესა-ქვითინით.  
და დღესკი, როცა შავი ბერუსი  
მოსპობს და მიკლავს ოცნების კუთხეს,  
ჩემი ვაჩენის დღეს ვწყველი უმალ  
და გლოვავ ყოფნის აღსასრულის დღეს.  
ბნელი ღამეა... მალე ინათებს...  
ჩქარა სიკვდილო, რა, გვედრებო...  
ვადმოვივლინე ტბილი ოცნება,  
გარდამაფარე შავბნელი ფრთებით“

\* მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს ახსნა, მაინც ფაქტია, რომ ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში სიკვდილის აბოლოგია იყო დეკადენტური სიმბოლისტური სკოლის გამოძახილი. მაგრამ აქვე სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ტაბიძის შემოქმედებაში არასოდეს ყოფილა სიკვდილის აბოლოგია ისეთი თვითმიზნური მუდმივი კატეგორია, როგორც იყო ეს სიმბოლისტების შემოქმედებაში. ის არც ევროპულ რომანტიკოსების უკიდურესობამდე მისულა. მაგალითად, ნოვალისი თავის „ფრაგმენტებში“ სწერდა: „სიკვდილი არის გამარჯვება თავისთავზე და იგი ქმნის, როგორც ყოველივე გამარჯვება, უფრო მსუბუქ ცხოვრებას“. უფრო უკიდურესობას ავითარებდა ლეობარდი. იგი წერდა მამას. „მე მშურს მკვდრების ბედი და მხოლოდ მათ მინდა გავუცვალო ჩემი მდგომარეობა.“ გ. ტაბიძის შემოქმედებაში ეს უკიდურესობა თვალსაჩინოდ შენელებულია. უფრო მეტი, ვალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში სიკვდილის აზრს წმირად ცვლის სიცოცხლის სიყვარულის აზრი. იგი ხშირად ოცნებობს ისეთ ძალზე, რომელიც ბურუსს მოაცილს, სიკვდილს ააშორებს და ცხოვრებას დაუბრუნებს. პოეტი ხშირად წერდა:

„ფიქრს ვერ ვაჯავებ, ცრემლად მონაქებს...  
წუხვარ... ვეძახი სიცოცხლეს, მიზანს,  
მაგრამ არაფერ იძლევა პასუხს...“  
მეორეგან იგი წერს:

„არცა თუ მცირედ შეუღვა ვულს  
სევდა-ნაღველო,  
რომ კვლავ შემქმლის ზეცისაყენ  
აღვაყრო ბულო,  
ო, საღ ზარ, სადა, უჩვეულო  
რაიმე ძალო,  
სიკვდილის შავი ნისლი  
რომ გამივალო?“

ყოველივე ამისა გამო ჩვენის აზრით ვალაკტიონ ტაბიძის რევოლუციის წინა პერიოდის პოეზია არ შეიძლება ისეთი უკიდურესი დეკადენტური, სიმბოლისტური პოეზიის ნიმუშად მივიჩნიოთ, რომელიც ევროპული და კერძოდ ქართული სიმბოლისტების, ცისფერყანწელების პოეზიისათვის იყო დამახასიათებელი. უდავოა, რომ ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გარკვევით მოსჩანს კვალი, და ძლიერი კვალიც დეკადენტურ - სიმბოლისტური პოეზიისა. აქედან მომდინარეობს ვალაკტიონ ტაბიძის მთელი რიგი ბუნდოვანი, უსაგნო ლექსები, თვითმიზნური ესტეტიზმი (განსაკუთრებით მეორე წიგნი, 1919 წლის გამოცემა), მაგრამ ვალაკტიონ ტაბიძეს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ქართული პოეზიის ჯანსაღ ნაკადთან და მთელ მის პოეტურ მოღვაწეობას ქართული კლასიკური პოეზიის ნაკადიც ასაზრდოვებდა. აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად ყოველთვის ეს პირდაპირი და უშუალო გავლენით იყო მიღებული. საერთო განწყობილება ვალაკტიონ ტაბიძის ლექსებისა, მისი ლექსების სული მუდამ დაკავშირებული იყო ქართული პოეზიის საერთო თემებთან და განწყობილებებთან. ქართულ ლიტერატურაზე ზერელე დაკვირვებაც კი ერთ ნათელ სურათს წარმოგვიდგენს. სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის თემას საბჭოთა-

პერიოდის მხატვრულ მწერლობამდის თან სდევდა, როგორც მისი განუშორებელი ორეული, სევდისა და უკმაყოფილების კილო. სამშობლოს ბედით გამოწვეული რომანტიზმი იყო დამახასიათებელი თვისება ქართული ლიტერატურისა. ისეთმა რეალისტმა მწერლებმაც კი, როგორიც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ, ვერ დააღწიეს თავი ამ გზას. ქართველი ხალხის ყოფა, ჩვენი სამშობლოს ბედი სევდიანად აცვენებდა მუდამეამს ჩვენს კლასიკოსებს. სამშობლოს ბედით გამოწვეული უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძობა აწმყოთ მიმართ ქმნიდა კონფლიქტს მწერალსა და სინამდვილეს შორის. ეს მომენტი განსაკუთრებით შეინიშნება მე-19 საუკუნის ქართულ პატრიოტულ ლიტერატურაში. ამგვარი კონფლიქტი დამახასიათებელია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისათვისაც. პოეტს გულს უკლავდა და გრძობას უწამლავდა უფლებაყრილ სამშობლოს ბედი. სამშობლოს უნუგეშო აწმყო მწარედ აცვენებდა პოეტის ჩანჯს. პოეტს სძულდა ეს უფარვისი სინამდვილე, იგი გმობდა და წყევლიდა ასეთ ყოფას და ოცნებობდა ბედნიერ მომავალზე:

„ვეთხოვებოდი სამშობლო მხარეს,  
 ღრმა ძილში შთანქმულს,  
 მაგრამ უზრუნველს.  
 შორს დავეძებდი მყუდრო სამარეს,  
 უცხოეთისკენ მე ვიშვებდი ზელს.  
 „მძელხარო“—ასე უთვლიდა ზვირთებს,  
 მძელხარო. მონობაჲ, — ვამბობდი და ზვებს  
 ცელქი ნიავი სათლთად კრეფდა,  
 „მძელხარო“ — თერგი იშვებდა“.

რუსეთისაკენ მიმავალი გ. ტაბიძის პოეტური ფიქრები, ი. ჭავჭავაძის მსგავსად, სამშობლოს დატრიალებდა. პოეტმა ღრმა სიყვარულით გადაფურცლა საქართველოს ისტორია და თვალწინ დაუდგა წინაპართა გმირული

სახეები, გარდასულ დროთა გაქცევით აღფრთოვანებული პოეტის მხარბრუნებულ წინაპრებს.

„ო, როგორ მინდა, მეგობრებო,  
 რომ თქვენთან ერთად  
 მივიღო ჩვენთა წინაპართა  
 ელვარე თასი,  
 ბევრი რამ არის მათ გრძნობაში  
 კეთილშობილი  
 მათი მხურვალე ოცნებით მსურს  
 ვიამაყო მე“.

წარსულის გულმხურვალე მოგონების შემდეგ პოეტის ფიქრები შეჩერდება საქართველოს აწმყოზე და სანუგეშოს არარას პოეებს. გულმოკლული პოეტი მწარედ ამოიკვნესებს— „მძელხარ, მონობაჲ“... აწმყოთი უკმაყოფილო პოეტი მომავალში ეძებს სამშობლოს ბედს. სამშობლოს ბედის ძიებამ იგი „უცხოეთში გადახვეწა“. პეტროგრადში მყოფი პოეტის ფიქრები კვლავ საყვარელ სამშობლოს დასატრიალებს. პოეტი ოცნებობს სამშობლოზე, იგონებს „შფოთიან თბილისს“, რომელმაც მწუხარება და სევდა გაატანა რუსეთში მიმავალ პოეტს.

მაგრამ „უცხოეთში“ მყოფი პოეტი არ კარგავს იმედს. მასში იღვიძებს რწმენა, რომ საქართველო კვლავ „წარამოდგება ძლიერად“.

„მოჲ... მწუხარე, მაგრამ ნახ სიტყვით  
 ძალას აღძრავს თვედახრილ მონებს“, —

სწერდა პოეტი. გ. ტაბიძის პოეტურ განწყობილებას სევდასთან ერთად ჰკვებავს მოლოდინისა და იმედის რწმენა. ბურუსით მოცული „მომავალი“ პოეტს იმედიანად ეხატებოდა. „სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მებატება: ადამიანი ზეცას შეხარის“. ასე სწერდა პოეტი 1916 წელს. ეს იმედი სამშობლოს აღორძინებისა ის

შუქი იყო, რომელიც გ. ტაბიძის სევდიან პოეზიას ანათებდა.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სამშობლოს აღორძინების ცნება სახალხო რევოლუციის საკითხს უკავშირდებოდა. გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც პირველი პოეტური ნათლობა 1905 წლის რევოლუციის გრანდიოზული სანახაობით შთაგონებულმა მიიღო, ხშირად იმედით შეჰყურებდა ხალხის მომავალს. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიას როგორც მისი მეორე ნაკადი თან ვასდევდა ცხოვრების, ბრძოლის, რწმენის განწყობილებაც. არ იქნებოდა სამართლიანი გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო რევოლუციის წინა პერიოდისა წარმოგვედგინა ამ განწყობილებათა გარეშე მდგარი. ეს იქნებოდა ფაქტების მხოლოდ სუბიექტიური დამახინჯება. გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციის წინაპერიოდში პესიმისტურ და მისტიკურ განწყობილებების გვერდით ოპტიმიზმის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის გამოხატვის განწყობილებანიც გვხვდება. 1910 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც ჰქვია „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“ პოეტი იმედით შეჰყურებს მზეს, თავისუფლების დიად სიმბოლოს. პოეტმა იცის, რომ „უსასოება და სიკვდილი ნადგურდება და იხსნება“, სადაც მზე თავისი ძალით ანათებს. მზის ამოსვლის რწმენით შთაგონებული პოეტი ოპტიმისტურად შემოსძახებს:

„შორს ზეენგან, ღმას წყვილიად,  
შორს, შორს ჰურესო გრანდულო,  
თვალისამქვევად იექმნილო  
და ბორკილებად ქვეულო  
ჩვენ მზე ვესურს...  
ხალხო, შეერთდით  
ზევით ასწიეთ მზე, ზევით.  
მის აღღვამასთან მნათობს,  
სხივებად გადაფიქცვეთ“.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ძნელია მოინახოს მეორე უფრო ოპტიმისტური ლექსი, ვიდრე გალაკტიონ ტაბიძის დასახელებული ლექსი. გალაკტიონ ტაბიძე აქ მთელი ხმით უმღერის ხალხის ბრძოლას, ხალხის შეერთებას უსამართლობის, ჩაგვრის, თავისუფლების მტრების წინააღმდეგ. მას სწამს, რომ წყვედიან დასძლევს ხალხის შეერთებული ძალა. უფრო გვიან, 1915 წელს, პოეტი თავის ამოცანად თვლის უმღეროს ხალხს და ემსახუროს მის მომავლის საქმეს. პოეტი გულს არ იტებს; მართალია, მას აწვთ ბურუსმა, მაგრამ მას კვლავ სწყურია, ისე როგორც სწყუროდა ხალხისთვის თავდადება. იგი წერს:

„სიმღერავ, უხვე დალილო, დაქანცულო,  
ანენე ცეცხლში ნაწითობი გული,  
დაე, ისმენდენ პანგს დაუტყრომელს,  
დაე, იცოდნენ რომ ბევრისმგომბელს,  
მათღამი დიდი აქვს სიყვარული“.

პოეტს უყვარს ქარიშხალი. იგი მას თავისუფლებას აგონებს.

„უყვარს მარტო ქარიშხალი  
თვალუწვინელ ზღვიდან ზღვიამდე,  
ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე“.

მის თავგანწირულ ბრძოლაში ქვეყნის განათლების ძალას ხედავს. პოეტს უყვარს ბობოქარი ქარიშხალის ცხოვრება.

„დაქროლე, ქარო... მე არ მიყვარს  
ვგ მყუდროება,  
მე ქარიშხალთან შეგმა შინდა,  
დაქროლე, ქარო“.

პოეტის სიყვარული რევოლუციის ქარიშხლიან დღეებისადმი, მისი გატაცება გაზაფხულით, ცხოვრების სიყვარულით, სიცოცხლის მშვენიერებით, დიდის რომანტიული გზნებით არის გამოხატული ცნობილ ლექსში — „გუბრიის მთები“. პოეტს იშვიათი ოსტატობით აქვს აღწერილი 1905 წლის რევო-

ლუციის ცეცხლით განათებული ნასაკირალი, რომლის ერთხელ კიდევ ხილვამ და გაზაფხულის მთების სიმწვანემ სიცოცხლის და განახლების აზრი აღძრა მასში. სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში ეს ჯანსაღი ნაკადი, ეს ოპტიმისტური რწმენა მომავლისა თანდათანობით ძლიერდებოდა რევოლუციის მოახლოვებასთან ერთად. სევდიან სულზე გამარჯვების იმედს პოეტს რევოლუციის მოლოდინი აძლევდა. ამ იმედით აღფრთოვანებული პოეტი ასე მიმართავს მეგობრებს.

„ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად  
გავშალო ფრთები.  
განა არ არის საშინელი  
საკოლაობა,  
ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი  
საქართველოა,  
რევოლუცია არ აძლევდეს  
სიმშვენიერეს?“

ერთის მხრივ, ასეთი განწყობილებებით და იდეებით შეზღუდა გალაკტიონ ტაბიძე 1917 წლის რევოლუციას. გალაკტიონ ტაბიძეს პეტროგრადში მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. პოეტი მიესალმა „ცეცხლის მზეს“. რევოლუციაში დაინახა განახლების გზა, თავისუფლების გზა, ხალხის ბედნიერების გზა. ამ რწმენით შთაგონებული იგი წერდა:

„გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა.  
დროშები ჩქარა...  
თავისუფლება სულ ისე მოწყურდა,  
ვით ღამით ვრშების გუნდს წყარო ანკარა...  
დროშები ჩქარა!  
ღიღება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,  
ვინ მდღვრად დახვდეს მტრის რისხვა-მუქარას.  
გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით.  
დროშები, დროშები, დროშები ჩქარა.“

გ. ტაბიძე რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ბრუნდება საქართველოდან პეტროგრადში, იგი მოხიბლულია სოციალისტური რევოლუციის გრანდიოზულობითა და სანახაობით. პოეტი რე-

ვოლუციის გზაში ხედავს საქართველოს მომავალს. ამ იმედით „შთაგონებული ბრუნდება იგი საქართველოში 1918 წელს. პირველ ქართველ პოეტებს შორის იგი ლენინს და კრემლს უკავშირებს ამ იმედს. 1918 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც ჰქვია „გემი „დალანდი“ იგი წერს:

„გემით „დალანდი“ მოედოდი  
სამშობლოსაკენ  
და მთვარისაგან ვალეობდა  
გულს დარდად ჰქონდა:  
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით  
ვუღარ მოვავენ  
და არ მახსოვდა: მქონდა იგი,  
თუ მომავონდა?  
გახსენებების მომახოდა  
მტანჯველი ლანდი:  
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი,  
ლენინი, კრემლი!  
შავი ზღვის ზვირთებს მოაპობდა  
გვიც „დალანდი“  
და თულზე მადგა განშორების  
მსუბუქი ცრემლი.“

თავის სამშობლოში — საქართველოში პოეტს დახვდება მენშევიკების უღელური ხელისუფლება. პოეტის შემოქმედებაში ეს სინამდვილე კვლავ უიმედობასა და სევდას ბადებს. არსებული სინამდვილით, სევდითა და მისტიკით შეპყრობილი პოეტი სიცოცხლეზე ფიქრს, განახლებულ ცხოვრებაზე ოცნებას კვლავ ამოებად სთვლის. ეს განწყობილება გამოხატა პოეტმა 1918 წელს დაწერილ ლექსში — „მას გახელილი დარჩა თვალები.“ „უამიდობით“ გულმოკლული პოეტი სევდიანად მოსთქვამს:

„შიდის ზაცხელი... ბაღში, მდელიში  
სისინებს ააო, შრიოლებს ნემო,  
მე ისევ აქ ვარ საქართველოში,  
რისთვის? ძვირფასო, რისთვის ნუგემო?“

პოეტის შინაგანი მოწოდება, შინაგანი ხმა სხვა სიცოცხლესაკენ სხვა მხარესაკენ ეძახის. მაგრამ საქართველო-

ში არსებული სინამდვილე ისევ სევდით ავსებს მის სულს და იგი მწარედ მოსთქვამს.

„ღირდა თუ არა სიცოცხლეზე  
ოცნება ზუმა და ფერმიხდილი?  
მე გზა არ ვიცი უახლოესი:  
ერთადერთი გზა არის სიკვდილი“.\*

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში სამშობლოს განახლების რწმენით შთაგონებული პოეტი მტკიცედ დადგება რევოლუციური საქართველოს პლათფორმაზე. გალაკტიონ ტაბიძე ამ პერიოდის მწერლებს შორის ყველაზე ადრე მივიდა მტკიცედ და გადაჭრით რევოლუციასთან. 1922 წელს ერთდროულ გაზეთში. „პოეზიის დღე“ ის წერდა: „ჩვენი სამშობლო, სამშობლოა, ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს — არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს არ შეიძლება ჩამორჩე მას... არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არ აქვს — უარყოს თვისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული.... მე-5 საუკუნის სტილი, შვენის თვით მე-5 საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის იგი მართოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, ისეთებიც რომლებიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ საშუალებებს. ჩვენ განვიცადეთ საქართველო, მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია, არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყ-

ვარულიც. იცის შურისძიება და იცის თავგანწირვაც. ეხლა მას, ~~სწავრთა~~ ახალი ცხოვრება, ახალი ~~მზუნება~~ პუნდა მოიცილოს შემოქმეველი სიტყვე გარდამავალ ლანდებისა.“ ამვე წელს გალაკტიონ ტაბიძე აარსებს თავის საკუთარ ეურნალს — „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალი“, სადაც იგი ვაბედულად აყენებს კითხვას და თავის პირველსავე ნომრის მოწინავე წერილში „მანათესტში“ იგი წერს: „საქართველოს ყოველ კუთხეში იბოვით თქვენ ნანგრევებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერსად ვერ იბოვით, აირჩიეთ ორში ერთი, განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით, თქვენ გამირებო, შემოქმედებითი ცეცხლით სავეს ახალგაზრდობაც, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი. ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომორკმული შემოქმედების უნაყოფო ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას.“ გალაკტიონ ტაბიძის ეს მაღალი პატრიოტულ-პოლიტიკური სიტყვა გაისმოდა როგორც ძლიერი მოწოდება საბჭოთა პოეტისა.

სამშობლოს ბედით გამოწვეული მწუხარებისა და სევდის ნაცვლად სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გ. ტაბიძის პოეტურ ქვეყანაში დამკვიდრდა ოპტიმიზმის პერსპექტივისა და ცხოვრების სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა. პოეტი კარგად ხედავს და გრძნობს განსხვავებას „ძველს და ახალს“ შორის. იგი წარსულის ნისლიან სურათებს უპირისპირებს თანამედროვე საბჭოთა სამშობლოს ნათელ სახეს და ერთგვარი კონტრასტების გზით ქმნის აღორძინებული სამშობლოს სურათს. აი როგო-



რი იყო საქართველოს გუშინდელი დღე პოეტის წარმოდგენით.

„იყო მთლად შეუმოსავი  
კაცობრიობის ავეანი,  
ფოკ ერთმუქა ბრბოსადმი  
შრავალთ-შრავალის თავყვანი.  
იყო ბორკილი მონობის,  
გზა უამური შრომისა,  
იყო ცა უპატრონობის,  
ვით ნისლი შემოდგომისა“.

ეს იყო წინათ. სულ სხვა, დიამეტრულად საწინააღმდეგო სურათს ხატავს პოეტი ამჟამად. პოეტის წარმოდგენით თანამედროვე სამშობლოს დიდებული სახე ასეთია.

„დღეს კი მსოფლიოს შექმნეს  
ჩემს სამშობლოში სვიანი,  
სხივოსილი და შოღღაქი  
დაძვედრა ადამიანი.  
უღვი — დროს ეფფლება  
ვეფხვთა ნიჭი და გენია  
უჩაღლეს თავისუფლებას  
სამშობლო აღუდგენია“.

ამ ახალმა დრომ ახალი განწყობილებანი დაბადა ტაბიძის პოეტურ ქვეყანაში. პოეტი გულწრფელად წერს:

„შე სხვანაირი ზვირთი მოვსახე,  
მეც ჩემსკენ შექვი რა მოიღერა,  
ბოლოს ზომ მინეც მე შემოვძახე  
გამარჯებული შრომის სიმღერა“.

აღორძინებული და განახლებული სამშობლო ვახდა გალაკტიონ ტაბიძის ოპტიმისტური პოეზიის უშრეტო წყარო. საბჭოთა ეპოქამ წარმოშვა გალაკტიონ ტაბიძის ხალისიანი და ნათელი ლირიკა.

გალაკტიონ ტაბიძემ თავისი პოეტური გზა მტკიცედ დაუკავშირა საბჭოთა ზელისუფლების, საბჭოთა ეპოქის გზას. სოციალისტური მშენებლობის გზაზე არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ასეთუისე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ის არ გამოხმაურებოდა თავისი ნი-

ჭიერი კალმით. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი ბუნებით ლირიკოსი, სამ სიტყვის პირდაპირი და მალაღობიანი მნიშვნელობით, იგი ცდილობდა დიდი, ეპიური, სუფთიანი ტილოებისთვის მიემართნა, რათა უფრო სრულყოფილი და მთლიანი სახით წარმოედგინა საბჭოთა საქართველოს სახე. ეს მიზანი ედგა საფუძვლად გალაკტიონ ტაბიძის „ეპოქას.“ როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძემ კომინტერნის მეექვსე კონგრესის მონაწილეებთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები დაათვალიერა. და ამ ნახულთა და შთაბეჭდილებათა პოეტურ მოთხრობას წარმოადგენს „ეპოქა“. პირველად ეს პოემის სახით გამოვიდა. მართალია, ეპიური ნაწარმოებებისთვის საჭირო სუფეტური მთლიანობა აკლდა ამ პოემას. ამას თვითონ გრძნობდა პოეტი, ამიტომ შემდეგ გამოცემაში პოეტმა იგი ცალკე ლირიკული ლექსების სახით წარმოადგინა. ასევე მოიქცა იგი „რევოლუციური საქართველოს“ მიმართაც, რომელიც 1930 წელს დაამთავრა. მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ ყოველი ლირიკული ლექსი ამ „პოემებში“ წარმოდგენილი საბჭოთა სინამდვილისადმი გულწრფელი სიყვარულის თავდადების გრძნობით სუნთქავს და ცოცხლობს. ნამდვილი, კუშმარტი საბჭოთა პოეტის, საბჭოთა ეპოქის ადამიანის განწყობილება და მრწამსია გადმოცემული დანახელებულ ნაწარმოებთა ყოველ ლექსში. ეს მრწამსი იგრძნობა მაშინ, როდესაც იგი კოლექტიური ცხოვრების გზით მიმავალ სოციალისტურ სოფელს უმღერის, ეს რწმენა ეხატება მაშინაც, როდესაც პოეტი საბჭოთა ქილაქების ინდუსტრიალიზაციის გზას შეხარის; საბჭოთა ადამიანი ამ მალაღობიანი პატრიოტული გრძნობით ცოცხლობს მაშინაც, როდესაც იგი საბჭოთა არმიას, წითელ

ჯარს მოუწოდებს დაიცვას რევოლუციის დიდი მონაპოვარი.

პოეტმა ვარგად იცის, რომ წინათ „არსად იყო ღიმილი“, ქვეყნად „შავი სიცილი დაცურავდა“, ახლა ღიმილს და სიხალისეს ყველგან შეხვდებით, თუ წინათ პოეტი სიკვდილს ეძებდა, ახლა აღფრთოვანებას და სიცოცხლეს ხედავს ყველგან. პოეტი მთელის ხმით შელაღადებს სიცოცხლეს.

„სიცოცხლე, დიად, სიცოცხლე გეინდა:  
სიცოცხლე გეინდა ასი, ასასი!  
შორი ალბების წყაროზე წმინდა,  
სამხრეთის დღეზე უღიაღესი“.

თუ წინათ პოეტი „ღამის ბინდის სტუმარი“ იყო, ღამე და სიბნელე უყვარდა, ახლა იგი სინათლეს შერთვის. ამაში ხედავს განახლებული ქვეყნის სახეს.

„სიბნელე? არსდროს, არსდროს  
სიკვდილის წყვდიადის ზრდილებს.  
სინათლეს გაუმარჯოს,  
სინათლის ყვავილებს“.

პოლიტიკური ღირსების საინტერესო ნიმუშია ლექსი „ოქტომბრის სიმფონია“. აქ ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ცხოვრებით და მიღწევებით სუნთქავს. დიდი პატრიოტიზმა და მოწინავე საბჭოთა ადამიანის ხმა მთელი სისრულით ეღერს. აქ აღწერილია იმპერიალისტური ომის სურათები, როდესაც ხალხი გმინავდა, „ომს მკაცრსა და საზიზღარს ბოლო არ ეღებოდა“. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ხალხი კითხულობდა „გვეშველება თუ არა?“ და თან მოითხოვდა „ნამდვილ რევოლუციას“, რომელიც მიცემდა ზავს, პურსა და ადამიანურ უფლებას. ეს ის დრო იყო, როდესაც:

„ომით გაპარტახებული  
აღარა მქონე თმენის,

მრავალმილიონიანი  
მასა უცდიდა ღვინს“.

ერყენული

გიგლიძე

ხალხი შემოკრება ღვინის დროშის გარშემო. ღვინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა ხალხმა. მაგრამ რა მიიღო მან მემკვიდრეობით:

„არ დახვედრია ოქტომბერს  
არც ოქრო, არც ვანძულა,  
დახედა ოქტომბერს ქვეყანა  
ცივი, პარტახი, ნგრეული.“

„და საბჭოთა ადამიანები შეუღდგენენ ვაპარტახებული ქვეყნის აღდგენას. ქვეყანა იბრძოდა მშენებლობის ფრონტზე. — იმისი ომი ამჟამად ქვეყნის აღდგენის ომია.“ საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მეოხებით რევოლუცია მტკიცე ნაბიჯით წავიდა წინ სტალინის მაღალი დროშით იბრძოდა მუშა და გლეხი სოციალიზმისათვის.

„ჩვენი სტალინის მაღალი დროშით  
იბრძოდა მისთვის მუშა და გლეხი  
სოციალიზმის სამიჯრის ჩაყრა  
თუ რა იყო ხუთწლედის ხაზი,  
ამ გენერალურ ხაზზე იბრძოდა  
პარტია — მტკიცე და ბუმბერაზი“.

და სტალინური ხუთწლედებით შექმნა ჩვენმა ქვეყანამ ძლიერი მტრისთვის მიუვალი სოციალისტური სამშობლო. ასეთია ამ საინტერესო ლექსის აზრი.

გალაკტიონ ტაბიძე კარგად ხედავს ახალი საბჭოთა ეპოქის იმ ძლიერ ოქტიმიზმს, რომელიც საბჭოთა ადამიანების, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობის ცხოვრების მამოძრავებელ ძალად გამხდარა. საბჭოთა ეპოქამ სრულიად ახალი განწყობილება, ახალი აზრი და იდეები დაბადა.

„ახალგაზრდობას, რომელმაც  
შენ აღტაცება დაგარქვა,  
არ განუცდია რა არის

გულგამყინველი დაკარგვა.  
და ფრთები, მხოლოდ ფრთებია  
შენი ხელების მტევნები,  
ეგ სიხარული, ეგ ღიმი,  
ეგ ბალი, ეგ შადრევანები.  
სხვისთვის კი ბედმა არც ვარდი,  
არც ვალიშება ბნება,  
გიცქერ და გულწაღვლიანად  
წარსულზე გამეციება“.

აქ შესანიშნავად არის დახასიათებული ჩვენი ახალი თაობა. და ასევე საუცხოოდ არის მოცემული ძველი და ახალი ეპოქის განსხვავების გრძნობა. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ოპტიმიზმის, რევოლუციური რომანტიკის გზით წაიმართა. გალაკტიონ ტაბიძე აღწერს არა მარტო დღევანდელ დღეს, არამედ იგი წარმოიდგენს ჩვენი ხალხის შესანიშნავ მომავალს, რომანტიული ფერებით აცოცხლებს ხვალისდელი დღის სახესაც:

„იმ სიმძლავრეს, იმ სიმძლავრეს...  
ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,  
რამდენ შვებას და საცოცხლეს  
შოაქანებს მომავალი.  
ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას  
დაუკარგოს ფეროვნება,  
რომ თანაწორ მზესთან მივა  
თეთრული ეროვნება“.

გალაკტიონ ტაბიძისათვის დამახასიათებელი რომანტიულობა ჩვენს დროში სრულიად ახალი განწყობილებითა და სულით ელერს. ამ სიახლის რომანტიკული ლექსის თავისებური ვაგების ნიმუშად შეიძლება დასახელებული იქნას ლექსი წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“. სიყვარულის ისრით დაკოდლილი დე-გრეისა და მანონის სედიანი რომანის ისტორია აქ პოეტურადაა ვაზარებული. პოეტმა კარგად იცის, რომ ახლა სხვა დროა. რუსოს ხანა ისტორიას ჩაბარდა. და ახალი ადამიანები მოვიდნენ, ახალი გრძნო-

ბებითა და ნერვებით. მაგრამ ისიც იცის პოეტმა, რომ

მაგრამ ისიც იცის პოეტმა, რომ  
ერკონსულნი  
გინგლიონიანა

„მაგრამ წიგნი მაინც დარჩა  
ვაფისა და ასულის,  
როგორც სარკე, როგორც ფარსა  
დროის ფერგადასულის“.

და ეს წიგნიც ამ ძველი გარდასული დროის ეპოქის სარკეა, რომელიც დიდხანს ძლებს.

გალაკტიონ ტაბიძემ ძლიერი პოეტური ხმით უმღერა აღორძინებულ და გამარჯვებულ სამშობლოს. ამ სიმღერაში ელერს პატრიოტი პოეტის სიყვარული დედამამშობლოსადმი, ჩვენი მამულის, ჩვენი ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვის სპეტაკი გრძნობა. გალაკტიონ ტაბიძის მრავალფეროვან პოეტურ ლირიკაში სამშობლოს სიყვარულის თემა განსაკუთრებული ორიგინალური ფერებით ცოცხლდება. ამ მრავალფეროვანების ნიმუშია თუნდაც ისეთი ლექსი, როგორცაა „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. ყოველი ადამიანს აქვს სასოებითა და სიყვარულით შენახული ნაბოძები ნივთი, ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კიდევ ბარათი, ბეჭედი, საფერფლე თუ საყურე და ზოგს წიგნი. რამე მონაბოვარი. და უაღრესად ადამიანურ გრძნობათა რომანტიკას მოსდევს ყველაზე მძლავრი აკორდი საბჭოთა პოეტის გრძნობისა:

„შენი სამშობლო, მსასოვარი,  
პა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,  
პა, ჩემი ვული რადგან მჯუჯვარი  
ყველას რამე აქვს სახსოვარი“.

პატრიოტული შთაგონებით გამთბარი პოეტური სტრიქონები გადმოგვცემენ პოეტის სულის ინტიმურ რხევას, მის მაღალ პატრიოტულ შეგნებას.

სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის იდეა გადმოცემულია ტაბიძის ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

სამამულო ომის პერიოდში გამოქვეყნებული ეს ლექსი დიდი პატრიოტული ძალით ელერდა. ჩვენი წინაპრების სახელოვანი ისტორია აქ ახალი ძალით ცოცხლდებოდა, როგორც დიდი შთამაგონებელი ძალა, რომელიც კვლავ მოგვიწოდებდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში გმირულად დაგვეცვა „წინაპართა ძვლები“ ჩვენი მამებისა და ძმების „სისხლით ნაპოვნი ახალი გზები.“ ყოველი საბჭოთა პატრიოტის აზრი და განწყობილება გამოთქმული პოეტის სიტყვებში:

„შობლივრო ზემო მწიგ,  
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,  
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,  
შენი დროშის ფერს ვაფიცავ“.

გალაკტიონ ტაბიძემ სამამულო ომის პერიოდში მთელი რიგი ლექსებისა გამოაქვეყნა. ბევრი მათგანი გალაკტიონ ტაბიძის დიდი პოეტური ტალანტის გამონათებით იყო განზრწყინებული. მათ შორის უნდა აღინიშნოს ლექსები „სამშობლო“, „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე“, „ღრუბლები ძაღვთან“ და სხვ. გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელი ორაგინალობის ნამდვილი ნიმუშია „ელგუჯას დაბრუნება“. დაბრუნებულ მეომარს სანატორიუმის წინ, ყვავილნარში პატარა გოგონა შეხვდება. გამოხედვა, თმა, სახე ბავშვისა შორეულ მოგონებას აღძრავს სტუმარში. მსგავსი სახე მას უნახავს საღაც, ოდესღაც ცნობისმოყვარე კაცი ვინაობას გამოკითხავს ბავშვს. გამოირკვევა, რომ ომში წასული მამა დიდხანია „დაკარგულა“. დედა სანატორიუმის ექიმი. გოგონა დედასთან მიიყვანს უცნობს. შემდეგ ბავშვი სტოვებს დედას და სტუმარს. „ევა“ — აღმოხდა მაშინ მოსულს — „ელგუჯა, შენა?!“ იყო პასუხი და ისინი მხურვალედ ჩამოართმევენ ერთმანეთს ხელს. ამ დროს გამოჩნდა კვლავ გოგონა“, რომელმაც მოფანტა

აღუჩებისა და ვარდების გუნდა ორგულივ. „რა უნდა მეთქვა, განაცხადა მან, — თქვენ მაძინებთ, მკოფხელო სახელი? — მას სახელად ერქვა ელგუჯა“. ინტიმიურ გრძნობასთან ფაქიზი შეხებით ცოცხლობს მთელი ეს მიმზიდველი სურათი.

ცნობილია, რომ გალაკტიონ ტაბიძე პეიზაჟის უბადლო ოსტატია. მან მომაჯადოვებელი პოეტური ძალით დახატა კავშირი ადამიანსა და ბუნებას შორის. წინათ პოეტი თავის სევდიან ფიქრთა ანალოგიას ეძებდა ბუნებაში. საბჭოთა სინამდვილეში კი შეიცვალა მის მიერ დახატული ბუნების სახე, ხასიათი და აზრი. სამაგიეროდ ისევ დარჩა ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთობაში ანალოგიის ნაცადი გზა. გალაკტიონ ტაბიძემ ბუნება კვლავ გააცოცხლა მთელი თავისი მომაჯადოვებელი ძალით. ბუნება ნამდვილი ცოცხალი სანახაობაა, რომლის სადღესასწაულო სურათების ფონზე იშლება დიდი სოციალური და პოლიტიკური მოვლენები. ამის ერთ მაგალითს წარმოადგენს ლექსი „ელგუჯას დაბრუნება“.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ძირითადი საგანი იყო და ახალ დროშიც დარჩა პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის თემა. სამშობლოს სიყვარულის თემით იყო შთაგონებული გალაკტიონ ტაბიძე. ამიტომ გულწრფელად მიგვანჩნია პოეტის სიტყვები:

„სამშობლოს წინსვლა  
გასაკვირველი,  
შვის მხურვალეობა  
გარს რომ ავლია,  
აი პირველი!  
აი პირველი  
რის სიყვარულიც მე მისწავლია“.

ყოველი ნიჭიერი პოეტური ნაწარმოები ღრმა განცდების, სულიერი მღელვარების, შემოქმედებითი ტკივილების თუ აღტაცების შედეგად შექმნილია. მწერალი თუ განსაკუთრებული

სიყვარულით არ არის დაკავშირებული იმ მოვლენასთან, რომლის შესახებაც იგი სწერს, ისე არაერთგვაროვანი არა აქვს მის მიერ დახატულ საგანს. იქ, სადაც მკითხველი არ ვრძობს, რომ პოეტს განუცდია თემა, რომ იგი აუღელვებია ამ თემას და გამოუხატავს ყოველივე; ისე არ შეიძლება დამყარდეს მწერალსა და მკითხველს შორის ურთიერთგაგება. თავისებური და ახალი კუთხით გაშუქება თემისა კქმნის პოეტურ მრავალფეროვნებას. ვალ. ტაბიძე ამ მხრივ ყოველთვის იყო და დღესაც რჩება სწორუპოვარ პოეტად.

ვალ. ტაბიძის ლექსების ღირსება, უპირველესად ყოვლისა, იმაშია, რომ იგი აღწევს მოვლენათა მრავალფეროვან ხატვას. მკითხველის შეგნებაში შემოდის მოვლენა თუ საგანი სრულიად ახალი ძალით, უცნაური ფერე-

ბით, სურათებითა და საბეჭდით. ვალ. ტაბიძის ლექსები, უპირველესად ყოვლისა, თემის რომანტიული, მელოდური გრძობით ხასიათდებიან. ლექსის რიტმიულ მუსიკალურ მხარეს უფარდებს ტაბიძე თემას და განწყობილებას. ეს განწყობილებანი იქმნებოდა იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იყო ის ცხოვრებასთან—სინამდვილესთან.

ამ გზით გაიარა ვალ. ტაბიძემ საკმაოდ ვრცელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა; ამ გზით დასძლია მან წვრილბურჯუაზიული უიმედობა, უპერსპექტივობა და მისტიციზმი და რევოლუციური რომანტიზმის, სოციალისტური რეალიზმის ჯანსაღი, განწყობილებებით ამღერდა დიდ საბჭოთა ეპოქაში.



საქართველოს  
წიგნების კავშირი

## გეგმათი სპეციალური

მომდინარე წლის 11 აპრილს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი „ავტორის რეპლიკები“ თუ ვანდიდების მინია“. აღნიშნულ წერილში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ჩვენი ჟურნალის № 3-ში მოთავსებული კ. გამსახურდიას წერილი „ავტორის რეპლიკები“ და მიითქმებოდა, რომ „შნათობის“ რედაქციას არ უნდა დაემათა ადგილი თავისი ჟურნალის ფურცლებზე იმგვარი სტატიისათვის.

„შნათობის“ რედაქცია მთლიანად ეთანხმება გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკას.



## ბიბლიოგრაფია



დავით სულიაშვილი — „წარსულიდან“

დავით სულიაშვილი ცნობილია ჩვენი, როგორც წარსულის, რევოლუციურ თემატიკაზე მომუშავე მწერალი. მისი მოთხრობებისა და რომანების გმირები რევოლუციური ბრძოლების წიაღიდან არიან ამოზრდილები. წიგნში მრთავსებულა ორი მოთხრობა: „ურმოზა“ და „ათას ცხრაას ხუთი“. ეს მოთხრობები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და არიან. მწერალს მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფია აქვს. ავტორი გაგონილს, ნახულს და განცდილს ავტორს, გვიამბობს რევოლუციონერთა ცხოვრებას, მათს ბრძოლებს.

ეს მოთხრობები ერთს მთლიან სუვეტში არ არიან მოქცეულნი, ეს არც შეიძლება. მათი სუვეტი, მუშათა კლასის რევოლუციური წარსულია. იგი მისდევს ამ მოვლენებს და ავტორს მათ, როგორც მათი აღმავლობის ისევე დღემდელობის დროსაც.

ავტორი გულწრფელად და ობიექტურად ავტორს მოვლენებსა და ფაქტებს. იგი მოთხრობის დასაწყისშივე ეკვირდება: „მინდა მართებულად ავწერო განვლილ დროში მომხდარი ამბები, პირადი და მახლობელი მეგობრების ცხოვრება, ჩვენი გატაცება, გამარჯვებანი და დამარცხებანი“. მწერალმა ეს დაპირება მეთხველებს პირნათლად შეუსრულა. მისი პირველი გასვლა ხალხში, მუშებში, მარქსიზმის აგიტაციისა და პროპაგანდისტებისა კვა საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნის აგიტაციით დაიწყო.

ბროფესიული რევოლუციონერები, ბოლშევიკები, ლენინისა და სტალინის მიმდევრები, ზრბოლა ბოლშევიკებისა მენშევიკების წინააღმდეგე განხეთქილება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ემიგრანტული ცხოვრება, მწერალს დამახინჯებულად აქვს გადმოცემული.

დაუეიწყარია გამოჩენილი ემიგრანტი რევოლუციონერის მანილოვსკის სახე. ეს ადამიანი, როგორც პარტიის ერთგული კაცი, მებრძოლი, დაჯერებული რევოლუციის გამარჯვებაში, ავტორი და პროპაგანდისტი, ფინანტიოსი და მგზნებარე გულის მქონე პიროვნება, ავტორს მთელი სისასით აქვს დახატული. მისი, როგორც ჩაცულობა, გარეგნობა, პირადი ცხოვრება და შინაგანი ადამიანური სიმტკიცე ისეთივე მიმზიდველად და გულწრფელად არის მოცემული, როგორც გულწრფელობითაც გვესმის ავტორის სიტყვებში ლაიპციგში მიმართული მანილოვსკისადმი: „ჩვენ რუსეთს მუშებს არ გამოვეყოფით, იმათთან ემბროლებით. თუ საქარ იველო ჩემი მამულა, რუსეთი ჩემი სამშობლოა“.

ცხადია, ეს ლამაზი სიტყვები სიღამაზისათვის არ ყოფილა თქმული. მასში დიდი აზრია ჩაქსოვილი.

ასევე შესანიშნავად აქვს ავტორს აღწერილი დიდგარემოელი ადამიანის, სუეტაკი რევოლუციონერის, მებრძოლისა და ბრწყინვალე ორგანიზატორის მიხეილ დავითაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა; ბათუმში, ქარხანაში მუშაობა, წრეები, ავტაკაცია, მარქსიზმის ღსაუფლებლად საზღვარგარეთ წასვლა და სხვა, — ხანგამტლად არის მოთხრობილი. ამ ამბებში სრანს მეტად მიმზიდველი სახე მიხეილ დავითაშვილისა. მიზ. დავითაშვილი იმდენად საინტერესო პიროვნება იყო, რომ იგი დირსია სპეციალური და ვრცელი მონოგრაფიისა. ავტორი მას მანილოვსკის ადარებებს: „ორივენი — მანილოვსკი და დავითაშვილი, — მიმზიდველნი, მომზიდველნი იყენენ. ერთი — რუსი, მეორე — ქართველი. ორივენი ლენინის მათაყუნებელნი და მტრით აღტაცებულნი“. ამიტომაც, რომ მანილოვსკი

გამახის: „ილიჩი ნამდვილი და უსათუოდ აღიდა ქალაქი ჩვენი პარტიისათვის“...

მათი ოცნება და ფიქრები ლენინია, მათი ოცნება და ფიქრები — იოსებ ჯუღაშვილია, როგორ სიხარულს განიცდიან ბოლშევიკების იდეოლოგები იოსებ ჯუღაშვილის სახელის გაგონებაზე: „მიხეილ დავითაშვილის მოლიშობაზე სახე შევა თვალში, გამოვირდა, იმ დღეა აღიდა ჩამ მოიყვანა ჩემთან. განცვიფრებულნი დავაკვირდით, ის კი იცინის, იღიმება და შემახის: — ჩამოდი ჩქარა, ჩამოდი, უნდა გახარო რამე. — რაშია საქმე? — იოსებისგან წერილი მივიღე, აი, წაიკითხე.

იმ ზღეს საღამოთი, იოსების წერილი გავუთხის სხდომაზე წაიკითხე, გავარჩიე და მეორე ზღეს ლენინს გადავუგზავნე ენევეამი.

არა ნაკლები განცვიფრებული დავარჩით. როცა ენევეიდან მამე კვირამი მივიღე ლენინის წერილი, იოსებისადმი მიმართული, სადაც იგი იოსებს შეგნებაზე კოლხიდელს უწოდებდა. ეს წერილი იმ ზღესვე გადავუგზავნე იოსებს მიღებული მისამართით“.

ეს ფაქტი ზღესა დიდ მღელვარებას იწვევს ჩვეს გულში.

რევოლუციური მოძრაობის გაფართოება რუსეთში, გაფიქრები, დემონსტრაციები და მანიფესტაციები უდიდეს გავლენას ახდენდა ემიგრანტებზე. ხოლო 9 იანვრის მუშების ვაშლისგან პეტერბურგში გამსკერებულნი მთავრებიდან მოახდინა მათზე. რევოლუცია იწყებოდა. ემიგრანტებიც რუსეთისკენ იმეგრდებოდნენ ზღეს და გაიძახოდნენ: „უნდა წავიდეთ რუსეთში, ჩვენც უნდა დავდგეთ ბარიკადებზე და მუშებთან ერთად ვებრძოლოთ“, „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას! — ძინს ცარიზმი!“ და ამგვარად რუსეთიდან და საქართველოდან რევოლუციონარებს უა მისი გამარჯვებისათვის ენევეამ, ლაბკოვი და პარონი წასული რევოლუციონარები, ახლა მამე რევოლუციისათვის ბრუნდებოდნენ სამშობლოში. „რევოლუცია, რევოლუცია! ბარიკადები! წითელი დროშა!“ აი ის სიტყვები, რომლებიც დროშეებით წინ უძღოდათ რევოლუციონარებს. ამ ფაქტებით რუსეთში დაბრუნებულნი, რომელთაც ეგონათ, შევალთ თუ არა რუსეთში, მამინე ბარიკადულ ბრძოლაში ჩავერევიოთ, საზღვარს ვადმოსცდნენ თუ არა, რუსეთის პირველ ქალაქში, ვინც პირველი დახვდათ, ეს იყო თეიმურაზი პირველი. მამამ რევოლუციონარები გულს მამინე არ იტებდნენ: ასეა

ჯერ აქ. იქ კი, შუაგულ რუსეთში სულ სხვა იქნებაო.

მწერალს კარგად აქვს აღწერილი საზღვარგარეთიდან დაბრუნება და ან პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც მათ დახვდათ თბილისში: მენშევიკები ყველა საშუალებას ხშირობდნენ, რათა მუშები მიეზნათ, ამიტომ ისინი უმთავრესად მთავარ სახელმწიფოებში ტრაილდნენ, მაგრამ ბოლშევიკები მათ აქედანაც აძევებდნენ.

პარტია თავის ძალებს პერფორაციებში გზავნიდა.

მოთხრობა „ურზობაც“ ამით მთავრდება. მეორე მოთხრობა „ცხრაას ხუთი“ ვრცელი და შინაარსიანი ნაწარმოებია. იგი თითქმის გაგრძელებაა „ურზობის“. მოთხრობა „ცხრაას ხუთი“ მთელი გალერეა ბოლშევიკებისა. მათი ცხოვრება, თავდადება და ბრძოლა, — ავტორს შესანიშნავად აქვს მოთხრობილი.

იწყება ბოლშევიკების გაფართოებული ბრძოლა რეაქციისა და მენშევიკების წინააღმდეგ. მის ზეითაშვილი, ეს უშესანიშნავესი აღმოჩნდა და მტრული სტალინული კითხვამი ახალბებს ბრძოლას. იქ არის სტეპკო ინჟინერი, ეს უხადლო მებრძოლი და რევოლუციონერი, რომელიც ყველაზე იტრ დაიღუპა ცარიზმთან ბრძოლაში. მას კითხვარაში კარგად იცნობდნენ და პატრუსაც სცემდნენ: „კოცხალი, მიღდა მოძრაობა, მალე მიუბლით და არწვიოს მვეიცრის თვალებით, მუღად ეტრუხასატი უა ჩინებულნი ორატორი პირველ შეხვედრისთანავე მიიზიდავდა თქვენს ყურადღებას“. ასე გვიხსობათ ავტორი მის სტეპკო ინჟინერს კითხვარს წითელი რაზმის ერთერთი ორგანიზატორთაგანი იყო სწავლობდა ქუთაისის სემინარიაში, საიდანაც რევოლუციური მუშაობისათვის დაითრავდა იქნა. ის ხელმძღვანელობდა კითხვარის ზესტალინიში წასულ ბოლშევიკურ რაზმს. რეაქციის გამარჯვების შემდეგ ბაქოში გაიტყრა მაგრამ ენადრამებმა მამინე მიიგნეს. სტეპკომ შეიარაღებულნი წინააღმდეგობა გაუწია მათ ბრძოლის დროს იგი წამებით მოკლეს. ავტორმა ნათელი ფერებით დახატა ამ მღვდარი მებრძოლის ცხოვრება და საქმიანობა.

ასევე კარგად არის აღწერილი რუსეთის პირველი რევოლუციონერის, ბაქოში „კელხის“ მუშაობა. იგი მზუნ და ენერგიული რევოლუციონერი იყო მონაწილეობას ღებულობდა კითხვარის წითელი რაზმის შექმნაში. „მეტრეველი ქმინდა ვრცელი პირადული და მზოლოდ რევოლუციის“

გამარჯვებაზე ფიქრობდა — ჭიათურის რაზმს შეთურობდა". ეს რევოლუციონერი მეტად საინტერესო ბიოგრაფიის კაცი იყო. რეპუტაციის დროს იგი ბაქოში გაიქცა, იქედან ირანში გადავიდა და სხვა ამხანაგებთან ერთად, სათარხანის მეთაურობით რევოლუციამ რომ იფეთქა ირანში, — მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რისთვისაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი შეიპყრეს და თავი მოკვეთეს.

ა. შესანიშნავი რევოლუციონერი სამთელ პეიშიძე. იგი იყო „პროფესიული რევოლუციონერი და ბოლშევიკური მენების მტკიცე დამცველი“. ვულწრფელი აღფრთოვანებული და თავდაწირვად მისული, — ამხანაგებში ცნობილი იყო, როგორც უმწიველო ადამიანი... ნაჭიანი შუბლი, მუდამ ჩაფიქრებული — არაფერზე არ ფიქრობდა გარდა რევოლუციის გამარჯვებისა. იგი დეკემბრის გამოსვლებაში ხარაგოულში წითელ რაზმს მეთაურობდა, რომელმაც ათრად აყვარა ტენგიანი პოლკის ერთი ასეული. ეს შედარებით მებრძოლი შეიპყრეს და ციხეში გადასახლეს, იქიდან გამოიქცა და საზღვარგარეთ ევრევაში ჩავიდა. რევოლუციის გამარჯვებას შემდეგ ისევ რუსეთში დაბრუნდა და პარტიულ მუშაობაში ჩაება. სამოქალაქო ომის დროს ელადიკავკასიში წითელარმიელებთან ერთად თურგვარდიელებს ებრძოდა, სადაც მოკლულ იქნა.

რევოლუციონერები: მელიტონ ფილია, გიორგი თელია, თომა ჩუბინიძე, ფაცია ვალდავა და სხვები მწერალს გამოყვანილი ჰყავს როგორც უანგარო და სპეციალური მებრძოლი ადამიანები. ავტორს კარგად აქვს ნააზრობი პრაზაგანდისტების მუშაობა, როგორც მუშებში, ისე სოფლად გლეხობაში. მეტად საინტერესო ადამიანია ალექსი — მუშა-იარაღების შექმნის დიდი ოსტატი, მუდამ აღფრთოვანებული და ენტუზიასტი კაცი. ასევე კარგად არის მოთხრობილი რაზმელების ჭიათურიდან ქუთაისში გამგზავრება და მათი რევოლუციური სულისკვეთება. უფოლდ საინტერესოდ და დამაჯერებლად არის მოცემული წითელარმიელების ბრძოლა ზესტაფონში, ხარაგოულში და წიფაში. მათი რევოლუციური სამტყეცე და ნებისყოფა მწერალს კარგად აქვს გამოსახული.

შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა. მწერალი ასე აგვიწერს ამ მომენტს: „აღიხანოვან დამსჯელი რაზმი მიდიოდა ზღაპრული გველემანის თვისებით — შემოგრტყმოდ დაბას ან სოფელს, მოითხოვდა მსხვერპლს, არბევდა წითელარმიელების ოჯახებს, ცეცხლს უკო-

დებდა სახლებს, ხერხტდა შემთხვევით დარჩენილ რევოლუციონერებს. მოცულადა, მოახშობდა სოფელს და მიეჭრებოდა შემდეგ სოფელში, ცეცხლი და სისხლი უცეცხლელებთან რეპეტია“.

იწყებოდა ხალხის აწიოკება, სოფლების გაღწევა, რევოლუციონერების დენა, დაპყრება, გაუასახლება და დახვრებები. გამძვინვარებული რეპეტია თავის კლანჭებში ითრევდა ყველაფერს, რაც სასიცოცხლო და პროგრესული იყო.

შეუძლებელია აღვლევებლად წიკითხობის თავები, სადაც მწერალი მოგვითხრობს ქუთაისის ციხეში გვირახის გაყვანას და რევოლუციონერი ტუსალების გათავისუფლებას. ცხადია რამდენადაც ავტორი იმ დროს ქუთაისის ციხეში იჯდა, როგორც პატიმარი, მას უფრო გაუადვილებოდა გადმოცემა ჩვენთვის ყველაფერი რაც ციხეში ხდებოდა. ასევე ცხადია, რომ დღეს ეს განვლილი პერიოდია, წახსლეს გვეთვნის, მაგრამ თქმა არ უნდა იმის, რომ მწერალს იგი ხორცმესხმულად მოუცია ჩვენთვის და არა თუ ადამიანები, არამედ თვით შეგნული საყენებელი ამბეტყვლებია და გაუცოცხლებია.

რამდენადაც მათრდებოდა რეპეტია, თვითმპყრობლობა ხმდენად უფრო კტონის სალტეებს უჭერდა რევოლუციურ ორგანიზაციებს, მაგრამ ბოლშევიკები მაინც დიდი ენერგიით აღრმავებდნენ და აფართოვებდნენ რევოლუციურ მუშაობას. ბოლშევიკები ადამიანებს ასალკლდევებდნენ, ამბებდნენ და მომავალი რევოლუციისათვის ამზადებდნენ. თვითმპყრობლობის სიმკაცრეში, კაზაკების დაუნდობლობაში, აღიხანოვის სისხლიან ნაყვალეში, — ყველაზე რელიეფურად მოსჩანდა თვითმპყრობლობის სისუსტე და მისი დამბობის აუცილებლობა. ეს მომენტები მწერალს საკმაო სიმღიერით აქვს ჩაწვენილი.

ავტორი რომ აცდენილყო კატორღასა და გადასახლებას, ისევ საზღვარგარეთ მიემგზავრება. დიდი მღელვარებით და გულისფანქვრით გვიყვება მწერალი საზღვარგარეთ წასვლის ამბებს და იმ შიშს, რომელსაც იგი განიცდიდა, სანამ საზღვარს გადასდებოდა სხვისი პასპორტით. დასაინებელია, რომ, ავტორი, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა გასცნობოდა რევოლუციური მოძრაობის ბელადებს, მთელ რიგ მოღვაწეებსა და ემიგრანტებს, ავტორი, რომელმაც ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა გაწვლო, და ასეთი საინტერესო ბიოგრაფია აქვს, — ზოგჯერ სათანადოდ ვერ იყენებს იმ მასალებს, და ვერ აბერბებს მოგვეცეს კოლო-

რიტული და მხატვრულად მაღალ დონეზე მდგარი ნაწარმოებები.

ამ წიგნის ნაკლი კიდევ ის არის, რომ ავტორი ხშირად მშრალად გვიამბობს უარესად აბაღლელებელ მომენტებსა და მოვლენებზე. თითქოს მწერალი ვერ სწვდება მოვლენების არსში და მის სიღრმემდის ვერ დაღის.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს წიგნი დიდად საინტერესო წიგნია, განსაკუთრებით დიდი საარგებლობის მოტიანი შექმნის მას ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ს. მ.

ხარიტონ მარდოშვილი — „ლიქსიანი“ სხეულბანი 1947 წ.

ხარიტონ ვარდოშვილი ეყუთენის ქართველ პოეტთა იმ თაობას, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ რევოლუციური ქართველის წლებში. ვარდოშვილის შემოქმედება ეთარღებოდა თავისებური გზით და დიდი ევოლუცია განიცადა, ეძღვრე ჩვენს დრომდე მოაღწევდა.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია პოეტის მიერ 1917 — 1946 წლებში დაწერილი ლექსების ის ნაწილი, რომელიც გამოქვეყნება დღეს მიზანშეწონილად მიტნევიან ავტორს. მართალია ლექსები ქრონოლოგიურად არ არის განლაგებული, მაგრამ ისე კარგად არის ისინი შერჩეული, რომ პოეტის მიერ განვლილ გზაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ.

რათა გუადავილოთ შეიხვედეს ხარიტონ ვარდოშვილის შემოქმედების თანამიმდევრულად გაცნობა, გავარჩევთ მის ლექსებს ქრონოლოგიურად.

1917 წელს ვარდოშვილმა დაწერა ლექსი „დილა“, რომლითაც განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება რევოლუციის სოციალისტური რევოლუციისადმი. ცენზურულმა შეზღუდვებამ საშუალება არ მისცა პოეტს აშკარად გამოეთქვა თავისი სიხარული. იგი იძულებული იყო აღეგორიულად, ბუნებაზე გადატანით ემცნო შეიხველათათვის, რომ „უფერულ ღლებს სიხარული უახლოვდებოდა“. ლექსი „დილა“ პატარაა და მთლიანად მოგვყავს:

შემე გაიღმა  
და სხივთა წიგნი,  
ვარდს დააფრქვია,  
ააქიმეღმა  
ვარდმა დახარა  
მორცხვად კოკორა  
და მზის პირველ სხივს  
უძღვნა ამბობი.  
ცუარი სილაზე  
მძივად აწინდა,  
იათ სიხარე

მდელოს დამწვენდა.  
ღიარღვა ბინდი  
და დაიკალო,  
ფრინველთა გუნდი  
წამოიშალა.  
ლურჯთვალთაიანი  
ღილა გათენდა,  
ბრწყინვალე მზეო,  
ღიღებდა შინდა!

მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაყვა პოეტს. იმედგაცრუებული პოეტი ჭმუნვარებაში მოიქცა. თავის სულიერ განწყობილებას ის აშკარად გამოხატავდა იმდროინდელ ლექსებში: „საღამო“, „აუღარი მთაში“, „წყარო“ და სხვ.

მხოლოდ ხანდახან იმხედრდებოდა ხოლმე მისი გული თვალისმომჭრელი ცოცხალი სურათების ზეგავლენით და კალამს მოიპარავებდა სიბრძოლველად, ისეთებში მისი ლექსები: „ქიანურა“ და „მუხრანის ხიდი“. რომლებშიაც მოცემულია ხალხის უმწირო მდგომარეობის აღწერის ცდა, მაგალითად, ლექსი „მუხრანის ხიდი“ მის უტყუარი საბუთია, რომ მწიველებს პოლიტიკა სკოლის მაგიერ ქუჩაში ერეებოდა ბავშვებს.

ეხუთმეტიანი ტალღებს — ტალღები,  
ქარი ჭქანის, თოვლი მოსვლას აბირებს,  
გაცეხული ქუჩის ბაღლები  
გიაძახიან: ირის, პაბირის.

საქართველოში საჩუთთა ხელისუფლების დამკარების დღიდან ხარიტონ ვარდოშვილი აქტიურ მუშაობას ეწევა. მისი შემოქმედება კარგ კიდევ ძიების პროცესს განაგრძობს. მის იმდროინდელ ლექსებში „წერილი“, „კალიას სიმღერა“, „სივრცეები“, „ღამე იღვმალეობის ფერში“, „მოგონება“ და სხვ. საუბრალებო არაფერია.

1930 წელს მან დაწერა ლექსი „პოეტი“, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ დეკლარაციას, შეჯნას ძველსა და ახალს შორის, გარდატეხის დასაწყისს შემოქმედებითი აღმავლობისაკენ. მასში შესანიშნავად არის განსაზღვრული პოე-

ტის მოვალეობა თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე. აი როგორი უნდა იყოს პოეტის ქნარი: თუ გულის ცეცხლი არ ახლავს, და საყვარულით არ მღერის, თუ ხან ნაზად არ წყრიალებს, ხან რა ჰქუხს როგორც ლანქერი — ისე რად ვარგა პოეტის ქნარი ხმაყაღბი, მზე-ბნელი, გულს ვერ მოხიზლავს სიმღერა, მზის შუქით აუგზნებელი

და შემდეგ:

პოეტი ვრის ნიჟია,  
სიბრძნის უტკნობი ყვავილი,  
თესლია უკვდავებისა,  
მიწიდან ამოყვანილი,  
სარკვა უღიადესი,  
ხალხის ღებნის და წეხილეს,  
უანგაროა, უსაზღვრო  
მისი გულისთქმის დღილი.

ამ დღიდან მკვეთრი იდევრის სული დაუბრუნდა ვარდოშვილს შემოქმედებას. გაეხსნა გული, სამშობლოს წარმატებებმა, მისმა აღორძინებამ აღიტაცა, აღაფრთოვანა პოეტი. ლექსში „ქართლის ზეცა“ მან ახალი საქართველოს საბრძოლვეს უწოდებდა:

შიპქრის ეამი და ქართლის ზეცა  
ელავს. ციალებს,  
და ინთქებიან სივარცეებში  
შუქთა ზოლები,  
იშვია ახალი საქართველო  
მედვარ ბრძოლებით,  
და ლაყვარებში დიდ სტალინის  
დროშა ფრიალებს.

სახე იცვალა თბილისშიც. ახლა ის მეხრანის ხედის წუმბეში იღარ სცურავს, არც მტკვრის საყვედურები ისმის და შერტხსაც გული გაუხსნია. სიონის ზარის მავთურ ქარხნების საყვირები გუგუნებენ, ხოლო ავღაბრში მიმავალი აქლემი ტრამვაის ვაგონებში შესცვალეს. როგორ დადუმდებოდა პოეტის ბავგინი, როცა საყვარელი თბილისის ყვავილობას ზედავს:

შენს ლამაზ იერს, ჩემო კარგო,  
ვუცქერი, ვხედავ  
როგორ იზრდები, ფართოვდები  
და სახეს იცვლს,  
მრავალი გმირის, დიდ ბელადის  
შეშაბელი დედავ,  
შენს ლამაზ იერს, ჩემო კარგო,  
ვუცქერი, ვხედავ!

შესანიშნაო ლექსები მიუძღვნა ზარიტონ ვარდოშვილმა ქართული ლიტერატურის კორიფეებს: შოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ზარათაშვილს და რუ-

სული პოეზიის გენიოსს — ა. ს. პუშკინს. წით შორის განსაკუთრებული ძალადე, ყვეფსე დეფი ილიასადმი მიმართვა:

ჩას შეგადარო — ზეიად მყინვარს,  
თოვლით შევერცხილილს,  
თუ ოკეანეს, მოგრიალეს  
და მოგუგუნეს?  
არა, მყინვარი ცივი არის,  
შენს იყავ ცხელი,  
წყევდიანს რომ ვერფლავს და ბრძოლისთვის  
ასვირთებს გულებს.

სტალინური ხუმწოდებებს შედევალ ჩვენი ქვეყნის სწრაფ აღმავლობასთან ერთად თვალსაჩინოდ გაიზარდა ზარიტონ ვარდოშვილის შემოქმედებაც. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა პოეტი სამშულო ომის წლებში.

ვარდოშვილმა თავის გმირად კამიტან გასტროლის უკვდავი სახე აირჩია:

ო, რა დიდი და საოცარი  
გქონია გულში ცეცხლი ფარული.  
ვის არ აღაგზნებს, არ აათრთოლებს  
შენი გმირობა ლეგენდარული.  
ფრონტელი შეგობრებისადმი მიძღვნილ  
ლექსში ვარდოშვილი ამბობს:  
გსლა მის გვერდით, განაწვალები,  
გდია ვაჟაკიო, სახეამქრალი,  
და ეუბნება თითქმის თვალბნით:  
— იძიე შური, ღუშმანს დაქარაი

ასეთი იყო საბრძოლო მოწოდება. ამას მოითხოვდა უოველი საბჭოთა პატრიოტი: ისიც, ვინც ბრძოლის ველზე ეცემოდა, ისიც, ვინც ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებას მოელოდა და ისიც, ვინც ფრონტისთვის შრომაშობდა ზურგში. პოეტის პირით ქართველი დედა აწე არიგებს ფრონტზე მყოფ შვილს: დაქარა, გააკვეთე ცეცხლის ზღუდენი და დუბნელე ურდოებს ხედვა. კვლავ ასახელო სამშობლო შენი, და გამაბარე მშობელი დედა. საბჭოთა მებრძოლმა ისმინა სამშობლოს მოწოდების ხმა, აღიგზნო ბრძოლის ცეცხლით, დაქარა ნალარას, ეკვეთა მტერს და: მას შემდეგ იგი, დღითა და ღამით, იბრძვის, მტერს მუსრავს, ქვეული დევად! მისი სიცოცხლის უოველი წამი არის უღმობველ სიკვდილის ძღვევა.

(„წითელარმიელი“)

სტალინგრადის ეპოპეა ვადაიქვა ფაშისტური გერმანიის დასასრულის დასაწყისად. სტალინგრადში ვადაიქვა ომის ზედი, სტალინგრადმა იხსნა მსოფლიოს ცივილიზაცია ფაშისტის ბარბაროსობისაგან. პოეტმა ვარდოშვილმა ასე უმღერა ლეგენდარული ქალაქსა და მის დამცველთა გმირობას:



განს არ ვარტყია ციხე-კოშკი  
უზარმაზარი,  
რელით ნაქედი ქონგურები  
მედიდურ სახის.  
შავრამ ამქვეყნად ყველა კოშკზე  
უფრო მაგარი  
შემოკვდიომა და გიფარავს  
მარჯვენა ხალხის,

და შემდეგ:

ვაშა, ქალაქო, უგმირესო  
ქალაქთა შორის,  
მტერმა ვერ დასწვა შენი  
მკერდი ცეცხლის ისარიო.  
მარადვამს იფრენს მსოფლიოში,  
ვით შეტეარო,  
შენი ვაჟაკი დევგმირების  
სული შრისხანე.

მტერი ვატყდა, პირი იბრუნა და ვარბოდა  
თავისი ბუნებისაკენ. საბჭოთა არმიები დაიძრ-  
ნენ მის გასაძლსრად. შეტევებზე გადასულ მებრ-  
ძოლებს პოეტი გზას ულოცავდა და მოუწო-  
დებდა:

დაკარით, თქვენს სამშობლოში  
ვინც არ განებნებთ ცხოვრებას.

ბრწყინვალე გამარჯვებით აღფრთოვანებულ-  
მა პოეტმა იგრძნო გამარჯვების მოახლოება:

ვატყდა მტერი მვეხზარა,  
აწ ხხარებს ველარა,  
გამარჯვებს სტალინის  
უზღველო ქვეყანა!

„სამაისო ლექსებში“ ვარდომვილმა ადიდა  
გამარჯვების დღე:

მე ის მაისი მაყრეოლებს  
სისხლით და ცრემლით მსტყნენ  
შენ სხვა ხარ, ო, ცხრან მსტყნენ  
შენ მზე ხარ უბრწყინვალესი.

ხარბიტონ ვარდომვილს არა ერთი ბრწყინვა-  
ლე სტრიქონი მიუძღვნია იმ ადამიანისათვის,  
რომლის სახელთანაც დაკავშირებულა ყველა  
ჩვენი გამარჯვებები. ომის შემდეგ უფრო  
ჭკიდროთ შედღულდნენ პოეტის აზრები ბელადის  
პიროვნების გარშემო:

შან დააჯახა ბნელეთს ცეცხლის  
კორიანტელი,  
ქვეშ მოიყოლა მონობის მთა  
უზარმაზარი.  
გმირი ვაჟაკი — შემოსილი  
რუხი მაზარიო,  
მზედ აღმობრწყინდა, მოაფრქვია  
ირველი ნათელი  
ცა ვააბრწყინა — მოოჭვილი  
ფირუზ-ფაზარიო.

პოეტმა ინახულა გორი და სახლი, რომელ-  
შიაც დაბადა და ბავშვობის წლები გაატარა  
დიდმა სტალინმა:

კვლავ ვნახე სახლი, საფვარელი,  
სახლი პატარა.

აქ იშვა ბრძენი, ყრმობის დღენი  
აქ გაატარა.

ქართულ მიწაზე, მკერდში გიდულს  
ცეცხლი ციური,  
შენ შობე გმირი, ყველა გმირზე  
ტიტანურა.

ასეთია ის შემოქმედებითი გზა, რომელიც  
განვლო ხარბიტონ ვარდომვილმა.

ზრ. იარაღოვი.

ბალახტიონ ტაბიძე „ზღვა ახმაურდა“

ახლანან აფხაზეთის სახელმწიფო, გამომ-  
ცემლობამ ამხ. გიორგი ჯიბლაძის რედაქტო-  
რობით გამოსცა საქართველოს სახალხო პოე-  
ტის ვალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი  
სახელწოდებით „ზღვა ახმაურდა“. ამ წიგნში  
წარმოდგენილი ლექსების უმეტესი ნაწილი  
გადმოგვცემს აფხაზეთის მომავადღვებულ  
ბუნებას, გვისურათებს ამ მხარის შორეულ  
წარსულს, მის ბედნიერ აწმყოს.

„აფხაზეთო, ეს მშვენიერი კუთხე ჩვენი  
ქვეყნისა წრფელი სიყვარულით უყვარს  
პოეტს. მისი ზღვის სანაპიროები, მისი მწვე-

ნი ქედები, ახლოებული და მშობლიურია მის-  
თვის. პოეტი სწერს:

„მშვენიერი ირველიც არის  
ლურჯი წყალი, მწვანე ქედი,  
და პონტიის არე-მარეს  
შუენის გვი „აფხაზეთი“.

აფხაზეთო, აფხაზეთო,  
სულზე უფრო საყვარელი“.

ამ მხარის შორეული წარსული ისევე წარ-  
მტაცია და პოეტური, როგორც თვით ზედადი  
მთები, კაკლუცი სანაპიროები და მარად ლაყ-





ვარდი ცა. ზოლო მრავალსმოქმელი მითები ძველიძეველი დიოსკურიის შესახებ სიამაყეს ჰგერის პოეტს, ისინი მოუთხრობენ მას საბელოვან წინაპრებზე, ამ მხარის დიად წარსულზე. განსვენებული სახელოვანი, ქართველი მეცნიერი იფანე ჯავახიშვილი თავის ცნობილ წიგნში „ქართველი ურის ისტორია“ ამ კუთხის შორეულ წარსულის შესახებ სწერს: „ყოლიხეთი რამდენიმე განთქმული სავაჭრო აღიერი იყო, სადაც ხალხი ახლო-მახლო აღგლებიდან თავს იყრიდა ზოლმე. ერთ ასეთ ადგილად კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში დიოსკურია ითვლებოდა“. იქვე ამ ქალაქისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მოცემულია ცნობები: „ყოლიში, რომელსაც ჰამინ ფაზისი ეწოდებოდა, და დიოსკურიაში, რომელსაც II ს-ში სებასტოპოლისს ეძახდნენ, რომის კეისარს მეციხოვნე უარი ჰყოლია“. მითი ძველი დიოსკურიის შესახებ უფრო ძველია და შორეული, მაგრამ პოეტი აკოცლებს წარსულს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „ქალაქი წყალქვეშ“:

„მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები, ახლა იქ მყუდრო ნავთსადგურია, წყალში ჩასული არის მითები და ძველის-ძველი დიოსკურია. ნავსადგურიდან თავდება ხაზი — ერთ დროს იქ იდგა მრავალთ-მრავალი, სხვა წინაპრები ჩემი, აფხაზი, უძველეს დროის შთამომავალი“.

მაგრამ ეს ძველი ამბავია, ძლიერ შორეული. მომდევნო საუკუნეებში ამ კუთხის ბინადარნი მამაკურად იცავდნენ თავის ქვეყნის მომხდურ მტერთან სამკედრო-სასიოცხლო ბრძოლებში. ბევრჯერ მტრის ვერაგობა ამ ხალხისადმი უცხოელის თვალსაც აშკარად შეუმჩნევია. სახელდობრ, აღამიანით ეპრობის საშინელებანი. ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც საინტერესო ცნობები დასტოვა მე-17 საუკუნის საქართველოზე, აღნიშნავს თუ როგორ სასტიკად იტაცებდა მოძალადე მტერი ამ კუთხის ახალგაზრდობას და როგორ ყიდდა მას უცხო მხარეში. წარსულის ამ საშინელებას ხატავს ვალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ჰყვება შარდენი“. ამ ვაღმოცემულია სურათი, თუ როგორ იყიდა აფხაზი ქალი უცხოელმა ვაჭარმა:

„შიდლო ჭისა, დათვალა და ჯიბედ კელავ ჩაიყიდა ისევ დათვალა და ქალა თორმეტ ეკიუდ იყიდა. ოყდახუთი წლის სულ იყო ჩვენ გემზე შექთა მთოვარი, თან ჰყავდა მისი სულიყო“.

პატარა, ძუძუმწოვარი.

და გემი ვაჟევა ისევ წყალში ფიქრნი კი, მონაგარდენე... თან მიჰყვებოდა აფხაზ ქალს... — ასე ამთავრებს შარდენი“.

ლექსში „მახაჯირები“ ვალაკტიონ ტაბიძე ვაღმოგვეცხმს ამ უდიდეს ტანჯვას, რომელიც ვალაკტიონი წარსულში აფხაზმა ხალხმა. მე-19 საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ძალდატანებით ვადასახლებამ თურქეთში უდიდესი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა განაცდევინა მათ. თურქეთი ანგრედა და აპარტახებდა ამ კუთხეს. ფერფლადქცეული ნასახარები, დარბეული სოფლები გულის-უძალიანებელ სურათს წარმოადგენდა. ამიტომ დროთაგვლამ ვერ წარბოვა ის სიძულელი აფხაზებში თურქეთის მიმართ, სადაც ბედისანაზარად იქნენ შიტოვებული, ვატანგული და ვაუბედურებული მახაჯირები. თურქეთის უცხოობაში უდიდესი წამება ვადაიტანა ამ ხალხმა მაგრამ ყოველ აფხაზს, დასტურად სამშობლოსადმი ვანუხაზღერელი სიყვარულია, მტკიცედ მიჰქონდა თან ერთი მუკა მშობლიური მიწა. მშობლიურ მხარეს მოწყვეტულ, ეამთა სიიეთ ვატანგულ აღამიანის ვანცდებს ვაღმოგვეცხმს პოეტი ლექსში:

„ჩემმა სამშობლომ მშვენიერმა

რაც ნახა ჰირი,

რაც მახინჯთაგან ვანიცადა,

ეამთა მოღრუბლვით

რაც ნახა ჰირი, ვიფანებ მას

შე, მახაჯირი.

მშობლიურ მიწის ერთი მუკა

თან მიმაქვს უბით.

რა დამავიწყებს ფერფლისფერ

• ტყესა და ნაბირს,

მალღ მთებთა და ვრცხეს

ვარსკვლავით ტუბით.

ჯახში, ჯახირში, ჰაობებში,

ხაშში — მახაჯირს —

მშობლიურ მიწის ერთი მუკა

თან მიმაქვს უბით“.

ვალაკტიონ ტაბიძის ახალ ლექსების წაჯნაში აფხაზეთის წარსული მხოლოდ ერთგვარი პოეტური გესყურსითი არის მოცემული. ძირითადად პოეტს ახალი აფხაზეთი იტაცებს, თავისი მშენებლობით, თავისი წინსვლით, თავისი შემოქმედით აღამიანებით. ეს სიყვარული ვანსაკუთრებით იგრძნობა პოეტის ახალ ლექსებში. ამ მკითხველი ხედავს, თუ როგორ მოდიან გმირნი ახალი შრომის ჯარისკაცებად; — იქ ტყეაჩრეულში, თუ კოდორთან, მალღ მთებში, თუ ბარაქთან საყოლმურნეო მინდვრებში, ზღვისპირეთის ახალ საწარმოებებში, თუ სა-

შეცინეო დაწესებულებებში და ინსტიტუტებში.

მრისხანე ორმოცდარში, როდესაც მთებს გადმოსული საქლველი მტერი ასე ახლო იყო ზღვისპირეთთან, აფხაზი ვაჟაკები საქუთარი სისხლით იცადნენ მშობილურ მხარეს, წმინდათა-წმინდა საბჭოთა მიწა-წყალს, მაშაპაპათაგან ნანადერძვე სინდისს და პატრიონუნას. ამიტომ მარად დაუფიქვარია ის წელი და მისი მქუზარე შემოღგომა. პოეტს სწერს:

„ვერ მოსპონ და ვერ სძლიონ ის —  
ურუვეი სიმავრეები,  
გახსოვდეს კავკასიონის  
გამძაღრებელი დღეები“.

ლექსში „დაწერელი სახლი სოხუმში“ პოეტს აღნიშნავს, ფაშისმის შხაში თუ როგორ ნიადარიეთ გადმოიარა, მაგრამ კლდედ აღიშართა ჩვენი ხალხი და გააყამტვერა მტერი. პოეტი აღფრთოვანებით გამოგვეყვანს გამარჯვების დღის სიღაღეს:

„გზამ ძაუგიდან — ბერლინამდე  
გაივარიალა.

ჩვენს თავდადებულ და საყვარელ  
არმიას ვაშა!

ქართულმა დროშა რაისხტაგზე  
აფერიალა!

პირამშენიერში გამარჯვების  
დღემ ირეირაქა“.

მაგრამ სწორუპოვარ ბრძოლებში სამშობლოს აკეთილდღეოდ დაეცენ გმირული სიკვდილით სახელოვანი ვაჟაკები. მათი ხსოვნა სპარადეათა ხალხში და ზეღადის გულში. ეს დიდი გრძნობა გადმოგვეცა პოეტმა ლექსში: „მარადის დიდება გმირებს“:

„მისთა შეილთა მეომართა,  
ხსოვნა გულში ვით არ თრთოდეს,  
მათი, რომელთ სიციტლენი  
ვერ შეეხედებით ვერასოდეს —  
გმირთ, რომელთაც სამშობლოსთვის  
ზედ დააკლეს თავი თვისი —  
საუწუნო ვახსენება  
და დიდება მარადისი!“

ვალატიონ ტაბიძე ახალ ლექსებში აფხაზეთზე გადმოგვეყვანს ომის შემდგომ პერიოდს. ბრუნდებიან ომგადახდლი ვაჟაკები, დიდია სიხარული და ახალი შემოქმედებითი ენტუზიაზმი ჩვენს ქვეყანაში. ღამაში სურათთა დახატული ლექსში „ომგადახდლი აფხაზი“. სამშობლოსადმი ვალმოხდლი აფხაზი ჯარისკაცი მშობილურ მხარეში ბრუნდება სიხარული შემოიჭრა კარამიღამში. უერ დედას გადაეხვია ვაჟაკი, მერე ცოლსა და ქალშვილს. მისი დაბრუნება უხარია მშობილურ

ტყეებს უხარია მგარგვიანე ზღვის ტალღას, უხარია მიწას და ყოველ მხრდენჯევისმის გვირის დაბრუნებით გამოწვეული... აღფრთოვანების ხმები. ცხენოსანი სტუმრებით აივსო ომგადახდლის ეზო-მიღამო. გრგვიანეს აფხაზური სიმღერები, ქარიშხალს ატრიილებს აფხაზური ლეკური. მოიკითხავენ ჯარისკაცს მოკეთენი, ფრონტებზე განდებულსა და ნახტულს უსმენენ. თასებში ღვინო ელვავებს. სუამენ სადღეგრძელოებს. ნადირობის ამბებს უყვებიან შეგობარი მონადირენი ომგადახდლის. სხვათა შორეული ნაონსობის თავგადასავალს მოუთხრობენ მას. ბეჭრია ახალი: სკოლა გამართეს, რკინიგზა გააყვა ზღვისპირს, ფართობალისა და ზეთისხილის ბაღებში მზე იღვრება. ომგადახდლი სიამოვნებით იღიმება. ისევ აღდგურძელეს ძვირფასი მამული და კვლავ ღასძახეს მქუზარე „მრავალამიერი“. განუზომელია გმირის დაბრუნებით გამოწვეული სიხარული, იგი ბუნდევანების მათუყებელია.

„დაბრუნდა“, — გრგვიანეს ტალღა ზღვის.  
მიწასაც მისი თქმა უნდა —  
და ყველა მხრიდან გაისმის  
„დაბრუნდა, გვირი დაბრუნდა!“

მრავალმხრივ საურთაღებთა ლექსი „პოეტი და მასა“. მასში მოცემულია დიდი შემოქმედი ძალა სოცილისტური კულტურისა ზელოვანი ჩვენში ხალხთან განუყოფელია. უცხოეთში ზელოვანისა და ხალხის გზა ვითიში. ეს ყოველივე კონკრეტულ მხატვრულ პარაღლებით დაბატა პოეტმა.

„სოხუმი: სარკმელში  
შვის ჩასვლა სანატრი.  
აღრვა, ხალხით კი  
სავსეა თეატრი.  
და წამით სხვა მხარეს  
მივეყვარ სხვა ნისღეს:  
სულ ათი წლის წინათ  
მე მასსოვის პარიზში...“

პოეტს ახსოვს ჩივილი, მგონისა და მასების მქუზარე ვითიშის შესახებ უცხოეთში. ეს ყოველივე ჩვენგან შორსაა. საბჭოთა პოეტს თავის ხალხთან სიახლოვე, შემოქმედებით ცხოველყოფელობა სიამაყეს ჰგვრის. ეს ნათლად იგრძნობა დასახელებულ ლექსში.

პოეტმა „ეუვა და ასილა“ ტრადიციული ძელი აღთა-წესების რღვევის მომენტია ნანევეები. მასში მოთხრობილია ეუვა და ასიდს რომანტიული ისტორია. მათ გზად ელობება ტრადიციული ჩვეათა მტკიცე დამცველი ასიდს მოხუცე მამა, რომელსაც სურს თავისი ქალი მდიდარ ხაჯიმატს შერთოს ცოლად. ახალგაზრდა შევერებელი ყმაწილი კაცი გრძნობს, თუ როგორ ძლიერია ტრადიცია.



„ეუგა დაფორდა. ძნელ-დასაძლევი წესი, ალათი ასე მკედღრია, ასე ზანგრძლივი ფესვენი მათი“.

მაგრამ შტკიცე ნებისყოფის მქონე აფხაზი კალი ასიდა სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, და, სწავლას დაწინაურებული, ცხოვრების ახალ გზებზე გამოდის. პოემას აქვს საინტერესო ფაბულა, მასში საგრძნობლად კარბად არის მოცემული ყოფითი მომენტები. პოემის მთავარი პერსონაჟები თავიანთი ხასიათებით მკვეთრად არიან დახატულნი.

სამწუხაროდ ვალაკტიონ ტაბიძის დასახელებულ წიგნში არის მთელი რიგი ბუნდოვანი და ზოგჯერ გაუგებარი აღგილები. მაგალითად, ლექსში „რიცა“ არის ასეთი სტრიქონები:

„აფხაზეთს არის ერთი ტბა: რიცა. და იქ ხომ გვახსოვს შენცა და მეცა ზეცა, ვით ზეცა და არა მიწა, მიწა, ვით მიწა და არა ზეცა!“

საერთოდ ვალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსები ჩვენი ქვეყნის უღამაზეს მხარეზე — ახალ ზღვისპირეთზე, მრავალმხრივია საინტერესო. ამ წიგნში ახალი პეიზაჟი, ახალი ადამიანებია დახატული. ეს წიგნი ამ მხრივად მნიშვნელოვანია, რომ ძვირად შეიძლება კარგად წამოწყება უღამაზესი კუთხის, აფხაზეთის, ფართოდ სარეწებლად მხატვრულ ლიტერატურაში.

დავით შამათავა



შინაარსი

დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით, ნარკვევი . . . . .	83
ალეშია ნაზანი — ორი ლექსი, თარგმანი ორაკლი აბაშიძისა . . . . .	43
ქარლო კალაძე — გმირის ვარსკვლავი, ლექსი . . . . .	45
შილიაშ შამსკირი — ქარიშხალი, თარგმანი ინგლისურიდან ე. ტელიძისა . . . . .	46
მასო ბორბაძე — მეგობრისადმი, ლექსი . . . . .	100
ანდრო ლომიძე — ნახევარმთვარის შექმნე, მოთხრობა . . . . .	102
ნაირი ზარინი — ლექსები: 1. მოსკოვი — თარგმანი შ. ამისუღაშვილისა; 2. შობლიური სახლი — თარგმანი ზ. ლორთქიფანიძისა . . . . .	108
მიხეილ ძმონიძე — ლენინგრადი, ლექსი . . . . .	112
არჩილ სულაქაშვილი — გმირი, ლექსი . . . . .	113
—	
ნატო შანაძე — სამი თვე ევროპაში, ნარკვევი . . . . .	114
—	
მ. ებნატაშვილი — დიდი რევოლუციონერი დემოკრატი და კრიტიკოსი ბ. გ. ბელინსკი, წერილი . . . . .	134
ს. შილაძე — გალაკტიონ ტაბიძე, წერილი მეორე . . . . .	153
—	
რედაქციის აგან . . . . .	170
—	
ს. მ. — „დავით სულიაშვილი — „წარსულიდან“, ბიბლიოგრაფია“ . . . . .	171
ბრ. იარაღი — „ხარბიტონ ვარდოშვილი — „ლექსებში“, ბიბლიოგრაფია . . . . .	174
დავით შამათაძე — „გალაკტიონ ტაბიძე — „ზღვა ახმაურდა“, ბიბლიოგრაფია . . . . .	176

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრო აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), იოსებ ბრიშაშვილი, პავლე ინგოროშვილი, სარბო კლდიაშვილი, ალიო მირცხულაძე (ვაშაშვილი), ბისარიონ ძლიანი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანუაშვილი, დავან შინაბაძე.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა ჩაოდენობა 11 1/2 ფ. ში 01999. შეჯ. № 819. ტირაჟი 6.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: მიახლის ქ. № 13. ტელფ. № 3-04-64.

3360 8 836.

СТАЛДІ ВАНДІ

1.11



*Handwritten notes in purple ink:*  
L. 61/200  
200  
A. 21/100  
200

*Handwritten note in purple ink:*  
1000



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ